# ახალი საუნჯე

ტექსტების და კონტექსტების ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№5 (79) სექტემბერი-ოქტომბერი 2020 წელი ფასი 3 ლარი

ნომრის ავტორები

## მაკა მიქელაძე

1970
2020

## & ანდრეი ლიუბკა

**პოეზია**

ნანა აკობიძე

ლელა სამნიაშვილი

**ბიოგრაფია**

ამბროსი გრიშიკაშვილი

ზბიგნევ ჰერბერტზე

**თარგმანები**

კარლ-ჰაინც სიმონი

სიორენ აბი კირკეგორზე

**პროზა**

ალეკო შუღლაძე

თამარ მამარდაშვილი

დემეტრე ხუფენია

ტარიელ დათიაშვილი

კობა ცხაკაია

ნათია ჩხაიძე





ეროვნული
ბიბლიოთეკა

ADVERTISING COMPANY
INNO STUDIO

# ყველაფერი ჩვენს წარმოებაში

სავიზიტო ბარათები; მოსაწვევები და მისალოცები;
დიპლომები; სერთიფიკატები; ბროშურები; ფლაერები;
ბუკლეტები; კატალოგები; მენიუები; კალენდრები;
პოსტერები ბლანკები; კონვერტები;
ბლოკნოტები; CD/DVD შეფუთვა
ნებისმიერი სირთულის ყუთები;
ასევე ყუთებზე ბეჭდვა;
ყველა სირთულის კვეთები;
ეტიკეტები და სხვა თვითწებადი
პროდუქტები; ბილეთები;
აფიშები, ბანერები, ვიტრინების
და ავტომობილების გაფორმება;
საათების ბრენდირება;
ბეჭდვა ოქროს და ვერცხლის ფოლგაზე,
ნატურალურ ტილოზე;
პლასტიკური ბარათებზე ბეჭდვა;
მაისურებზე, ჩანთებზე, კალმებზე ბეჭდვა

ADVERTISING COMPANY
INNO STUDIO

ციფრული,
ოფსეტური
ბეჭდვა

ქუთათელაძის 8. ტელ.: 597 39 55 87; 2 39 55 87; 2 14 12 14 innostd@gmail.com

PUBLISHING HOUSE

მწერალთა
სახლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

12

## ნომრის ავტორები

### მაკა მიქელაძე

ელისო მეტრეველი – მაკა მიქელაძე – მრავალზე მეტად თავისუფალი და დამოუკიდებელი – 3
მაკა მიქელაძე – ყიყლიყო – 10
მაკა მიქელაძე – უკუქცევა – 14

### ანდრეი ლიუბკა

ბიოგრაფია – 16
ანდრეი ლიუბკა: ლექსების წერა დავიწყე იმ მიზნით, რომ პატრიარქალურ გარემოს შევწინააღმდეგებოდი (ინტერვიუ) – 17
ანდრეი ლიუბკა – ლექსები (თარგმნა შოთა იათაშვილმა) – 20

## პოეზია

ნანა აკობიძე – 24
ლელა სამნიაშვილი – 28

**პროზა**

ალეკო შუღლაძე – წმინდანის მახე – 31
თამარ მამარდაშვილი – ტყის ქალი – 45
დემეტრე ხუფენია – ჩემი სახელია ბლუზი – 50
ტარიელ დათიაშვილი – უდაბნოს ბაყაყები – 55
კობა ცხაკაია – იდომ ეზრზა – 61
ნათია ჩხაიძე – გენიალური იდეა – 63

**ბიოგრაფია**

ამბროსი გრიშიკაშვილი – ზბიგნევ ჰერბერტი: პოეტი ალყაშემორტყმული ქალაქიდან – 66

**თარგმანები**

კარლ-ჰაინც სიმონი – სიორენ აბი კირკეგორი (განაზრება) (გერმანულიდან თარგმნა მაია გოგოლაძემ) – 74

3 4 5

პროექტის ავტორი:
ვაჟა ნოწკოლაური

მთავარი რედაქტორი:
შოთა იათაშვილი

რედაქტორი-სტილისტი:
ლელა კოდალაშვილი

დიზაინი და დაკაბადონება:
ნიკა ხვედელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია:
დავით ანდრიაძე
გია ეძგვერაძე
დათო ტურაშვილი
ეკა ქევანიშვილი
ზაზა შათირიშვილი
დავით ჩიხლაძე
გია ხადური

ნომერზე მუშაობდნენ:
მაკა მიქელაძე
ელისო მეტრეველი
ნანა აკობიძე
ლელა სამნიაშვილი
ალეკო შუღლაძე
თამარ მამარდაშვილი
დემეტრე ხუფენია
ტარიელ დათიაშვილი
კობა ცხაკაია
ნათია ჩხაიძე
ამბროსი გრიშიკაშვილი
მაია გოგოლაძე

გამომცემლობა – „საუნჯე"
მის.: ალ. ყაზბეგის 32/34
ტელ.: 2141214, 2395587, 2397188
ელ-ფოსტა: akhalisaunje@gmail.com
Facebook: გამომცემლობა საუნჯე/Saunje publishing http://www.facebook.com/saunjee
www.newsaunje.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაკა მიქელაძე – მრავალზე მეტად თავისუფალი და დამოუკიდებელი

*ელისო მეტრეველი*

ყოველთვის იმას აკეთებს, რაც უყვარს. სიყვარულით კი ექსპერიმენტები უყვარს, სიახლეები, თავისუფლება, შეჯანჯღარება, გამოწვევა, მოძრაობა; ზოგჯერ სიმშვიდეს და დაცულობასაც ირჩევს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ყველაფერი ყირაზე დგება, როცა გეგმები ინგრევა და სამყარო ისეთ გაუგებრობას ეჯახება, როგორიც ომია, ან, მაგალითად, კორონავირუსი, რომელიც თითქოს გაჩერებას, დაპაუზებას გაიძულებს, თუმცა არა ფარ-ხმლის დაყრას და დანებებას. ექიმ მაკა მიქელაძისთვის ახლა რეგულაციების დაცვაა სწორი, მწერალი მაკა მიქელაძე კი ახალ გეგმებს აწყობს, ერთი გაჯიუტებული ტექსტის მორჯულებას აპირებს და კიდევ უამრავი პროექტი და გეგმა აქვს. „მე და ჩემი კუსტურიცაც" საქართველოში ბოლო ომის შემდეგ დაიწერა – ერთ-ერთი გამორჩეული წიგნი ომსა და მშვიდობაზე, არჩევანისა და გადაწყვეტილების სირთულეზე, შიშსა და თავისუფლებაზე, ადამიანების სისუსტესა და ძალაზე, ადამიანობაზე... ამ წიგნისთვის 2011 წელს „საბა" მიიღო – წლის საუკეთესო პროზაულ კრებულად აღიარეს. სხვა პრიზებიც აქვს: ჟურნალისტიკაში – საუკეთესო მოთხრობისთვის „ჩემი ქალაქი", კინოში – საუკეთესო დებიუტისთვის ფილმ „ლეონარდოში". საბავშვო ლიტერატურაში აქტიური მუშაობისთვის მედლითაა დაჯილდოებული. ჯერ მწერალი ვიყავი, მერე გავიზარდე, გავიზარდე და საბავშვო მწერალი გავხდიო, დაწერა ფეისბუკზე ერთხელ.



მაკა მიქელაძეს ორი პროფესია აქვს, ერთმანეთს რომ უნდა გამორიცხავდეს ისეთი, თუმცა მისთვის ამ პროფესიებს შორის მსგავსება უფრო მეტია, ვიდრე განსხვავება. ფსიქოთერაპიასა და მწერლობას შორის არჩევანი ვერასდროს გააკეთა. ზუსტად იცის, რომ ვერც მომავალში იტყვის რომელიმეზე უარს, მიუხედავად იმისა, რომ ახლა ცოტა ხნით უმუშევარია. იცის, რომ პაციენტები ისევ ეყოლება, რომელთა პირადი ამბები და ცხოვრება ყოველთვის დაცულია და ხელშეუხებელი. ერთადერთხელ აიღო პაციენტისგან ამბავი, არა, ამბავი კი არა, მხოლოდ ერთი სურვილი, რომელიც ზოგადიც იყო და ძალიან კონკრეტულიც, თუმცა პიროვნების ამოცნობის შესაძლებლობას სრულიად გამორიცხავდა.

„ფსიქიატრს და მწერალს საერთო ის აქვთ, რომ ადამიანს კარგად უნდა იცნობდნენ, უნდა ეხმარებოდნენ მას და ბევრს კითხულობდნენ. მნიშვნელობა აქვს ურთიერთობის ხარისხს ქაღალდთან და პაციენტთან, ასევე შედეგს და არა სხვების შეფასებას. თუ დაფასდი, კარგია,

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



მაგრამ თუ არა, ეს არ ნიშნავს, რომ ცუდად მუშაობ. და კიდევ, ორივე დიდად შემოქმედებითი საქმეა და დიდად მადლიანი. ორივე მოითხოვს განუწყვეტელ ზრდას და განვითარებას.

პაციენტების მონათხრობზე პრინციპულად არ ვწერ: ეს მათი ცხოვრებაა... და ჩემი მოვალეობაა, ამზის ანონიმურობა დავიცვა. ფურცელზე შეიძლება გაჩნდეს მეტი შეკითხვები ცხოვრებასთან, განწყობა, მსოფლმხედველობა, ფილოსოფიურ საკითხებზე პასუხები, თუმცა ამბებს და ისტორიებს ძირითადად ვიგონებ. იშვიათად, რომ რეალობასთან თანხვედრა იყოს, ისიც – შემთხვევით, რადგან ძნელია ახალი რამ გამოიგონო ამ დედამიწაზე. „გვირაბს" რაც შეეხება, პაციენტისგან მხოლოდ ის „ავილე", რომ სულ გარბოდა და თვითონაც არ იცოდა, სად ან რატომ.

ჰო, კიდევ ერთი, ყოვლადმნიშვნელოვანი მსგავსება მწერლობასა და ფსიქოთერაპიას შორის: ორივე ფილიგრანულია და იუველირის სამუშაო".

***ძალიან პატარა იყო, წერა რომ დაიწყო. ბევრს აქებდნენ, ბეჭდავდნენ საბავშვო ჟურნალ-გაზეთებში. მას კი ამოჩემებული ჰქონდა, ექიმი უნდა გამოვიდეო. გამოვიდა კიდეც. მაშინ ყველა უხსნიდა, ორივე ფრონტზე ბრძოლას ვერ შეძლებო. რაც მიყვარდა, იმას ვაკეთებდი, კი არ ვიბრძოდიო – ამბობს ახლა. „პირველი პუბლიკაცია „ბუნების კარში" ჰქონდა. მოეწონათ და მერე „ნორჩ ლენინელშიც" დაუბეჭდეს ლექსები. სკოლის თვალი და სიამაყე გავხდიო.***

„ერთ მშვენიერ დღეს „ნობათს" მივადექი. თენგიზ ჩალაური და გივი ალხაზიშვილი დამხვდნენ. დიდხანს ვამტკიცებდი: დასაბეჭდ ლექსებს ვწერ! ისინი იცინოდნენ. ბოლოს ღერი ალიმონაკმა თქვა, მგონი დასაბეჭდია ეს ბავშვიო და დამბეჭდეს. დიდი ხნის მერე ამ ამბავს სასაცილო გაგრძელება მოჰყვა. საბას დაჯილდოებაა, ვსხედვართ მე და გივი ალხაზიშვილი ნომინანტებად და ველოდებით განაჩენს. გამოაცხადეს გამარჯვებულად და ატყდა ერთი ამბავი, მილოცვები, მხოლოდ გივი ალხაზიშვილმა მოიწყინა. არ გასულა ცოტა ხანი და ახლა გივი ალხაზიშვილი გამოაცხადეს გამარჯვებულად. დაბნეული ადგა. თურმე ჰგონებია, რომ პოეზიაში ავიღე პრემია. აბა, შაკა რაში დააჯილდოესო, უკითხავს. გასცინებიათ. მე პროზაულ კრებულში გავხდი გამარჯვებული. გივის თავი უმართლებია, რა ვიცი, ბატონო, სულ ლექსებს წერდაო.

პირადად ვიცნობდი ბევრ დიდ მწერალს. თითოეულ მათგანთან საინტერესო საუბრები მქონდა და კვალიც დაატყვეს ჩემს მწერლად ჩამოყალიბებას. ერთხელ იზა ორჯონიკიძესთან ვიყავი და ჩემი სამომავლო გეგმები გავაცანი. ამოიგმინა: ე.ი. თანაც ექიმი გინდა იყო, თანაც მწერალი და თანაც ათი შვილი უნდა გყავდესო? და წყალიც გადამიწურა: არ გამოვა მაგ საქმიდან არაფერიო. ჩემი გეგმებიდან მართლაც ბევრი რამ არ გამოვიდა. გოგონაც მხოლოდ ორი მყავს, მაგრამ ქალბატონ იზას სახე არ მავიწყდება, ისეთი შეწუხებული იყო, ისე უნდოდა გადავერჩინე. ეს ორივე პროფესია ადამიანისგან მთელ სიცოცხლეს ითხოვს, განსაკუთრებით ქალისგან და რანაირად შეათავსებ ათი ბავშვის ხელშიო, მშოძღერავდა".

***ჰუმანიტარული განათლება არ მიუღია. ენის ცოდნას, ტექსტებზე მუშაობის უნარს თავის ქართულის მასწავლებლებს უმადლის და საერთოდ, მიაჩნია, რომ პედაგოგებში გაუმართლა – სკოლაშიც და შემდეგაც. სკოლაში კი, მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი დაამთავრა ფსიქიატრის სპეციალობით, მხოლოდ ლიტერატორად აღიარებდნენ, ამიტომაც ახალი წიგნების საავტორო ეგზემპლარები ჯერ თავის სკოლაში მიჰქონდა ხოლმე.***

„ფსიქიატრიისა და ფსიქოთერაპიის მთელი ელიტა მასწავლიდა. ყველა მახსოვს და მიყვარს. ნარკოლოგიაში გელა ლეჟავასთან მოვხვდი. მთელი მისი კოლექტივი მხარში მედგა, კარგი გუნდი. სწორედ აქ მუშაობის პერიოდში გამოვეცი ორი პოეტური კრებული: „ოცდამეცამეტე" და „ქალი".

ეს ცალკე მოსათხრობი ამბავია. მოგეხსენებათ, პირველი წიგნის გამოსვლის გულისფანცქალი. მე ამ დიდ ბედნიერებას პაატა ნაცვლიშვილმა მაზიარა. მან თვითონ აარჩია მასალა, ააწყო, დაასურათა, დააკაბადონა და გამოსცა ეს პატარა წიგნები.

ერთ დღესაც მირეკავს და მეუბნება, არაფერი გამოვიდა, უნდა შეგხედე, ყველაფერი თავიდანაა გასაკეთებელიო. გულზე შემომეყარა. რას ვიზამდი. ჩემთან, სახლში დავთქვით შეხვედრა. ვაღებ კარს და რას ვხედავ, პაატას ხელში უჭირავს კანაფით შეკრული ჯერ კიდევ თბილი და შეუშრობელი ჩემი წიგნები. უჭირავს და იცინის თავისი განუმეორებელი სიცილით, გილოცავ პირველ წიგნებსო. ჩემი კივილი ცას წვდებოდა, მეზობლები შევყარე, ასეთი სიურპრიზი ჩემთვის არავის გაუკეთებია."

***პოეტურ კრებულებს პროზაც მოჰყვა. პირველად შაკურ სულაკაურმა დაუბეჭდა ფგAშჩ-ი. შემდეგ, „სიესტაში" ქეთი კილურაძემ გამოსცა „წეროს ჯვარი" და „მე და ჩემი კუსტურიცა",***

***პოეტური კრებულები „რვეული“ და „ბარათი“. საბავშვო პერიოდიკაშიც იბეჭდებოდა: „ანი და ვანოში“, უფრო ხშირად კი „დილაში“. ბევრი სკოლა მოიარა და თავის ტექსტებს ბავშვებს უკითხავდა. მათი მაშინდელი რეაქციები ახლაც გულს უთბობს. ერთმა ბავშვმა მისი პერსონაჟი მაჯლაჯუნა კარადაში ჩახატა და „მაკა მიქელაძე“ დააწერა. საერთოდ კი, საბავშვო მწერლობაში ბაკურ სულაკაურმა და თინა მამულაშვილმა „შემიტყუესო“, ამბობს.***

„ბაკური სულ ბუზლუნებდა, მე საბავშვო მწერლად მოგიაზრებო. სამი წიგნი დამიბეჭდა: ქართული მითები, ბერძნული მითები და საავტორო „ოკრო-ბოკრო“. „ბერძნულ-რომაული მითების“ სრული კრებულის გაკეთება მომანდეს, რომელშიც ჩემს ტექსტებთან ერთად ჯემალ ქარჩხაძის სამი მოთხრობაც შევიდა. არ ვიცი, როგორ გავართვი თავი, მაგრამ ბავშვებს უყვართ და სიამოვნებით სწავლობენ ამ სახელმძღვანელოთი. მერე ქართული მითები გამოვეცით. მხოლოდ ნახევარი, ქრისტიანობამდელი. მეორე ნახევარი ჯერაც არ დაპროექტებულა, არადა, პირველი ნაწილი კარგად გაიყიდა.

ჩემი რძალი აფორმებს ხოლმე ჩემს ტექსტებს, ცნობილი ილუსტრატორი და მხატვარი ნინო ჩაკვეტაძე. „ოკრო-ბოკროც“ მან დაასურათა. ჩეხი მწერლის, იან კარაფიატის „ციცინათელებიც“ ნინომ გააფორმა, ტექსტის ადაპტაცია მე გავაკეთე. თანატოლი შვილები გვყავს და მათი გაჩენის დღიდან ერთად ვწერდით და ვხატავდით ხოლმე ჯერ მათთვის და მერე უკვე ყველასი ხდებოდა. ხან ჯერ ტექსტი არსებობდა და ნინო ხატავდა, ხან მის ნახატს ვურთავდი მერე ტექსტს. პატარები რომ იყვნენ, ძალიან მოსწონდათ ეს ყველაფერი და ჩვენთან ერთად ზეიმობდნენ ახალ წიგნებს. ახლაც, დიდი ხანი თუ არაფერი ხდება, უკვირთ და გვაგულიანებენ. ერთხელ ჩვენი გოგოების, ანას და მარიამის ნახატები „აი ია“-ში დაბეჭდეს, გახარებული იყვნენ, ჩვენც დედიკოები გამოვალთო.

ბაკური სულ საბავშვო მიმართულებით მეზიდებოდა, მაგრამ „გულს გარეთ“ ჩემს პროზას მაინც მფარველობდა: „თხუთმეტ საუკეთესოში“ რამდენჯერმე გაიელვა ჩემმა მოთხრობებმა. მერე პენ-მარათონების ჯერი დადგა. საუკეთესო მოგონებად მახსოვს ეს საოცარი ღონისძიება. მადლობა ამისთვის ჯარჯი აქიმიძეს და თამარ ლებანიძეს. ეს საოცარი გამოცდილება იყო... ბევრ პერიოდულ გამოცემაზეც მწყდება გული, მაგრამ იმედია, უკეთესი დროც მოვა.

***არასწორად მიაჩნია მწერალთა დაყოფა და „ნიშობრივი“ გადანწყობა. ამბობს, რომ ეს ცუდია. მისი აზრით, ეს მხოლოდ შეზღუდვაა და მეტი არაფერი. არ ფიქრობს, რომ ბავშვებისთვის მხოლოდ საბავშვო მწერლები უნდა წერდნენ და ეს მწერლები მერე „სადიდო“ ტექსტებზე აღარ მუშაობდნენ. ჟანრის არჩევა თუ შეცვლა მხოლოდ ავტორის გადასაწყვეტი უნდა იყოს.***

„ადრე ყველა მაგარი მწერალი წერდა ბავშვებისთვის და საბავშვო მწერლები არ ერქვათ. ჟანრებსაც ისე იცვლიდნენ, როგორც გაუხარდებოდათ. ახლა კი დაიწყეს გაყოფა: ხუთ წლამდე, მერე თინეიჯერებიო, ცალკე ფენტეზი და ცალკე ის, ეს. ვითომ პროფესიონალიზმს ზრდიან. სინამდვილეში კი ვიწრო ჩარჩოებში სვამენ ავტორებს და გასაქანს უხშობენ. ლინდგრენს არც ასაკობრივი და არც ორიენტირებული ჯგუფებისთვის უწერია და არც ადიქციური ქცევის მოზარდებისთვის, მაგრამ ის ყველასთვის საყვარელი და დაუვიწყარია. მურმან ლებანიძე, გურამ დოჩანაშვილი, მუხრან მაჭავარიანი და სხვებიც ბავშვებისთვისაც საოცარ ნაწარმოებებს ქმნიდნენ და დღეს კლასიკოსებად ითვლებიან. რა უბედურებაა ეს ნიშების განსაზღვრა, ვის აძლევს ხელს?!

გურამ დოჩანაშვილზე გამახსენდა, ერთხელ სამი მოთხრობა დამიბეჭდეს „ლიტერატურულში“. რეაქციას ველი, მაგრამ არსაიდან ხმა, არსით ძახილი. უცებ ტელეფონის ზარია. ვიღებ ყურმილს და მესმის, გურამ დოჩანაშვილი გაწუხებთო. ასე მსუბუქად, ასე ღიმილიანად, ასე ტკბილად და ხალისიანად ასეთ დიდ თემებზე დაწერილი მოთხრობები კარგა ხანია არ წამიკითხავს და გაქებთო, მეუბნება. ალბათ, წარმოგიდგენიათ, სად ავარდა ნიშნული ჩემი ბედნიერების სკალაზე. მერე ბატონ გურამს სულ ვჩუქნიდი საავტორო ეგზემპლარებს.

პატარა ბავშვები მყავდა და სხვებივით ჩართული არ ვიყავი ლიტერატურულ ღონისძიებებში, მაგრამ დასწრებით ვესწრებოდი. ან სპექტაკლს გადააწყდებოდი, ან მუსიკალურად გაფორმებულ საღამოს არაჩვეულებრივ გამოფენასთან თანხვედრაში; იყო მსჯელობა, მსახიობების და ავტორების შეჯიბრი მხატვრული კითხვისას. საინტერესო დრო იყო, შემოქმედებითი. ახლა კი თითქოს ყოველივე ამის დაფასოება და შეფუთვა ხდება. ჰალსტუხების მორგება და სტანდარტიზაცია. საცოდაობაა. ორიგინალური წარმოდგენის ნაცვლად, ტიპური შეხვედრებია – აღარც კარნავალები, აღარც კინოპოეზია, აღარც ელექტრონული მუსიკის თანხლებით ტექსტების წამღერება... აღარც დადა, აღარც მეფე... აღარც ვიდეოფილმები ლიტერატურული ხედვით. საბოლოო ჯამში, ჩემი ცხოვრების ლიტერატურული პერიოდი კარგად მაგონდება. ტურები, მოგზაურობები, „ცოცხალი წიგნების“ პროექტში მონაწილეობა... უამრავი მეგობარი შევიძინე. ჩემი და უმცროსი თაობის კარგი და ძალიან კარგი ლიტერატორები“.

***მაკა მიქელაძის „ბრძოლა“ პროფესიონალიზმის საზღვარს არასდროს გასცილებია, ზოგადად ბრძოლა მისთვის არასდროს ნიშნავს კაცებსა და ქალებს შორის „ომს“. პროფესიონალიზმი კი მისთვის ნიშნავს სხვაგან „დგომას“ – იქ, სადაც ქალი თუ იმარჯვებს, კაცმა იმაზე უნდა იფიქროს, რომ მას მეორე ადამიანის ფანტაზიამ, ემოციამ ან ალღომ აჯობა. ჯამში კი ვიღაცის – არც ქალის და არც კაცის – უბრალოდ, სხვა ადამიანის ტექსტი კონიუნქტურული და საერთო განწყობასთან უფრო შესაფერისი იყო. აბა, რა მნიშვნელობა აქვს, კონკურენტ მწერალს მუცლითტარებისა და ძუძუთი კვების ფუნქციები აქვს თუ არა, ამბობს მაკა მიქელაძე.***

„სქესთა შორის ბრძოლა თუ გენდერული



თანასწორობა „ჩემი თემა" არ არის. დედის რძესთან ერთად შევისისხლხორცე „ლეკვი ლომისა სწორია". რა თქმა უნდა, ცხოვრება ამ პოსტულატს კითხვებს უსვამს. კაცებს არ უყვართ, თუ ქალი სჯობნით, დღემდე არის ეს არქეტიპული და პატრიარქალური მიდგომა. თუმცა ნელ-ნელა ინგრევა წარმოდგენა „კაცი მწერლის" „ქალ მწერალთან" მეტობის შესახებ და ერთი მწერლის მეორე მწერალთან კონკურენციის სახეს იღებს. ჯერაც „იმედიანად" არიან რომანისტი კაცები, მაგრამ ემპირიულად ეს პოსტულატიც ბათილდება: ძლიერმა რომანისტმა ქალებმა მსოფლიო დაიპყრეს, ნობელიც აიღეს და არც სხვაგან არიან სუსტ პოზიციებზე.

საერთოდ, ბრძოლა ისეთი სიტყვაა, რომლის თაობაზეც უნდა შევჯერდეთ. მას ყველა თავისებურად აღიქვამს. ნებისმიერ შემთხვევაში ეს ჩხუბი არაა, ხოლო კარგი მებრძოლი პარტნიორად საკუთარ ნაკლოვანებებს ირჩევს და არ ეძებს მტერს ყველა დაბრკოლებაში. თუმცა არიან გაფაციცებული ადამიანები, სულ რომ ცდილობენ, საქმე საომრად გაგიხადონ, უსამართლობაზე მიგაგდონ და მერე კონფლიქტით დატკბნენ, ან ხელი მოითბონ ამით. ვცდილობ, მათ გვერდი ავუარო. მიულებლად მიმაჩნია, კონკურსში გამარჯვებულს ეცე და მტკიცება დაუწყო, "ჩემი სჯობსო". უცნაურია, მაგრამ ასეთი მწერლებიც გვხვდებიან ცხოვრებაში.

***აი, საკუთარ სიზარმაცესთან, კომპლექსებთან, უნარ-ჩვევებთან და ყოფით პრობლემებთან ბრძოლა კი ძალიან ძნელია, მაგრამ ფასდება ნამდვილად. ეს ბრძოლა არც პოზიტიურია და არც ნეგატიური, გამარჯვებულიც შენ ხარ და დამარცხებულიც, საკუთარი თავი ან მეტად მოგწონს ან ნაკლებად, თანაც დამსახურებულად.***

ეროვნული
ბიბლიოთეკა

***უყვარს ფოტოების გადაღება. მისთვის ის მომენტი, კადრი რომ ჩნდება, განუმეორებელია. კინოში გადაღების გარდა, სამოდელო სააგენტოშიც მუშაობდა, რადიოპიესებსაც წერდა და სიმღერების ტექსტებიც აქვს. ერთხელ პრიზიც კი აიღო თბილისზე სიმღერის ტექსტისთვის. „ყვავის ბახალაც" მაკა მიქელაძის ტექსტზეა შეიქმნილი.***

„სიამოვნებით ვიმუშავებდი თეატრში. არ ვიცი, რად, თუნდაც ბუჩქად. ყველაზე მეტად კინოს ან თეატრის რეჟისორობა თუ სცენარისტობა გამახარებდა. ვცდიდი მოქანდაკეობასაც, მეთოჯინეობასაც და თუ სხვაზე უკეთესად არ გამომივიდოდა, ჩემი გაკეთებული მაინც ჩემი გაკეთებული იქნებოდა. პიესა ჩემი სუსტი წერტილია, უზარმაზარ პოტენციალს ვგრძნობ, მაგრამ ჯერ ვერ შევმიბედია სერიოზულად. ერთხელ პანტომიმის თეატრისთვის დავწერე, მაგრამ რომ მომკლა, არ ვიცი, სადაა.

კინოც ცხოვრების გზაზე მოიტანა შემთხვევით. დათო ნაცვლიშვილი ფილმს იღებდა და ლაურა რეხვიაშვილს უნდა ეთამაშა, მაგრამ ფეხმძიმედ იყო და კანდიდატურას ეძებდნენ. ამ დროის „ნატვრისთვალში" ჩემი ფოტოები დაიბეჭდა, „ვოგის" კონკურსის გამარჯვებულ ხუთეულში გავედი. ლაურას აუღია გაზეთი და დათოსთვის უჩვენებია, აი, ამან ითამაშოსო. მიმიწვიეს სინჯებზე და დამამტკიცეს. ომისწინა პერიოდი იყო, გაძნელდა ფილმის გადაღება. მაინც დავამთავრეთ და საქართველოსთვის ტრაგიკულ დღეს, სოხუმის დაცემის დღეს შედგა პრემიერა „ამირანში". გლოვის ნიშნად სცენაზე არავინ ასულა. მდუმარედ ჩაიარა ყველაფერმა. მოგვიანებით „ლეონარდომ" მონპელიეში გრან-პრი აიღო. საპრემიერო ჩვენებაც იყო საზღვარგარეთ და ლამაზი სიზმარივით მახსოვს ეს დრო".

***მისთვის იდეალური სამუშაო პირობებია, როცა სუფთა, ლამაზი გარემოა და ყველა სახლშია ან იქ, სადაც სიმშვიდე და სიკეთეა. მაკა მიქელაძე დარწმუნებულია, რომ ყველაფერი დიდი მაინც „ავანსით" იქმნება და ეკონომიკური პრობლემები მწერალს მხოლოდ ხელს უშლის.***

„მახსოვს, შვედეთში შემოქმედთა კუნძულზე წაგვიყვანეს. საოცარი სიჩუმე და ადამიანებზე მორგებული გარემო იყო. ყველას ჰქონდა საშუალება ფიზიკური განმუხტვის, ცხოველებთან ურთიერთობის, ბაღსა და ბოსტანში შრომის, ინტერნეტსა და ბიბლიოთეკაში მუშაობის; სამ დღეში დასვენებული ჩამოვედი, თუმცა ყოველდღე 9-10 საათს ვმუშაობდით. საუკეთესო მოგონებად დამრჩა შვედეთის ვორკშოპის დღეები.

ადრე სულ საავტორო წიგნების გამოცემის სურვილი მიჩნდებოდა: ხან ფოტოებით, ხან ესკიზებით, ხან ნახატებით ან აპლიკაციებით. მიმქონდა ეს პროექტები და იწუნებდნენ: ხან ძვირიაო, ხან – ახლა ეს ჩვენი კონცეფცია არ არისო. არადა, ცოტა გამოდის საავტორო წიგნები. ამასწინათ საბავშვო ლექსების წიგნი შეუდარებელი მიზეზით დაიწუნეს: ლექსები გრძელიაო. „შევაქე", საქართველოში ჯერ ლექსი ზომით, კუპლეტების რაოდენობით არავის დაუწუნებია და აი, ეს მესმის-მეთქი. გაოგნებული წამოვედი რედაქციიდან. ვიღაც უნდა იყოს, ვისაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი სჯერა და გაფინანსებს. ძნელია, ისე ეკვეთო დიდ პროექტს.

***ღამით წერა უყვარს, თუმცა საბავშვო ლექსებს და მოთხრობებს უფრო დილით წერს. ლექსებს კი შთაბეჭდილებებით დაღლილი, გადავსებული წერს ან როცა ძალიან უჭირს. ამბობს, რომ მისი ცხოვრება პერიოდებად არ იყოფა და ეს ერთიანად მისი ცხოვრებაა. თუმცა ახალი წიგნის წაკითხვის და რაღაცის გადაფასების შემდეგ შეიძლება, ახალი ეტაპი დაეწყოს, და საბოლოოდ, ეს ეტაპები ყოფისგან გამიჯნულია ხოლმე.***

„ყოფა თითქმის ყველას ერთნაირად ეცვლება, შინაგანი სამყარო კი სხვადასხვანაირად. შოვნაა – შოულობენ, ომია – ომობენ, დეპრესიაა – ფრუსტრირებულნი დადიან. გარემო ყველაზე ახდენს გავლენას. წიგნი კი იმ კონკრეტულ ადამიანს ცვლის, რომელიც მას კითხულობს. მე მარკესის, ბორხესის და ეგზისტენციალისტების მოყვარული მკითხველი ვარ. გზაზე რომ ერთი კაცი მიდიოდა, ის მიყვარს. ამას წინათ აღმოვაჩინე, რომ მკითხველს კარგად მოყოლილი ამბავიც მოენატრა: ისტორია, მართლა ლიტერატურულად მოთხრობილი და არა ტელესერიალურად. ზურაბ აბაშიძის ნათარგმნი იოზეფ როთი წავიკითხე და კიდევ ერთხელ გამახსენდა, რას ნიშნავს მართლა დიდი მოთხრობა. მისი „წონა ცდომილი" მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში შესატანია. ალბათ, არც არაფერი დაწერილა რამე უფრო დიდი ადამიანის შინაგან და გამოვლენილ სინდისზე.

აი, ახალი ეტაპიც დამიდგა. მსურს, რამე უმნიშვნელო ისტორია გამართულად მოვყვე და რამე იმაზე მეტი ვთქვა, ვიდრე „ვინმეს" უთქვამს. ძნელი ამოცანაა, მაგრამ ვარჯიშად ღირს. შრომაც სწორედ ეს არის: იმუშაო ნებისმიერ სიტუაციაში და თუ არ გინდა წერო „მოთხოვნადი", მაშინ უნდა შეძლო და წერო „ორიგინალი". ახალი რომანი წამოვიწყე. ყველაფერი მოფიქრებულია, მაგრამ რომ გაჯიქდა, ძვრა ვერ ვუყავი. თავი დავანებე. მივუბრუნდები, მაგრამ არ ვიცი, როდის და რას „იტყვის ახალს". მანამდე ხან მოთხრობებს მაწერინებს, ხან ილუსტრაციებს მახატინებს, ხან ბრძნულ აზრებს ვაფრქვევ ფეისბუკზე, მაგრამ ამ არასამუშაო პირობებში ლაზათიანად ვერ მივუბრუნდი და ვერ მოვაკვარახჭინე. „ავტორიზაცია" ჰქვია და პრინციპში, სასიყვარულო რომანია. არის ჯერ ასე, გამოკიდებული ცასა და დედამიწას შორის.

გმირებს და სიუჟეტს არ „ვემორჩილები", არ დამათრევენ თავიანთ ნებაზე. რაღაცნაირად მოთხრობა ან რომანი თავისთავად მეხსნება თავში, სრულად. ეს ბოლო რომანიც ერთიანად დავინახე და წყალივით გარაკრაკდა. ახლაც ზუსტად ვიცი, სად რა უნდა მოხდეს, მაგრამ რაღაც გაუგებრობას შევეჩეხე და აღარ დაიძრა. ახლა ვფიქრობ, მომწვანილებული და მოფიქრებული რომ იყო, ამიტომ ხომ არ გაიჩინდა ვირივით. თუმცა, ბოლო-ბოლო ყველა ვირს ბეზრდება დგომა და მიდის. მიდის იქ, სადაც მიდიოდა და პატრონი ეგულება. ვთვლი, რომ სხვათა ემოციებს, შიშებს, ამბიციას და შურს კარგა მაგრად შეუძლია შეუშალოს ხელი ავტორის ჩანაფიქრს. და კიდევ – კონიუნქტურამაც და, ასე ვთქვათ, პრიორიტეტულმა მიმართულებებმაც".

***ჯერ კიდევ პანდემიამდე უმუშევარი დარჩა. იმედი ჰქონდა, რომ სამსახურს იშოვიდა, მაგრამ არაფერი გამოჩნდა. სწორედ ამ დროს „ოკრო-ბოკროც" გამოვიდა. ამ ამბავმა გაახალისა და რედაქციებს ახალი პროექტებით „შეუტია", თუმცა ამ ამბავს კორონავირუსიც წამოეწია და ყველაფერი შეიცვალა: აღარც დიდი ღონისძიებები, აღარც პროექტები, აღარც სპექტაკლები, აღარც გამოფენები. „სამედიცინო გამოსვლები" არ უყვარს, მაგრამ ახლა ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებად რეგულაციების დაცვა მიაჩნია. იზოლაციამ, გუნება-განწყობის დაწევამ, არასრულმა სასიცოცხლო რიტმმა ნამდვილად იმოქმედა ჩემზე, მაგრამ ახალი ინტერესებიც გამიჩნდაო, ამბობს.***



„უცნაურია, მაგრამ ამ კორონავირუსობის ეტაპზე ჩემთვის ვხატავ. საკუთარ თავს თვითნასწავლი მხატვარი შევარქვი. ახალ პროფესიად არ ვთვლი, მაგრამ საოცრად მღლის და თან მასვენებს ერთდროულად. მოწონს. მეგობრებს და უცნობ ადამიანებს ვჩუქნი ჩემს ნახატებს და მათ რომ უხარიათ, მეც კარგ ხასიათზე ვდგები.

საქართველოში ამ პანდემიას საინტერესო პროტესტი გამოუცხადეს: ყველა წერს, ხატავს, ფოტოებს იღებს და მღერის. მე ფილმებს ვუყურებ, ვხატავ, სურათებს ვიღებ, საყვარელ ადამიანებს ვურეკავ, მეგობრებს ვხვდები, ქალაქგარეთაც გავდივარ და ძაღლსაც ვასეირნებ. ჯერჯერობით იშვიათად ვწერ, მერე ვკარგავ ამ ლექსებს, მერე ისევ ვპოულობ, მერე ისევ ვკარგავ, ვეძებ, ვპოულობ. ვირუსი ისეთი გამოწვევაა, მობილიზებული უნდა დახვდე. მე კი განუწყვეტლივ მაკლია კონცენტრაცია, სახსრები ახალი პროექტებისთვის და ჩემი პრობლემების გადაჭრით დაინტერესებული ადამიანები.

ადრეც იყო რთული დრო. ომი ბუნდოვნად მახსოვს: სიბნელე, ძაღლები, აქა-იქ სროლა, რიგები და სამსახურში ჩართული „პლიტა", რომელზეც გაყინულ ხელებს ვითბობდი. დედასთან ექიმები დამყავდა, ავად იყო... არაფრის შემსყიდველი კუპონები და მაინც დიდი სიხარული, ხელფასის დღეს სახლში პური რომ მიმქონდა. სინათლე უგრაფიკოდ რომ მოგვცეს, მეგონა, კაცობრიობა იხსნეს. სხვა ბევრი რამეც იყო. არ მინდა, გავიხსენო. ისედაც ყველამ იცის,



რომ ცხოვრება განსაცდელთა კასკადია და მათ შორის, არც ისე ბევრია სასიამოვნო. ტკივილი ტკივილს მოჰყვა... და მაინც, ცხოვრება მიდიოდა და ჩვენც რაღაცას ვცდილობდით. მაშინ საერთოდ ვინ იფიქრებდა, რომ ასეთი რამ დაგვატყდებოდა თავს – პანდემია..."

***ამბობს, რომ არასდროს ულხინდა და ბევრიც არასდროს ჰქონია. 16 წლის ასაკიდან სანიტრად მუშაობდა. სულ სჭირდებოდა დამატებითი შემოსავლის ძიება. ასე გაჩნდა მის ცხოვრებაში სხვადასხვა პროფილის კლინიკები, რედაქციები, ჟურნალისტიკა, სამოდელო სააგენტო, კინო, საბავშვო ლიტერატურა... და კიდევ იყო ოჯახი და მეგობრები – ერთად დგომით რომ გადააგორეს წლებიც და ერთმანეთიც რომ გადაარჩინეს.***

„მამა ბოტანიკის ინსტიტუტში, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტსა და უნივერსიტეტში მუშაობდა. ბიოლოგიას, ბოტანიკას და ეკოლოგიას ასწავლიდა. უამრავი სტუდენტი გამოზარდა და ყველას უყვარდა. სტუდენტები დღესაც ზეპირად ახსოვს და დღესაც ყოჩაღად უგებს ყველას ჭადრაკს. დედამ სუბტროპიკების ინსტიტუტი დაამთავრა, ერთხანს ისიც მუშაობდა ბოტანიკის ინსტიტუტში და მერე ოჯახს შესწირა თავი. დიასახლისი იყო და სტუდენტებს ამზადებდა. მხიარული, ძალიან ლამაზი და პრანჭია ქალი იყო, ადრე წავიდა იმქვეყნად და ძალიან დამაკლდა. რომ არა ერთი შემთხვევა, ალბათ, სხვანაირად წავიდოდა ყველაფერი. მამას ავარია მოუვიდა და კათედრის გამგის ქალიშვილისგან უეცრად ნაციხარის ქალიშვილად გადავიქეცი!.. არ იყო იოლი მეტამორფოზა.

ვალები რომ ჰქონდა მთელ საქართველოს, მეც ვალებში გადავვარდი. ჩემმა ლიტერატორმა მეგობრებმა მიხსნეს. ჯერ გიორგი ბუნდოვანი აბობოქრდა, მერე ყველამ აიტაცა. დიდი ღონისძიება მომიწყვეს გადასარჩენად. „ერთადერთი ერთი ლექსი შენთვის" – ასე ერქვა ღონისძიებას, სადაც ჩემი ლექსები, ფოტოები და ნახატები გაყიდეთ. შემოსული თანხით ვალი დავფარე და ამ უბედურებისგან გამოვძვერი. ახლაც ძალიან მადლობელი ვარ იმ ადამიანების, რომლებმაც უსახლკარობისგან გადამარჩინეს.

ძმა მყავს – ადრე ცნობილი მსახიობი, ახლა კი ოჯახის მამა და ემიგრანტია. ემიგრაციაშიც მიიქცია ყურადღება, როგორც მსახიობმა, მაგრამ ყოფამ თავისი გაიტანა და ახლა მედგრად ებრძვის ეკონომიკურ კრიზისებს თავის ლამაზ ოჯახთან ერთად საზღვარგარეთ. ძალიან კარგი დრო იყო ჩემი გოგონების ბავშვობა. ახლა გაქრიდა: დიდები და დამოუკიდებლები გახდნენ და, ასე ვთქვათ, „აღარ ვჭირდები", ეს კი ძნელია. წესით, ახლა მეტს უნდე ვწერდე, მაგრამ ყველაზე მეტი მაშინ ვწერე, როცა პატარები იყვნენ და უამრავი საქმე მქონდა. კარგები მყვანან. ანა ეკონომისტია, ელენე ფსიქოლოგი, სახელმწიფო უნივერსიტეტში და ილიაუნიში სწავლობენ. სულ დაკავებული არიან. ვიდას „ახსოვს" დედა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ახლა უმუშევარი ვარ და ცივ წიავს არ მაკარებენ, ისე მივლიან".

***თავის ტექსტებს ჟანრების მიხედვით არ ყოფს, არა აქვს აკრძალული თემა და ტრაგედია, რომელზეც სადღაც მაინც არ გაალიმებს მკითხველს. ამ მხრივ „ქართულიც" ვარ და ნიუანსური, ოდნავ ბუნდოვანი თხრობით და მოულოდნელობებით "დასავლურიცო". და კიდევ, სულ ექსპერიმენტებს ატარებს, სულ ახალ ფორმებს და შესაძლებლობებს ქმნის თავისთვისაც და მკითხველისთვისაც. ასე „გაკეთდა" „იხვის ტოლმა", ასე დარიგდა ფურცელ-ფურცელ „ბარათები", ასე აღმოჩნდა „სურათის" ყდაზე მისი ნუდისტური ფოტო.***

„სურათი" რჩეულია. მასში რამდენიმე მოთხრობა და რომანი შევიდა. რომანის დაბეჭდვას არ დაადგა საშველი და სწორედ ამ დროს გამომცემლობა „პალიტრა L"-ში „ახალი ქართული ლიტერატურის" სერიულ გამოცემას შეუდგნენ. ასე ამოყო თავი ჩემმა რომანმა პირდაპირ რჩეულში. გარეკანი პაატა ნაცვლიშვილის ფოტოებით გავაფორმეთ. დიდი ხნის წინ გადამიღო, ფეხმძიმე რომ ვიყავი, მეცხრე თვეში. კატაკლიზმები ხომ შიშველს და უსუსურს გტოვებენ ყოველდღიურობასთან, მაგრამ იმედიანად და მომლოდინეს. რომანში ერთ-ერთ გმირს ძალიან უნდა, რომ შვილი ჰყავდეს. ამიტომ ავურჩიეთ ეს „სკანდალური" ფოტოები და დიდხანს ინტრიგად ვინახავდით ფოტოგრაფის სახელს, სანამ პაატამ თვითონ არ მოაწერა ხელი თავის ნამუშევრებს ერთ მშვენიერ ლიტერატურულ საღამოზე. „სურათს" ერთი-ორი კარგი რეცენზია მოჰყვა, მაგრამ აქცენტი მაინც გაფორმებაზე გაკეთდა და რომანი თითქოს „ჩაიკარგა".

„ბარათი" ტანკების კრებულია. ამ ტანკებში მარცვლების რაოდენობა ზუსტად ემთხვევა იაპონური ტანკის კლასიკურ ზომას. კრებულიდან ფურცლები ადვილად იხეოდა და ბარათებად ვჩუქნიდი ლექსებს ადამიანებს პოეზიის საღამოებზე, ქუჩაში, მეტროში... ამ წიგნთან ერთად „რვეული" გამოვიდა. ჩვენდროინდელ თორმეტფურცლიან რვეულს ჰგავდა. „საბას" ნომინანტი იყო, მაგრამ ვერ გაიმარჯვა. ასე რომ, არ მაქვს პოეზიაში „საბა".

ერთ დღეს ბესო ხვედელიძემ მომიტანა მის მიერ დაწერილი რომანის ნაწილი, რამე უქენიო, მითხრა და წავიდა. და თვალიც აღარ მომიკრავს ტექსტის დასრულებამდე მისთვის. ვურეკავდი, ვეკითხებოდი: აქ რა ვქნათ, იქ რა ვქნათ... გაგიგონია? არასდროს ეცალა. ბოლოს, როცა ავაწყვე და მოვამთავრე, ერთი

დღე ვისხედით და შევაჯერეთ. ეს იყო ჩვენი თანამშრომლობა. მერე, კი, იცოცხლე, რედაქციებში გზა უპოვა, ბოლო წუთებამდე თავზე ადგა რედაქტორებს და დამკაბადონებლებს. ასე გაჩნდა „იხვის ტოლშა".

***ამბობს, რომ ლიტერატურული პროცესი ერთგვარი „ბალია": მოიწევ მოსავალს და მერე უნდა დააბინაო. საჭიროა ადამიანი, რომელიც ამ მოსავალს მომგებიანად გაიტანს სხვადასხვა ბაზარზე, ადგილობრივზე თუ საზღვარგარეთ; რომელიც გადაწყვეტს, ეს კონკრეტული ტექსტი აუდიოწიგნია თუ რადიოშია წასაკითხი, პრემიაზე წარსადგენია თუ თაროზე შემოსადები მომავალი წლისთვის თუ ზამთრის იოლად გადასატანად გამოდგება. ადამიანი, რომელიც დააჯერებს კინოს თუ თეატრის რეჟისორს, რომ ამ ტექსტით იდეალური კინო ან სპექტაკლი გამოვა. საერთოდ კი, მაკა მიქელაძის თქმით, ლიტერატურული პროცესის ცვლილებას უკეთესი დრო, ფინანსები და „კრიტიკული" და, ამავე დროს „არაძალადობრივი" გარემო სჭირდება.***

„აღმოჩნდა, რომ მართლაც რთული პროფესიები მაქვს, ადამიანების ბედ-იღბლის გადამწყვეტი. როგორც ყველა ყოფილმა საბჭოელმა, ვიცით, რომ არსებობდნენ როგორც მწერლობის, ისე ფსიქიატრიის მაკონტროლებლები. ყველას გაგვიგია ძალმომრეობის მსხვერპლთა სახელები, გამქრალი და გადასახლებულები ადამიანები. თუმცა ეს რაღაცნაირად ტაბუდადებული ველებია ჩემთვის, რადგან რეალურად არსად გადავყრილვარ, ასე ვთქვათ, „პრივილეგირებულ" კოლეგებს. დღემდე პროგრესული სამყარო იბრძვის პირადი სივრცის დაუცველობის წინააღმდეგ. სისტემა ინდივიდუალიზმს როგორც ჩაგრავდა, ჯერ ისევ ისე ჩაგრავს. საშიშია და ძნელიცაა, წინ აღუდგე ბევრს, შეიარაღებულს, ძალის მქონეს".

***ეშინია ყველაფრის და... არაფრისაც არ ეშინია. ცხოვრებაში უამრავი რამაა მართლა საშიში, განსაკუთრებით ახლა. თუმცა ისიც ზუსტად იცის, რომ შიშს აყოლილი ვერაფერს გააკეთებს, ავად გახდება. ყველაზე დიდი შიში კი ისევ მწერლისაა: ისე არ შეეშინდეს, რომ აღარ დაწეროს. მთავარია, ეს არ მოხდეს. თორემ ზოგჯერ შეიძლება ძალა არ გეყოს, ცხოვრების შიშებიდან რამე გამოაცხო და ამ დროს აუცილებელია, თავი სხვა საქმეებს და სამყაროს შეაფარო. და იმაზე წერო, რაც გამოგიცდია, რაც გისწავლია და რაც ყველაზე უკეთ გამოგსვლია და ამას შეგიძლია ოპტიმიზმიც დაარქვა, „გამოჯანმრთელებაც" და „გამოსვლაც".***

„თითქოს თავისუფლებაზე ჯერ არაფერი დამიწერია. აი, რაღაც გამოსავალსა და დაცულობაზე – კი. ის, რაც არ განგიცდია, ძნელი აღსაწერია. აბა, სად თავისუფლება და სად „გამოსვლა". თავისუფლება შინაგანი მდგომარეობაა, გამოსვლა კი სიტუაციის ცვლა, ასე ვთქვათ, ძველი ხიდების დაწვა. იქ, სადაც თავისუფლება არ არის, ყოველთვის მორგებაა და რადგან დედამიწაზე თავისუფლება არ არის, გაქცევას რეალობაში თავისუფალი სტილით ცურვა სჯობს.

პროფესიიდან გამომდინარე, სულ თავზეხელაღებულებთან მომიწია ყოფნა და ამან გარკვეულწილად ჩემი პროზის სიმძიმე და ძნელი ველები განსაზღვრა. მართალია, აღარ ვმუშაობ, მაგრამ მაინც მიზიდავს რთული ბედ-იღბლის და დამახინჯებული მენტალიტეტის შესწავლა, აღწერა. ბოლო რომანის ძირითადი თემა სამართლის ძალმოსილება და უსუსურობა იყო. ეტყობა, სწორედ ამ არჩევანმა გაჭედა რომანი. არსად არცერთი ნაწყვეტი არ დამიბეჭდეს და სულ ტყუილად. რაც შეეხება გამოჯანმრთელებას, ჰო, ცოტა თერაპიული მოთხრობები მართლაც გამო[illegible] ლაუნებურად. ოპტიმიზმსაც იშვიათად [illegible] ყველაზე მუქი ჟამის მოთხრობებშიც კი მოიძებნება რაღაც ნათელი.

დიდი ფუფუნებაა და თავისუფლებაც, რომ არავის ზეგავლენის ქვეშ არ მოექცე, ბრბოს აზრი არ გაითვალისწინო. ეს ძალიან ძნელია და „დასჯადი". არსებობენ ისეთი „თავმდგმურები", რომლებიც სიტყვის შებრუნებასაც ვერ იტანენ და რასაც ჩაგძახებენ, ის უნდა ამოსძახო. ასეთ ამომძახებელ ადამიანს კომფორტულს ეძახიან, მე კი ამით არასდროს გამოვირჩეოდი – გამორჩეული ვარ არაკომფორტული ყოფით. აი, კუსტურიცამ დატოვა სამშობლო, მე კი, ამდენი კატაკლიზმის მიუხედავად, აქ ვარ. რატომ? კი, თავისუფალ სამყაროში ცხოვრება სჯობს. თუმცა ჯერ არ მომხდარა, რომ აქ ვინმე არ ყოფილიყო ჩემზე დამოკიდებული: დედა, შვილი, ახლობელი. ალბათ, მათ ეკონომიკურად და წარმატებებით უფრო გაძლიერებული ვჭირდებოდი. ახლა ვფიქრობ, წასვლა ხომ არ სჯობდა. თუმცა არაფერს ვნანობ. ***მრავალზე მეტად თავისუფალი და დამოუკიდებელი*** ვიყავი და ვარ".

„– ეჰ, გრანდ! – მე ისევ კუსტურიცაზე ვფიქრობდი. გაქცევა სულ გვინდა, სულ... ოღონდ ოდესმე ჩემი ქვეყნის მუსიკას მოგასმენინებ... და როცა ის შენს სულში აჟღერდება, აღარ მკითხო, რატომ არ ჩავხტი ნავში თავისუფლების შესახვედრად..." – „მე და ჩემი კუსტურიცა".



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ყიყლიყო

## (სურათების ალბომი განსხვავებულთა მოყვარულთათვის)



*მაკა მიქელაძის ნახატი*

და როცა... (არ შეიძლება დაიწყო მოთხრობა სიტყვით „როცა"...) ის, მთავარი გმირი, პოპკორნის გორაზე ჩაიკეცა, მოკლე წითელი კოსტიუმი აეკეცა და შავი ლოკონები მიმოფანტა თეთრად აფუტკნულ-დაბერილი სიმინდის გროვაზე, ბუნდოვნად აიფერადა აფრენილმა შავფეხება მამალმა, აიწია, აიზიდა და გამარჯვების ყიყლიყო შეაგება ცისფერ ცას, რომელიც სტადიონის ხავილს ავსებდა... აქაოდა, ფერების ნაკლებობააო... ის დავარდა სამუდამოდ, მამალი აფრინდა და ქალი მოკვდა. (სურათი პირველი და ბოლო.)

ბავშვობაში კუპრისფერი ლოკონები როდი ჰქონდა, ცისფერი სკლერები და ვარდისფერობანი... ლაწვებზე, ტუჩებზე... სახლიდან გავარდნა უყვარდა ხალხმრავალებში. შუშაბანდ-პარმალებიანი ქალაქი — შინდისა და ხის მწვანეფერი — ერთადერთ ადგილას იკრიბებოდა. წრეთა სასახლის ალუბლის ბაღში... წრეები ბევრი იყო — რელიგიათმცოდნეობის, ასტრონავტთა, ორთაბრძოლების, ეროვნულ საკრავთა, ოჯახის საქმის, ოფისმენეჯერის, სინქრონული თარგმნისა სანსკრიტიდან... ჰო, კინაღამ გამომრჩა წრე კეთილ მარჯვენათა, ყოვლისშემძლეთა, წრე „ფერმა", ყველაზე მოთხოვნადი... ბავშვი ოღონდ და ბიბლიოთეკაში გაგეგზავნა, ქრელ ჟურნალებთან, ოღონდ და მოღვაწეობის საფუძველი მიგეცა... არის ხანები ბედნიერი და ბავშვობანი სრულნი თავისი ცდუნებანით. მას ყველაფერი ეს ჰქონდა. და როცა... (ნუ, არ შეიძლება მთავარი დაიწყო სიტყვით „როცა") ალუბლის ბაღი აყვავდებოდა... ვარდისფერ ყვავილთა ფენაში მისი, მთავარი გმირის, ველოსიპედიც შესრიალდებოდა... ლაი-ლაი-ლაი, ლა-ლა-ლა და ერთხელაც, ორი ორთამბრძოლეული ერთმანეთს შეეხალა. რა?! დიდი ამბავი?! გამოვიდნენ წრიდან და ალუბლის ბაღში შეძიძგილდნენ. ტყუილად ხომ არ დადიოდნენ. ეძგერნენ ერთმანეთს. აბა, დაინახე შინდად დაფერილი სასახლე, ალუბლის ბაღი (აქმისაც)... ყვავილთცვენა და ცოტაც საღამოჟამი... ჰო... ორი ყვინჩილა (დადიოდნენ! რა ვერ გაიგე, ორთაბრძოლებზე დადიოდნენ) ეკვეთა ერთმანეთს, შავი ჯინსების, თეთრფერადი პერანგების და ცხვირყვრიმალთა ფხრეწვა-ლანანით... ცხვირტუჩისაც. ის ისეთი განყენებული და გაოგნებული უყურებდა თავისი ველოსიპედის სიმაღლიდან ამ ბრძოლას, რომ არც კი გახსენებია — მეომრები ორთაბრძოლათა ტაქტიკის ზეაღალდგომის პრიორიტეტულობისთვის რომ იბრძოდნენ.... გატეხილი ცხვირებიდან ნადენი სისხლი შინდისფერი იყო, ვითარცა... მეხსენება... პერანგებიც მოითუთხნა, როგორც ნიშანდებულნი, მიწაზე გორავდნენ... ის კი, ხალხმრავლობის მოყვარული, ხედავდა, როგორ მოუხდებოდა ამ საზარელ სურათს ფერად ჟურნალთა ამონაჭრ-ამონაფურცლ-ამონარიდნი. საღამოც დადგა. მთვარეც კი უფრო ავი იყო, ვიდრე საღამო... ის ვერცერთთან ვერ მივიდა... ვერც დამარცხებულთან და ვერც გამარჯვებულთან... იდგა, ვით პიერ ბეზუხოვი ომში და გაზაფხულის ჩამონაფურცლებს პირდაფჩენილი ითვლიდა. დარჩა სულში ნალექი ჩამოუყალიბებელ დღეთა... (სურათი მეორის დასასრული.)

მაგისტრის ქუდის მისტერია რთულია. ოთხკუთხედია და გხურავს, ვითარცა სიგრძე, სიგანე, სიმაღლე და განათლება-ცოდნა-სნავლანი — ოთხივ კუთხით ურთიერთობათა მაგის-

ტრი გახდა, ეხურა და ებურა თავთ პლიუს-მინუს უსასრულობა. ის ქალი იყო და როგორც ასეთი, უფლის ქმნილება... და როდესაც მზე მიეფარა მთას... ზარმა ბოსისა მისისამ გაიჟღერა, მაუწყებელმა მივლინებისა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა... ცაც კი თეთრი იყო და აეროავტომობილიც და ტრასანი და ავტობანნი ზეციურნი, თვით ვენერაც კი იმ დღეს გაფითრდა. იქ, სხვა პლანეტაზე, თეთრ სტადიონზე, პლიუს-მინუს მამრებით სავსე ამფითეატრში, მამლების, ჰო-ჰო-ჰო, და რა შემთრეველი ორთაბრძოლანი იმართებოდა... რეპორტაჟი მოსთხოვეს ტოლერანტული, კონგრუენტული, არა სექსიზმით, არა ერიზმით და აი, სულაც ძაან დონე რამ კრიალა ფოტოგრაფიებით. ეცვა რა წითელი და შავი, იყო თვითკმარი, პერანგი ლოკოკინებით. ო, სპირალი, საოცარი მარადისობის სიმბოლო. სამყაროს ბიბილო. და აი, ლოკონები... ლოკონები... მისტერია სპირალთა... დაფენილი და დაცული მხრები და მოლიავებული დეკოლტე და საფეთქლები, ამაღლებათა ჩრდილით დაბურული. (მოკლედ, სურათ მესამეში ის სრულ ფორმაში იყო, აჟურში, ვითარცა კლასიკა „შპილკებზე“, ამაყი პერანგი და... რომ არ შეგარცხვენს, ისეთი საათი მაჯის, მაღალმთიანი ევროქვეყნიდან.) აჟურზე გამახსენდა, აეროავტომობილში საუზმეც დონე იყო, სადილიც და ვახშამიც... ერთჯერადი... (რომელილაც ფერი დამაკლდა) ა, ჰო... ვერცხლისფერი, მოოქროვილი (ერთჯერადი-მეთქი), ლანგარ-ზარხუფ-დანა-ჩანგალ-ჯამფილანი. მოჩუქურთმებულნი... ისიამოვნა. ფიქრობდა, რას მიანოდებდა დაწკვეთს. გზად აერომობილიდან ცხვირსახოცი დაუვარდა. მონოგრამებული... და ცხვირსახოცი დღესაც კოსმოსის უწონადობაში ელის მას, ვინც პოპკორნის გროვაზე წითელი კოსტიუმით ჩაიკეცა, ვითარცა ფერი, პალიტრიდან დაღვრილი. (სურათი მესამე — შეხსენება, კოსმოსი ისეთი ლურჯიაააა... და ფრენა-ტური ისეთი ამბავიააააა, რომ... ამ სურათის დასასრული.)

მიკროფონნი... (ფროიდი განაწყენებული დუმს.) ეს შავი... უმეტესწილად სიმბოლო, სიმბოლო კომუნიკაციისა... ჰო, გემოვნების ამბავია, ზოგს სულაც არ მიაჩნია, რომ ყველა გრძელი... აუუუუუჰ! მე მინდოდა მეთქვა, მოლაპარაკე საგანი, ვალდებულია დაგესიოს და გკითხოს... თქვენ მამლებზე რა აზრისა ხართ?! მაგრამ... აი, რომ არ სწყენოდა ნაგრძელებათა მეტრს... და არ დადუმებულიყო... მხოლოდდა ამისთვის ვამბობთ. მიკროფონნი (არადა მტრის ჯინაზე წარწერებიანნიც ერივნენ მათ შორის) და ჩამწერნი აპარატნი ზედ სიფრიფანა ტუჩებთან მთავარი გმირისა. კონკურენტუნარიანობას ავლენდნენ შეკითხვით: არადა მაინც, მამლებზე რა აზრისა ხართ? და იქნებ ეს ბრძოლა და ჩანისკარტებანი და სულაც გაპრტყენა, თქვენ აღგაგზნებთ და სექსუალურად გაქცევთ? არა, ხო მართლაც ეროტიულია? და თქვენ იცით, ეს რა ტრადიციული მოვლენაა?

— მამლებზე?! — მიიბნიდა ქალი — მამლებზე აზრი მაქვს მდედრობითი, ოღონდ... (დაირცხვინა.)

— ისინი არიან, და არიან სწორედ მამლები!

სხვა აზრი ჰქონდა, არაპოპულარული, თვლიდა რომ ისინი, ანუ მამლები, მამლები ველარ იყვნენ, ისინი სუპერმამლობას ცდილობდნენ. (სურათი კი ასეთია: თქვენს თვალწინ ბევრი მიკროფონია, რომელიც გერჩით! სურათი მეოთხის დასასრული.)

სურათი მეხუთე: შემოლაგდნენ და ჩალაგდნენ არენაზე ფერები, ჭრელები, ფერადი, ნაირნაირი, გახდილი, მოღეღილი, მოხატული, ჩასვირინგებული, ლუდის ბოთლები დაიტაცეს, ყბები პოპკორნით ამოივსეს, მზესუმზირის პურჭყება ნამოიწყეს, თანდათან გაამაღლეს და უმატეს, ბოლოს ენთუზიაზმით აფურთხეს თავზე ერთმანეთს მზესუმზირის ქერქი. გარე წრეზე გამალებული მოძრაობდნენ ნაყინის ორთვალები, პონებში ჩაბმული ურიკები ნესვის და საზამთროს ჩირით სავსე და ეგზოტიკური ხილით და თხილით გადავსებული რიქშები. თუ წინა რიგებში შარვალკოსტუმიანი ძიები ისხდნენ და ჰალსტუხებს ისწორებდნენ ან იბოშებდნენ, უკანა რიგები მილეთის ათასნაირებით იყო არეულ-ზრეზებული. მაისურიანი კუნთა ტიპები, ღიპგადმოგდებული ღიპიანები, მკერდგაღეღილი ბანჯგვლიანები, აწურული, გაწვნიკული და მხრებში მოღუნული აწონილები, გარუჯულები და ფერადკანიანები, ნანინაზარდნიც და დაგვალულებიც, ტანმომქვებულები და ასხლეტილები, შეღებილები და დროშა-საყვიროსანნი, პრანჭიანნი და ღარღალა მუტრუკნიც, დიდხელებიანნი და დიდმუშტიანნი. იმდენნი იყვნენ, გასასვლელებშიც იდგნენ. საპატიო სტუმრების ლოჟაში ეულად იჯდა საპატიო სტუმარი და კულულებიან-კოსტიუმიანად მამლაყინწას ჰგავდა კისერგაწვდილს და ნოტებზე მომღერალს. ოლეეე-ოლეეე... ყიოდა. ამდენ კაცში ნევროზულად აწკაპუნებდა ფოტოაპარატს და მისი სურათი, თავხოტორქოჩორა პანკებს შორის გალანდული მამლების ორთაბრძოლა ჟურნალ „უცნობი სპორტის“ გარეკანზე მოხვდა. ეს მერე, როცა ის ცოცხალი აღარ იყო. სტადიონო, ოლეეე და სდექ! გადაღებულია.

არენა ოთხკუთხედი იყო, შიგ მრგვალი წრე შემოეხაზათ, სტადიონს ოთხკუთხედი ჭრილი ჰქონდა, ისე, რომ მისი წვეტები შიდა ოთხკუთხედის გვერდებს შუაზე ჰყოფდა. ტრიბუნები ცისფრად, მწვანედ და თეთრად დაეღებათ ოდესღაც, გასასვლელები იისფრად. თუმცა ფერები სადღა ჩანდა. ეს ყველაფერი ერთთეთრი გამხდარიყო და ჭრელხალხით გადავსებულიყო. იყო არენა სანახაობათა და მრავლისმნახველი არენა ისეთი დამაბრმავებელი სითეთრის, ძვლებს გაგიციებდა. მზე ისე მაღლა იდგა, რომ არენის ოთხკუთხედს სამი თანაბრად ჩამოჭრილი სამკუთხედი ჩრდილავდა და ცენტრში მრგვლად ეშვებოდა მზის კაბადონი. წრე არენაზეც ეხატა. მოედანი მებრძოლ მამლებს ელოდა და იცოდა, ის მამალი ჩაითვლებოდა დამარცხებულად, რომელიც პირველი დატოვებდა შემოხაზულ მრგვალ საბრძოლო მინდორს. მებრძოლები შემოიყვანეს. და ერთი წრეში ჩასვეს, მეორე გარეთ დატოვეს. წრეში შავფეხება იყო წითელი და წრის გარეთ წითელფეხება — ჭროლა. ჭროლამ მალევე იგუმანა, რომ

სადღაც მოწინააღმდეგე ელოდა. შავფეხება ცალთვალმოჭუტული დიდხანს ზვერავდა ირგვლივეთს. წითელფეხება მოურიდებლად გადავიდა წრეში და შავფეხებასკენ დაიძრა. ორივემ კისერი წაიგრძელა და ჩიჩვირი შეიზიდა, კისერზე ბუმბული აეშალათ და ძველ რაინდებს დაუმსგავსნენ, ცხენზე ამხედრებულნი ერთმანეთისკენ რომ იწევდნენ... ტრიბუნებიდან პოპკორნი, კანფეტები და ბრჭყვიალა ქაღალდები ცვიოდა. საყვირები ჭყიოდნენ... შავი კამერის ბნელ ხახაში ეს თითქმის სისხლის კოლტების შეხლა-შემოხლას ჰგავდა, მიკროსკოპში დანახულს. მყარი ჩარჩო ერტყა ორი ფრინველის ბიბილოზე ხელაღებას და საბრძოლო წითელს და შავს, სხივჩადგმულს სითეთრის დათოვლილობაში. (სურათი მეექვსე.)

რატომღაც ის გაახსენდა, ბავშვობაში ალუბლის ბაღებში გადმოდგმულ აივანზე გაშლილ მაგიდაზე მკერდის ძვლის შემოთავაზება, „აიდოსტი" ძვალი ალუბლის კუნწულის ყუნწს ჰგავდა. უნდა გადაგემტვრია და ვისაც მეტი სიგრძის ძვალი შეხვდებოდა, მოგებული რჩებოდა. ამ ძვლის განახევრში კი აწ უკვე შეჭმული და აქნილი დედალი ილანდებოდა მთლად, მრგვლად და ბარკლებაჩაჩხული, თითქოს განაწყენებული, რომ ასე უდიერად მოიხმარეს. კიდევ მოხუცი მევიოლინე გაახსენდა, ყოველ ხუთშაბათს რომ გამოდიოდა წრეთა სასახლის ბაღებში და ვიოლინოს აჟღერებდა. მევიოლინეს თავზე მამალი ეჯდა და შიგადაშიგ ხრიწნიანად იღებდა საჭირო ნოტებს. სევდიანად, ოსტატურად, რიტმულად და ფარული ხალისით უკრავდა მოხუცი მევიოლინე. იმ დღესაც იქ იყო, როცა ორთაბრძოლათა წრიდან გამოსული ბიჭები ერთმანეთს ეცნენ და პერანგები და სახე ჩამოაბალთეს. დაღონდა, ნამოკრიფა ჩაბაკი და გზას სანამ გაუდგებოდა, ისე, რომ აღარ დაუკრავს, თქვა, ალბათ ომი იქნებაო. არ ვიცი, რა ალუბლის ცვენამ მიახვედრა მოხუცი ამ წინასწარმეტყველებას, მაგრამ ომი მართლა დაიწყო. ალბათ იმ სიფრიფანა, გამჭვირვალე სინაზით მიხვდა, ბალახივით რომ შარიშურობდა და რომელიც ყოველთვის დგება, როცა რაღაც დიდი სიკვდილები იწყება...

მამალთა ორთაბრძოლა სამჯერად უნდა წარმართულიყო, რომელიმე მამალი უნდა დასთხოვებოდა საწუთროს, ან გაქცეულიყო, ან ვეღარ გაინძრეულიყო, ან ორი ბრძოლა მაინც წაეგო და ერთი მოეგო. ნოკლედ, მარცხი მარცხი იყო და მოგება – მოგება, ამიტომ ყველაფერი აფსონდა, დაფსონდა, მიფსონდა და გაიფაოხა.... ამ ფაონვან აგზნებულ კაცებს ალგზნება შემატა და აატყაბა, აიტაცა, აალარლალა, აამჩატა, იმედები ჩაუსახა. მამლების გამოშვებას დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ: აბღავლდნენ, აღრიალდნენ, ხაოდნენ... მოიბოშნენ... აქოთდნენ.

შავფეხება ნითელი და ჭრელი წითელფეხება წრეებს ურტყამდნენ ერთმანეთს, ალაგ-ალაგ უკვე სდიოდათ სისხლი და საბრძოლო ღირსების ამსახველი იარებიც დამჩნეოდათ თეთრად. და რამეთუ პირველ რინგზე შავფეხება დამარცხდა, მეორე შემოსვლისას სტადიონი ფეხზე წამოდგომით მიეგება წითელფეხებას. ხელები მხრებზე გადაანწყვეს ერთმანეთს და ამღერდნენ. თან ეს აღფრთოვანება ტალღებივით გადაეცა რიგიდან რიგს, სექტორიდან სექტორს და ტრიბუნიდან – ტრიბუნას! მღეროდნენ რითით და შეწართულებით. მღეროდნენ და ძგანძგარებდნენ. მღეროდნენ „კუკურუკუკუ კომპანიას" და „ბაბუამ თქვა, რა ვქნათო, ბებიამ თქვა, სასწრაფოდ მამლაყინწა დაველათო!" სტადიონი მღელვარე ზღვას ჰგავდა, ფერად, მღელვარე ზღვას, რომელიც ოთხკუთხა აკვარიუმიდან გადმოდინებას აპირებდა. დუღდა და გადმოდუღდა. ბუყბუყებდა და ემოციათა ნხეფებს აფრქვევდა. (სურათი მეშვიდე.)

[illegible] ბიბლიოთეკა

შავფეხება მამალი მეორე შეხვედრისას ლომივით იბრძოდა. მოწინააღმდეგის სუსტ ფეხს მიაგნო და მეორე მხრიდან ისე ეჯახებოდა, რომ მტერს თავის დამაგრება ვეღარ შეეძლებოდა. იქნებ დავარდნილიყო და ჩაეკორტნა სათანადოდ. გამოუვიდა (ოხშივარი სტადიონის თავზე დაგროვდა და მრუმე ბურთივით დაეკიდა). ის იყო, კისერს უნდა სწვდომოდა, რომ წითელფეხებამ სასიკვდილო საფრთხე იგუმანა და შეშლილი წამოფრინდა, შავფეხებაც გაიჯოლია. სიგარეტის ბოლისგან და ღრიალისგან შედედებულ ბურთში ორი მამალი აიფხორა და ფეხდაუდგმელად გაიწია ერთმანეთისკენ. ფრთები ჰაერში წონასწორობას უნარჩუნებდა გაფარჩხულებს.

ქალის კამერამ მოასწრო და გადაიღო, ჰაერში წაკიდებული მამლები როგორ ცდილობდნენ ერთმანეთის დატკვირვას ცად გამოკიდებულ, ნახევრად გამჭვირვალე სფეროში. წინ წაწვდილ კისრებს ისე ერტყა აფხორილი ბუმბული, როგორც რაინდებს მუზარადი. (სურათი მერვე.)

ა, პო, ქალი რომ მოკვდა?! და განა ეს ასეთი მნიშვნელოვანია თუ ლუდიხვრეპია აგებდა ლუდინრუპიასთან?! მან ხომ შავფეხებაზე დადო და ვაშა! ვაშა! შავფეხებამ მეორე რაუნდი მოიგო, ნისკარტის ერთი დარტყმით ისე გააბრუა წითელფეხება, რომ ჭროლა ბანცალით წალაყუნდა წრიდან.

მესვეურებაზე გაუგებრობაც დაიწყო, რადგან აბა, რა მოთხრობაა გაუგებრობის გარეშე... ჯერ პირველი რიგიდან წამოიჭრა ფეხზე სათვალიანი ლიპიანი და გამოაცხადა „აჭიმებს ქმრები სჯობს!" წესით და რიგით გამოხტომამდ უნდა ჩათვლილიყო და ამით დამთავრებულიყო ყველაფერი. გეგონოს! წამოუხტა წრიპა ლოპორა და შენ გიჟი ხო არა ხარ, სად აჭიმები და სად ქმრებიო! რაო-რაოო?! იღრიალა ქონებთონთხლო თმაგადავარცხნილმა და კუნთა აყლაყუდას მოეფარა, ხომ არ გგონიათ, აჭიმებს ქმრებისგან ვერ ვარჩევთ?! ქმარი უკვდავია და აჭიმი ფურთხით ნაკეთებიო! ეეეო, რა გესმით, ხელი ჩაიქნია ჭაღარა, ინტელიგენტური სახის მოდიადო სულებმა. აჭიმი ელეგანტურობაა, ხაზი, ფორმა და დენდობა! ჰაააააიიიიტ! აჭიმ ჩქიმი, ქამარ ჩქიმი, მუა უდევს დიდი ფასი, თუა მაგარი ქამარი და თუა ნამდვილი აჭიმი, არა აქვს მნიშვნელი, რომელი რომელია. ფილოსოფოსი იყო ალბათ... სიტყვით გამოვიდა!.. გაიყო პირველი რიგი აჭიმისტებად და ქამრისტებად.

მეორე რიგმა გადმოიხედა, რაშია საქმე,

ნეტავ. რას იტყვითო – დაეკითხნენ. აბა, ქმრით რომ ქამანდი გამოდის, ისეთი აჭიმით როგორ გამოვაო! სამაგიეროდ, აჭიმით დაეკიდები ძელზე, ისეთ საქანელას მოაწყობ, კუსტურიცა მონაგონიაო. ააუჰ, სად კაჩაობა და სად კაჩავიო. კაჩავი მეტიაო!.. რაო! მეხი და გრგვინვაო! ნამოხტა ზოლებიანმაისურიანი წვერებში! კაჩი კი არა, კიჩი – კიჩია მთავარიო. არა, მაინც აჭიმებზე რას გვეტყვით? აჭიმი რეტროა და ქამარი ნარლევნამდელიო! გაიყო მეორე რიგი აჭიმისტებად და ქამრის მომხრეებად.

მესამე რიგმა – რა საჭიროა ქამარი, თუ აჭიმი არსებობსო. არა, გენაცვალე, სულ პირიქით, აჭიმი რისი მაქნისიაო?! ესე იგიო, აჭიმია მთავარი და ჩვენ ქამროსნები არაფერს წარმოვადგენთო? აი, მე თუ მკითხავ, ეგ აჭიმი გინდა ყოფილა, გინდ არა და ქამროსნები ვართ, რაც ვართო. რას მელაპარაკებით, თქვენ თუ გკითხავთ, ჩვენ საჭიროც აღარა ვართო? თუ კაია, თქვენ ხართ დედამიწაზე ზედმეტი და კაცობრიობის ხორცმეტებიო! ვინა ტოო... დაიყო მესამე რიგი აჭიმისტებად და ქამრისტებად.

მეოთხე რიგმა – გავემიჯნოთ ამ ქამრიანებს. არა და არა, ვერ დაგვასწრებთ, აჭიმიანები გაგემიჯნებით ქამრიანებსო. უსინდისონი, თავი უმრავლესობაში ჰგონიათო. ჩვენს მხარესაა ზურგზე გადაჯვარედინებული და გადაუჯვარედინებელი აჭიმები, ცოტანი ხომ არ გგონივართო... დაიყო და შესვენების ბოლოს მთელი სტადიონი ღრიალებდა. ვილას ახსოვდა მამლები. – თქვენ სად იყავით მაშინ, როცა ჩვენ აჭიმები გვეკეთა, თქვენ სად იყავით მაშინ, ჩვენ რომ ქამრებით დავდიოდით!!! მზად იყვნენ, ყელში სწვდომოდნენ ერთმანეთს და დაედღლიზათ. საომარი დაძაბულობა ჯერ კიდევ პოულობდა უშვერ სიტყვებს და ურთიერთშეურაცხყოფებს. სტადიონის გარშემო მანქანებს ცეცხლი წაუკიდეს, არ ვიცი, აჭიმისტებმა, არ ვიცი, ქამრისტებმა, მოედანზე ლუდის ბოთლებმა იწყო ცვენა, ტრიბუნებზე მამხალები აბოლდა. აჭიმისტები და ქამრისტები ერთმანეთს მამასისხლად მოეკიდნენ.

ქალს ჰაერი არ ეყო. ვერ გაიგო, რატომ... ჯერ საპატიო ლოჟაში არ დააყენეს, მერე პირველ რიგში, მერე მეორე, მესამე, მეოთხეში. ადგილი ვერ ნახა, ვერაფერს მოერგო, ვერ ჩერდებოდა, კაცები კვლავ ბღაოდნენ და ღრიალებდნენ, ერთმანეთზე ინევდნენ, ძიძგილაობდნენ. თანდათან მთელი სტადიონი პატარა გახდა, სადღაც ღრუბლებიდან გადმოხედა სამკუთხედში ოთხკუთხედს და ოთხკუთხედში წრეს. წავალო – იფიქრა, უკვე ყველაფერი გადავილეო... და იყვირა უსუსურად: რა გაჩხუბებთ, მამალი კვდება!

მესამე რაუნდისთვის ორი გაპრტყვნილი მამალი შემოუშვეს წრეში. სტადიონი ჩაისუსა, თუმცა ჯერ კიდევ თუხთუხებდა და ქალიც ჩაეშვა თავის წითელ საპარადო კოსტიუმში, ისე, რომ ერთი ცუდი სიტყვაც არ გაუგია. (სურათი მეცხრე – ღრუბლებიდან დანახული გახლეჩილი სამკუთხა სტადიონი, ოთხკუთხა გულით, ოთხკუთხედში კი სისხლიანი წრე.)

სტადიონი ამღვრეული სახეებით, მუშტგაწვდილი, გაჩეჩილი, პირმორღვეული, სახეწაშლილი, ურთიერთმაფურთხი და ლასოებშემართული, აჭიმებწამობზეკილი, ქამარშემოჭერილი, სახედამტკნარებული, სამომავლოდ შურისძიებაგადადებული, გულშიბოღმაჩახვეული და ტანთშემოხეული.

სტადიონი უმამრო. ერთ მუხტად ქცეული ისტერიით მოცული.

შავფეხება მამალი იმედმოცემული ეკვეთა მტერს, ის გასხლტა. შავფეხება დაენარცხა და რაღაც იტკინა. ახლა თვითონ უკანა მოვარდნილ წითელფეხებას, ისევ აუსხლტა ფეხი, შეხვედრა ცუდად დაიწყო. წითელფეხება აშკარად მეტ ჯანზე იყო, შავფეხება კი ფოლხავდა.

ქალი ადგა და ტრიბუნა დატოვა. აღარ აინტერესებდა, ვინ აიღებდა პრიზს და ვინ აივსებდა ფულით ჯიბეებს. ეს მისი ჟურნალის თემატიკას არ ეხებოდა. ის ხომ ეგზოტიკის მოყვარული იყო და... ტკაპან – შავფეხებას თავის ქალამ ტკაპანი გაიღო, წითელფეხება ახლა ბიბილოზე ეცა და ძიძგვნა დაუწყო. გაავებული ფლეთდა ხორცებს, წითელი შხეფები აქეთ-იქეთ იპნეოდა. თითქოს წითელფეხებას მთელი სტადიონის ბოღმა და აგრესია გადაედო და აღარ იცოდა, როგორ ექცია სისხლის გროვად მოწინააღმდეგე. გამეტებით ურტყამდა ნისკარტს. შავფეხება მთელი ძალით ცდილობდა დასხლტომოდა გაავებულ ფრინველს.

ქალს მამალიც შეეცოდა, სტადიონიც, საკუთარი დასიცხული თავიც და სარბენ ბილიკზე გაიარა, იქ, სადაც პოპკორნის ჯიხური იდგა. სტადიონი ფინთად აიმღვრა, რაღაცნაირად გაუტეხეს, ვიღაც ყველაზე საინტერესო დროს ტოვებდა თავყრილობას. არც დაუნახავს, რა ლამაზი ტანი გოგმანებდა წითელ კოსტიუმში და არც ის, რა წკაპაწკუპი გაუდიოდათ წითელ მაღალქუსლიანებს. ვიღაცა იყო თუ არ იყო, არგამსწორე მასტი იყო და არ მოეწონათ. გაიმრიზნენ. შავფეხება სწორედ ამ დროს დაუსხლტა მეტოქეს, აიწია, აიფოფრა, ქალს ასცილდა და მერე დიდი სიმაღლიდან მოწყვეტით დაასკდა თავზე. კისერი მოიღერა, დაიყივლა, ქალს მთელი გამეტებით ჩაასცხო ნისკარტი ქედზე და მკვდარი დაეცა ქვიშაზე... (სურათი მეათე. მამალი ისევ ეჯდა თავზე, როგორც ბებერ მევიოლინეს და სინაზეც იდგა სიფრიფანა და ყოვლისმომცველი...

ამის შემდეგ სურათი პირველი და ბოლო: და ჩაბღაუჭებული ხელებით გადმოყირავებული პოპკორნის ფერადი ყუთები.

მამალიც მოკვდა და იქვე დაეფერთხა დამარცხებისგან მწარე. ქალიც პოპკორნის გორაზე. წითელი შავფეხება მამალი, მკვდარი შავფეხება მამალი. გრძელფეხება მამილო... მოკვდნენ.

რატომ?! რა ვიცი, რა ვიცი...

სხვა სურათებიც დაინახე?! მართლაც, რომ...

სადღაც შორს მოხუცე მევიოლინე, ხალხმრავლობის მოყვარული, ხედავდა, როგორ მოუხდებოდა ამ საზარელ სურათს ფერად ჟურნალთა ამონახევ-ამონაფურცლ-ამონარიდთა ნარნარი თავსხმა... ჰო, როგორც იმ დღეს, ალუბლის თოვაც...

და გამარჯვებულ მამალს რომ მოეკლა?! რა, რო?..

როცა ალუბლის ბაღი აყვავდება... და როცა დაფიქრდები...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# უკუქცევა



იდგა სერვანტესის მწუხარე ძეგლი და მწუხარე თვალებიდან სისხლის ცრემლები ჩამოსდიოდა. პედესტალზეც მიეჯღაბნათ ორიოდ სიტყვა წითელი საღებავით.

საიდანღაც მოსკდნენ ახალმაფიქრალნი, სურდათ, ყველასთვის სანუკვარი აღარაფერი შერჩენოდა სამყაროს. რის რაინდი, რა რაინდი, რა გმირობა და რომელი სიყვარული, ვიღას უნდოდა ბოროტებასთან ბრძოლა?! ბოროტება ითხოვდა თავის კუთვნილ ადგილს დედამიწაზე. ჩვენში დარჩეს და დონ კიხოტს არასდროს უტირია... არც სერვანტესს, ალბათ... ვინ იცის, მაგრამ დღეს და ახლა ის ტიროდა, მთელი ესპანელი ხალხის და მსოფლიოს დაგუბებული ცრემლით ტიროდა. სერვანტესის ძეგლს სისხლიანი ცრემლები მიახატეს და უდიერად მიაჯღაპნეს რაღაც არშემდგარი.

* * *

ესპანეთს რომ ქვიშის ქარიშხალი ეწვია, გალიიდან გათავისუფლებული ლომის ფერი, იდალგომ გაიღვიძა! — დულსინეა ტობოსელი განსაცდელშიაო! სანჩო, შუბი, სანჩო, აბჯარ-მუზარადი! სანჩო, ხმალიო... ფარიცო.

ჰოდა, წავიდნენ.

— რა საჭიროაო? ბოროტებამ, ვიღას სჭირდებაო! ღმერთო! ფუი, ეშმაკს, რა ღმერთო? ისა, რა ჰქვია, უხსენებელო! ვიღას ახსოვსო?! ეს დამტვერილი...

ფაფარაშლილი პრერია გათეთრდა აღშფოთებით და ამ ფონზე იდგა ხალხი, გადარეულ ქარზე ენითაუწერელი სისწრაფით მბრუნავი წისქვილები შავად და შავბნელად ისილუეტებოდნენ ჰორიზონტზე.

შავივე ორი სილუეტი, ნაცნობი გულის ტკივილამდე და მოსაფერებელი გულის თრთოლვამდე ჰორიზონტისკენ გაემართა. გაემართა ვთქვი, თორემ ვერც კი იძროდნენ, ქარბორბალა ზუოდა მხოლოდ. წინ მიიწევდნენ და ნაბიჯს ვერ დგამდნენ.

— ფუნდუკში ხომ არ შევიაროთო, ბატონო? — სანჩომ.

— რა დროს ესაა? ერთგულო ჭურჭელთმტვირთველო?! საგმირო საქმენი გველის! — ლამანჩელი ფორმაში იყო.

— ბატონო, მთელ ბებერ ევროპაში ერთ რაინდს ვერ მოიძიებ სანთლით. რაღა დროს საგმირო საქმეებია?! — გულმძიმედ შეაპარა სანჩო პანსამ და საფულე მოისინჯა, აბა და რამდენ ხანს გავატანთო.

ქარი ძნელი იყო და წინსვლა ძალიან ჭირდა.

დიდხანს მიაგელვებდნენ... მიაჩანჩალებდნენ უფრო როსინანტს და ვირუკას... ფარი ქარს სურდა წაეღო, მუზარადი თავიდან მოსძვრა. დონ კიხოტი ჩამოქვეითდა.

— სადაცაა, მუზარადის ხმარება მომინევს ფარადაც და ხმალადაცო, აბუზღუნდა. ქუდი მოიძია და თავზე მოირგო. სანჩო ფარს ჩაბღაუჭებოდა და ფარი სადღაც მიარბენინებდა. ძლივს გადააბარა რაინდს მთელი აღჭურვილობა.

— ღამისგასათევი ხომ არ მოგვეძებნაო ბატონოო?! — სანჩო პრაქტიკოსი იყო. ხვდებოდა, რომ ადგილიდან ვერ დაიძვროდნენ. ქარიშხალი წინ არავის უშვებდა.

— ღმერთო, ფუი ეშმაკს, ისა ხო, ბოროტო ძალანო. ამათ საცოდაობას ნუ მაყურებინებო! — ამოიგმინა ბოროტმა ძალამ და პირი გაიბრუნა. ხალხს მისცა თავი.

— რამდენჯერ უნდა გითხრა, სანჩო! რომ რაინდობა უკვდავეია, მარადიული სიყვარული დიადი, და საგმირო საქმენი განუმეორებელი, შენ კი დასაძინებლად გსურს წამიყვანო და ეს მაშინ, როცა დულსინეა ტობოსელი ხსნას ელის! გრცხვენოდეს, მცონარავ. ჩვენ წინ გველეშაპნი ჩასაფრებულან და...

— ეგ გველეშაპები უკვე დაამარცხეთო, — კინაღამ იტირა სანჩომ, — ბატონო, სადმე უნდა დავბინავდეთ. ქარი წაგვიღებსო...

ქვიშა ბღუოდა და ბღუოდა, როგორც მორევი, მორევი სიცარიელეში ჩამთრევი, მორევი დამანგრეველი.

— ბატონო, ის თუ გაგიგიათ, თქვენზე წიგნი რომ დაწერა ვინმე სერვანტესმა და

მთელი ესპანეთი ყოველ წელს ისე კითხულობს, როგორც წმინდა წიგნებსო?!

– არ გამიგიაო? – დაბნეულმა შეისწორა იდალგომ მუზარადი.

– დავიღალე ბ-ნო, ძალს ჩვენ და ძალს ეს ქარიშხალი, სახლში წავიდეთ და ხვალ გზა გავაგნოთო.

კვლავ ერთ ადგილს ტკეპნიდნენ.

სადღაც მათ უკან ესპანელი ხალხი იდგა ველზე გაშლილი. უსაქმურად ათვალიერებდნენ სტიქიას, თითქოს მათ თავს არ ხდებოდა ეს უბედურება. ნახევარწრის წინ კამერა იდგა. ბოვშვები ყვიროდნენ: „ილებენ, ილებენ სინემას, დონ კიხოტზე ილებენ სინემას." დონ კიხოტმა ყურები ცქვიტა, ხარხარი სწორედ სადღაც მის უკან ისმოდა. ბოროტი ძალა რეჟისორის ადგილს ირგებდა.

რეჟისორი ნუხდა. უნდა ჩანდეს, უნდა ჩანდეს, რომ დამარცხდა. ისინი აღარ არსებობენ, მათი დრო წავიდა. აი, რა უნდა გააკეთოს ამ გლობალურ კატასტროფებში და კატაკლიზმებში. შეხედეთ, რა უსუსურია... არარაობა.

ასისტენტი დარბოდა. ბავშვებო, თქვენი როლი ხომ გახსოვთ, თქვენ ქვებს, არა, ცოდვაა, ხილს დაუშენთ, დამპალს, თქვენ გალახავთ, თქვენ მოატყუებთ, დანარჩენები დასცინებთ... გასაგებია?! ჰო, აი ასე.

რეჟისორი ნუხდა, მოდი, საზეიმო შეხვედრა მოვუწყოთ, როგორც საცოდავს და საწყალს, არა, სჯობს გავაიგნორიროთ. ჰო, ალბათ. დაიკავეთ ნახევარწრე, დაანთეთ კოცონები, წავიდა, ახლა დამარცხდება, ან ახლა გაიძურწება დაავადებული სახლში და ყველას დაავიწყდება, როგორი არაფრის მომცემი სახელია. აი, მარტო რაღაც ეროვნული დიდება. ნუ, ნული... ჩართეთ კამერები! ბატონები და ბანოვანები უკანა პლანზე, ვაჭრები წინა ხაზზე, გადარჩენილები, მოემზადეთ დასაცინად!

და აი, აქ მწუხარე სახის რაინდი დაიძაბა და შესძახა.

– სანჩო, მეგობარო, ჩვენი მიმართულება არ არის სწორი, ბოროტება ზურგიდან მოგვეპარა. ზურგისაკენ! და წინ!

– აი, ხო ვთქვი! – ამოიხვნეშა რეჟისორმა.

გაუხშოებული სუნთქვასავით ქარიშხლით შეზღუდულ და ჰორიზონტივით გაშლილ სუნთქვასავით თავისუფალ ველზე ორი სილუეტი უკუიქცა. შუბშემართული რაინდი ახლა კი მართლა მოაგელვებდა რაშს და თანდათან უახლოვდებოდა გადასალეგ გუნდს.

– არ მარცხდება?! დაღონდა რეჟისორი. – დულსინეა გადამალეთ!

ფლოქვების თქარათქური ახლოვდებოდა. სანჩო ძლივს ინარჩუნებდა წონასწორობას უნაგირზე. ხალხი აჩოჩქოლდა. არასდროს თავის ცხოვრებაში ასეთი შემართული არ ყოფილა მისი ბატონი, ასეთი ანთებული თვალებით და გახშირებული სუნთქვით არასდროს უომია.

დონ კიხოტ ლამანჩელი პირველად თავისი სამყაროში არსებობის მანძილზე მიჰქროდა არა გამოგონილი, არამედ ნამდვილი ბოროტების დასამარცხებლად.

– იბრძვის! – დაღონდა რეჟისორი.- აი, რა უნდა?! არ რცხვენია?!

და მწუხარე სახის რაინდმა შუბი შემართა.

გაოგნებული ხალხი აჩოჩქოლდა და მიმოიფანტა. ცდილობდნენ, გმირის თვალთახედვაში არ მოხვედრილიყვნენ. კამერები გაუაზრებლად წავიდნენ წინ და ახლო კადრები აიღეს.

რაინდმა შუბი შესტყორცნა.

შუბმა გაიშხუილა და მთელი ძალით ჩაასკდა უზარმაზარ ლოდს, იქვე რომ იდო, კოცონებით შემორკალული. შუბი ქვაში ჩაეჭედა და ზუზუნი აუვიდა!

– აი! გიჟია! სულელია, რას გვერჩის?! – აიჩეჩა მხრები რეჟისორმა. ჩვენ ისე უწყინარად დავცინოდით, არც კი დავცინოდით, ვაპირებდით...

– დასცინეთ, დასცინეთ! – გავეშებით ყვიროდა ასისტენტი.

ამდენ ხალხში მხოლოდ ერთმა ბიჭუნამ მოიფიქრა, როგორ მოქცეულიყო. ლოდთან მივიდა და წითელი საღებავით წააწერა. „რიჩარდ ლანცელოტი და რობინ ჰუდ ლომგული."

რაინდობის ძეგლი ჩამავალი მზის ფონზე წითლად ლივლივებდა. შუბი ვარვარებდა და ლოდისგან ამომრთმევ ვაჟკაცს ელოდა.

დაიშალნენ...

ისე წავიდ-წამოვიდნენ, რომ შუბს ძვრა ვერავინ უყო.



მაკა მიქელაძის ნახატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ანდრეი ლიუბკა



# АНДРІЙ ЛЮБКА

უკრაინელი პოეტი, პროზაიკოსი და ესეისტი. დაიბადა 1987 წელს, რიგაში, იზრდებოდა კარპატებში, ქალაქ უჟგოროდში. ავტორია პოეტური კრებულების: „შიზოფრენიის რვა თვე“ (2007), „ტერორიზმი“ (2008), „ორმოცი ბაქსი და კიდევ ჩაის ფული“ (2016), პროზაული კრებულების: „ქილერი. ისტორიების კრებული“ (2012), „სევდის ოთახი“ (2016), ესეების კრებულის: „ქალებთან ძილი“ (2014), რომანების: „კარბიდი“ (2015, BBC-ს კონკურსის „წლის წიგნი“ ფინალისტი), „შენი მზერა, ჩიო-ჩიო-სან“ (2018) და წიგნის „ბარბაროსების ძიებაში: მოგზაურობა იმ მხარეებში, სადაც იწყება და არ მთავრდება ბალკანები“ (2019, BBC-ს კონკურსის „წლის წიგნი“ ფინალისტი). გამოცემული აქვს აუდიოპოეზიის ალბომი „მე მძულს დილა“ (2013). მისი წიგნები გამოცემულია ავსტრიაში, პოლონეთში, სლოვენიაში. ნათარგმნია ბევრ ენაზე და მონაწილეა ბევრი ლიტერატურული ფესტივალის. თავად თარგმნის პოლონურიდან, სერბულიდან და ხორვატულიდან. ლაურეატია პრემიების: „დებიუტი“ (2006), „კიევსკიე ლავრი“ (2011) და სხვ. არის უკრაინის საერთაშორისო პენ-კლუბის წევრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ანდრეი ლიუბკა:

## ლექსების წერა დავიწყე იმ მიზნით, რომ პატრიარქალურ გარემოს შევწინააღმდეგებოდი

*(ფეისბუქ-დიალოგი, 2 ოქტომბერი, 2020 წელი)*



***შოთა იათაშვილი:** ანდრეი, როცა შენს ლექსებს ვთარგმნიდი და შენი გვერდი მქონდა კომპიუტერში გახსნილი, ჩემმა 22 წლის ქალიშვილმა შეხედა შენს ფოტოს და დაინტერესდა: ეს ვინაა? თანამედროვე უკრაინელი პოეტია, – ვუთხარი მე. თანამედროვე? – გაუკვირდა მას – მე კი მე-20 საუკუნის დასაწყისის მეგონა... მერე, რომ დავფიქრდი, მომეჩვენა, რომ ის მართალი იყო და შენ ის ეპოქა უფრო გიხდება – ნატურალური ავანგარდისტების, სკანდალისტების... შენი გარეგნული სახე და შენი პოეზიის ბუნება მასთან თითქოს ძალიან ახლოა. ამიტომაც მინდა ჩვენი დიალოგი ასე დავიწყო: პოეტის სახეზე, იმიჯზე საუბრით. როგორ ყალიბდებოდა იგი შენს შემთხვევაში და რამდენად იყო ეს გააზრებული და ბუნებრივი პროცესი?*

***ანდრეი ლიუბკა:*** დიდი მადლობა, შოთა. ეს კითხვა ძალიან ზუსტია, „ათიანში" მორტყმულია, იმიტომ, რომ ლიტერატურა და საერთოდ, მწერლის ფენომენი, ჩემთვის მუდამ, ბავშვობიდან მოყოლებული, მჭიდრო კავშირში იყო ბოჰემური ცხოვრების იმიჯთან. ჯერ კიდევ სკოლაში, როცა ლიტერატურას ვსწავლობდი, შევამჩნიე, რომ გაცილებით მომწონდა ის ნაწარმოებები, რომელთა ავტორიც ქარიზმატული იყო და საინტერესო ბიოგრაფია ჰქონდა. ანუ ჩემთვის ლიტერატურა მუდამ ავტორის მითთან ერთ მთლიანობას წარმოადგენდა. გამომდინარე აქედან, როცა თავად დავიწყე ლექსების წერა, ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა, არა მხოლოდ მეწერა, არამედ მეცხოვრა პოეტივით და მქონოდა მისი სახე. და სრულიად ბუნებრივია, რომ მიზიდავდა 20-იანი წლების ბოჰემა, პარიზი, აპოლინერი, უკრაინული და რუსული ფუტურისტული, მოდერნისტული ტრადიცია.

***შ. ი.** მაგრამ როცა პირველი ახალგაზრდობა ჩაივლის ხოლმე, მერე რა ხდება? თუ – შენთან ამ პირველ ახალგაზრდობას ჯერაც არ ჩაუვლია?*

**ა. ლ.** მე მგონია, რომ უკვე ჩაიარა. მახსოვს, რომ სტუდენტურ წლებში მქონდა გრძელი თმა, ზამთარში კი მხატვარივით გრძელი პალტოთი და ბერეტით დავდიოდი. მე პროვინციულ ქალაქში ვცხოვრობდი (120 ათასი მოსახლე), და მინდოდა, ეს წყნარი ჭაობი ამეფორიაქებინა ჩემი განსხვავებულობით და პროვოკაციული ლექსებით. მაგრამ უკვე რვა წელია, რაც ლექსების წერა მივატოვე და პროზაზე გადავედი, კიევსა და ვარშავაში ხუთწლიანი ცხოვრების შემდეგ კვლავ დავუბრუნდი უჟგოროდს,სადაც ვზივარ ახლა და ვწერ რომანებს – ანუ მივხვდი, რომ მწერლისთვის, განსაკუთრებით კი პროზაიკოსისთვის, მაინც უფრო მნიშვნელოვანია არა იმიჯი, არამედ ყოველდღიური რუტინული მუშაობა, სიწყნარე და ერთგვარი იზოლაციაც კი ადამიანებისაგან,

***შ. ი.** ანდრეი, შენს ლექსებს ქართველი მკითხველი გაეცნობა. მაგრამ როგორია შენი პროზა? ის რაიმეთი ჰგავს შენს პოეზიას თუ სრულიად სხვანაირია?*

**ა. ლ.** მხოლოდ ჩემი პირველი მოთხრობების კრებული – „ქილერი" – რაღაც თვალსაზრისით ჰგავს ჩემს ლექსებს. ხოლო ყველა შემდგომი – ძალიან განსხვავდება. ესაა სიუჟეტური რომანები და ესეების კრებულები. ახლა ერთ-ერთი რომანის მიხედვით ფილმი უნდა გადაიღონ – ესაა ტრაგიკომიკური ისტორია კონტრაბანდაზე ჩემს რეგიონში. კარპატებს საზღვარი აქვს ევროკავშირის ოთხ ქვეყანასთან, და აქ სიგარეტის კონტრაბანდა მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის შემოსავლის წყაროა.



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

***შ. ი. კარპატები, უჟგოროდი... – რა მოგცა მან შენ და რა გასწავლა? რა გარემოში იზრდებოდი და პოეზიის სიყვარული როგორ გაჩნდა შენში?***

**ა. ლ.** უნდა გითხრა, რომ პოეზიისა და ხელოვნების სიყვარული ჩემში ჩნდებოდა არა იმ საზოგადოების დამსახურებით, რომელიც გარს მერტყა, არამედ პირიქით, მის წინააღმდეგ გაჩენილი გრძნობებით. შეიძლება ითქვას, რომ ლექსების წერა დავიწყე იმ მიზნით, რომ ამ პატრიარქალურ გარემოს შევწინააღმდეგებოდი. კარპატები ძალიან საინტერესო და მულტიკულტურული რეგიონია, ცენტრალური ევროპის კვინტესენციაა (ევროპის 11 დედაქალაქი მისგან უფრო ახლოა, ვიდრე კიევი), მაგრამ, ამავე დროს, ეს პატრიარქალური რეგიონია, სადაც პატივს სცემენ ტრადიციას, სადაც გაფასებენ, თუ ხარ მდიდარი მეპატრონე, გაქვს დიდი სახლი, ბიზნესი (თუნდაც არალეგალური), ხოლო ხელოვანებს თანაგრძნობით უყურებენ, როგორც არანორმალურებს.

***შ. ი. ეს პროტესტი ძალიან კონკრეტულია და, სავარაუდოდ, ტექსტებშიც ძალიან გულწრფელად გამოიხატება. მაგრამ შემდეგ მწერალი აღმოჩნდება ხოლმე სიტუაციაში, როცა ეს კონკრეტულობა რაღაცნაირად იკარგება, იმიტომ, რომ ძალიან ბევრი სხვადასხვა ტიპის უსამართლობაა ირგვლივ. ეს ყველაფერი კი „აქტუალურია“ და ამ ყველაფრის გაპროტესტება ხდება საჭირო. მე მეჩვენება, რომ ასეთ მომენტში ხშირად იკარგება ბუნებრიობა და მეამბოხე პოეტი აქტუალურ პოეტად გარდაიქმნება ხოლმე. შენ გრძნობდი ამას, როცა პატრიარქალური გარემოდან გლობალურ გარემოში გადახვედი?***

**ა. ლ.** კი, აბსოლუტურად. სწორედ ამის გამო შევწყვიტე რაღაც მომენტში ლექსების წერა, და ეს საკმაოდ მალე მოხდა. მე გავხდი ცნობადი, შემდეგ ცნობილი, ჩემს გამოსვლებზე სხვადასხვა ქალაქებში პუბლიკა გროვდებოდა, ჩემგან იღებდნენ ინტერვიუებს, და ჩემი ბოლო წიგნი სამჯერ გამოიცა ახალი ტირაჟით, რაც უკრაინისთვის ძალიან დიდი წარმატებაა. მაგრამ მე ვიგრძენი, რომ ამ პოპულარობაზე „შევჯექი“ და მსურს, არა მხოლოდ ვწერო ლექსები, არამედ ყველას მოვწონდე, ტაშს მიკრავდნენ და ციტირებდნენ ჩემს სტრიქონებს. და ნაცვლად იმისა, რომ მეწერა რაღაც ძალიან პირადული, დავიწყე „ლაიქების“ შეგროვება. რაღაც მომენტში ეს უბრალოდ რუტინული პროცესი გახდა, რადგან ლექსებში აღარ დარჩა ნამდვილი, ცოცხალი ემოცია. ეს პოეტური შლაკი იყო – მართალია, არცთუ ცუდი ხარისხის, მაგრამ ეს იყო არა საავტორო კერძი, არამედ მაკდონალდსი. ჰო, ამიტომ შევწყვიტე ლექსების წერა – მე ისინი თავად აღარ მომწონდა.

***შ. ი. მე მგონია, რომ საერთოდ ეს ეპოქა პოეტური შლაკის ეპოქაა – უსაშველოდ ბევრი ასეთი პოეზია იწერება ახლა და ყველაფერი ეს კარგად ჩანს და ხმამაღლა ისმის, ადრე კი ასე მაინც არ იყო. შეიძლება, ბევრი შლაკი მაშინაც იწერებოდა, მაგრამ მას ძირითადად რედაქტორი კითხულობდა და ხალხამდე არ უშვებდა. ახლა კი საზღვარი აღარ არსებობს. და ეს ძალიან აფუჭებს მკითხველის გემოვნებას. რას ფიქრობ შენ ამაზე?***

**ა. ლ.** ვფიქრობ, რომ ასეცაა და არცაა ასე. იმიტომ, რომ თუ წაეიკითხავთ იმავე აპოლინერის ანდა ლორკას ბიოგრაფიას, მათ ირგვლივაც, პარიზში, უთვალავი პოეტი იყო. ისინი სვამდნენ ყავას ტავერნებში, მერე მაგიდებზე ფოფხდებოდნენ და ლექსებს კითხულობდნენ. უმრავლესობის შესახებ დღეს არაფერი ვიცით, სახელებიც კი არ შემორჩა ისტორიას, იმიტომ, რომ მათ ერთი წიგნის გამოცემაზეც კი არ იზრუნეს. ლიტერატურის ისტორიაში მხოლოდ ერთეულები დარჩნენ. ამით იმის თქმა მინდა, რომ შლაკი მუდამ ბევრი იყო, შლაკი მუდამ უმეტესობა იყო. ჩვენი ეპოქის სიახლეა იმ ჟურნალების და კლასიკური გამომცემლობების სიკვდილი, სადაც რედაქტორების ფილტრი არსებობდა. ადრე პუბლიკაციისთვის თვეობით უნდა გეცადა, ხანდახან წლებიც კი, და ეს ტექსტებს შველიდა, ახლა კი ავტორი წერს ტექსტს და მაშინვე პოსტავს ფეისბუქზე. ტექსტი ჯერ ნედლია, მაგრამ უკვე მკითხველთანაა. ამის გამო ეცემა ხარისხი. მეტსაც ვიტყვი: მე მაინც ჩვენს აღმოსავლურ პოეტურ ტრადიციაზე ვარ აღზრდილი და მეჩვენება, რომ პოეზიას სჭირდება უბედურება და დევნა, ის უნდა ჯანყდებოდეს, იგონებდეს ეზოპეს ენას, შიფრავდეს მნიშვნელოვან აზრებს, როგორც ამას პოეტი-დისიდენტები აკეთებდნენ. საერთო თავისუფლება და საბაზრო მიდგომა ნამდვილი პოეზიისთვის საზიანოა.

***შ. ი. მაგრამ თუ მეორე მხრიდან შევხედავთ, როცა კარდინალურად იცვლება სამყარო, ლიტერატურა ყოველთვის იწყებს მის შესწავლას, არეკვლას. ახალმა ტექნოლოგიებმა ძალიან შეცვალა სამყარო ბოლო წლებში. ამიტომ იმედი მაქვს, რომ პოეზიაში იქნება აფეთქება – რაღაც სრულიად ახალი დაიწყება, თუ შეიძლება ასე ითქვას, ახალი ფუტურიზმი.***

**ა. ლ.** პოეზიამ დაიწყო საკუთარი თავის ძიება ამ სამყაროში – ჯერ აუდიოექსპერიმენტები, აუდიოლექსების წიგნები, მერე ლექსები-ვიდეოკლიპები გაჩნდა, მოკლემეტრაჟიანი ფილმისა და ლიტერატურის რაღაც ზღვარზე. მაგრამ ყველაფერი ეს აღმოჩნდა გზა არსაითკენ, და მე ვხედავ ორ მთავარ ტენდენციას: პოეზია ხდება ან ძალიან რთული და დახურული, ჰერმეტული, მკითხველთა მხოლოდ ვიწრო წრისთვის გასაგები, „ელიტარული“, ან ემსგავსება რეპს, მაქსიმალურად მარტივს ემოციების გამოხატვის თვალსაზრისით და შემოსავლიანს. ვფიქრობ, რომ უნდა ველოდოთ რაღაცას

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეთნოტრადიციის თვალსაზრისით, ხალხური ჟანრებისკენ დაბრუნებას – და ეს იქნება თანამედროვე სამყაროსა და არქაულობის ჰიბრიდი. პოეზია ხომ წარმოიშვა, როგორც შელოცვა, როგორც რეჩიტატივი, წამღერება კოცონის ირგვლივ.

***შ. ი.* დიგიტალურ ცეცხლზე იქნება ახალი ტიპის წამღერებები.**

**ა. ლ.** ჰო, ალბათ...

***შ. ი.* ანდრეი, შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ავტორებიც რომ დაასახელო. ისინი, ვინც ყველაზე მეტი გასწავლა, ვინც ყველაზე მეტად იმოქმედა.**

**ა. ლ.** ჩემი საყვარელი პოეტი მუდამ იყო და ახლაც არის პუბლიუს ოვიდიუს ნაზონი – სწორედ მას მივუძღვენი ჩემი სამი წიგნი პროზაში, მისი ბიოგრაფიის მეშვეობით ავაგე სიუჟეტი. მე მეჩვენება, რომ ის საერთოდ, ყველაზე თანამედროვე პოეტია. მაგალითად, მისი „სიყვარულის მეცნიერება" პიკაპის (ცდუნების) ენციკლოპედიაა, ხოლო „ნაღვლიანი ელეგიები" – სიმარტოვის, ბრბოში ეულად ყოფნის გამოგონება მის თანამედროვე სამყაროში (ოვიდიუსმა ეს იგრძნო შავიზღვისპირეთში გადასახლებისას). შემდეგ მე დავასახელებდი ბიტნიკებს – კენეტ კუკს და ალენ გინსბერგს, სადღაც აქ უნდა იყოს ჩარლზ ბუკოვსკის და პოლონელების: მარცინ სვეტლიცკის და ბოგდან ზადურას ლექსები. ჩემი საყვარელი უკრაინელი მწერალი კი არის იური ანდრუხოვიჩი. მე ვფიქრობ, რომ ვერავინ შეძლო უკრაინული ენის ისე მოთვინიერება, როგორც მან. ეს სტილი მწვერვალია.

***შ. ი.* და სერგეი ჟადანი? მას როგორ დაახასიათებდი?**

**ა. ლ.** ჟადანი ძალიან ნიჭიერი მწერალი, თავისი თაობის ხმა და დღესდღეობით ყველაზე პოპულარული უკრაინელი ავტორია. ის ათასობით ადამიანს კრებს თავის ფასიან გამოსვლებზე, რაც უბრალოდ საოცნებოა ჩვენი რეალიებისთვის. მაგრამ კონკრეტულად ჩემთვის მისი ესთეტიკა და სტილისტიკა უცხოა: ის ლაპარაკობს პროლეტარული მეგაპოლისების, პოსტსაბჭოთა რომანტიზმის სახელით, [illegible] მე საკუთარ თავს ვხედავ ცენტრალური ევროპის, გრძელი ისტორიის მქონე პატარა და წყნარი ქალაქების ტრადიციაში. სწორედ ამიტომაა ჩემთვის ასე ძვირფასი ანდრუხოვიჩი და მისი ტექსტები ჩვენი ძველი ნანგრევების შესახებ.

***შ. ი.* თქვენ ორივე დასავლეთ უკრაინიდან ხართ, ხოლო ჟადანი აღმოსავლეთის შვილია. ეს განსხვავება ამის გამოცაა ალბათ. საერთოდ, ეს ესთეტიკური ხლეჩა მთელ უკრაინულ ლიტერატურაშიც ხომ იგრძნობა.**

**ა. ლ.** მე ასე ვიტყოდი: იგრძნობოდა ადრე, ახლა მთავარი სხვაობა უკვე არა გეოგრაფიული, არამედ თაობისეულია: ანუ ძველი მწერლები – ეს ერთი სამყაროა, და არის ახალგაზრდების წრე – აბსოლუტურად სხვა სამყარო. ისინი ერთმანეთის მიმართ მტრულადაც კი არ არიან განწყობილნი, ისინი უბრალოდ ერთმანეთის არსებობას არც კი ამჩნევენ.

***შ. ი.* გასაგებია. მე მგონი, შეგვიძლია, დასასრულისკენ წავიდეთ.**

**ა. ლ.** ჰო, ვახშმის დროა.

***შ. ი.* კარგი, მაშინ ბოლო კითხვაზე გამეცი პასუხი: როგორ ცხოვრობდი და ცხოვრობ პანდემიის პერიოდში?**

**ა. ლ.** ვინაიდან ლიტერატურით ვარსებობ, ანუ სახლში ვმუშაობ, პრაქტიკულად არაფერი შემცვლია. ვიტყოდი, რომ ამაში ბევრი პლიუსიცაა, ვინაიდან გაუქმდა ჩემი საფესტივალო გასვლები სხვადასხვა ქვეყნებში და უკრაინის ქალაქებში, გაჩნდა ძალიან ბევრი თავისუფალი დრო და ამიტომ მე გაცილებით მეტს ვმუშაობდი, დავამთავრე ჩემი რომანი და მოვასწარი ხორვატულიდან მეთარგმნა დუბრავკა უგრეშიჩის რომანი. კარპატები უკრაინული შვეიცარიაა, ჩემი ფანჯრებიდან მთები მოჩანს. ამიტომ ხშირად გავდიოდი საპიკნიკოდ თუ სოკოების შესაგროვებლად, გაცილებით მეტი დრო გავატარე მეუღლესთან, იყო მეტი ჰარმონია და სიმშვიდე. ხოლო ორი თვის წინ ქალიშვილი შეგვეძინა, ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ 2020 წელი ჩემს მეხსიერებაში დარჩება როგორც ბედნიერი წელი.

***შ. ი.* გილოცავ, ადრეი! როგორც ჩემი, ასევე ქართველი მკითხველის სახელითაც!**

**ა. ლ.** დიდი მადლობა!

# ანდრეი ლიუბკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნირვანა

ძველი ტრადიციის მიხედვით
ჩემს ყოფილ სატრფოებზე, როგორც მკვდრებზე, ისე ვლაპარაკობ:
ან კარგს, ან არაფერს.
ამიტომაცაა, იშვიათად რომ გავილებ ხოლმე ხმას მათ შესახებ
და სხვა რამეზე ვაკეთებ მუდამ აქცენტს.
მაგალითად, ათას კილომეტრზე უფრო გრძელი ავიარეისების
საკმაოდ სტაბილურ განრიგზე,
თუმცა კი არცთუ კარგად მესმის,
როგორ შეიძლება იზომებოდეს ჰაერი – დაეიჯერო, რომ
ანგელოზები ამით არიან დაკავებულები? დავიჯერო, რომ დარბიან
მოკლე დისტანციებზე, ხანდახან კი დაბრკოლებებსაც ლახავენ,
ვინაიდან საჭიროა გადაახტე ღრუბლებს, ჩიტების გვამებს,
მოულოდნელად გასრესილებს ბოინგებით,
ადამიანის სულების დიდ გუნდებს, დროთა შორის მობორიალეს.
ამ მარათონული გარბენის ხანმოკლე შესვენებებში
ანგელოზები პეპლებთან ერთად აგროვებენ ყვავილების მტვერს
და ისეთი ნეტარებით ისუნთქავენ მას, თითქოს წებო იყოს,
თითქოს ნიკოტინი იყოს რეალობის, თითქოს ეს იყოს ცხოვრების არსი.
ამასობაში კი ჩვენი უმიზნო ცხოვრების ჭეშმარიტი არსი ხდება
საუბრები, ბგერების გრძელი არტიკულაცია, ყელის მორჩუს ანბანი,
ანგელოზები კი ფიქრობენ, რომ ენა ბიბლიის საკითხავადაა შექმნილი.
ისინი ამბობენ:

ცოდვილებო, თქვენ დაივიწყეთ ჯოჯოხეთი,
თქვენი ვენები კანზე ჩანს, როგორც ძველი ფრესკები ტაძრებში,
ჰოდა, მოისროლეთ ამიტომაც თქვენი გულები, გადაეშვით ფანჯრებიდან,
ავიარეისები ღმერთთან მიგიყვანთ დანიშნულების ადგილამდე,
შეეშვით თქვენს იწილობიწილოს, მუხლები იმისთვისა გაქვთ, რომ დაეცეთ მათზე,
გესმით, ცოდვილებო, გრძნობს თქვენი ყურის აპკი ავე მარიას?
გრძნობს, როგორ პულსირებს მტრედის დიდი გული თქვენს საფეთქლებში?
ცოდვილებო, გონს მოეგეთ, რამეთუ მიწა ხართ და მიწაშივე დაბრუნდებით,
ამინ, ცოდვილებო.

ბომჟები კი ნესტიან სარდაფებში მუხლებზე ეცემიან და
წყალი მიედინება საკანალიზაციო მილებში, ეს მათთვის ცხონებაა,
მსუბუქი ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის ძლიერი და ნათელი დარტყმა გონებას ბინდავს.
და უფალო, ნირვანა მოდის.

## მხიარული სიმღერა ხელოვნების მარადიულობაზე

მე გავატარე დღე ჩემს საუკეთესო მეგობრებთან – ჯონი უოკერთან და ჯეკ დენიელსთან –
პოეზიაში არანორმატიული ლექსიკის გამოყენების შესახებ საუბარში.
თავდაპირველად შევთანხმდით იმ თეზისზე, რომ პოეზია
ტაძარია, საყდარია, პირამიდაა.
შემდეგ ამას მივაწებეთ სამლოცველო, სიგარეტის კოლოფი, თითქმის მომწიფებული გოგონა – à la ნაბოკოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ საერთოდ შევთანხმდით იმაზე, რომ ღირს გავიხსენოთ
მოგზაურობები, კარგი მუსიკა, მძიმე მეტალურგია,
დავაყაროთ ამ ყველაფერს ფოთლები, წავლეკოთ ცრემლებით,
მივამატოთ სანთელი, ღამე, სამხედრო ტექნიკა,
საათი, ქელეხი, დილის უქეიფობა, ალმაფრენა, თარგმანები,
ქაღალდის მრეწველობა,
პლიუს აეროდრომი, სექსოდრომი.
თითქოსდა სია ამოწურული იყო, მაგრამ მაინც მოგვეწია საკადრისი მივეგო
თოხლისთვის (აბა, რანაირად უმაგისოდ?), კლავიატურისთვის, მიკროფონისთვის, მიწვეევებისთვის და
აფიშებისთვის, მოკირწყლული ტროტუარებისთვის, სინდისის ქენჯნისთვის,
პენუარებისთვის, ლაინერებისთვის, საკესთვის,
აჰა – გამახსენდა! – უპასუხო სიყვარულისათვის, ტიტველი ადამიანებისთვის,
ინტერნეტისთვის, გლობალური დათბობის პრობლემებისთვის,
ჩათვლის წიგნაკისთვის, დიდი ჩინური კედლისთვის,
იმ პირველი კოსმონავტებისთვის, რომელთაც იგი დაინახეს,
სიდნეის ოპერისთვის, სველი ხელსახოცებისთვის,
და დაე, ესეც იყოს – ბერლინის ეს-ბანებისთვის,
რუკზაკებისთვის და მშობლიური მიწისთვის.

ამაზე იდეები ამოიწურა.

ყლეობაა – თქვა ჯეკ დენიელსმა,
რომლისგანაც უკვე ნახევარი ბოთლიღა იყო დარჩენილი.
მართალია, ყლეობაა – კვერი დაუკრა ჯონი უოკერმა,
რომლისგანაც დარჩენილი კიდევ უფრო ნაკლები იყო.
ყლეობაა, აბა, რაა – მხარი აუბი მე.
ყლეობაა, როცა შენი მეგობრები შიგნიდან იცლებიან ისე, თითქოს ბოთლები იყონ.
როცა ისინი ცარიელები, გათავკებულებული, აკურატულად გაკრეჭილები არიან.

დღე დაილია, და უკვე დროა დაძინებისა.

## როგორ ვწერ მე?

მე ვწერ კირილიცათი, მარჯვენა ხელით,
ღამის ორ საათზე, ბლოკნოტში,
გვერდზე „18 აგვისტო, 2011".
ამიტომ ღირდა ლექსისთვის ეს სახელი დამერქმია,
მაგრამ არა, მე მაურს ვწერდე შენზე,
მაგრამ ვწერ კირილიცათი, რაც ნიშნავს,
რომ ვწერ ძირითადად იგორსა და სვიატოსლავზე,
ნესტორზე, პამვაზე, გრიგორიზე და სხვებზე.
თუმცა რატომ „სხვებზე"? ვწერ ტარასზე,
ლუბლინის უნიზე, რწმენისთვის ბრძოლაზე,
რწმენის ღალატზე, როგორც ბრძოლაზე, კვიტკაზე,
ეკლესიასა და ბულგარეთზე (ხომ მიმიხვდით?),
ვწერ პავიჩის შეცდომაზე (ვინაიდან კირილემ და მეთოდემ
გამოიგონეს გლაგოლიცა), თითქმის არ ვწერ თანამედროვე
სერბეთზე (მოღალატეები!), არ ვწერ ვისკიზე, რადგან ვწერ
რახზე — აბა, სხვანაირად როგორ, მე ხომ კირილიცას ვიყენებ,
თუმცა კი ჩემი არ ესმის სამყაროს დიდ ნაწილს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიმართლე ითქვას, შენ უფრო ლათინური ანბანი მოგიხდებოდა,
მაგრამ მაპატიე, ასე აეწყო, და ანი
უკვე ველარაფერს ვიზამ:
უნდა ვწერო ანაზე, რომელიც საფრანგეთშია, ბოგდანზე, ივანეზე,
სამუელზე და ასე შემდეგ, რადგან ღმერთმა ჩვენ სამი რამით დაგვსაჯა:
აღმოსავლეთით, ძალაუფლებით და ანბანით.
მე ვწერ კირილიცათი: ასეთია ჩემი პირველი ცოდვა.
მომიტევეთ.

## შანსონი

ამ ტაქსიში ჩაჯდომისას,
რომელიც მიგიყვანს პირდაპირ სახლში,
ჯიბეში სიგარეტის კოლოფითა და ავტოკალმით,
სურვილით, რაც შეიძლება მალე ჩანვე ცივ ლოგინში,
რატომღაც ბოლომდე არგამოცლილი ბოთლით ხელში
და უწყვეტი დეპრესიით,
შენ ფიქრებში ემშვიდობები ცხოვრებას,

იმიტომ. რომ აბა, რა ცხოვრება შეიძლება იყოს
ამ შემთხვევით სამყაროში, ამ ჰელიოცენტრულ გალაქტიკაში,
ამ სულის მლაშავ ცენტრალურ ევროპაში!

ამ ტაქსიში ჩაჯდომისას,
შენ ფიქრებით ემზადები მძღოლის გაწელილი მონოლოგისთვის
დანგრეულ გზებზე
გამყიდველ პოლიციელებზე
გამყიდველ პოეტებზე,
პავიჩის და კუნდერას
სინტაქსურ კონსტრუქციებზე,
ატომურ ფიზიკაზე,
ნავთობის ფასზე და მასთან დაკავშირებულ
ერაყის ომზე,
ისრაელის არჩევნების შედეგებზე,
რაზეც გნებავს,
თვით ცენტრალურ ევროპაზეც კი.

და როცა უსმენ ამ ღამის ტაქსისტს, შენ იწყებ
ცხოვრების განმარტებას, როგორც შანსონის ნანყვეტებისა ჩაუხმობელი
რადიოსადგურებიდან, იწყებ ამ სიზმრისეული დედის გინებების გაგებას,
ამ „მთვრალი ხომალდის" გაგებას, რადგან ენას მართლაც ისე უნდა მოექცე,
როგორც უკანასკნელ მეძავს:
დაკბინო, გაროზგო, გიყვარდეს.

ამ ტაქსიში ჩაჯდომისას
ხვდები, რომ სიცოცხლე გიყურებს უკანა ხედის
სარკეში, ამ შემთხვევითი ტაქსისტის
დაღლილი და უნდობი მზერით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერდე ლექსებს:
მატარებელში, ბარში, ქუჩაში, მუხლისთავზე,
კითხულობდე გაზეთებს და ინსტრუქციებს, ხელში იღებდე ალმანახებს და
მსგავს საზიზღრობებს, ფერად ყვავილებს, თავი მოგქონდეს ლამაზმანად, ლიდერად და
ალკოჰოლიკად, იმეორებდე ლოცვებს, ლექსებს, მენიუს, სვამდე
არაყს, არაყს, არაყს, მერე ლუდს, და მერე ლუდს, მწვერვალს იპყრობდე,
ფერდობებს, აღმართებს და გრძელ მანძილებს, პირველ რიგში, საკუთარი თავი გიყვარდეს,
და გარდა ამისა, სიცოცხლე, სასმელი, ფული, დილით სულ ვარჯიშობდე,
ტელეფონს ტენიდე და სვამდე მზეს – 50 გრამს, 100 გრამს, ანდა
ბოთლის ყელიდან, სვამდე და სვამდე, გიყვარდეს, გიყვარდეს
ეს სამყარო, ეს პლაცკარტი, ეს შემოდგომა, ღმერთო, ძლიერო, მომე ძალა,
რომ არ ჩავეშვე, ღმერთო, მომე დასალევი, ლექსებს კითხულობს წმინდა სული
კამუფლიაჟში, თუმცა კი ის ანარქისტია სინამდვილეში, მტრედი ციდან მოფრინავს და
სცენაზე ჯდება, წერდე ლექსებს, განცხადებებს, საჩივრებს და ამ სამყაროს წრეებს ურტყამდე,
ავტობუსით, საკუთარი წარმოსახვით, ნარკოტიკები ცვლიან ლექციებს,
ერექციებს და ბიოდენებს, შიშველმა იარო და სასქესო ორგანოებზე შეთხზული ლექსები
იკითხო ხოლმე, შენს გემოზე ცხოვრობდე მუდამ, თითქმის მშიერი: სტუდენტი, დურგალი,
გუბერნატორი, პოეზია ისაა, რაც არ მეორდება, პოეზიაა –
ურტყამდე გოიმებს და დოლ-ბარაბანს, თავისქალებს თხრიდე
ნაძქერში, ზვავში, ხოლო ღრეობებში სვამდე და სვამდე,
წერდე ლექსებს, თუნდაც ნოველებს, გამოსვლების თეზისებს და იკიდებდე ყლეზე პრობლემებს,
მოგზაურობებს, მატარებლებს, ფიქრობდე ქალებზე, ქალებზე, ქალებზე,
და საბოლოო ჯამში, კვლავ სვამდე, წარმოთქვამდე სახელებს
ეუჩების, გალაქტიკების, პასუხს სცემდე საძმაკაცოს,
ცნობიერება ალკოჰოლის გრადუსებით,
ჰალუცინური სოკოების წყალდიდობით, მოგონებებით წალეკო, გრძნობდე
ნარწყევის სუნს, და ბოდლერის ლექსების გემოს,
ვერლენის ჰომოსექსუალიზმს და ალკოჰოლიზმს შევჩენკოსი,
იკვლევდე ძირს დაცვენილ ფოთლებს,
ქალის ძუძუებს, თვითმკვლელობის ქრონიკებს და
წვავდე ორაგულს, თმას, მოგონებებს ძალიან ძვირფას ადამიანზე.
გაუთავებლად ფიქრობდე ხოლმე სექსზე და ტექსტზე,
ავტორიტეტს, ინტოქსიკაციას, ავიტამინოზს მსხვერპლად სწირავდე,
ისუნთქავდე ყავის ორთქლს და წყალმცენარეთა არომატებს,
შენი წიაღის, შენი ოფლის სუნს,
ეძებდე შუქს, გზასა და ფანარს, ქრიდე ხეებს,
მოგონებებს, საკუთარ თავს, გადადიოდე
სასვენი ნიშნების გარეშე ლექსში, კითხულობდე აღიარებას,
უსმენდე ჩურჩულს და იპყრობდე ყურადღებას, კვდებოდე – ადვილი ეს არაა,
დაყიალებდე, წვებოდე კუბოში, საკუთარ სახეს ინარჩუნებდე.
ელოდო ძვირფას ადამიანებს, ესემესებს, იმეილებს, მატარებლებს და მეგობრებს,
ხოლო მას კი საცვალს აძრობდე, ანუ გიყვარდეს მხოლოდ ის და კიდევ ბევრი სხვაც,
ჰპირდებოდე, იტყუებოდე, არაყს ასხამდე, ვიოლინოზე უკრავდე და თან ყავას სვამდე,
კაიფობდე, მიუხედავად იმისა, რომ გააჩინა ნაპრალი ყოფამ, შანსონს მღეროდე,
ატარებდე გრძელ თმას, ჭამისას ნაკერავზე სკდებოდე ხოლმე, სვამდე და სვამდე,
ერთი სიტყვით, ტკნაურობდე, ცხოვრობდე და გეძინოს ხოლმე, ტკნაურობდე და ტკნაურობდე,
გიყვარდეს და გიყვარდეს და მასთან იწვე, მარტოობაში
იწვე და მუდამ გინდოდეს, რომ
იცხოვრო და გამოიძინო.

*თარგმნა შოთა იათაშვილმა*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# 2 პოეზია

## ნანა აკობიძე

### სუპერძალა

წერა სუპერძალა მეგონა
და შეეწყვიტე.
ვიფიქრე:
ყველაზე ძალიან რომ გამიჭირდება, მაშინ დავწერ,
მანამდე ჩემით გავიტან თავს.
არაა შენახვა ჩემი სტილი,
ანაბარიც არასოდეს გამიხსნია ბანკში.
მარტო ეს შევინახე შავი დღისთვის.
როგორც:
წყლის სუნთქვა!
მეოთხე სტილი!
ცეცხლი!
დემონებთან მებრძოლი ანიმეს გმირივით.
დამჭირდა ახლა და
გამოვიხმე,
მაგრამ
დაწერისთანავე
ქროლდება.
ეტყობა, ვადა გაუვიდა,
როგორც – იარაღის შენახვის უფლებას...
ესეც – შავი დღე,
როცა შენი სუპერძალა
მოსახმარად კი არა,
შესანახადაც საშიშია –
ერთი ნაბიჯი სასჯელამდე....

* * *

ვინც შევიყვარე, ყველა მოკვდა.
ზოგი ისე, რომ ვერც მოვასწარი გამხელა.
სანამ დანარჩენებიც დაიხოცებოდნენ,
დავიწყე ყვირილი – მიყვარხარ! მიყვარხარ!
ყველა იმ ენაზე, რომელზეც ვევძელი.

ვფიქრობდი:
იქნებ ესაა ვაქცინა.

დავთვალე მათი წასვლით მოყენებული ზარალი
საბუღალტრო პროგრამაში,
ისე, როგორც სეტყვის ანდა
მიწისძვრების მერე ითვლიან –
საოცარია – არც ისე დიდია....
ისევ მიყვარს. ვდგავარ. თენდება.

ნიშნავს:
სიყვარულიც პლაცებოა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲚᲝᲪᲕᲐ

ღმერთო, ამ ცხოვრებაში
ერთხელ ხომ მაინც უნდა გავხდე მილიარდერი –
ხომ ისედაც გადაწყვეტილი გვაქვს მე და შენ და
რატომ ველოდოთ სხვა დროს:
მომეცი ბარემ და
დღესვე, ახლავე
ჩამოვურიგებ, ვისთანაც ვალში ვარ
დიდად, მცირედით, უმნიშვნელოდ – ასჯერ და ათასჯერ მეტს;
ზოგი ვერც გამიხსენებს და დაიწყებს მოკითხვას –
ვინაა ეს ნანა აკობიძე, მე რატომ მიგზავნის...
ზოგი შემომითვლის:
უიმე, ამდენი რატომ – სხვას მიეცი, ვისაც უფრო სჭირდება;
ზოგიც არაფერს შემომითვლის, მაგრამ გაიფიქრებს:
ამდენი თუ გქონდა,
ცოტა მეტი მოგეცა, შე კაი ქალო;

მარტო დედაჩემი მეტყვის:
„ხომ იცი, სადაც იქნება შენახული"...

## ᲒᲠᲐᲛᲐᲤᲝᲜᲨᲘᲐ

ჩვენ ვეძებდით გრამაფონს,
რომელიც მე კინოში მენახა,
შენ კი – არაერთხელ.
მაგრამ დაგავიწყდა მისი არსებობა და მე გაგახსენე.
ვეძებდით გრამაფონს,
ვამბობდით ჩვენს ფასს და გვპასუხობდნენ, რომ ამ ფასად – გრამაფონშია.
გავიწყდებოდა, რად მინდოდა და
გახსენებდი, რომ
საჩუქრად მინდოდა
20 წლის გოგოსთვის.
უცხოსთვის, ცოტათი ჩემნაირისთვის,
რომელიც დარდობდა,
რა ეშველებოდა, ოცდახუთ წლამდე პირველ მილიონს თუ ვერ იშოვიდა.
მერე ხომ ბებერი იქნებოდა.
ჩვენ უკვე ბებრებიც ვიყავით და
მილიონად კი არა,
გახვრეტილ გროშად გვყავდა ერთმანეთი ნაშოვნი.
ამიტომ ვუშვებდით ხელს ერთმანეთს ადვილად:
იაფი იყო ჩვენი ერთად ყოფნა.
ძვირი იყო გრამაფონი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## შინმოუსვლელი ამბები

არიან ამბები:
სდექ, მაღალი ძაბვაა,
შეეხები: დაგამიწებენ.
არიან ამბები:
აქ შესვლა აკრძალულია –
უკან დაბრუნება გაგიჭირდება.
არიან: მოწევა აკრძალულია და ენევი...
ნებადართული აკრძალვები
და აკრძალული ნებართვები
გამოუგონებელი ამბების:
არ უნდა გამოჩხრიკო,
სული არ უნდა შეუბერო,
არ უნდა აანთო...
ამბები,
რომლებიდანაც ვერ დაბრუნდები...

## ნინაპარი

რაღაცნაირი სახელია ეს დიანოზი –
ლოცვისმაგვარი, გალობასავით, თუ ეკლესიის ზარისხმასავით...
ბებიაჩემი: „ღმერთო, როგორ ჰგავხარ დიანოზს".

შინმოუსვლელი მაზლი იყო – სამჯერ ნანახი.
ვისგანაც დარჩა: ერთი ბარათი, ორი სიტყვა, სამი წერტილი...
მე დავემსგავსე: კაცს, რომელიც ომში დაკარგეს.

ანდა, რა გახდა ერთი ფოტო ომამდე, ომშიც...
რომ მეც მენახა, რა მსგავსებას ხედავდა ასეთს ბებიაჩემი,
რომ ერთდროულად ეძახოდა ღმერთს და დიანოზს...

რას უშველიდა ან ერთი და ანდა მეორე.
ერთი ამ დრომდე არ იციან, არის თუ არა,
მეორე კი არსად არ არის –
ასე არსადმყოფს, უსაფლავო კაცს დამამსგავსეს...

* * *

ეს ბესიკი, ხარანაული,
რაღაცით ჩიტს ჰგავს:
შემოჯდება შენს ლობეზე და
თან არის, თან – არ არის.

გახედავ – კაცია და
სანამ მუხლებზე კაბას ჩამოიწევ,
გულისპირზე ხელს შეივლებ,
სადღაა –

ფრთების სწორებით და
ჩიჩახვზე ნისკარტის წმენდით გართული
ჩიტი ზის ლობეზე.

განბილებული მოისვამ ხელებს თეძოებზე,
მხრებზე – მოისინჯავ, ხომ ყველაფერი ადგილზე გაქვს,
იმ ჩიტკაცამ ხელს რაიმე ხომ არ გააყოლა. ...

გაიხედავ და ისევ კაცია..
გამოიხედავ და ისევ – ჩიტი...

ამასობაში შეიძლება ჩამოღამდეს,
თუ რამე არ იღონე,
თუ ხელი ჯოხს არ წამოავლე და
გამწარებულ-გაწბილებულმა, არ მოუქნიე...

მთავარია, ხელი არ მოგიხვდეს,
თორემ იმ ხელით ცოდს ველარ მოზელ:
გაშლილ ხელისგულზე მეტაფორები ამოგივა,
როგორც – საფლავზე მრავალძარღვები,
და იმ სიცოცხლეზე ცეცხლივით მოგედება,
რომელიც თან არის, თან – არ არის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქალის სიკვდილი

დაკრძალვა კვირას.
როგორც ახალშობილის შინ მოყვანისას –
ქვეყნის რამეა მოსასწრები.
ბავშვისთვის ცხრა თვე აქვთ,
ამისთვის – ორი კვირა, ისიც – რეანიმაციის კართან.
ხელმოწერა დოკუმენტებზე. პრეტენზია ხომ არ გაქვთ?
თქვენთან არა, პრეტენზია – ღმერთთან.
ღმერთი, ეტყობა, ამ დროს სამხრობს.
„ყვავილები არ დამანახოთ – პომადები მომიტანეთ, წითელი."
სიცოცხლეში მასხრადაგდებული, დღეს უკვე – ანდერძი.
ყველაფერი გვარდება. კაცები აგვარებენ.
კაცები მარჯვეები არიან სიკვდილის საქმეებში.
ქალებმა მარტო ტირილი და ჩაცმა იციან.
პრობლემა აქვთ ქალებს:
არ შეიძლება, მკვდარს სხვისი ტანსაცმელი ჩააცვა.
ამას კიდევ ყველაფერი შვილის ნაქონი აქვს, და შვილიშვილის.
შვილი შორსაა – სხვა ახალ სამშობლოში,
სადაც ნათესავები კი არა, ბიუროები კრძალავენ;
შვილებს მხოლოდ დასწრება ევალებათ, ისიც – თუ შეძლეს.
რძალი ამბობს: მე ვუყიდი კაბებს.
ახალი ჩავაცვათ, იქაც გავატანოთ რამდენიმე.
მაღაზიაში: მოგიხდებათ, ქალბატონო.
არა, ჩემთვის არ მინდა, სხვისთვის მინდა;
ეგ არ მოეწონებოდა.
ეს ნახეთ. არც ეს – არ უყვარდა ფირუზისფერი;
შავ-თეთრი უყვარდა – შავ-თეთრად იცხოვრა თვითონაც.
ბოდიში, ვერ გავიგე.
მოეწონებოდა, ეს ნამდვილად მოეწონებოდა – ამბობს ყველა.
თვითონ სურათიდან იყურება – რძლებს დასცინის;
რომ მიმასვენებდნენ, თქვენ მაინც გაჯობებთო – გუნებაში ფიქრობს.
რძლები ამბობენ: გვაჯობაო,
მართლა გვაჯობა და ფეხისწვერებზე გვატრიალებსო.
ახლა ის გოგოა საჭირო – გუშინ რომ გამოჰყვა პროზექტურიდან,
მკვდრების ჩამცმელ-დამხურავი გოგო;
მარჯვედ უდებს ხელებს მხრებში –
ასწიე, ქალო, ხელები – უბრძანებს –
ასწიე, ჩემი ჭკვიანი გოგო.
ახლა ფეხზე – არ გამიგია მე მკვდარზე ამხელა ქუსლიანი! – ბრაზობს.
იცით, მაღლები უყვარდა ძალიან.
იქ ყველა დაბლებზე დადის, ქალბატონო!
გოგო ჯმუხია და დაბალი, დაბლებზე აცვია.
მეორე დღეს ისევ იბარებენ მკვდრების გოგოს.
გუშინ ხომ ჩაეაცვი?! – კითხულობს გაოცებულ-გაბრაზებული;
დაცხა და გავხადეთ – უხსნის ძმისშვილი;
იცინიან. ყველა იცინის.
სიკვდილი აგერაა და მაინც იცინიან.
ასეც იცის სიკვდილმა –
ისეთ დროს გაგაცინებს, გული რომ გაქვს გასკდომაზე
და გადაგარჩენს,
იმიტომ, რომ დღეს შენ არ უნდიხარ –
დღეს შენზე ლამაზი, კარგადშენახული ქალი უნევს გვერდით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ლელა სამნიაშვილი

### ავირეკლოთ

როგორც ფუტკარი თაფლის კეთებაში
და ჩიტები – ფრენის ტრაექტორიაში, –
ჯვარცმაში დახელოვნებული იბადება ადამიანი.
გვაჭედებენ. და ჩვენც ვაჭედებთ.
ამიტომაც ვიცანით ქრისტე.
მხოლოდ მაშინ, როცა ჯვარცმის უფლება მოგვცა
და გახდა ერთი ჩვენთაგანი
და გადაფარა ყველა ღმერთი, ვისი სხეულიც
შეუვალი იყო ჩვენი ლურსმნებისათვის.
და უფლება – ჩვენი სულების განკითხვისა –
ტანჯვით გამოისყიდა.
სამართალი ითხოვდა ამას.
და ჯოჯოხეთის ცეცხლმა შთანთქა ძველი ჰადესი.
და ვაღიარეთ –
ტკივილი არის უზენაესი –
შიმშილიდან ამოზრდილი,
დატოტვილი, გადაჯაჭვული ყველა ნერვულ დაბოლოებას.
სამყაროში მისი ძალით დავბორიალობთ
და შიმშილის სახელით ვკლავთ ყველაფერ ცოცხალს
და არცერთი მოძღვარი არ განიკითხავს
მშიერს, რომელმაც
ბოცვერს გამოჭრა თბილი ყელი.
და არც მაძღარს.
და ეხვევით უკვდავ კულინარიას.
და ეყრება სააღდგომო ბატკანს მარილი –
გემოვნებით, რომ კურთხეული კრისტალები
დაადნეს ყველა ჭრილობას.
გემოს ძალამ დახვეწა იარაღი და ფანტაზია.
თუმცა მდიდრული რესტორანი
და ღარიბული სამზარეულო –
ერთჯერადი კერძისათვის ირჯება დღემდე.
ყველა მშიერი იმსახურებს,
ღირსეულად დანაყრდეს,
ბოლო სამსჯავროზე ვიდრე წარსდგება.
ესეც ჯვარცმისთვის მზადებაა.
თუმცა მაინც დგება ის დრო,
რაღაც უცნობი ინერციით
სხვისი შიმშილი რომ ხდება ჩვენთვის უპირატესი.
და ბავშვებსაც ამდენი ხორცით
ვუვსებთ, ვუვსებთ კრიალა ხახებს,
რომ მომავლისკენ გადავტყორცნოთ ჯვარცმის ხელობა,
ან იქნებ, ვცდილობთ,
ასე მაინც დავივიწყოთ ჩვენი შიმშილი
და მერცხლები ავირეკლოთ –
ერთ სეზონში რომ ასწრებენ
დაბუდებას, თავგანწირვით მოძრაობას
ბარტყების ღია ნისკარტებისკენ
და გადახვეწას – უხილავი მიწებისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენი ეზოს ძაღლს, სახელის მაგიერ

ბოლო სამი წელიწადი ლეკვებს ვერ ყრიდა.
მანამდე კი ყოველ წელიწადს
აჩენდა ხუთ-ექვს მრგვალ არსებას –
სხვადასხვანაირ მეტისებს –
ზოლებს, ოქროსფერებს, ან თავის მსგავსებს –
პატარებს, შავი ტანითა და თეთრი ლაქებით.
როგორც შეგვეძლო, ვუთანაგრძნობდით,
ვაცდიდით რძით მათ გამოკვებას
და მის დედურ ინსტინქტს ვაქებდით.
მეზობლები პოულობდნენ სანდო პატრონებს –
ზოგს შორს, სოფლებში აგზავნიდნენ,
ზოგს სადმე აქვე, მეზობელი ეზოს დარაჯად.
კვებავდა, ზრდიდა, ივიწყებდა,
ეგუებოდა ბედს, აჩენდა ახლებს,
მთელ თავის დროს ანდომებდა – კართან დგომას.
გარიჟრაჟზე და საღამოსაც
გვაცილებდა, გვეგებებოდა.
ბოლოს იშვილა ლაბრადორის მსუქანი ლეკვი,
მეზობლის ბავშვებს შინ რომ ჰყავდათ
და ეზოში გამოისტუმრეს.
ლაბრადორი ახლა მასზე ბევრად დიდია,
შავი თათები დაუმძიმდა და ზლაზვნით დადის,
ის კი ბოლომდე დედასავით აგრძელებდაზრუნვას –
ცდილობდა, მანქანების გასვლისას განზე გაეყვანა.
ცივ ამინდშიც ერთ ბის სახლში იყუჟებოდნენ.
დაბერდა, მაგრამ მუქ თვალებში
უელავდა ნაკვერჩხლები ძველი სიმკვირცხლის,
განსაკუთრებით, როცა ეზოს ბავშვებს ხედავდა.
მხიარულად ტრიალებდა მათ ფეხებთან,
ვერც კი იტყოდი, რა ერჩივნა – ხორციანი წვნიანის ძვალი
თუ რამდენიმე წუთით თამაში.
და რამდენჯერ მიფიქრია,
რომ ჩვენი ეზოს პატარა ძაღლი
ერთადერთი არსება იყო,
ვისაც სჯეროდა, რომ კეთილია სამყარო და ადამიანი,
თუმცა დღეებიც, ნაბიჯებიც
ლეკვებივით ცვიოდა ეზოს
და მათი კვალი კარის მიღმა იკარგებოდა.
თავისებურად იქნებ იყო კიდეც სრულქმნილი –
მისი ძაღლური ცხოვრება,
სრული, თოთხმეტი თუ თხუთმეტი წელი,
ხმებითა და სალაფავით სავსე,
ეზოში, რომელსაც აქვს მსხმოიარე ვაშლის ხე,
ლურჯი ზამბახები და სახლები, რომლებშიც შუქი
ქრება, ინთება. და ცხოვრობდა ისიც –
ამდენი ძილის დარაჯად.
დანარჩენი იქნებ თვითონ გამოიგონეთ.
ეს გვიანი მადლიერებაც –
ამ ჩვეულებრივ, წვიმიან ღამეს –
მჩატე სხეული რომ აკლია და არც აკლია.
და ეს გვიანი სინანული – სახელის ძებნა,
რომელიც მისთვის არასოდეს დაგვირქმევია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

რა რჯის ნარინჯისფერ ყვავილს –
გულად იქცეს,
შეირიოს ალისფერი – დასამარცვლად.
ეს მარცვალი ასე როგორ გაიბევრა,
არ დანებდა,
გულივით არ გაზარმაცდა.
არც კი იცის – ქარმა დარგო თუ თითებმა.
ეჭვის მილმა –
ძალას იკრებს, გემოდ ტკბება –
ეს უთქმელი, ჯადოსნური სიჯიუტე –
სამყარო რომ ბრონეულით გამოკვება.

* * *

დაპატიჟე თავი შენი – მარტინიზე
და სამყარო გამონახავს მარტივ მიზეზს,
რომ გემივით ატივტივოს ამ ღია ცამ –
ნათურები, პიანინო და პიაცა,
გადაფაროს ერთი ღამით – ძველი ცხადი
და წინ კიდევ – მთელი უზღვო წელიწადი.

* * *

ცხვრები და ცხვრების სულები –
გზად გაპენტილი მატყლია.
ძირს თუ სიმშვიდე გაძოვეს,
ზემოთ – ავდარიც ატყვიათ.
რასაც მიწაზე უძლებენ –
ცაში ქუფრდება სანვიმრად.
იქ – უხორცოებს, უძვლოებს
რომელი მწყემსი გასწირავთ.

## ეკოლოგიური კითხვა

და მაინც,
რითი ვჯობივართ ამ ჩიტებს,
რომლებიც ასწრებენ – ბუდესაც, ფრენასაც,
რომლების თვალმოკვრაც მძიმეებს ამჩატებს,
რომლების ორი ფრთაც – ცის ერთი ფენაა.
და მაინც,
რითი ვჯობივართ უჯიშო
ძაღლებს – წანწალისგან გული რომ არასდროს
ეღლებათ. თუ ღრენენ, ცა მაინც – ლურჯი ჩანს,
თუნდ ბნელი – ღამის ცა, რომელიც არ გვახსოვს
ფხიზლებს. ისინი კი მთვარისკენ ყმუიან –
ჩვენს ცხადს დარაჯობენ.
ან რითი ვჯობივართ
წვრილ თევზებს, რომლებიც ლუზების ღრმულებში
გზებს ჭრიან, ზვიგენებს – თევზების ჯოგიდან
ფარფლს რომ არ ტოვებენ.
კბილების ალმასი
ალბათ პირანიებს აქვთ ჩვენზე ქათქათა.
და მაინც, რითი ვჯობივართ ავაზებს,
აფთრებს, რეპტილიებს, ან თუნდაც საქათმის
ბინადრებს, ან მწერებს – თავთავებს რომ წევენ
ზურგებით, ან ფუტკრებს – წვენი რომ იგემეს –
ყვავილის.
ეს ყავის სმა, თრობა, მოწევა,
ეს სისხლი –
რითია – სამყაროს გვირგვინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# წმინდანის მახე

*ალეკო შუღლაძე*

1

წლინახევრის იყო, მეზობელმა რომ შეაშინა. დედამისს ჰგავდა სახით ძალიან და მოდი, პატარავ, უნდა მოგეფეროო, ბავშვი ხელში აიყვანა, შეათამაშა. ქალის სახეს მიშტერებული დანიელი ტირილისგან მალევე ჩაბჟირდა, დედა ვინც ეგონა, სხვა აღმოჩნდა. არადა ხმაც თითქოს მისი ჰქონდა. ურთიერთსაპირისპირო გრძნობების ერთდროულ არსებობას დიდები გამოჰყავს წონასწორობიდან და ჩვილს რას დამართებდა?

ხუთი წლის ასაკში, მშობლებთან ერთად ბორჯომში როცა ისვენებდა, უფრო დიდი შიშის ზარი დაეცა. ერთმა მატრაკვეცამ თეატრალური წარმოდგენის დადგმა გადაწყვიტა და სხვა დამსვენებლები აიყოლია. არავინ აღმოჩნდა ისეთი, შემოქმედებით წვაში მყოფისთვის რომ ეკითხა:

„– რა გინდა, ამხანაგო? რა სანდრო ახმეტელობა აგიტყდა? ვინ ხარ, სტანისლავსკი ხარ? რომელი სპექტაკლის გათამაშებას აპირებ? რად გაითეთრე მთელი სახე? ავ სულს ითავისებ „ტყის მეფიდან“? იქნებ ჰამლეტის მამობა გსურს რომელიმე უნიჭო დადგმიდან, ანდა სულაც სიკვდილის როლს ირგებ „მეშვიდე ბეჭდიდან“? ამასაც არ კმარობ, თეთრ ზეწარში ეხვევი და რეპეტიციებს შორის, ხუთი წლის ბიჭუნას სანატორიუმის დერეფანში უხტები წინ, გაშლილი ხელებით, ბარბაცით და შამანური ზმუილით. ბავშვი ვერ ასწრებს შენს ხელში ანთებული სიგარეტის დანახვას და ნესტოებიდან გამოსულ კვამლსაც დემონურ იარაღად აღიქვამს, – ამიტომაც ქვავდება შეშინებული ასე საცოდავად."

ამ ამბის მერე პატარა დანიელი თვეზე მეტი ვერ ლაპარაკობდა, დიდი-დიდი, ბლუკუნებდა და პატარა ხმაურზეც თვალებს ხუჭავდა ისე, რომ კარგა ხანი აღარ ახელდა. საფრთხისას თვალების დახუჭვა – გარე სამყაროს მყისიერი მოკვეთისა და საკუთარ შიდა სამყაროში ჩაბრუნების მცდელობა, ანუ ხსნის იმიტაცია, – ის ინფანტილური ქმედებაა, რომელიც ადამიანებს ჭეშმარიტი სახით წარმოაჩენს, თვალსაჩინოს ხდის მათ უპირობო მოწყვლადობას და ზოგში სიბრალულს ბადებს და ზოგში ულმობელობას თვალდახუჭულისადმი.

ჰო, სიტყვების ამოთქმა უჭირდა, მაგრამ ერთხელ გულიანად იცინა. ღამის ქოთანზე იჯდა საძინებელში, სოფელში, შეღებულ კარსუკან, და ყაყას შვრებოდა, როცა იმ მეზობელმა გოგომ შემოიჭყიტა, დანიელს რომ მოსწონდა. ორი წლით უფროსი კუდრაჭა ღამის ქოთანზე მჯდომს ზემოდან დააცქერდა, კარგად დააკვირდა და მერე კისკისით გაკურცხლა. ბავშვი ქოთანზე დარჩა. აღარ დგებოდა, სანამ დედამ არ მოაკითხა. ახლა აქ ვინ შემოირბინა, ნინო იყოო, ჰკითხა დედამ. ჰო, ჰოოოო, უპასუხა დანიელმა. დედა მიუხვდა გულისტკივილს და უთხრა: მერე ვერ ადექი, ვერ უთხარი, მე მოვრჩი, ახლა შენი ჯერია, დაჯექი და ქენიო. ბიჭუნას ჯერ გაეღიმა, მერე სიცილი აუვარდა – დიდხანს კისკისებდა გოგოსავით. ქალური მაღალი ტემბრი მას მთელი ცხოვრება დაჰყვება, მის ხმას თუ ერთხელ მოისმენ, გონებაში ჩაგიჯდება და არავისში აგერევა. საღამოობით დედა დამამშვიდებელ ნაყენს ასმევდა ხოლმე.

ბავშვობისდროინდელ სისუსტეებს ადამიანი ადვილად პატიობ საკუთარ თავს. შემდეგ კი ყველაფერი გაცილებით რთულდება. დიდობაში ლაჩრის დამღის მოშორება ცნობიერების შეცვლით ხერხდება: ან შურისძიების სისხლში უნდა განიბანო, ანდა წმინდანის შარავანდედი დაიდგა. თავის მხრივ, ერთმანეთისგან პოლარულად განსხვავებული ეს ორი პროცესი ვერ იტანს სიყალბეს და დაუსრულებლობას.

ვერშემდგარი წმინდანი, რომელიც მოულოდნელად მიწიერ ვნებას შეუპყრია – სიბრალულს ბადებს. მაგრამ სასტიკი უარისა და იმედგაცრუების შემთხვევაში შეიძლება შურისმაძიებლად იქცეს. მაშინ, როცა მუხლმოდრეკილი მსხვერპლის შეცოდება შურისმაძიებელს წმინდანად ნათლავს. გახსოვდეთ, ორივე შემთხვევაში, ახალ, უფრო რთულ მახეში გაბმის საშიშროება არსებობს.

სილაჩრიდან თავის დაძვრენის პროცესში სხვისი სისუსტე და გასაჭირი მალამოსავით გვედება და მდგომარეობას გვიმსუბუქებს. დანიელისთვის ასეთი მალამო ბილსა და კედელს შორის გაჭედილი ლეო იყო. ო, როგორ საშინლად გაიჭედა ლეო... დანიელი ვერ ივიწყებდა მის დაკლაკნილ სხეულს, მის მიმიკას, მის დორბლს... მილსა და ლეოზე ოდნავ ქვემოთ.

დანიელი იმხანად მცხეთასთან ცხოვრობდა და სკოლაში მისასვლელად ტყის გავლა უწევდა. ისინი სწორედ სიღრმეში, პატარა ბილიკთან დაუხვდნენ და შეაშინეს. თექვსმეტი წლისამ ეს ხიფათი სხვაგვარად აღიქვა, არა ისე, როგორც მაშინ, დეროფანში, თეთრსახას წინ. ეს გაცნობიერებული შიში იყო, ეს იყო სიმხდალე. თუ გაიქცეოდა – დაეწეოდნენ. შეიძლება, ვერ დაეწეოდნენ, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ დაეწეოდნენ და ამგვარად, საკუთარი მცდარი დასკვნების მახეში გაბმულს რაღა დარჩენოდა: გაშეშება, მინაში ჩარჭობა, ხელის ვერ ანევა, სახეზე ვერ მოსმა, ლაპარაკის უნარის ნამებში დაკარგვა, მეგობრის, გუჯას შეგონების ვერგახსენება:

„– ეგრე ნუ შეშდები, დანიელ! გაბრაზდი, გაცოფდი, არმატურა აიღე, თავი მოიგიჟიანე! არა, კი არ მოიგიჟიანო, მართლა გააფრინე! გესმის?! გააფრინე, დაიღრიალე! დაიღრიალე და თუ არ შეგეშვებიან, დასცხე ყველაზე ახლო მდგომს, იმ ძაღლიშვილს! აი, ასე! აი, ასე!“

სამიდან ორს იცნობდა, მისი სკოლელები იყვნენ, ერთი წლით უფროსები: ჯანაშია, ზიბზიბაძე. ხურდა ფული სულ წაართვეს. ეგ კიდევ არაფერი, დაინახეს, რომ კანკალებდა... და მეტი რა უნდოდათ, მადა იქვე გაეხსნათ: ჯანაშიამ ხელი ყურში წაავლო, საშინლად მოუგრიხა, ქვემოთკენ დაქაჩა და სანამ საკუთარი ფეხსაცმელი არ დაალორბლინა, მანამდე არ შეეშვა.

არ დაფრთხეთ, ჩვენი თხრობის მიზანი სასასტიკის ნატურალისტური ჩვენება არ არის. ეს უბრალოდ სტრუქტურაა, რომელსაც მკითხველმა უნდა მისდიოს და რადგან კაცობრიობა ამ საკითხში დიდი გამოცდილების მატარებელია, რამდენიმე სიტყვა-მინიშნებაც საკმარისია, რომ ადამიანმა ყველაფერი თვალნათლივ წარმოიდგინოს და გონებაში, პარალელურ რეჟიმში, გულის სიღრმეში საიუთად შენახული საკუთარი ჩაგვრის ვერმონელებული დეტალების პროექცირება მოახდინოს.

იმ დღიდან დანიელს საყრდენი გამოეცალა. ქვეცნობიერში ყოველთვის გრძნობდა, რომ ასეთი რამ ადრე თუ გვიან მოხდებოდა, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, უეჭველი ჩაგრულთა რიგებში აღმოჩნდებოდა. არც საქმის გამრჩევი ძმაკაცები ჰყავდა და არც ნაცრიხარი ბიძები. ჩაგვრისგან თავი რომ დაეღწია, სკოლაში არ უნდა ევლო, ეზოში არ უნდა ჩასულიყო, გარეთ ცხვირი არ უნდა გაეყო და ეს ან იხსნიდა კიდევ და ან არა.

დიადი მიზნები არ ჰქონია, მაგრამ თექვსმეტი წლის ყმაწვილკაცს პატარა ოცნებები, გეგმები და სურვილები, ყველაფერი ნისლად ექცა, უაზრობად. უკიდურესად საჭირო დროს სილაჩრის გამო ვერგამომუშავებული ძალისხმევა ყველა სხვა საქმეში ჩასადებ ძალას ფარავდა, აბუნდოვანებდა, ამუხრუჭებდა. ადამიანებს ისედაც ეშინოდა, ახლა უკვე ტყისკენაც ვეღარ იყურებოდა, სიღრმეში მიმავალ იმ ბილიკზე ფეხს აღარასოდეს დადგამდა. დღის ის მონაკვეთიც კი შესძულდა, სამჭა არაკაცმა როცა დაჩაგრა – დილა იყო.

როგორი სიმშვიდე და ჰარმონია მოაქვს განთიადს დედამიწაზე. კაცობრიობა კი სწორედ ამ ნატიფი დროის შერყვნას ცდილობს მუდამ: ადამიანის სიკვდილით დასჯას ყოველთვის გარიჟრაჟს ამთხვევს.

ჯანაშიას საქციელსაც, სხვა ყველაფერთან ერთად, ალიონის სიძულვილიც ედო საფუძვლად. ღამით ჩადენილი სიავე ბოროტმოქმედების სტანდარტულ ვერსიას ეკუთვნის. აი, დილით განხორციელებული უკეთურება კი სიბოროტის უმაღლესი ლიგიდანაა. მას განსაკუთრებული უნარ-ჩვევები სჭირდება. გარე დამკვირვებლისთვის ერთი შეხედვით რთულია, მოზარდის ქმედებაში ავისმნდომელობა აღმოაჩინოს. თუ მძინარე ჯანაშიას დააკვირდებით, გაცილებით მამა აბრამის ბატკნად მოგვეჩვენება, ვიდრე დანიელი. ეს უკანასკნელი ძილში ბორგავს, კბილებს აღრჭიალებს და ცუდ სიტყვებს გაიძახის. ჯანაშია იღვიძებს, სიგარეტს უკიდებს, საუზმობს, დედას ლოყაზე კოცნის და დილის რვისთვის საყაჩაღოდ გადის. მან არ იცის, რომ ვუთვალთვალებთ, მაგრამ შარვალში დანის ჩადებას ისე ახერხებს, – ამას ვერ ვამჩნევთ. და მომავალშიც, რომელიმე ჩხუბისას, სწორედ ამ დანას ისე სხარტად და დაფარულად გამოიყენებს, ვერაფერს დავინახავთ, ვერც ჩვენ, ვერც ზარძაყში დაჭრილი მსხვერპლი და, მითუმეტეს, ვერც მოსყიდული პოლიციელი.

ჯანაშია დანიელში მზის ამოსვლის მაგიას ბილწავს. მის სამყაროს აფურთხებს და ბიჭის ცნობიერებიდან დილის მშვენიერებას შლის. ეს მისი ტყეა. აქ ბატონობს. ულმობელია, შეუვალია, ხვეწნა-მუდარას ყურს არ უგდებს.

იმ დღეს დანიელმა სკოლამდე ვეღარ მიაღწია, შინ დაბრუნდა. ვერც მეორე დღეს გაბედა სახლიდან გასვლა. მშობლებმა დატუქსეს, ყალთაბანდობას მოეშვი და ისწავლეო. რატომ, რატომ ვისწავლოო?! – წამოიყვირა დანიელმა. კაცი რომ გამოხვიდეო. კაცობაში რას გულისხმობთ, ინჟინრობასო? მამას ეწყინა და გაებუტა. ანუ დაჩაგრულს, ყურახეულს და ფეხსაცმლისმლოკველს იმავდროულად მამაც გაებუტა. სულ მოიშალა.

აი, სწორედ მაშინ გაიჭედა ლეო. ეს მცხეთაში, გუჯა სადაც ცხოვრობდა, იმ კორპუს-

ში მოხდა. სადარბაზოს შესასვლელთან სილა ეყარა. ბიჭები მეორე სართულის ფანჯრიდან სადარბაზოს სახურავზე გადადიოდნენ და იქიდან სილაში ხტებოდნენ. ალბათ დღევანდელი ახალგაზრდობა ამ გართობით არ დაინტერესდება, ჰა-ჰა, შესაძლოა ერთხელ ან ორჯერ გადმოხტნენ და მორჩა. მაშინ კი ტელევიზიაში მხოლოდ სამი არხი იყო, – არანაირი კომპიუტერი, არავითარი მობილური და ამიტომ გადმოხტომებს ბოლო არ უჩანდა. ემხში შესულებს ლეოც შეუერთდა. ის შეძლებული ოჯახიდან იყო და ბიჭები მას „ბურჟუას" ეძახდნენ. პუტკუნა ლეო კორპუსის შიგნით ჯერ ფანჯრის რაფაზე აძვრა, მერე კი იქიდან სადარბაზოს შესასვლელის სახურავზე გადმოცურდა-ჩამოხტა და კიდესთან მივიდა. ჰო, ქვემოდან იოლი ჩანდა, მაგრამ ზემოთ ბურჟუას სულ სხვა სურათი დახვდა. რომ არ ეგონა, ისეთ სიმაღლეზე აღმოჩნდა. რამდენჯერაც გადმოხტომა დააპირა, იმდენჯერ ვერ შეძლო. ქვემოდან ჯერ დასცინეს, მერე კეთილები აგინეს, მერე ისევ დასცინეს და საშინელი სტვენა ატეხეს. გუჯამ დაუყვირა, მიდი, უკან ადიო. ლეოს სირცხვილისგან თავი ეჭრებოდა. ხელის მკვრელიც არავინ იყო. ყოყმანის და წვალების მერე განათლებული ლეო უკან მიტრიალდა და ფანჯრის რაფაზე აძრომა სცადა... ძალები არ ეყო და ვერ აიწია. ხელს გაზის მილიც უშლიდა, კედელს რომელიც გასდევდა და ზომაზე მეტად იყო გამოწეული. ლეომ გადაწყვიტა მილსა და კედელს შორის გამძვრალიყო და შემდეგ უფრო ადვილად აწეულიყო. ჰოდა, სწორედ იქ გაიჭედა. თავი და მხრები გააძვრინა, მაგრამ მუცელმა შეაკავა. ძალა დაატანა, ცოტათი აიწია და უფრო გაიჭედა. უკან ჩაცურება და გამოძრომა სცადა და საბოლოოდ გაეკვეხა. ბიჭებისკენ ზურგით მყოფი ბურჟუა მილსა და კედელს შორის უცნაურად იკლაკნებოდა და ქოშინებდა. ჩვეულებრივი პანიკა დაეწყო.

ატყდა სიცილი და მერე რა სიცილი, ფერდები ხელით ეჭირათ, ზოგი ქვიშაში გორაობდა. ლეო კი ატირდა. გუჯამ აირბინა, ფანჯრიდან გადმოეყუდა და ხელი მიაწოდა, მაგრამ როგორ აქაჩავდა? ამიტომ ჩახტა და ახლა ქვემოდან სცადა, მისწოლოდა და ეს უკვე კომედია იყო. ალბათ დანიელსაც გაეცინებოდა, ჯანაშია რომ არ ხსომებოდა ბოლო დღეები უწყვეტად. იქ ისეთი საცოდაობა ტრიალებდა, დანიელმა იფიქრა, ამ სანახაობას არ მოაკლდება, წესით საიდანღაც უნდა გამოჩნდესო და მიიხედ-მოიხედა. არა, ჯანაშია არ მოსულა, აქ რატომ უნდა მოსულიყო? დანიელის გაზვიადებული ფანტაზიის ნაყოფი იყო. ლეომ მის გარეშეც კარგად ჩაიჭედა, ოღონდ მართლა ჩაიჭედა, გუჯა იყო მოწმე. მერე კაცები მოვიდნენ და იმათმა ჩამოხსნეს.

ბურჟუა ეზოში აღარ ჩადიოდა. მალე ოჯახთან ერთად სხვა სახლში გადავიდა. დანიელს არასოდეს დავიწყებია ლეო. მის ჩასვრილ უკანალს არ განუცვიფრებია, ბურჟუას შეშლილმა სახემ გააოგნა, ვერაფრით ამოშალა გონებიდან მისი აჭარხლებული ოფლიანი თავი და პირში ჩამდინარე არაბავშვური ცრემლები და ჟღვლინტები.

დანიელი სახლში ვერ ჩაიკეტებოდა, ამიტომ მესამე დღეს ტყეს გვერდი აუქცია და გრძელი გზით წავიდა. დააგვიანდა. დამრიგებელმა უთხრა, ბოლო დროს ვერ გცნობო. იმ ავბედითი დღის მერე ერთმანეთს არც შეხვედრილან. მოშლილი ფსიქიკით მხოლოდ ახლა ნახა და „ბოლო დროს არ მომწონხარში" რა იგულისხმა, დანიელი ვერ მიხვდა. ბიჭმა შესაბამისი პასუხი მიუგო: „აი, დარდი, თუ არ მოგწონვარო." „ხვალ მამას მოიყვან და ორივეს ნაგრად დაგტუქსავთო" – დამრიგებელიც უცბად ნამოენთო. რა მოთმინება, რის ემპათია, მასწავლებელი სინამდვილეში თავხედი ადამიანი იყო. წინ და უკან ატარა, სასწავლო ნაწილსა და დირექტორის შორის, დერეფნებში თავზე დასჩხაოდა. ჩხავილზე რომელიღაც კლასიდან სამხედროს მასწავლებელი გამოხტა, დამრიგებელს უთხრა, ოღონდ მითხარი და ისეთს მოვადებ, გავაფრენ „ფორტოჩკაშიო". მოულოდნელად ყველას დაავიწყდა მისი კარგი მონაფეობა, თითქმის ხუთოსნობა. ბიჭს ჯანჯღარი და წივილი აღარ ადარდებდა – ამათი აღარ ეშინოდა. სიბრაზემ აიტანა, ტანით დიდი რომ ყოფილიყო და თანაც თავხედი, სამხედროს მასწავლებელს იქით მისცხებდა სახეში. დანიელი დაბალი იყო, სულ რაღაც მეტრი და სამოცი. თანაც აქამდე არავისთვის გაურტყამს, არ იცოდა, ეს როგორ კეთდებოდა. მოკლედ, მეორე დღეს მამა მიიყვანა – ცალკე ახლა ის გაჯორეს. სახლში რომ ბრუნდებოდნენ, მამამ უთხრა, ქიმიის მასწავლებელმა რაღაც მითხრაო. რაო? – დაინტერესდა დანიელი. რაო და შენზე თქვა, იმ დღეს წითელი თვალები ჰქონდა და ხომ არ იჩხირავსო?

კლასში ერთი კაიფობდა, – გაბარაევი. გარედან ჩანთაზე დიდი შპრიცი ეხატა, შიგნით კი საერთოდ ვერაფერს იპოვიდი, ყოველთვის ცარიელი დაჰქონდა. დანიელს ჩანთაში ექვსი წიგნი ედო. გაბარაევმა იცოდა, რამდენი იყო ორჯერ ორი, მაგრამ სამჯერ სამი – უკვე აღარ. მიუხედავად ამისა, ამირან გაბარაევმა სკოლიდან წითელი დიპლომი გაიტანა, საკონსერვო ქარხანაში დირექტორის მოადგილედ იმუშავა 3 წელი, სანამ კლიენტი არ დაჭრა მუცელში დანით – 5 წელი მიარჭეს.

მთელი შემდეგი კვირა დანიელმა შემოვლითი გზით იარა, დიდხანს უნდებოდა, ტყის ბილიკთან შედარებით ეს გზა გაცილებით გრძელი იყო. სახლიდან ადრე უნევდა გასვლა და ახლა უკვე აღარ აგვიანებდა. ცოტათი დამშვიდდა, თავი ხელში აიყვანა. შემდეგ გრძელი გზით სიარული მობეზრდა. ორშაბათს ისევ მოკლეთი წავიდა... და კვლავ ჯანაშიას და ზიბზიბაძეს შეეჩეხა. ეწეოდნენ. მესამეც იყო, ოღონდ მაშინ რომ იყო, ის არა, ახალი მესამე.

ძველი შიში გაცოცხლდა, დანიელი ეგრევე უკან მიბრუნდა, მაგრამ დაუძახეს, შეაჩერეს. ზიბზიბაძემ ნამწვი ესროლა. დანიელმა სადილის ფული თავისი ხელით მისცა და სთხოვა, გამიშვით, სკოლაში მაგვიანდებაო. ჯანაშიამ უთხრა, ხვალ დილით

5 მანეთს მოიტანო. მაგდენი არა მაქვსო, უპასუხა დანიელმა. ხვალ 5 მანეთს მოიტანო. ვერა, არა მაქვსო... და სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, შუბლში ჯანაშიას მწარე სილა მოხვდა.

ზიბზიბაძემ ჰკითხა, ჰა, პირში ხომ არ აიღებდიო? დანიელს გული შეეკუმშა, სექსუალური აქტის ამ ფორმის უბრალოდ გაგონებაზეც კი რაღაც უცნაური ემართებოდა. ცამეტის იქნებოდა, როცა კობასგან პირველად მოისმინა, ქალს რამდენი კაცი ჟიმავდა.

– ქალს ერთდროულად სამი კაცი ჟიმავს: ერთი წინიდან, ერთი უკნიდან და ერთიც პირში აძლევს.

დანიელი გაოგნდა, ვერ წარმოედგინა, მამაკაცს თავისი სასქესო ორგანოს ქალის პირში ჩადება თუ შეეძლო. შემდეგ, როცა წამოიზარდა, აქტი თეორიულად გაითავისა და ახლა უკვე ძალიან საოცნებო ქმედებად ექცა. როცა მასტურბირებდა, ძირითადად ამ პოზას წარმოიდგენდა ხოლმე. პორნოსურათები დიდი იშვიათობა იყო, თუმცა ერთი შავ-თეთრი ფოტო ხელში როგორღაც მაინც ჩაიგდო: თვალმინაბულ ქალს პირში პენისი ედო. რამდენიმე წლის მერე კი ფროიდთან ამოიკითხა, პენისის წუწნა ბავშვობიდან მომავალი ქმედების, ძუძუს წოვის გაგრძელებააო. დანიელმა დაიჯერა და კომპლექსიც მოეხსნა.

მაშინ კი ტყეში დაბნეულმა, მორიდებული პასუხი გასცა: „არა, თავს შევიკავებდიო." რას იზამდიო? – ჩაეკითხნენ. თავს შევიკავებდიო. ჯანაშია, ზიბზიბაძე და მესამე ახარხარდნენ და თან გაიძახოდნენ, ეს რა სირი ჰყავს გამჩენსო. ჯანაშიამ უთხრა, კარგი, წადი-წადი და ხვალ დილით აქ გელოდებითო.

მეორე დილით 5 მანეთი მიუტანა, მას მერე კიდევ 30. არ იკმარეს, ერთი წელი ტანჯავდნენ. ახლა სკოლაშიც აკითხავდნენ. შესვენების დროს, გაკვეთილების მერე. სადამდე უნდა გაგრძელებულიყო ასე?

ჩვეულებრივი ჩაგვრა იყო. მაგრამ თქვენ არ განიცადოთ, დანიელი თავს დააღწევს წნეხს, იმაზე უფრო ნატიფად, ვიდრე წარმოგვიდგენია. ხალხის სურვილით კი ლეგენდის სასტიკ ფინალს ვიხილავთ. ცოტაც მოითმინეთ, მისდიეთ შურისძიების სქემას, იხილეთ ადამიანის ტრანსფორმაცია და კმაყოფილნი დარჩებით.

როცა ჯანაშია სხვა სკოლაში გადავიდა, დანიელმა იფიქრა, დასრულდა, გადავრჩიო. მაგრამ – არა. დარჩა ნაშთი, მტანჯველი კვალი, აზრები, მოულოდნელად რომ ეწვეოდნენ და ადგილზე ყინავდნენ. დარჩა განმეორებადობის შიში, და ეს უხილავი უკუკავშირი უკეთურობას ხელახლა იზიდავდა, უკვე ჩავლილ საფრთხეს უკან აბრუნებდა – იმავე, ანდა სახეცვლილი ფორმით.

ჯანაშია წავიდა, მაგრამ დანიელის სიახლოვეს თავისი მეგობარი, ლელაძე დატოვა. შეურაცხყოფებმა განსხვავებული სახე მიიღო, ლელაძე ზესტაფონელი იყო და ჩაგვრის პერიფერიულ, სწორხაზოვან მეთოდებს იყენებდა. ნუ ჩავუღრმავდებით დეტალებს, ნუ გავქექავთ რაღაც ამაზრზენს.

ამასობაში წლები გავიდა, დანიელმა სკოლა დაამთავრა, საინჟინროზე ჩააბარა, ელექტრომექანიკოს-ელექტრიკოსი გამოვიდა, დიპლომი აიღო, მამა კვლავ შეურიგდა. გონება კი ვერაფრით დაიუნჯა. ელექტრიკოსი იყო და ძაბვასა და დენში საერთოდ ვერ ერკვეოდა, ახსოვდა, რომ ამ ორი სიდიდის შეფარდება წინაღობას ქმნიდა. წინაღობა და წვალება იყო როგორც გარე სამყაროში, ისე მის ცნობიერებაში. აბა, დაუკვირდით: დანიელი სწა[illegible]დაც არაფერი ესაქმებოდა, არ [illegible]ბული; შეყვარებული კი არა, ქალიც არ ჰყავდა და ამიტომ 22 წლის კაცი ისევ მასტურბირებდა; ჩაგრავდა ვიღაც ზესტაფონელი. თუ სადმე ერთმანეთს გადააწყდებოდნენ, ლელაძე ეგრევე ამ ფრაზას ჩასძახოდა სახეში: „ჰა, გინდა რამე, შენ გეკითხები, გინდა რამე?!" დანიელი არ იყო ნამყოფი არსად, მხოლოდ ბაქოში. როგორც იქნა გადადგა ნაბიჯი, პროფესიის შეცვლა გადაწყვიტა, სარეჟისოროზე მივიდა, თემა დაწერა და გასაუბრებაზე კომპოზიცია დაუკრეს, რომელიც ვერ გამოიცნო. მერე ნახატი აჩვენეს და ვერც ავტორი გამოიცნო. ადგა და მოსკოვში გადაფრინდა. იქ, „ვგიკში" ნახა ცოცხალი რიაზანოვი, მენშოვი და ხუციევი. რუსული მაშინ კარგად არ იცოდა და იქაც ჩაჭრეს. უკან გადმოფრინდა და მეორე დღესვე შეეჩხა ლელაძეს.

– ჰა, გინდა რამე?! გინდა რამე, შენ გეკითხები?

მისით მხოლოდ მშობლები ამაყობდნენ. მამამ იმდენი აქო, სანამ ნათესავმა ქალმა სახლში დენის გაყვანა არ სთხოვა. მამა-შვილი ერთად მივიდნენ, კედლები დათხარეს, მავთულები ჩასვეს, ზოგან ჩატენეს, მიაერთ-მოაერთეს, თაბაშირით ამოლესეს და წასვლა დააპირეს. იქნებ ჯერ შეგვემოწმებინათო, სთხოვა ნათესავმა. კარგიო, დაეთანხმნენ და ჩამრთველს დააწვნენ. დანიელმა და სხვათაშორის, მამამაც, მაშინ პირველად ნახეს, როგორ იწვოდა კედლები. დანიელი უფრო გაოცდა, ვერაფრით მიხვდა, როგორ შეიძლება აგურის კედელს ცეცხლი ეკიდოს.

თუმცა ამ ამბავს არ დაუსევდიანებია. სხვა დიდი რამ სტანჯავდა, იცოდა, რომ დამცირებული ვერაფერს შექმნიდა, ვერანაირ საქმეს ვერ წამოიწყებდა, ვერ გაიხარებდა, ლელაძე სადმე რომ გადაყროდა და ისევ დაეჩაგრა – თავს მოიკლავდა. ჰოდა, სულ მალე ჯანაშია დაბრუნდა.

## 2

ფილმში კი დანიის პრინცს ბიძამისი ჩაგრავდა. ტელევიზორში რუსული „ჰამლეტი" გადიოდა. ბოროტი ბიძის ლტოლვა დაქვრივებული დედოფლის მიმართ კარგად არ იკვეთებოდა და ქალის ღალატი დანიელს თავიდან მოუმწიფებელი ეჩვენა. დანია კი ხარობდა, დაქვრივებული დედოფალი ისევ თხოვდებოდა, მოსახლეობა სევდისა და სიხარულის შერეული გრძნობებით,

ცრემლმორეული და იმავდროულად გაღიმებული, დღესასწაულისთვის ემზადებოდა, სულ მალე პანაშვიდი ქორწილში გადაიზრდებოდა. თუმცა სიუჟეტის განვითარებასთან ერთად, დედოფლის ქარაფშუტობამ უკანა პლანზე გადაიწია – დანიელი ჰამლეტის პერსონამ მიიზიდა.

„აიღეთ ფლეიტა და დაუკარით! რატომ ვერ უკრავთ, არ შეგიძლიათ?! Aრადა, ჩემზე დაკვრა განგიზრახავთ, ვერ ელირსებით!“ – თქვა ჰამლეტმა.

„წინა ღამით მამაშენი აქ იყო, ის დაბრუნდა, უსასრულო და უკუნეთ სიბნელეში, აბჯარასხმული გამოგვეცხადა.“ – უთხრა ჰორაციომ ჰამლეტს.

„ხომ არ გაგიჟდი, რაებსა როშავ?! ცოტა მაცალე, უნდა დავწყნარდე.“

„სიცოცხლეს ვფიცავ, ჩემო პრინცო, ეს სიმართლეა.“

„აგე ისიც, ძვირფასო ჰამლეტ, მამა მოვიდა, უფრო სწორად – მისი აჩრდილი. ნიშანი მოგცა, მიდი, გაყევი.“

პიესა დანიელს წაკითხული არ ჰქონდა, არც სპექტაკლი უნახავს მანამდე. ფილმის შინაარსმა ბოლომდე ჩაითრია. ჰამლეტი მასავით მარტო დარჩა. პრინცის შერწყმა სიგიჟესთან იმდენად ორგანული იყო, რომ თავიდან დანიელს ენყინა კიდეც, ვერ დაიჯერა – ასე მარტივად როგორ გააფრინაო. რამდენიმე კადრის მერე ჰამლეტს თამაშში მიუხვდა და გაოცა განწირული ადამიანის სიმამაცემ და გონიერებამ, თავად რომ ემზადებოდა შეტევაზე გადასვლისათვის.

სწორედ სიმამაცე აკლდა დანიელს. თავად სიკვდილის კი არა, არამედ სიკვდილის მერე შეუცნობელში გადასვლის შიში სტანჯავდათ მასა და ჰამლეტს. ყოფნაც სწორედ იმიტომ არჩია არყოფნას პრინცმა.

პირველი სერიის ბოლოს ჰამლეტის არამზადა ბიძასაც კი განსაცვიფრებელი რამ წამოსცდა საკუთარ თავზე და მინიშნება მისცა დანიელს:

„ბოროტებაში განმტკიცებულებს რად ვაპატიოთ, რატომ შევუნდოთ?“

მეორე სერია დაიწყო და აჰა, კიდევ ერთი მინიშნება, ჰამლეტმა დედას მიმართა:

„სარკეს დაგიდგამ, შიგ ჩაგახედებ, შენ თავს შეიცნობ, გეფიცები, ასე იქნება.“

ჰამლეტმა მამის თხოვნა შეასრულა, შური იძია. სამართლიანობის აღდგენით იყო მეტწილად მისი ქმედება განპირობებული. აი, დედის გადარჩენა კი პრინცმა ვერ შეძლო, მოწამლულმა რაპირამ ჰამლეტს სხეული დაუსერა. ბოლოში ყველა დაიღუპა: ოფელია, ოფელიას ძმა, ოფელიას მამა, ჰამლეტის დედა, ჰამლეტის ბიძა... ჯარისკაცებმა შუბებზე დაწვენილი ჰამლეტი ფრთხილად ასწიეს და ფეხაწყობილნი ნელა დაიძრნენ, კინოკამერა ბოლომდე მიჰყვა... ფილმი დასრულდა.

გადაცემები დამთავრდა, ტელევიზორში ფერადი ზოლები გამოჩნდა. მერე ისიც გამორთეს და გულისგამაწვრილებელი სიგნალი ჩართეს... დანიელი არ ინძრეოდა, იჯდა ჩაფიქრებული, როგორც შექსპირის პერსონაჟი თავის ქალით ხელში. ამ წამს დასრულდა მისი ცხოვრების ერთი ეტაპი, ჩაიწვა კარმა ხელმოცარული, გულუბრყვილო იდიოტისა – შეუცდომელმა მეისრემ ბედისწერის ლიანდაგები სხვა მიმართულებით გადაიყვანა. ზოგი ფიქრობს, რომ წინმსწრები მიზეზი შექსპირიდან მომავალი იდეა იყო, შემდგომში დანიელის ძალისხმევით განხორციელებული. ამ საქმეში ჩახედულნი არ დაეთანხმებიან ამ მოსაზრებას, იტყვიან, რომ ტრანსფორმაციას წინ სწორედ ტანჯვის ჩამთავრებული ეტაპი და გათავისუფლებული გონება უძღვოდა.

იქნებ მაშინ, ბორჯომშიც, „ჰამლეტის მამის“ მოულოდნელი გამოჩენა დერეფანში და პატარა დანიელის შეშინება, სულაც არ იყო შემთხვევითი? იქნებ ბავშვში წინააღმდეგობის ალგორითმი ჩაიდო?

ძველი სპექტაკლი მოსაწყენი გახდა, დანიელს გულში ახალი პიესა შეუძვრა. თავიდან ეს სწორხაზოვან სურვილში გამოვლინდა – დანიელი იქით უნდა სწვდომოდა მტერს ყელში. თავად უნდა გამხდარიყო მჩაგვრელი. ხელში სწორედ ის რკინის მოგრძო ნაჭერი უნდა აეღო, გუჯას რომ ჰქონდა ბავშვობაში მისკენ გაწვდენილი. ო, როგორ მოუნდა კიდევ ერთხელ გუჯასთან საუბარი, რადგან ახლა უკვე გაუგო, როგორც იქნა, დაუჯერა. თუმცა მეგობარს ველარ დაელაპარაკებოდა: 80-იანების ბოლოს გუჯა მოკლეს ჯიხურთან, მცხეთაში, საკმაოდ ახლოს სვეტიცხოველთან. ვიღაცამ მოკლა, მკვლელი ვერ იპოვეს.

„არა, გუჯას ისტორია არ გამეორდება“, – გაიფიქრა დანიელმა, – „მე მასზე მშიშარა ვარ და ამიტომ უფრო ცბიერიც. უნდა ვიცოდე, სადამდეა ჯანაშია ჩაგვრისას შემტოპველი. რა უყვარს და როდის არის კუთილი? ჰამლეტის ბიძას სამეფოსა და ქალის ხელში ჩაგდება სურდა, მაინტერესებს, ჯანაშია როგორ ხეირობს ჩემი წვალებით? მორჩა, აღარ უნდა გავაიგივო თავი მუდმივ მსხვერპლთან, თავად უნდა ვიაზროვნო როგორც მოძალადემ, ჯანაშიას დავემსგავსო და მისი სიძულვილი გადავიგლიჯო. რისხვა ფიქრში ხელს ველარ შემიშლის“.

მოქმედების გეგმის მარტო ჩონჩხმაც კი შვება მოჰგვარა. დანიელმა განდგომა მოახერხა. მიხვდა, რომ დამკვირვებლობა შეძლო, ეს კი გადარჩენის წინაპირობა იყო.

დათრგუნულ ადამიანს ათვლის წერტილიც ილუზორული აქვს. რასაც აანალიზებს, ხსნის, გეგმავს, რომ ვარგოდეს კიდეც, ყველაფერი მაინც მარცხისთვის განწირული და უაზრო ეჩვენება – ეს ჩიხია. ამ ჩიხური წრებრუნვიდან გასვლის დრო დადგა. მართალია, ჯანაშია დანიელის ქკუის ყველა კუთხე-კუნჭულში იმალებოდა, სულ თან დასდევდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მის იქიდან გამოძევებას წინ რა აღუდგებოდა?!

უმთავრესი ამოცანა შიშის დაძლევა იყო. სწორედ ის, რაც ჰამლეტმა შეძლო. მან ხელი მოაწერა ქაღალდს, სადაც ეწერა:

„ვებნები მურისძიებაში, არარა მაფრთხობს და სიკვდილისაც არ მეშინია."

დანიელი ფეხზე წამოდგა და მზერა ტყისკენ მიაპყრო. სწორედ იმ ბილიკისკენ, სადაც ტუჩებში აფურთხეს და სიგარეტის ნამწვავები სიფულზე ჩაუქრეს. გზაზე მიმავალი სულმუდამ ველით, როგორ გამოგვიხტება ხეებიდან ვილაც ყაჩაღი. გაქცევა ნაფიქრი გვაქვს ათასჯერ, უკან დახევა ზუსტად გათვლილი, ყვირილ-წივილში ნავარჯიშები ვართ შეუდარებლად...

ის ტყეში შევა. თუმცა შევა არა როგორც მსხვერპლი, და არა როგორც სატყუარა, არამედ როგორც ავაზაკი. და ტყე, რომელიც ჯანაშიასი იყო, ახლა მისი გახდება.

თუ დანიის პრინცმა მოკავშირედ სიცრუე გაიხადა და მთელი სამეფო კარი საკუთარ შიზოფრენიაში ერთი ხელის მოსმით დააჯერა, ქართველ ინჟინერს ყაჩაღად ქცევა რატომ უნდა გასჭირვებოდა? „შეშლილი" ჰამლეტი ბოლომდე გულწრფელ ადამიანად დარჩა – ბლაგვი რაპირა შეაპარეს მონამლულის წინააღმდეგ და ერთი არ დაუნუნუნია. ჰამლეტი არ გაბოროტებულა. დანიელის სცენარი კი ბეწვის ხიდზე სიარულს ნიშნავდა, წინ და უკან, დიდხანს.

ალარ სურდა, ვინმესი შინებოდა, ახლა მისი უნდა შინებოდათ – იმ წამს უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა. ამას ხელოვნურობით და ნახევარი ძალით ვერ მიაღწევდა. როლში უნდა შესულიყო. თუმცა არა ისე ძალიან, როგორც ეს ჰამლეტის როლის შემსრულებელმა, სმოკტუნოვსკიმ გააკეთა. ამბობენ, უკან გამოსვლა გაუჭირდაო. ჯანაშიას არაკაცური თვისებების შესრუტვა ხომ საბოლოო მარცხი იქნებოდა დანიელისთვის?

დაყოვნება ალარ ღირდა და დანიელმა ცხოვრებაში უმთავრესი თამაში წამოიწყო, სახელწოდებით „სიცრუის ჩანგალი". ის მჩაგვრელად უნდა გარდაქმნილიყო. თუ აქამდე მას უსაფრდებოდნენ, ამიერიდან ის ჩაუსაფრდებოდა. საქართველო გადაჭედილი იყო ჭეშმარიტი ნაძირლებით, აბსოლუტური ავაზაკებით, რეალური მექრთამეებით, ნამდვილი უნამუსოებით... მაგრამ აი, ცრუ ავაზაკი იშვიათობა იყო. იმ მომენტისთვის ილუზორული ყაჩაღის ფენომენი საერთოდ არ იყო შესწავლილი და ამ ავანგარდულ სვლას უნდა გაემართლებინა.

ნიღაბი, იარაღი, მოქმედების სისხარტე და შინაგანი დიალოგის შეწყვეტა – ეს არის ყაჩაღის აუცილებელი აღჭურვილობა და თვისებები. პაპამისის ნაქონი სახელობითი „ნაგანის" სასხლეტისთვის დიდი-დიდი, სამჯერ გამოეკრა საჩვენებელი, მეოთხეზე თითი ელლებოდა. იმედია, საქმე ოთხ სროლამდე არ მივიდოდა. აი, დედის დაკემსილი, მაღალყელიანი წინდა კი თავზე ჩამოსაცმელად ვერ გამოდგებოდა. მეორე ცალიც დაკერებული იყო და მესამე – საერთოდ დაგლეჯილი. ახალიც იდო კარადაში, მაგრამ უხმარს ხომ არ გაუფუჭებდა, ამიტომ ნაქსოვი ქუდი ამოჭრა სამ ადგილას... ოფლი წამოუვიდა, სექტემბერი იყო. ყურების ადგილასაც ამოჭრა და შუბლზეც. გამოდის, ადამიანის სახის უმთავრესი დეტალი ცხვირი და ყურიმალი ყოფილაო, გაიფიქრა. ქუდიდან გამოშვერილ პარტყუნა ყურებს შეეძლო მისი ბოროტმოქმედული იმიჯი შეესუსტებინა, ანდა პირიქით – გაეძლიერებინა.

ჯერ კიდევ ბნელოდა, სახლიდან რომ გავიდა, გზად ავძალლიან ეზოს ჩაუარა, ცხოველიც ეგრევე გამოუხტა და ჩუ, შენიო, – დაუყვირა დანიელმა. ჯიბეში რევოლვერი, და უფრო მეტად კი მიზანმიმართულობა, ძალას მატებდა. ტყეში გაცილებით რთული მოწინააღმდეგე ელოდა, ნიშნულმა აიწია და [illegible] მგლების მგლეჯელი დიდი კავკასიური ნაგაზი დანიელს ქეციან ცუგად ეჩვენა.

სადღაც ნახევარი საათის შემდეგ ტყეს უკანა მხრიდან მიადგა. ნაბიჯი შეანელა, ხეებში შევიდა და კიდევ ხუთი წუთი იარა. ადამიანებს აქ იშვიათად წააწყდებოდი. ნიღაბი ჩამოიცვა და რევოლვერი ამოიღო... ასე იდგა, არ ინძრეოდა და სიჩუმეს აყურადებდა. თავიდან სიბნელეში ბევრს ვერაფერს არჩევდა, მერე თვალი შეეჩვია. „ღამესთან შერწყმა უნდა ვისწავლო", – გაიფიქრა დანიელმა. ახლა შემთხვევით აქ ვინმე თუ გამოივლიდა, დანიელს ვერც შეამჩნევდა. თუ დაინახავდა და ეგრევე დაფრთხებოდა – დაბალი, ჯმუხი კაცი, რევოლვერით ხელში, გაშეშებული, სახით მისკენ. ამ დროს მსხვერპლი გარბის (შესაძლოა წივილითაც), ანდა ადგილზე იყინება (შესაძლოა იფსამს). დამთრგუნველი ეფექტის მოხდენის შემდეგ უფრო რთული ეტაპი იწყება – რა უნდა ქნას ამის მერე თავდამსხმელმა? დაუყვიროს, ფული მოიტაო? თუ ჩურჩულით დაუმარცვლოს, ჩუ, ნა-ბი-ჯი არ გა-დად-გა, ფუ-ლი მო-მე-ცი, არც ტვინს გაგასხმევინებ და ვერც ვერავინ გაიგებს, რომ ჩაიფსიო. წარმოთქმული სიტყვა ამ დროს შეიძლება ქმედებაზე სუსტი აღმოჩნდეს, საეჭვოა, ძალზე შეშინებული მსხვერპლი კიდევ უფრო შეშინდეს. მზად უნდა იყო, რომ ის უცბად გეცემა, იარაღის წართმევას მოინდომებს. რა უნდა მოიმოქმედოს ამ დროს ცრუ ავაზაკმა? უნდა ესროლოს? უნდა დაჭრას? აბა, ხომ არ მოკლავს. დანიელი დასკვნიდანდა: რატომ უნდა დაჭრას? ვიღაც გამვლელი რატომ უნდა დაასახიჩროს? ვაითუ, შემოაკვდეს. გამოდის, რევოლვერი არასრულფასოვანი, სწორხაზოვანი იარაღია. იქნებ კეტი უფრო გამოსადეგია. ერთ ხელში კეტი, მეორეში რევოლვერი. მსხვერპლი კი საგანგებოდ უნდა შეირჩეს: ვინმე მოხუცი, ასევე ქალი, ანდა სუსტი, ჩია ტანის მქონე. გეგმაში ახალი არაფერი იდო, მაგრამ ახალს და ნოვატორულს ვინ ჩიოდა, კარგია, რომ რაღაც გამოსავალი იპოვა.

და მაინც, ეს ვერ იქნებოდა სრულფასოვანი გამარჯვება, ასეთი არჩევითი სახის თავდასხმები მას გამოაშკარავებდა. დანიელი შეშინდა, რომ მას გამოითვლიდნენ და დააპატიმრებდნენ. ქალებისა და მოხუცების ძარცვა მხოლოდ ლაჩარს შეეძლო. ლაჩარი, დაბალი, ასეთი სპეციფიკური ხმით, მცხეთაში ის იყო. რაღაც სხვა უნდა მოეფიქრებინა.

სანამ განსჯებში იყო, გაქვავებულმა, ტყე-

ში რევოლვერით ხელში მდგომმა საოცარი შვება იგრძნო – ამ წუთას აღარ ეშინოდა. ერთმა აზრმა გაუნათა გონება, იქნებ საჭირო არ იყო თავდასხმა და ტყის მოჩვენების როლიც საკმარისი აღმოჩენილიყო ხალხის დასაშინებლად?

ცრუ ბანდიტმა ხელი უკან წაიღო და რევოლვერი ქამარში ჩაიდო. დაჭიმული თითები აამოძრავა და მიხვდა, რომ ხელთათმანები სახლში დარჩენოდა. „ხელთათმანები შემოდგომიდან“, – გაიფიქრა დანიელმა, – „თუ ყველაფერი კარგად წავიდა.“

მოჩვენებად ქცევა დიდ პრობლემას აარიდებდა – ლაპარაკი არ მოუწევდა. სიტყვას შეეძლო გაეყიდა, ხელოვნური გამოსვლოდა, სტილი არეოდა, ვერ ჩამოყალიბებულიყო: გამანადგურებელი ძალა ყვირილში ჩაედო, თუ დაყვავებაში? ალბათ ბანდიტს არსენალში ორივე უნდა ჰქონოდა: ზოგი გინებაზე ფუჭდება, ზოგი ალერსზე.

რიჟრაჟი იყო და თენდებოდა. დანიელი ფეხაკრეფით დაიძრა იმ ადგილისკენ, სადაც წლების წინ იყო ჩაგრული. შედგა. ჰო, აქ ბევრი არაფერი შეცვლილა, ბალახი გაზრდილა, ისიც თითქმის უკვე გამხმარა. აი, ის ხეც, ზიბზიბაძე რომელსაც ეყუდებოდა. დანიელი შეკრთა, თითქოს უკნიდან ვიღაც მიუახლოვდაო, მიტრიალდა... არავინ იყო. არა, ასე არ ივარგებდა, ეს უნდა დამთავრებულიყო – ასეთი შეხტომები. ისევ ამოიღო რევოლვერი, ბარაბანი მექანიკურად დაატრიალა, გადახსნა, ექვსივე ტყვია შიგნით იდო. სხვას ვერავის, მაგრამ ჯანაშიას და ზიბზიბაძეს ულაპარაკოდ ჩაცხრილავდა. იცოდა, რომ ადამიანის მოკვლას სინდისის აუტანელი ქენჯნა მოჰყვებოდა, მაგრამ გადაიტანდა. იწვალებდა, გაიტანჯებოდა და გადააგორებდა.

ახლავე პირველი ცოცხალი არსების შეშინება იყო საჭირო – ეს ყვავი აღმოჩნდა. ჰაიტ! – შეუხტა და გააფრინა. მიწაზე დაჯდა. უკან გადაწვა და უცბად ფეხის ხმა მოესმა: ნასვამი მამაკაცი გამოჩნდა, სოფელში ბრუნდებოდა ფეხარეული. ბევრი არ უფიქრია, ცრუ ავაზაკმა ნიღაბი ჩამოიფხატა, გაქანდა, ისკუპა და რევოლვერით ხელში წინ დაუხტა. რომ არა მოდუნებული გრძნობები და ინერტულობა, დანიელის ღრიალზე კაცს გული გაუსკდებოდა, ანდა სხეულში შაქარი აუწევდა კატასტროფულად. მსხვერპლი შედგა მყისიერად, მაგრამ ნასვამზე დამუხრუჭება ძნელია. დაფრთხალი უკან გადაქანდა, მერე ხელებიც გაასავსავა, ცდილობდა რამეს მოჭიდებოდა, არ გამოუვიდა, საბოლოოდ მაინც გადავარდა, თავიც სერიოზული ტრაექტორიით გადაიქნა და მიწას დასცხო. დანიელი მომგებიან პოზიციაში აღმოჩნდა, ეგრევე ზემოდან დააცხრა, ფეხი ყელზე დააბჯინა, მისკენ დაიხარა, რევოლვერიც თვალებთან მიუტანა და შეცვლილი ხმით დაუსისინა:

– ფული მომეცი, ფული მომეცი! მალე, მალე მალე!

ფული არ ჭირდებოდა, უბრალოდ არ იცოდა, სხვა რა უნდა მოეთხოვა? იარაღმა მთვრალი შეაშინა და ჯიბეები სწრაფად ამოატრიალებინა. სულ რაღაც შვიდი მანეთი და ხურდა აღმოაჩნდა. სახლში დაბრუნებული გვარიანად გამობრუჟებული სოფლელის გაძარცვა უხეირო ქმედებაა. დანიელი შეტრიალდა და ისევ ტყეში შევარდა. გაძარცვული კი წამოდგა და საიდანაც მოდიოდა, იქითკენ გაბარბაცდა, თითქოს წინ, სახლისკენ მიმავალი გზა სამუდამოდ გადაუკეტესო. თუმცა მალევე შეჩერდა, მოტრიალდა და სახლისკენ მოკურცხლა – შიში აფხიზლებს.

დანიელი აქ ველარ გაჩერდებოდა. გულამოვარდნილი იმ მიმართულებით გაქანდა, საიდანაც დილით მოვიდა. ნიღბით და „ნაგანით“ სიარული უგუნური საქციელი იყო. ჩაიმუხლა და ერთ-ერთი ხის ძირში ორმოს თხრა დაიწყო. ნიჩბის გარეშე ღრმად როგორ ამოთხრიდა, ნახევარ მეტრამდე ჩავიდა, რევოლვერი და ქუდი-ნიღაბი შიგნით ჩაყარა, მიწა სწრაფ-სწრაფად მიაყარა და ტყიდან გავიდა. სჯობდა, არავის დაენახა. დილის 9 საათისთვის უკვე ლოგინში იწვა – დროდადრო თავს წამოსწევდა და გარე ფაჩუნს აყურადებდა.

არა, მოქმედების ასეთი განვითარება ხეირს ვერ მოუტანდა და საერთო ჯამში არც აწყობდა. ისეთი შიში დაეუფლა, რომელიც მანამდე არ განუცდია – დაპატიმრების მოუსვენრობა. მთვრალის ბედ-იღბალი არ აღარდებდა, დიდი საშინელება არც ჩაუდენია. ის ლოთი გამოფხიზლდებოდა და აღარც ემახსოვრებოდა – ბუნდოვანი წარსული მალე ქრება.

იმ დღეს არაფერი მნიშვნელოვანი არ მომხდარა, არც მეორე დღეს. დანიელი ტყეში წასვლას ვერ ბედავდა. ორი დღის მერე კი შფოთვამ გადაუარა და დანიელმა გადაწყვიტა ისევ ემოქმედა. იარაღისა და ნიღბის პოვნა გაუჭირდა, თუმცა მიაგნო და თან ახლა ხელთათმანებიც ჰქონდა. ორი მამაკაცი ისე გაატარა, არც გაფაჩუნებულა. შემდეგ კი სოფლელ გოგოს გადმოუხტა და გაქცეულს დაედევნა. გოგონა კივილით გარბოდა, ამიტომ სწრაფად უნდა დაწეოდა, დაეწია კიდეც და ფეხი დაუდო. გოგონა წინ გადავარდა, დანიელი უკნიდან დაახტა. გაუპატიურების იდეა წამებში მოუვიდა და ეგრევე ტანსაცმლის შემოხევა დაუწყო – განა თვითონ იცოდა, რას სჩადიოდა. მთავარი როლში შესვლა იყო, საკუთარი ლმობიერი ხასიათის შეცვლა, რაღაც ანტითეზისი, გაუხეშება, მკობრეობა, გაბოროტება... რადგან სათნოება არ ქრიდა, მაშინ ქაოსს დაბადებდა.

ქალიშვილი მკვირცხლი აღმოჩნდა, დანიელის ქვეშ პირქვე მომწყვდეული ისე სხარტად ამობრუნდა, თითქოს შეყვარებულზე ფიქრით უძილომ გვერდი იცვალაო. შემდეგ მოძალადეს ნიღაბში წვდა და ჩამოძრობა სცადა. დანიელმა თავი უკან გასწია და ქუდი გაიწელა. ცოტაც და მოძერებოდა და ამიტომ დანიელმა მას სახეში რევოლვერიანი ხელი ჩაარტყა. გოგონა მოეშვა, ნიღბიდან ხელი ჩამოუვარდა და ძალზე საწყლად ჩაილაპარაკა, ვაიმეო.

– მალე გავათავებ, შენ ოღონდ არ იმოძრავო! – უთხრა დანიელმა.

ერთი ერთზე ქალის გაუპატიურება თითქმის შეუძლებელია, – თუ არ გათიშე, ანდა ძალიან თუ არ გაასავათე. გონებანასულთან სექსი კი იგივეა, რაც მკვდართან – არც ისე სასიამოვნოა. „მალე გავათავებზე" ქალიშვილს ისეთი ძალები მიეცა, თითქოს სამყაროს გათავებისა და აპოკალიფსისის დრო მოვიდაო. დანიელი ეგრევე მოიშორა, ნამოხტა და გაიქცა. ცრუ ავაზაკი აღარ დადევნებია, მაგრამ ეს წარმატებული მარცხი თავის სასარგებლოდ კიდევ უფრო მეტად უნდა გამოეყენებინა და გაქცეულს მიაძახა:

– ჯანამიას ვერსად გაექცევი, ჯანამიას!

თავისი დანაშაული მტერს მექანიკურად გადააბრალა, და ამან აღტაცებაში მოიყვანა. ეს ისეთი ფორმულა იყო, რომლიდანაც ნაგებული არასოდეს დარჩებოდა: რასაც წარმატებად ჩათვლიდა, თვითონ მიიწერდა, წარუმატებლობას და სირცხვილს ჯანამიას შეახოცავდა. ერთია იყო დამკვირვებელი და ალბათ უფრო რთული – იყო სხვა, ის, ვინც გძულს.

ამიტომაც მომდევნო დღეებში კიდევ უფრო გათამამდა, ჯერ ცოლ-ქმარს დაატყდა თავზე, მაგრამ რადგან მათი ერთმანეთთან შერცხვენა არ სურდა, მალევე გაუშვა. ძარცვის იმიტაცია იკმარა, „თავისი ვინაობა" აქაც გაუმხილა, ჯანამია ვარ ვარად, ვიღაც არ გეგონოთო. შემდეგ ორი მამაკაცი და ერთი ყმაწვილი გოგონა შეაშინა ძალზე დამაჯერებლად.

დედის დაბადების დღეზე ვითომ დათვრა, ალიბი რომ ჰქონოდა, იმხიარულა, მამას ლოყაზე აკოცა, ყელზე ტყავი სიყვარულით გამოუწია, ასე პატარა რომ იყო, მამა თვითონ უკეთებდა ხოლმე. დედას მეგობარ ლამარას გემოვნება შეუქო, არადა ისეთი მძაფრი სუნამოს სუნი ასდიოდა, ძლივს ჩაისუნთქა. მექანიკურად გაიფიქრა, ერთი ამის თავი მომცა ტყეშიო. სტუმრებს მოუბოდიშა, ცოტათი წავიძინებო, თავის ოთახში ავიდა, საიდანაც ფანჯარაში გადაძვრა და ტყეში გაიპარა. ამ ქმედებით ის ზოროსაც კი დაემსგავსა.

ბილიკს ამაღლებული ადგილიდან უთვალთვალებდა, რაღაც შინაგანი ფილტრი ჰქონდა, ყველას არ აყაჩაღებდა. ახლაც მოხუცი ბებო პატარა გოგონასთან ერთად უვნებელი გაუშვა. თუ ვინმეს წესით არ უნდა ჰქონოდა ცხოვრება ცოდვებისგან დამძიმებული, ალბათ ეს ორნი იყვნენ – ასე გაიფიქრა. თუმცა დარწმუნებული ვერ იქნებოდა. იქნებ ბებოს ახალგაზრდობაში ექვსი აბორტი ჰქონდა გაკეთებული? დანიელი აბორტის მკეთებლებს მკვლელებად მიიჩნევდა, თუმცა ისინი არ სძულდა. აბა, ვის რაში სჭირდებოდა თუნდაც ის ბავშვი, ჯგუფური გაუპატიურების შედეგად რომ იბადებოდა?! მაგრამ როცა იცავ კნუტის უფლებებს, ხოლო ადამიანის ემბრიონისას არა, გამოდის, თვალთმაქცი ხარ. თუ ემბრიონი ცოცხალი არ არის, მაშინ როგორ იზრდება? – კითხვას სვამდა დანიელი.

ასე რომ, დანიელს მსხვერპლის შერჩევა მაინც უწევდა. გორაკი სტრატეგიულად სწორი ადგილი იყო: ის ყველაფერს ხედავდა, მას ვერ ამჩნევდნენ.

აი, შეზარხოშებული მღვდელი კი ყოველთვის კარგად ჯდებოდა სცენარში თუ პიესაში. ბანდიტები და ქურდები მორწმუნენი არიან. სხეულზე ჯვრები და ეკლესიის გუმბათები აქვთ ამოსვირინგებული. ისინი მღვდლებს არ ძარცვავენ, ეს მკრეხელობაა, შეიძლება საქმე უკუღმა წაუვიდეთ, და ამიტომ ღვთის მოშიში მოპარულ ფულს ეკლესიას იქით სწირავენ.

ცრუ ავაზაკისთვის კი სულერთია, რადგან მისთვის ყველაფერი თამაშია, მღვდელმსახურის დაყაჩაღებაც სცენარის ერთ-ერთი ეპიზოდია მხოლოდ. მსახიობს [illegible] ვერ ექნება, მფატრავი ჯეკის როლსაც რომ ასრულებდეს.

ცრუ ავაზაკობით ცრუ მღვდლობა ნამში იმიფრება. დანიელმა ღვთისმსახურს ჯერ ნათლობაში ნაშოვნი ფული ნაართვა, მერე რევოლვერი გულზე მიაბჯინა და აიძულა, სიმართლე ეთქვა, თუ რატომ ეცვა ანაფორა. მღვდელმსახური სხვისგან იბარებს აღსარებას, მაგრამ თავად ვის აბარებს? – აი, ეს არის კითხვა. ანაფორიანმა შეჰყვირა, ღმერთი არ გაპატიებს, სამართალი პურს ჭამსო

– ხომ არ გგონია, რომ მაგ შენი სამართლიანობით ჭეშმარიტებას შეიცნობ? – ჰკითხა ცრუ ავაზაკმა ღვთის ცრუ მსახურს, – ხო, შეიძლება, სამართლიანობა აღდგეს, ჩემი თავი დააჭერინო, ყველა დააჭერინო, ქალაქში იდეალური წესრიგი აღადგინო, მაგრამ განა ამით ღმერთს შეიყვარებ?

თუ სიმართლეს მეტყვი, ვინ ხარ, არ მოგკლავო, უთხრა დანიელმა. მღვდელს მკვდრის ფერი დაედო, მერე თავი ხელში აიყვანა და არ მომკლაო, შეეხვეწა. სინამდვილეში ადრე პოეტი ვიყავი. ძალიან როცა გამიჭირდა, ანაფორა მაშინ ჩავიცვი, ეს ჩემი სამუშაოა, სამი ბავშვი სხვანაირად როგორ ვარჩინოო? თუმცა იცოდე, გულწრფელად ვლოცულობ. აქედან როცა წახვალ, მარტო შენს ოჯახზე ნუ ილოცებ, სხვებზეც ილოცეო, – ჭკუა დაარიგა ყაჩაღმა და იმანაც კაიო, თავი დაუქნია. პატიოსან სიტყვას გაძლევო და დედას გეფიცებიო. მგონი არ ტყუოდა. მატყუარა ღმერთს დაიფიცებდა, ამან კიდევ დედას გეფიცებიო. გაუშვა.

დანიელი სახლში გვიან ღამით დაბრუნდა. დაავიწყდა, სხვების ჭკუაში შუა ძილში რომ უნდა ყოფილიყო და პირდაპირ კარიდან შევიდა. ვერავინ ვერაფერს მიხვდა, ნასვამები იყვნენ. დედამ ჰკითხა, როგორ გეძინაო და კარგადო, უპასუხა დანიელმა. სუფრას მიუჯდა და სულ მალე სინდისის ქენჯნამ შეაწუხა: ვაითუ დაყაჩაღებულ მღვდელს სიკვდილის შიშმა ათქმევინა, ანაფორა შვილების გამო ჩავიცვიო და სინამდვილეში ჭეშმარიტი მორწმუნე იყო?

3

რამდენიმე კვირა დანიელი ტყეში აღარ დაბრუნებულა. იქაურობას პოლიცია ჩხრეკდა. მცხეთაში ხმა დაირხა, ტყეში მანიაკი დათარეშობსო. ძარცვები ერთსა და იმავე ადგილას, გაუმართლებელი ქმედება იყო.

კვალისთვის რომ ვერ მიეგნოთ, რევოლვერის გარდა არაფერი დაჰქონდა. იმასაც მიწაში მარხავდა. არ ეწეოდა, ნამწვს ძირს არ აგდებდა, ტყეში არ ჭამდა, არ იფურთხებოდა, არც უსტვენდა, საკუთარ თავს არ ელაპარაკებოდა, ხელთათმანები ეკეთა. უკან დასახევი გზაც ნაპოვნი და დამუშავებული ჰქონდა. გარდა შემოვლითი ბილიკისა, ძველი ვიწრო გვირაბიც იპოვა, ტყიდან რომელსაც გაჰყავდა.

დანიელის ეშმაკობამ გაჭრა და ჯანაშია დაიჭირეს. თუმცა მალევე გამოუშვეს, ვერაფერი დაუმტკიცეს. ცრუ ყაჩაღი მაინც კმაყოფილი იყო, მისი გეგმა მუშაობდა. ძალიან კარგი, რომ ჯანაშია ციხეში არ გაუშვეს, დანიელს იმედი ჰქონდა, რომ ადრე თუ გვიან მას ტყეში დაიმარტოხელებდა და პირადად გაუსწორებდა ანგარიშს.

შურისძიების არაპირდაპირი, რაღაც კუთხით ირეალური შედეგი მალე გამოიკვეთა. ერთ დღეს სურსათის მაღაზიასთან დანიელს მისი ყოფილი კლასელი, ოთო ბებურიშვილი შეეჩეხა.

– ძალიან ცუდი ამბავი მაქვს, – უთხრა ბებურიშვილმა.

– რა ამბავი?

– ლენინგრადში ზიბზიბაძე მოუკლავთ, – თქვა ოთომ, – ძალიან დამწანდა.

– მე არა, – უპასუხა დანიელმა, – სინამდვილეში არც შენ დაგწანდა. მახსოვს, დედაშენს მაგრად აგინა, შენ კი ხმა ვერ ამოიღე.

– მთვრალი იყო, მერე ბოდიში მომიხადა.

– ტყუი, არ მოუხდია. როგორც ჩანს, სიკვდილის მერეც გეშინია მისი.

ბებურიშვილმა არაფერი უპასუხა.

– ლელაძე სად არის? – ჰკითხა დანიელმა.

– ლელაძე ზესტაფონში დაბრუნდა, – უპასუხა ოთომ.

ზიბზიბაძე პირდაპირ ავტობუსის გაჩერებიდან აუყვანიათ იქაურებს, მანქანაში ჩაუსვამთ და ლენინგრადის ნაგავსაყრელზე ყელი გამოუჭრიათ. ზიბზიბაძის ამბავს წესით ჯანაშია უნდა დაეფრთხო. ანდა პირიქით – გაებოროტებინა.

პოლიცია კი ტყის ჩხრეკას განაგრძობდა. სინამდვილეში ვის ეძებდნენ? ლელაძე ზესტაფონში იყო, ზიბზიბაძე – მოკლული, ჯანაშია დააკავეს და გამოუშვეს. დანიელი ცრუ ავაზაკი იყო, მას არ ეძებდნენ. ის მშვიდად იწვა ტახტზე თავის ოთახში და „ჰამლეტის" განმეორებით ჩვენებას ელოდა. მანამდე ტელევიზორში ფეხბურთი გადიოდა. დაბალი მეესიკელები გერმანელებს ამარცხებდნენ. გერმანელების მწვრთნელი ისე განიცდიდა, რომ საკუთარ ცხვირში ხელს იყოფდა, ჭუჭყს იღებდა და ჭამდა. ცხვირიდან გამოქონდა და პირში იდებდა. მეორე ხელს უკან, ტრაკში იყოფდა, იფხანდა იქ და ამოღებულ ხელს ყნოსავდა. „ჩემი საქმე არ არის, – ფიქრობდა დანიელი, – ვისაც უნდა, ის ყნოსონ, რაც უნდა, ის ჭამონ. ბოლოს და ბოლოს ტრაკში ხელს ყველა იყოფს."

რადგან ჯანაშია მარტო დარჩა, დანიელი უფრო ფრთხილად უნდა ყოფილიყო. შურისძიება სულ სურდა, მაგრამ სანამ არ მოძლიერდებოდა, თავი შორს უნდა დაეჭირა. მალვამ აზრი შეიძინა, ის გეგმის ნაწილი გახდა. დანიელი სამსახურიდან წამოვიდა (რომელიღაც ბიუროში მუშაობდა ელექტრიკოსად), და ახლა ტყის სიახლოვეს არსებულ დასასვენებელ პარკში მოეწყო დამლაგებლად. ასე გაცილებით ახლოს იქნებოდა ტყესთან.

ორკვირიანი პატრულირების მერე პოლიციას მობეზრდა და წავიდა. დანიელმა კვლავ ამოთხარა რევოლვერი, ნიღაბი დაბერტყა და გაუცნობიერებლად, თუმცა კი გულწრფელად, ღმერთს შესთხოვა, სწორი გზა მიჩვენეო.

ბანდიტმა თამასის აწევა სცადა, რევოლვერით შეიარაღებული ორ ბრგე მამაკაცს დაასხრა თავს. როგორც ჩანს, ხელოსნები იყვნენ და საღამო ხანს მცხეთაში დედაქალაქიდან ბრუნდებოდნენ. ტანდაბალი ნიღბიანის დანახვაზე შეცბნენ, მერე იარაღს დააცქერდნენ. ერთს გაოცებისგან გაეღიმა, ოცი წელია, რაც ასე, სამუშაოდან სახლში ბრუნდებოდნენ და ამას როგორ წარმოიდგენდნენ, რომ სახლთან ახლოს ასე უპატივცემულოდ დააყაჩაღებდნენ.

დანიელი ხვდებოდა, რომ წიკვინი და ცმუკვა წამგებიანი ქმედებაა და ამიტომ მუშებს მშვიდად უთხრა:

– ფული.

პასუხი მთლად მოულოდნელი არ ყოფილა, მაგრამ სიუჟეტი იძაბებოდა:

– ფული არ გვაქვს.

– ფული! – გაუმეორა დანიელმა.

– რომ არ მოგცეთ, რა ფეხებს მოგვჭამ?! – ასეთი პასუხი მიიღო.

– გესვრი! – უპასუხა დანიელმა. რისხვა იპყრობდა. უიარაღოს ხომ ამცირებდნენ, ახლა გადატენილი რევოლვერი ეჭირა და მაინც აქეთ აწვებოდნენ.

– ვერ გვესვრი! – წამოიყვირა ერთ-ერთმა გამწარებულმა და ყაჩაღისკენ ნაბიჯი გადადგა. დანიელმა რევოლვერი ოდნავ ასწია და სახეში დაუმიზნა.

– მიდი, მესროლე! – დაუყვირა მუშამ.

– გესვრი! – დაიყვირა დანიელმაც.

– მიდი მერე!.. – და მამაცმა მუშამ დანიელს დედა შეაგინა.

ცრუ ავაზაკი ზღვარზე იყო... ცოტაც და სასხლეტს თითს გამოკრავდა და ამ ბრიყვი მუშის ხორცს ტყვია შეგლეჯდა, ძვალს შეუმტვრევდა. აქვე დასრულდებოდა მისი სიმამაცის პრაქტიკული მხარე და ვაჟკაცობა „გულადი მუშის" თქმულებაში დაიდებდა ბინას. თამაშს სისხლიანი რეალობა ჩაანაცვლებდა. გვამები დანიელის გეგმაში არ შედიოდა. აქ ბევრი ფიქრი საჭირო არ იყო, ცრუ ავაზაკმა ხელოსნებს ზურგი აქცია და გაიქცა. ტყის სიღრმეში შევარდა. იქნებ სისხლიანი დრამაც პიესის ნაწილი იყო? იქნებ სწორედ ასე უნდა განვითარებულიყო ტრაგედია? მან კი სცენარში ცვლილება შეიტანა. ფსევ-

დოავაზაკი შიშობდა, რომ ყალბი სპექტაკლის უნიჭო მსახიობს ემსგავსებოდა უფრო და უფრო.

დანიელი შედგა. მიაყურადა, ხომ არ მომდევენო? იქნებ პოლიციამ ხრიკს მიმართა: ვითომ წავიდა და სინამდვილეში მეორე დღეა, ხის უკან იმალებოდა? არა, არა, რა სისულელეა?! ხის უკან არა, ხეზე არ გინდა?! წარმოიდგინეთ წაბლის ხეზე ამძვრალი, გატრუნული გამომძიებელი, ზემოდან დასცქერის, ფოტოებს უღებს, რაციით მეწყვილეს ესაუბრება ჩურჩულით:

„– ალო, ავაზაკს ვუთვალთვალებ, ჩემ ქვემოთაა, მან ვერ შეძლო მუშების გაძარცვა და გამოიქცა. ახლა ზემოდან დახტომას ვაპირებ, ველოდები, სანამ რევოლვერს მიწაში ჩაფლავს. დათრგუნულია, რადგან სიმამაცისთვის ჯერ ვერ მიუღწევია. იარაღის ტარება სროლას გულისხმობს, მაგრამ როგორ უნდა მოიქცე, თუ სილაჩრე კი არა, კაცთმოყვარეობა გიშლის ხელს? თუ არ გინდა, სათნოებამ შეგიპყროს, მაშინ ბანდასთან ერთად უნდა იარო. ჯგუფ-ჯგუფად ჩაგრო მუშები, ხელოსნები, ხუთოსნები, მსხვერპლს ურტყა რეალურ ჩაჯმამდე, სისხლის რწყევამდე, წმინდა ქართულად, მამაპაპურად.

სევდით მოცული ეს ჩვენი გმირი თავის რევოლვერს უფრო ღრმად მარხავს. ხვალ წვიმა მოვა, ნაკვალევს წაშლის, ბანდიტისთვის ეს მისწრებაა. საუბედუროდ, თქეში ნიადაგს სულმთლად გაჟღენთს, ჩამარხულ ნივთებს ადგილს შეუცვლის და დანიელი იარაღს ველარ იპოვის, ვერც თავის ნიღაბს და უიმედობა ისევ გაწმსჭვალავს. საბედნიეროდ, ეს დიდხანს არ გაგრძელდება: ტყეში, ზემოთკენ, ჩანჩქერისკენ გაქცეული, აჩუყებული, იმ უცნაურ ჯუჯას გადაანყდება.

ამიტომ ზემოდან დახტომას აზრი არა აქვს, მითუმეტეს, უკვე წავიდა, ხეებში გაძვრა. თუ გინდა, შენი ხათრით მაინც ჩავხტები, ეჭვმიტანილის მაგივრად ზღარბს ანდა მთლად უკეთესი, გარეულ ღორს დავახტები. ჰა, ჰა, ჰა, არ გინდა? კარგი, მაშინ, ფრთხილად ვეშვები, მთავარია აპარატი არ გამიტყდეს, უთუსბირი ღირს...“

მონათხრობში ხეზე ამძვრალი გამომძიებლის გროტესკული სცენის ჩართვამ თითქოს გაამართლა, მიუხედავად იმისა, რომ სინამდვილეს ძალიან ასცდა. ხეზე ამძვრალი კაცი სინამდვილეში მიწაზე იდგა, დანიელისგან ას მეტრში. დამნაშავის გაფაჩუნებაზე პოლიციელმა ძაღლი აუშვა: ავზე ავი დობერმანი, უახლოეს წარსულში არაერთი გაქცეული ბოროტმოქმედის დამგლეჯი, დედალი მკვლელი, სახელად „ლედი“.

ამტვრია და ლეწა დანიელმა ბუჩქები და ტოტები, ყელში მოწოლილი შიშისა და სისხლისგან გულს ბაგაბუგი გაუდიოდა. ამღვრეული გონებით და უსისტემოდ ირბინა 15 წუთი. ძაღლი კვალს წყალში კარგავს და შეტოპა დანიელმა ხევისძირში ჩამდგარ ჭაობში, ციცაბო ფერდობი იქითა მხარეს კისრისტეხით ორჯერ აირბინა, ერთხელ კი არა – ორჯერვე დაგორდა. ხევს იძულებით გაუყვა, წყალში მკერდამდე დასველდა, როგორც იქნა სადღაც აცოცდა. იარაღიც რომ ჰქონოდა, ასეთ დღეში ძაღლს ვერ მოკლავდა.

ტყეში ასე მაღლა, ამ სიშორეზე დანიელი არასოდეს ასულა. შედგა, სული მოითქვა, გაიტრუნა, მზერა მიმართა, ჩააცქერდა – პირდაპირ, სადღაც 10 მეტრში, ანუ ახლოს, ბუჩქების გვერდით, ხეების ძირში, ძაღლი კი არა, კაცი იჯდა, ძალზე პატარა, წელგამართული, სახით მისკენ, თვალდახუჭული, გაქვავებული.

„– ალბათ მკვდარია“, – გაიფიქრა დანიელმა, – „იჯდა და მოკვდა, ასე გამშრალა, გასაკვირი არაფერია. რა პატარაა? ძაღლსაც რომ არ ჰგავს?“

„თუ ცოცხალია, დამინახავს, ყვირილს დაიწყებს, ერთ ამბავს ასტეხს, ძაღლებს მოიხმობს.“

ფეხს ფრთხილად დგამდა, ეპარებოდა, ლოტოსში მჯდომის ზედა კიდურებს აკვირდებოდა: არათითებით ცერებს ეხება, მტევნებით – მუხლებს. მკერდს დააცქერდა... შეუმჩნევლად, ოც თვლაში ერთხელ, მაგრამ მამაკაცი ნაღდად სუნთქავდა, ძალზე ნატიფად.

მკვდარი არ არის, ეს იოგია, კარგა მოხუცი, უცნაურია. აქ, მცხეთასთან ახლოს, თანაც როდის, საბჭოეთი როცა ინგრევა? განა მაშინ იოგები მედიტირებდნენ? თავზე იდგნენ და როცა უნდოდათ, მაშინ სუნთქავდნენ? ჩამუხლულმა ჯუჯას სახის წინ ხელი აუთამაშა: „იქნებ მოჩუტული აქვს დამაჯერებლად? ძაღლის ხმა ესმა, შორს დამინახა, თვალი მიხაბა და გატრუნული მითვალთვალებს წამწამებიდან“.

„ცბიერს არა ჰგავს, ზის და იჯდეს, არ შევაწუხებ, იქვე დარჩეს, სადაც არის, სხვა სამყაროში.“

და აქ უეცრად იოგს ღიმილმა გადაურბინა, თვალები ჭყიტა და ჩვეულებრივზე ფართოდ გაალო.

– აქვე ახლოს, გორაკს გადაღმა, ყაჩაღს ეძებენ, ხალხს ვინც ძარცვავს, აუპატიურებსო, ასე ამბობენ. არ გეშინია? – ჰკითხა მოხუცმა მოულოდნელად.

– აუპატიურებსო? – ჩაიცინა დანიელმა.

– შესაძლოა, აზვიადებენ, ამძაფრებენ, და ამგვარად – საკუთარ თავებს უკეთ იფრთხობენ.

– არ მეშინია, იარაღი მაქვს.

– იარაღი გაქვს?

– მქონდა...

– ჯიბით დაგქონდა?

– ახლა აღარ მაქვს, როგორც ჩანს, ამომივარდა, ველარ ვპოულობ.

– იარაღის ტარება აკრძალულია.

– ჰო, თავდასაცავად. თვითონ არ თქვი, ტყეში ავაზაკი დათარეშობს, პატიოსან ადამიანებს ძარცვავსო, – დანიელი ფეხზე წამოდგა, უკვე ინანა, ის რაც თქვა, და რაც წამოსცდა.

– რკინის ნაგლეჯს იარაღად თვლი?! სადღაც ჩამარხულს, სულ მალე დაჟანგებულს, ველარასოდეს რომ ვერ იპოვი, ვერც ამოიღებ, არათუ ისვრი, ვერც დაუმიზნებ.

„ღმერთო ჩემო, საიდან იცის? მითვალთვალებდა? ალბათ მაშინ, მიწას რომ ვთხრიდი,

ფესვებს ვგლეჯდი ჩემი ფრჩხილებით, იქ მომეპარა, ვერ შევამჩნიე."

– გითვალთვალებდი, მხოლოდ ერთხელ, ისიც შემთხვევით, – უთხრა იოგმა, ფეხზე წამოდგა. ცრუ ავაზაკზე დაბალი იყო ორი თავით ბებერი ჯუჯა, – ნუ შეშინდები, შენს დაბეზღებას მე არ ვაპირებ.

და გაახსენდა დანიელს, რომ მეგობარი არცა ჰყოლია. გუჯა ჰყავდა ერთი და ისიც ჩაცხრილეს ეკლესიასთან. აქ კი ადამიანი, მესაიდუმლე ხელს უწვდის, გვერდში უდგება. გულზე მოეშვა, ცრემლი მოადგა, ვის მისტიროდა, ძმაკაცს? არა, საკუთარ თავს. ეს შეცოდება გამოგვდის ყველაზე ნაღდად, გულამოსკვნილად.

თავდაპირველად იყო მინდობა: უპირობო, აუხსნელი, თავისთავადი.

ცრუ ავაზაკი უცხოს მიენდო, თავი დახარა, ფიქრს რომ მორჩა, აი, ეს უთხრა:

– მიწაში ჩავფლე, ველარ ვიპოვე. თაესხმამ ნიშნები სულმთლად წაშალა და გამაშიშვლა.

– შენ ქალს მისდევდი, ვერ დაეწიე და ვერც ვერაფერს რომ ვერ გამორჩი, ვფიქრობ, იცრუე და მიაძახე სხვისი სახელი. რკინის ნალეჯიც მაშინ ჩამარხე. შეპყრობილს ჰგავხარ, წერას აქანილს. ორი წუთის წინ ძაღლი მოგდევდა. ასეთ ყოფამდე როგორ დახვედი?

დანიელი მიწაზე დაჯდა, ძალგამოცლილი, გამოფერილი. ტყის კაცს უთხრა, უფრო თავისთავს:

– ალბათ მე ის ვარ, ვისაც ეძებენ.

იოგმა კი ეგრე მიუგო:

– რაღაც გადაგხდა, ჩანს დაგამცირეს, შურისძიებას ჰგავს შენი ქმედება. ასე წვალებით ვერაფერს ნაშლი, გინდ კარგი იყოს, გინდა ავუგი. წარსულს ივიწყებ საკუთარ ტვინში ქაოსის შექმნით. მე კი მგონია, თავად აღმოჩნდი მაგ შენს მახეში, – „ნაშლილ წარსულში".

– ჩემსას გავიტან, არ ვიცი – როგორ, მაგრამ არაკაცს ბედს ვაწყევლინებ. მანამდე კი ვერ მიპოვიან.

– გიპოვიან და წმინდათაწმინდა შურისძიებას, იცოდე, განზრახ მკვლელობაში გაგიტარებენ. ეს სულმთლად მოგშლის და შენს კაეშანს უსამართლობის განცდა მაშინვე თან დაერთვება. გვიან იქნება. განა ის გაწყობს, გამარჯვებულმა ციხე რომ ხეხო თხუთმეტი წელი? თავადაც ხვდები, მხოლოდ სურვილით სრულყოფილი წარმატება ვერ მიიღწევა. შენი მცდელობა სამყაროს ძალებს არც შეედრება. ჰოდა, ირწმუნე, ზერეალური რამ შეიგრძენი, შეეკარი, მუდამ გახსოვდეს: შენზე ზრუნავენ და გმფარველობენ დაბადებიდან.

– ჩემზე ვინ ზრუნავს? არც არავინ. ჩემი დაჩაგვრა ადვილია, ყველას გამოსდის.

– ჰოდა, მისმინე, ისე იცხოვრე, რომ ძეხორციელს სურვილიც კი არ გაუჩნდეს შენი წვალების, არცერთი ფიქრი, გულში დაუშვან, სიზმარშიაც არ დაესიზმროთ აღარასოდეს.

– ეგ როგორ, რაღაც ვერ ვხვდები მაგას.

– ხეზე მომთმენი და ბალახზე თავმდაბალი როცა გახდები – წაშინ მიხვდები.

– შენ მართალი ხარ, – თქვა დანიელმა, – ხეს ვინ დასცინებს, ვინ შეურაცხყოფს? გადამწვარი ბუნება ხომ ფერფლიდან დგება.

– ახლა ხომ მიხვდი? უნდა ამაღლდე, ჩაბუდებული რისხვის დემონი უნდა განდევნო მაგ გონებიდან.

– კარგი, მითხარი, როგორ მოვიქცე?

– ახლა წადი, მაგრამ ხვალ ღამით ისევ დაბრუნდი. წვიმის მერე ეცივება, თუმცა ძალიან ბევრს ნუ ჩაიცვამ. დასაფენი წამოიღე, რამე თხელიც დასაფარებლად. მალე მაგასაც გადაეჩვევი. იქ, ზემოთ ახვალ, ხედავ, ბილიკი სადაც მთავრდება? ტყეში ღრმად შეხვალ, ღამეს გაათევ, ერთს, ორს, სამს, ოთხს... სადამდეც შეძლებ.

– იქ? იქ დათვები რომ იცის ხოლმე? მონადირენიც გაურბიან მაგ ადგილს რაც მე თავი მახსოვს.

– დათვი არ მოვა, და არც მგელი. ალქაჯი კი თავად გახდები, ტყის სულს შეიცნობ – ოცნებობდი და ნატვრა აგიხდა.

– კარგი, რას ამბობ?! ფიქრობ, მამშვიდებ, მაგრამ მაშინებ.

– არსად გაიქცე, უნდა გაუძლო. ნამდვილ გამოცდას ტყე ჩაგიტარებს. ლოცვას გადმოგცემ, უფრო სწორად, ძლიერ შელოცვას.

და ტყის კაცმა დანიელს დამცავი მანტრა გადასცა:

„მე წყლის გემო ვარ, მზისა და მთვარის შუქი, მე მარცვალი ვარ მიწაში და ზეცაში, თავად ომკარა, მე ვარ სურნელი თავდაპირველი, ცეცხლის სითბო, თავად სიცოცხლე. ასკეზა ვარ, რიტუალიც მე ვარ, მსხვერპლშეწირვა, სამკურნალო ბალახი, მე ვარ სამყარო, მოუწყვლადი, მე ვარ უკვდავი, დედა და მამა, სულიერი საგალობელი".

აბა, გაიმეორეო, უთხრა ტყის კაცმა. დანიელმა თვალები დახუჭა და შელოცვის გამეორება იწყო, სიტყვასიტყვით, ბგერაბგერით, ინტონაციით: „მე წყლის გემო ვარ, მზისა და მთვარის შუქი..."

მანტრა წარმოთქვა ზედმიწევნით ზუსტად, არსად შეშლია – და ამიტომაც გაოცებისგან თავადვე შეკრთა, თვალი გაახილა – მიმავალი იოგის ზურგს მზერა მიაპყრო, არ დაედევნა: „რადგან წავიდა, ჩანს, ყველაფერი მითხრა, რაც უნდა ეთქვაო".

გულალმა დანვა, ხეებს ახედა. რწმენის აჩრდილი – ეჭვი, მუდამ თან გასდევს მწირის ცხოვრებას.

„ვაითუ ჩვეულებრივი იოგია, ალმოსავლეთმოვლილი, დღესდღეისობით ახალბედათა ინსტრუქტორი, შესაძლოა, კარგი ფულის მშოვნელიც, – ჩაფიქრდა დანიელი, – მუდამ მჯეროდა ჯადოქრების, ელფების, რაინდთა აჩრდილების, მოლაპარაკე კლდეების. არადა ახლა რა ეჭვმა შემიპყრო? რა სულელი ვარ ასეთი: მტერი, ურწმუნო?!"

სახლში დაბრუნდა. იბანავა. მშობლები მის გაუჩინარებებს, ფიქრიანობას, უჭმელობას – სიყვარულს მიაწერდნენ,

დავაჟკაცების ხანას, ოჯახის შექმნის სურვილს. დედამ ჰკითხა მორიდებულად: „ჩვენც ხომ არ გაგვაცნობდიო?" ბიჭს იუმორი არ ღალატობდა: „აქ მოვიყვანო, თუ მასთან ტყეში წამომყვებითო?" დედა დაიბნა: „ტყეში ცხოვრობსო?" „რა ხუმრობაა ახლა ეგო?!" – კულისებიდან მამა ჩაერთო. ოჯახში ჯამუში უფრო დედაა ხოლმე, მაგრამ აქ მამა იყო. ემოციები ღუპავდა აგენტს, დროზე ადრე გამორბოდა კაცი სცენაზე. „მისვლა ადრეა, აქეთ გეესტუმროს, ვაშლის ნამცხვარს გამოვუცხობ, ხომ მოეწონებაო?" – ჰკითხა დედამ. კარგიო, დაეთანხმა ვაჟი და შუბლზე აკოცა მშობელს. ხომ ვერ ეტყოდა: „დედა, იცი, ქალი არასოდეს მყოლია, არც მიკოცნია, ასე მგონია, არ შევხებივარ არცერთს, არც ლამაზს და არც უშნოსო."

რაც უფრო ნაკლები სიამტკბილობა გაქვს ამ სამყაროში, მით ადვილდება განდეგილობა. თხელი ლეიბით, პატარა საბნით, ძველი მუთაქით, მეორე ღამით ცრუ ავაზაკი, რომელიც აღარ იყო ცრუ და არც ავაზაკი, ტყეში დაბრუნდა. ხევში ჩაწვა, მყუდრო ადგილას, მიაყურადა: ჭოტს უამინა ერთხანს, მერე წამოდგა, ადგილი შეამოწმა, მიმოიარა, ისევ წამოწვა, ცოტა შესცივდა, საბანი წაიფარა, თვალი მილულა... თბილ ლოგინში ვერ იძინებდა, აქ კი სადღაც, სინესტეში, ფოთლებში, დიდი ბორგვის გარეშე მალე ჩათვლიმა. ფიქრები ჩაჰყვა:

„უცბად გამშიფრა. ამ ბრიყვული ჩიხიდან გზა დამანახა. რად მითვალთვალებს? დამინდო და პოლიციაში არ დამაბეზღა, მხეცს ჩემი თავი არ დააგლეჯინა. გამოცდა მომიწყო: „ტყეში ყაჩაღი დაძრწის, შენ ხომ არა ხარო?" ეს ნიშანია, ჩემიანია, უნდა მივენდო."

ცოტა ეძინა. გაღვიძებულზე უკუნეთმა ისევ დააფრთხო. გულში შელოცვა გაიმეორა, თვალი და სხეული კვლავ შეაჩვია... და დაიძინა. ამჯერად დიდხანს... სიზმრის ბოლოს, ნეტარების მომგვრელმა, სახეზე ქალის ნატიფმა ხელის ჩამოსმამ ძილბურანში ისე მოთენთა, როგორც მაშინ – ბავშვობაში, თანატოლ გოგონაზე დიდხანს ფიქრისა და ხანგრძლივი ორგაზმის მერე.

ტყეში რომ იყო, ის გაახსენდა, შეკრთა და უცბად წამოჯდა, საბანი მოისროლა, შემდეგ წამოდგა. მის წინ ალქაჯმა ტოტები აათამაშა, ფოთლები ააფრიალა...

„ღმერთო!" – წამოიყვირა დანიელმა, – „მე წყლის გემო ვარ, მზისა და მთვარის შუქი, მე მარცვალი ვარ მიწაში და ზეცაში, თავად ომკარა, მე ვარ სურნელი თავდაპირველი, ცეცხლის სითბო, თავად სიცოცხლე. ასკეზა ვარ, რიტუალიც მე ვარ, მსხვერპლშეწირვა, სამკურნალო ბალახი, მე ვარ სამყარო, მოუწყვლადი, მე უკვდავი ვარ, დედა და მამა, სულიერი საგალობელი".

დანიელმა მიაყურადა და სწრაფად დამშვიდდა: „ეს ხომ ხე არის, ძირმაგარი, უშიშარი, ტყის სიღრმეში ჩარჭობილი მთელი ცხოვრება, ჩიტილსა და კვნესას გადაჩვეული." საქმე გაკეთდა, დროა, სახლში დავბრუნდეო: საბანს სწვდა, გაქცევა სცადა, მაგრამ არა – ერთი საათი გათენებამდე, გამარჯვებამდე – ფეხს არ მოიცვლის, აქ დარჩება, თუ საჭიროა, მზის ამოსვლამდე, მის ჩასვლამდე, დაუსრულებლად... იმიტომ, რომ:

„...მე ასკეზა ვარ, რიტუალიც მე ვარ, მსხვერპლშეწირვა, სამკურნალო ბალახი, მე სამყარო ვარ..."

მთელი ერთი კვირა, ყოველ ღამით დანიელი ტყეში რჩებოდა, დილამდე. შემდეგ სახლშიც აღარ ბრუნდებოდა. ქალაქი გაუუცხოვდა. მისკენ მიმავალი გზები დამღლელი და უაზრო გახდა. ადამიანებთან ურთიერთობას აღარ ეძებდა, მითუმეტეს, ახლა, უკვე არავის არაფერს ერჩოდა, მხოლოდ სწუხდა მათ გამო, წუთისოფელში გაბურდულნი, დაბეჩავებულნი, სასაცილოდ ამაყნი და გამაღიზიანებლად ქედმაღალნი რომ რჩებოდნენ.

დღე დღეს მიყვებოდა, თვე თვეს. ცოტას ჭამდა, ძლიერ გახდა, ჩამოხმა, თუმცა ძალღონე არ დაუკარგავს, არც სისუსტე უგრძვნია. ერთი-ორი ნაყოფი, პურის ნაჭერი, ბალახ-ბულახი, ხან მოთუშული, ხანდა უმად, სოკოს გარჩევა თავისით ისწავლა, მანამდე კი მოიწამლა, ჰალუცინაცია ჰქონდა, ტყეში ეგდო, დიდხანს ეძინა, სანამ ირმის დრუნჩმა არ გააღვიძა. ხელი ასწია მოსაფერებლად, ქორბუდა გასხლტა, გაუჩინარდა, დანიელი ცოცხალი იყო, ისევ ჯანმრთელი.

როცა აცივდა, სოფელში ჩავიდა, საკვები თხოვნა-თხოვნით იშოვა. ისედაც არ ცნობდნენ და ახლა საერთოდ ვერ იხსენებდნენ. ცოტა კარტოფილი, ცოტა ბოსტნეული, მეტს არც ელოდა.

დაუჯერებლად შეიცვალა და მანამდე ვინც იცნობდა, მათ თვალში სულმთლად გარეკა. მის მშობლებს ურჩიეს, იქნებ სადმე დაგეწვინათ, შეგემოწმებინათ, იქნებ ჯერ კიდევ გვიანი არ არის და გონება დაულაგდესო. მშობლები მიხვდნენ, ვერ ეღირსებოდნენ მისგან შვილიშვილს... ჰა-ჰა, რა აბსურდია, ამას ჩიოდნენ? თუმცა საკუთარ პირმშოს შიზოფრენიისთვის ვერა სწირავდნენ... მართლებიც იყვნენ, დანიელს სულაც არ გაუფრენია – ცოტათი ხო, თავისებურად, არასაშიშად. როგორიც არის, ისეთი გვიყვარსო, თქვა დედ-მამამ. საბოლოოდ მშობლები ამ წუთისოფელში ბევრით ვერაფრით დატკბნენ, ერთ ზამთარს, ორივენი ერთად გარდაიცვალნენ: ჯერ დედა, მერე მამა ორი დღის თავზე. ორი ცხედარი, ორი კუბო ერთ ოთახში. მშობლები სადღაც სასაფლაოზე ვილაცებს არ მიუწვინა, ტყეში დამარხა, თავის ბუნაგთან. მძიმე ქვები დაადო, ენატრებოდა, იხსენებდა ერთხანს, შეუმჩნევლად იცრემლებოდა.

ქარს ქვები არ გადაუგორებია, არც მეწყერი ჩამოშლილა, მშობლები და ნათესავები დანიელის გონებაში დავიწყებას მიეცნენ. არც განცდები, არათუ სინდისის ქენჯნა, სინდისის ქენჯნის არქონის გამოც არ ჰქონია სინდისის ქენჯნა.

ადამიანებს ბოლომდე გაემიჯნა, სამაგიეროდ, ტყის ცხოვრება შეიგრძნო, ცოცხალი ბუნება: ათასობით მცენარე, პატარა და დიდი მწერები, ხვლიკები, ტურები, ხეებიც

ათასობით, ნაკადულები... ერთ დილით დათვს შეეჩეხა: დანიელი შეცბა, დათვიც შეცბა, ერთმანეთს გვერდი აუქციეს, თავთავიანთი გზით წავიდნენ. აქ ფლორა და ფაუნა მოძრაობდა. გორაკები და ხეები სუნთქავდნენ, ერთმანეთს ეხმიანებოდნენ, ანაყოფიერებდნენ, ოჯახებად ცხოვრობდნენ.

ერთადერთი სურვილი უკლავდა გულს, იოგის ნახვა სურდა კიდევ ერთხელ, მასთან საუბარი, სიხარულის გაზიარება. ვერ გადაანყდა, ვერსად ნახა, სად არ ეძება. მათი ერთადერთი შეხვედრის ადგილზე ზედიზედ სამჯერ ეძინა. აღარ გამოჩნდა. იმედით ცხოვრობდა. ისევ თუ გადაეყრებოდა, კითხვებს დააყრიდა, უფრო მეტ მანტრას მოსთხოვდა, გვერდიდან არ მოშორდებოდა.

დრო გადიოდა და დანიელი რწმუნდებოდა, რომ ის ჯუჯა თავად ტყე იყო. ჰო, რაღაც ისეთი ფორმით ეჩვენა, აღსაქმელად ადვილი რომ ყოფილიყო, სიტყვებით ელაპარაკა და არა ფიქრებით, დაარწმუნა... კომპლექსები მოუხსნა: ზოგს თავისზე ძლიერის და მაღლის სჯერა, უფრო გონიერთ იმის, რაც არ ჩანს, რაც გულის სიღრმეშია, უებარის, ყოვლისმომცველის.

გამოდიოდა, იოგი ყოველთვის გვერდით ჰყავდა, მისი ბგერები ჩაესმოდა, წარმოქმნილი შრიალიდან, წვეთებიდან, ქროლვიდან, ჩიტებიდან, ჩანჩქერიდან...

„როცა მომენდობი, მეც მოგენდობი, ყველა საიდუმლოს გაგიმხელ, გაგეხსნები, ჩემთან გაცხოვრებ, თავისუფალი იქნები. თუმცა გახსოვდეს, საშინლად ეგოისტი ვარ, შენგან სრულ, უპირობო ერთგულებას ვითხოვ. რა ვქნა, ასეთი ვარ."

„სამაგიეროდ, როცა განმტკიცდები, ადამიანები თავად მოვლენ შენთან, შეგიყვარებენ, უფრო მეტიც, გაგაღმერთებენ, მთელ სამყაროს დაიპყრობ, აგერ ნახე, თუ არა."

„– ეგ რომ არ მინდა?" – პასუხობდა დანიელი.

„– გინდა არ გინდა, ასე იქნება", – პასუხობდა ტყე.

ქალაქში ხმა გავარდა, ხალხს რომ დასდევდნენ, ძარცვავდნენ და მოკლულებს ორალურად აუპატიურებდნენ, ის დრო დაბრუნდა, ტყეში ისევ გამოჩნდა მანიაკიო. თუ ადრე მსხვერპლნი ბანდიტის გარეგნობას როგორღაც მაინც აღწერდნენ, ახლა უჭირდათ ახსნა, კონკრეტულად რა აშინებდათ. ერთნი ამბობდნენ, ეს ჩვეულებრივი მანიაკი კი არა, ტყის ავი სულია, მისი დანახვა შეუძლებელიაო. დანარჩენებიც იმავე აზრზე იდგნენ, ტყე განაწყენდა, თავისი ალქაჯები და ჯუჯები თავისუფლებაზე გამოუშვა. იქ ვერავინ გაივლის, წარმოუდგენელია, უბრალოდ, იმ ჯუნგლებისკენ გახედვია დროსაც კი ჩვენი გვემართება, ასეთი შიში არასოდეს განგვიცდიაო. მრავალი გაუხსნელი ფენომენი და საკუთარი, გაცნობიერებული უსუსურობის გამო [illegible] საბოლოოდ გაცოფდა. არადა, ჩვეულებრივ მოკვდავებს, ვიღაც ღლაპებს, არასრულწლოვნებს, უპატრონოებს ვერ პოულობდნენ და – ტყის ჯუჯებს, ოჩოპინტრეებს და ჯადოსნებს იპოვიდნენ? სამი წყება საპატრულო რაზმი გაუშვეს, რომლებმაც იქაურობა გადააქოთეს. ტყის თითოეული გასასვლელი გადაკეტეს, პატრულირებდნენ დღედაღამ. შიგნით ტყეში სპეცრაზმი შეუშვეს, რომელიც მეორე მხრიდან გამოვიდა, მაგრამ ხელცარიელი განყოფილებაში ხომ ვერ დაბრუნდებოდა და უკან შებრუნდა – თავიდან გადაჩხრიკა მთელი ტყე – განყოფილებაში მაინც ხელცარიელი დაბრუნდა.

ეფექტის მოხდენას არც ვაპირებდით, ვიცოდით, რომ ავ სულში ყოფილ ცრუ ავაზაკს, დანიელს იოლად ამოიცნობდით. თუმცა არ გეგონოთ, რომ მართლა ვინმეს სდევნიდა, აშინებდა, აშარდვინებდა სამარცხვინოდ იქვე ადგილზე. ცხადია, არა. დანიელი უბრალოდ ცხოვრობდა, სხვები კი კრთოდნენ. მას ვერ ამჩნევდნენ, და ახლოდან, ძალიან ახლოდან, ერთი მეტრიდანაც ვერ აღიქვამდნენ. მის მოძრაობას, ხელის აწევას, სუნთქვას, თავისა და სხეულის მიხვრა-მოხვრას, მიახლოებას, თვალებში ჩაცქერას, – არც სიყვარულით, არც სიძულვილით, უბრალოდ, ისე – მოჩვენების ბოროტ ხრიკებად აღიქვამდნენ, ნისლებად, ბურუსებად, გორაკების ღმუილებად, მოცეკვავე ბუჩქებად. ადგილს სწყდებოდნენ, ქუდმოგლეჯილნი სახლში გარბოდნენ, და ეს მაშინ, როცა არ ჰქონდა ტყეს რამე ცუდი ილეთი ანდა სიავე ჩაფიქრებული.

ასე იქცა დანიელი ტყის ღმერთად. ღმერთად თუ არა, მეფედ ხომ მაინც.

ახლა თავად ის გახდა მანტრის მქმნელი, უბადლო წარმომთქმელი:

„– გამარჯვება ვარ, მე ვარ საჯელი, საიდუმლოთა შორის მე ვარ სიჩუმე, თან მიზანი ვარ, თავად ვარ მოწმეც."

ნანატრმა სიმშვიდემ და ნეტარებამ დაისადგურმა მის გულში. თვითკმარობაზე და უბრალოებაზე იგებოდა მთელი მისი სამყარო. დაიძლია გრძნობები და გაქრა მიჯაჭვულობის ობიექტები. მანტრის გადაცემიდან ნახევარი საუკუნე გავიდა, ჩვენი ეპოქა დადგა – 2043 წელი. ტყეში მისი ნახვა შეუძლებელია, გარეთ კი დანიელი დიდი ხანია, აღარ გამოდის.

რას ამბობთ? რას გულისხმობთ, რა მურისძიება? განა ვერ ხედავთ მიაი სულისა და სხეულის ამ სრულფასოვან, ღვთიურ გარდაქმნას?

ვინ? ეის გამოჩენას ელოდებით? დანიელის მჩაგვრელის? გვერწმუნეთ, ეგეთი არავინ მოვა. არავითარი შეხვედრა დანიელსა და მწვალებელს შორის აღარ მოხდება. მსგავსი უკეთურობა, ან მისი მქმნელი არავინ გვახსოვს. ეფექტურობისა და დრამატული ხაზის გამო ფინალს არ შევცვლით, რა სიმდაბლეა. უმორჩილესად გთხოვთ, ნუ გვაცივდებით, სამაგიეროს გადახდას ჩვენ არ ვაპირებთ. და თუ მართლა ცოცხლობს სიავე და მისი შემქმნელი, უმჯობესია ის დაივიწყოთ. შურისძიების მწველი სურვილი და რისხვის ცეცხლი, გულმუცელს რომელიც გიწვავთ, გულმოწყალებითა და ყინულოვანი ასკეტიზმით

ჩაანაცვლეთ და ისე ჩააქრეთ. შეწყვიტეთ ფორიაქი და შფოთის გარეშე განვლეთ თქვენი ძვირფასი წლები.

* * *

ო, როგორ გვსურდა, რომ ეს ლეგენდა სწორედ ასე დასრულებულიყო, კითხვებით მკითხველისადმი, მსმენელისადმი, კაცთმოყვრულად, ასე მეფურად, ასე ჰორიზონტალურად და მშვიდად, ყოველგვარი კულმინაციურ-ჰიპერბოლური ამოვარდნების, ტექსტური არითმიისა და კიჩური, ჰოლივუდურ-შაბლონური ესთეტიკის გარეშე.

არ გამოვიდა.

უნდა იცოდეთ, ლეგენდას დიადი პერსონაჟი ქმნის, ნამდვილი გმირი, ხან კაცთმოყვარე, ხან კი ბოროტი, შემბრალებელი ანდა მჩაგვრელი. ადამიანთა სურვილი სამართლიანობის ძებნისა, სამაგიეროს გადახდისა, თუ გნებავთ, გამართლებული სისასტიკისა, ჩვენს ლეგენდას ფინალს შეუცვლის. საქართველოში ასე ინებეს, ზედმეტად რბილი აღმოჩნდა მათთვის ქრისტიანული სულისკვეთება, არ ელოდნენ, სახტად დარჩნენ. ნახევარი საუკუნე როგორღაც გაძლეს, მერე ლეგენდა გადაწერეს, უფრო სწორად, მისი ფინალი. გაინტერესებთ, როგორ მოირგო ბრძენმა ხალხმა ეს დასასრული?

არაფრიდან რამის შექმნა მხოლოდ ღმერთს ძალუძს, კაცმა კი იცის, ნაღდ ამბავზე უნდა ააგოს ტყუილი, ხალხში შეუშვას და იქიდან სიცრუე ჭეშმარიტებად დაუბრუნდება.

ის ორიოდე წლის წინანდელი ამბავი თუ გახსოვთ, პაპა და შვილიშვილი ტყეში რომ დაიკარგნენ, გაუჩინარდნენ, ველარ იპოვეს? ფიჩხის შემგროვებელმა დაინახა ისინი: ტყის სიღრმეში, უკვე ბნელში და გაუვალში, როგორ კისრისტეხით ჩამორბოდნენ მთიდან და თვალს მიეფარნენ. ხშირ ბუჩქნარში, მაღალში, დაჩხაპნილნი და დასისხლიანებულნი გიჟებივით როგორ შეცვივდნენ. შემისმჭრელმა ყური მოკრა აი, ამ ფრაზებს, წამოყვირებას, ბავშვის წივილს: „ვინ მოგვდევს, პაპა, ვინ მოგვდევსო?!“ „არ შეშინდე, შვილო, არ შეშინდე, და არ გაჩერდე, არ ჩამომრჩე, ხელი გეჭიროს, არსად წაიქცეო!“

პაპა და შვილიშვილი დაკარგულად გამოაცხადეს, მეორე დღესვე ძებნა დაუწყეს. ბიჭი იპოვეს, ცოცხალი, გზააბნეული, თითქმის შეშლილი, გათანგული. ყოფითი ნივთები ეჭირა მოზარდს ხელში, ძრწოლას რაც ბადებდა პოლიციელში, – აუხსნელ შიშს, განზიდვას, დიდ გაკვირვებას – პაპამისის ტანსაცმელს იხუტებდა ბავშვი, კოხტად დაკეცილს: შარვალს, პერანგს დაგლეჯილს, ორივე წინდას, ფეხსაცმელს ერთ ცალს, მეორე ვერ ვიპოვეო, იმეორებდა დანაშაულზე წასწრებულივით.

„თქვი, თქვი, რა მოხდა, პაპაშენი სად არის, სად ვეძებოთო?!“ – აცივდებოდა პოლიციელი.

„დავიღალეთ, ნაბიჯს ვერ ვდგამდით, მერე აჩრდილი მოგვიახლოვდა. ისე შევშინდი, ველარც ვტიროდი, პაპაც გაშეშდა. შემდეგ დაემხო და მოჩვენებას შესთხოვა, ოღონდ ეს არა, მე დამსაჯეო.“

„რა აჩრდილი შვილო, რა მოჩვენება, რაებსა ბოდავ, პაპა სად არის, სად ვეძებოთო?!“ – არ ეშვებოდა პოლიციელი.

„მაგას გიყვებით, აჩრდილმა უთხრა: დრო მოვიდა პასუხისგების, სამყაროს სასჯელი უშეცდომოა, ვერსად წაუხვალ. ეგ გაიხადე, რაც გაცვია, არ დაგჭირდება, დედიშობილა ხეში შედი, – დაიმსახურე. შენს ადგილზე, ფიქრებს აქ დავტოვებდი, იქ გაგაწვალებს. პაპა წამოხტა გაოგნებული... სად [illegible]? იმ წამს აჩრდილმა ჩემზე ანიშნა, [illegible] მაშინ ესო! და დაიწყო პაპამ გახდა, სულმთლად გაშიშვლდა, არასოდეს მინახავს პაპა ტიტველი. იქვე მდგარი ხე, დიდი წიფელა, წამში გაიხსნა, პაპა შეყლაპა, თითქოსდა არაფერი, კვლავ ჩაიკეტა. აჩრდილი გაქრა, მე კი ვიდექი და ვიდექი, ვისთვის რა მეთქვა? გონება დავკარგე, სანამ დაბნელდა.“

მოხუცი ველარ იპოვეს. ბავშვი კი ჩანვა, ავად გახდა, თუმცა გადარჩა. დაარწმუნეს, რომ სიზმარი იყო ის ყველაფერი. ალბათ მიგვიხვდით, და მაინც გეტყვით, რომ ჯანაშიები იყვნენ გვარად პაპა და შვილიშვილი.

ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო შემისმჭრელი, არც შიში ჰქონდა, რადგან ამ ტყეს ცნობდა ხუთი თითივით. დიდხანს იარა, ეძება და ერთი წლის მერე, ქალაქს ჩასულმა, ხალხს ამცნო, რომ ტყის მეფე ნახა, ცოცხალი, თავისი თვალით. ათწლეულების უჩინმაჩინი ისევ დაბრუნდა ადამიანად. წმინდანად შერაცხული შურისმაძიებლად გამოგვეცხადა. გამოდის, გვატყუებდა და ტყესაც მწარედ აბითურებდაო.

დანიელი წიფელასთან იჯდა და ხეს ელაპარაკებოდა, როცა მეტყევე უკნიდან მიეპარა, აჩრდილის ნაჩურჩულევი კარგად რომ გაეგო:

„– უკმაყოფილო ვერ იქნები – დაიმსახურე. ხედ იქეცი, დიდხანს დარჩები. წყალი, საკვები არ მოგაკლდება. ალერსიან სიტყვებსაც არ დავიშურებ. პასუხს ვერ გამცემ – სამწუხაროა. ეგ არაფერი. მეორე მხრივ, ჭკვიანური რა უნდა მითხრა? ბედს მალე შეეგუები, ქარს და წვიმას ინატრებ, შენს ფოთლებში მოჟივჟივე ჩიტების გუნდს. ციყვები და კოდალები გეყოლება მეგობრებად. შენი მოჭრის უფლებას არავის მივცემ, ასი წლის მერე თავად გახმები. ჰოდა, გაგიშვებ, ათივე მიმართულება ხსნილი გექნება. მახის დაგებას არ ვაპირებდი... თუმცა, არ დაგიმალავ და ვაღიარებ, სამაგიეროს გადახდის ეს მწველი გრძნობა ვერ გადავლახე. პარადოქსია: შენ დამივიწყე, მე კი მახსოვდი. ამიტომაც სიცრუით სიმართლეს შევწვდი, როგორც ჰამლეტი. შექსპირი თავის გმირში არ შეცდებოდა, არ გასწირავდა – ეს გულს მიმშვიდებს. საბოლოოდ, კარმის კანონიც სამაგიეროს გადახდაა, სხვა არაფერი.

ვიცი, ჭეშმარიტება შურისძიებით და სასჯელით არ მიიღწევა. ღმერთის შესაცნობად მომავალში უფრო დახვეწილ სპექტაკლს გავითამაშებ.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტყის ქალი

*თამარ მამარდაშვილი*

ოცდასამი წლის ვხდებოდი იმ ზაფხულს და ჩემს რიგით მეორე სამსახურში ვმუშაობდი, ერთი ჩამოქართველებული ამერიკელის სამედიცინო კლინიკაში იურისტად. უნივერსიტეტი ახალდამთავრებული მქონდა და ჯერ არ ვიცოდი, რომ სამყაროში მხოლოდ ორნაირი უფროსი არსებობს: ცუდი და უარესი. ეს ჩემი მაიკლი უფროსი ქართველებისგან უკვე კაი ბევრჯერ გაბითურებული, მოტყუებული და განაწყენებული კაცი გახლდათ, თვითონაც კაი შენძრეული ვინმე იყო. უფიქრია, ყოფას გიტირებთ ქართველებოო და ყველა თანამშრომელს ვირივით ამუშავებდა დაბალ ხელფასზე. ერთხელაც, არასამუშაო საათებში სამსახურში დარჩენილი, ბარში მომლოდინე ძმაკაცების ზარებს რომ ვიგერიებდი და უშველებელ ხელშეკრულებას ჩავკირკიტებდი, მეთქი, ეგრე არ უნდა და, ეს შენი კომპიუტერი არც გამომირთავს, ისე გამოვიძურწე იქიდან. გზად ამ მაიკლის კაბინეტს ჩამოვუარე, ღია კარიდან შემნიშნა და გამომძახა: ჰუკა, არე ყოუ დონე? მეთქი: I'მ დონე, მაიკლ რიჩარდოვიჩ და ვაფშემც, ოურის ჯაჭვი არ სჯობს თავისუფლებას-მეთქი, ცალი მუხლი მოვიკეცე, ქუდი მოვიხადე და რაღაც რევერანსისმაგვარი შევუსრულე. ჩამოწეული სათვალის ზემოდან გამომხედა დაეჭვებულმა, მე კი მივტრიალდი და წამოვედი. შარვლის ჯიბეებში ხელებჩაწყობილი და გამართული მოვტასაობდი დერეფანში და ზუსტად ვიცოდი, რო იქ მიმსვლელი აღარ ვიყავი, არც დედაჩემის დიდაქტიკური შეგონებების თავი მექნებოდა ჩემს სიფიცხეზე, არც თბილისის ჰაპანაქება ზაფხულის და მეორე დღესვე ბებია-ბაბუასთან გამოვგაზე სოფელში.

პირველი რამდენიმე დღე ძილის და ჭამის მეტი არაფერი მიკეთებია, წამოვწვებოდი დღე ჰამაკში, ღამე საწოლში, დავითრევდი მოსწავლეობისას ზაფხულის არდადეგებზე ჩაზიდულ წიგნებს, მარჯვენა და მარცხენა თეძოებს ერთმანეთს შევუნაცვლებდი და ფილტვებამდე ჩავიტანდი სახლის კედლებში გამჯდარ თბილი რძის, ბუხრის ჭვარტლის და გამხმარი თივის სუნს. მერე ცოტა ამენვა სინდისი, მეთქი, ბაბუაჩემს მაინც წავუკრა ხელი ცოტა, თან ბაბუაჩემი სულ სხვა თემა იყო ჩემთვის, მაგასთან ერთად ყველაფრის კეთება მიყვარდა.

დაღლილი და გასავათებული მოვედით იმ საღამოს მე და ბაბუა, უმზეო, მოღრუბლული დღე იყო და რადგან ტვინს არაფერი გვიდუღებდა, შებინდებამდე ვთიბეთ ბალახი. ვახშმის მერე ეგრევე ზემოთ წავედი, მუქჩამქრალ აივანზე გამაგრებულ რამდენიმე ღამურას დიდი ორთაბრძოლა გავუმართე ბალიშით, როგორც იქნა, გარეთ გავუძახე და მივაყოლე, მეთქი, ალალია თქვენზე, ჩიტელები რო ჩაგასუნელებენ წვნიანებში-მეთქი. ორთაბრძოლაში გამარჯვებული და კმაყოფილი საბანში შევძვერი და მალევე ჩამეძინა. კაი დიდი ხნის ჩაძინებული ვიქნებოდი, შორიდან მოსული გაბმული კივილის ხმა რომ ჩამესმა. შეფხიზლება დამეზარა და ძილის გაგრძელება ვცადე, სანამ გვერდითა ოთახიდან ბაბუაჩემი არ გამოვარდა, შარვალს სწრაფად იწევდა და კარისკენ გარბოდა. მის დანახვაზე მეც წამოვინიე და ყური მივუგდე ხმას, ქალის გაწირული კივილი იყო, თუმცა შორიდან მოსულ ბგერებს ზუსტად ვერ ვარჩევდი.

ზლაზვნით წამოვდექი, ჩავიცვი და კიბეზე დავეშვი, ბაბუაჩემი უკვე უკან ბრუნდებოდა ამ დროს.

– შედი, შედი, უცფათ ბუხრის ოთახში და ჩემი რკინის ფარანი წამეილე, ბაბუ.

– რა ხდება, კი მაგრამ?

– მექი კოპალიანის ცოლი კიოდა, საწყალი მექი უპოეიათ ჭალებში კვტარი, შეღამებულზე რო არ მისულა, მისი ძმა წასულა საძებნელად და იქ უნახავს საწყალი. მიდი, მიდი, სწრაფად ქენი და წამოდი შენც, კაცი ხარ უკვე.

მექი კოპალიანზე მე დიდი არაფერი ვიცოდი, ერთი უხერხული მოგონება მქონდა ბავშვობიდან და მაგას ვერავის მოვუყვებოდი: სოფლის ბირჟიდან სახლისკენ მოვდიოდი შეღამებულზე, ფანარს ხან წინ ვინათებდი, ხან ხეებს და ღობეს გამოვაყოლებდი მის მკრთალ შუქს, თავს ვირთობდი გზაში და უცებ, ეს მექი შევნიშნე ღობესთან, ასე რომ ვთქვათ, ფსამდა. ღობისკენ მიბრუნებული, გზისკენ ზურგშექცევით კი არ იდგა, პირიქით, იდგა

ასე თამამად ორღობეში, წინ და უკან ირწეოდა და ფსლით რალაც ასოებს წერდა მიწაზე. არყის სუნი მეცა რომ მივუახლოვდი და ვივარაუდე, ნასვამია, ვერც დამინახავდა-მეთქი, ნაბიჯს აუჩქარე და სწრაფად გამოვცილდი.

უსიამოვნო სანახაობა დაგვხვდა, რომ მივედით, მინდორში ეგდო მკვდარი კაცი, თავი უკან გადაგდებული, პირი ღია და ხელის მტევნები უცნაურად მოგრეხილი ჰქონდა. ივიშვიშეს კაცებმა, იბჟეს და დაასკვნეს, იმ ტყის ქალმა შეიწირაო. ნაჭრის სახელდახელოდ შეკრულ საკაცეში ჩააწვეს და იმით დაძრეს იქედან. ბაბუამ – შენ წინ წადი, გზა გაგვინათეო და მეც მოვიკვლევდი გზას წელამდე ბალახებში და ფეხის ბანჯგვლებში გახლართული უამრავი ეკლის მიუხედავად, მიხაროდა ამ მისიაში გამნათებლობა რომ დამევალა. ბავშვობიდან მეშინოდა მკვდრების.

* * *

ლეჩხუმის სოფლებში ტყის ქალების ამბავი ყველაზე მისტიკური იყო იმ ამბებს შორის, რასაც იქ ჩასული გაიგებდით. იშვიათად თუ ნახავდით ადამიანს, თეთრებში შემოსილი გრძელნაწნავიანი ტყის მოჩვენება საკუთარი თვალით რომ ენახა, და თუ ნახავდით, არაფრით მოგიყვებოდათ ამ ამბავს, ლამეული მოჩვენებები გამიმეორდებაო.

ზუსტად არავინ იცოდა, რომელ ტყეში ცხოვრობდნენ ტყის ქალები, არც ის, ადამიანები იყვნენ თუ უსხეულო მოჩვენებები, იმაზე კი ყველა თანხმდებოდა, რომ სოფლის ყველაზე ლამაზ კაცებს ირჩევდნენ გრძელნაწნავიანი ტყის არსებები. თუ შელამებულზე რომელიმე სახლის ფანჯარაზე კენჭების მიხეთქების ხმა გაისმებოდა, ესე იგი, იმ სახლის ყველაზე ახალგაზრდა და ლამაზ კაცს ტყეში უხმობდა ალქაჯი. ბევრჯერ გამოცვენილან სახლში მაცხოვრებლები ქვების სროლისას, კუთხე-კუნჭულ დაუთვალიერებიათ ახლომახლო ტერიტორია, აუწიოკებიათ სოფელი, მაგრამ ვერსად წასწყდომიან ტყის ქალს. მინამ ჩაყლაპაო თითქოს. ქვებისხმიანი სალამოები კი მანამდე არ შეწყდებოდა, სანამ არჩეული კაცი ტყეში არ შევიდოდა ლამე. სამი დღე ჩამიჩუმი არ ისმოდა ამ კაცის, კვალსაც ვერ წააწყდებოდა სოფელი ვერსად. სამი დღის მერე უვნებელი დაბრუნდებოდა კაცი, გადახდენილის შესახებ კი სიტყვასაც არ დაძრავდა.

ერთხელ ამორჩეულ კაცს თავს არ ანებებდა ტყის ქალი და ასე პერიოდულად, წელიწადში ორ-სამჯერ ქვების სროლით უხმობდა ტყისკენ, სამი დღის შემდეგ კი ისევ [illegible] უვნებელს დააბრუნებდა სოფელში.

კოპალიანების ოჯახში გამორჩეული გარეგნობის ბიჭი იყო მექი, მაღალი, ხმელი, განიერი ბეჭებით და ჯაგარივით ხშირი, წაბლისფერი თმით. ახალი ცოლწაათხოვი იყო, ქვების რაკარუკი პირველად რომ ატყდა მათი სახლის ფანჯარაზე, იმები სეზონურ საძოვრებზე იყვნენ წასული, ამიტომაც დიდი მსჯელობა არ დასჭირვებია იმის მიხვედრას, მექის რომ უხმობდა ტყის ქალი. გავარდებოდა თოფით უფროსი კოპალიანი, რაჟიკო, მოათვალიერებდა ყველაფერს ირგვლივ და გაწბილებული შებრუნდებოდა. მშიშარა არც მექი იყო, ერთთვიანი რაკარუკის მერე ტყეში შევყვებიო, ოჯახს გამოუცხადა. ბევრი იტირა ახლადწაათხოვმა ნათელამ, ბევრი რჩევა-დარიგება მისცა მამამ და წავიდა ბოლოს. სამი დღის მერე დაბრუნდა უვნებელი, სხვა კაცებივით კრინტი არ დაუძრავს იმასაც, ოჯახიც შეეშვა, მოჩვენებები არ მოასვენებენ, რომ მოგვეითხრობო და ყველაფერი თავის უცნაურ კალაპოტში ჩადგა მექის წელიწადში ორ-სამჯერ ტყეში შესვლით და სამდღიანი გაუჩინარებით. ვერ ეგუებოდა ამას ნათელა, გულამოსკვნილი ტიროდა ყოველ ჯერზე, მარეალზე დაექაჩებოდა ქმარს, არ წახვიდე, რა იქნება, და უსასრულოდ ავიტან ქვების გულისგამაწვრილებელ რაკარუკსო. სიტყვისუთქმელად ჩამოიშორებდა ცოლს კაცი, არ დაამშვიდებდა, არ ანუგეშებდა, თავს შეიმზადებდა და ტყისკენ წავიდოდა.

* * *

მშიშარა ტიპი ვარ-მეთქი, ნაღდად ვერ ვიტყვი. ჩემს თავზე მე ბევრს არ ვფიქრობ, ეს ჩაღრმავ-ამოღრმავებები არ არის ჩემი საქმე, მარა, ხო არის რაღაცები, როგორც ორჯერ ორი, ისე იცი საკუთარ თავზე და მეც ეგრე ვიცი, რო არ ვარ მშიშარა ტიპი, იმიტო, რო ჯერ კიდე ბიჭბუჭობიდან არ მეშინოდა სკოლის უკან უფროსკლასელებთან წაჩხუბებების და მერე ჩემს ცხაში ჩასმული იმათი მუშტების, არც სირი უფროსების მეშინია, როგორც ზემოთ მოვყევი უკვე, არც უფულობის, არც ლამურების და რაღა დარჩა, რო?

იდეალური არავინააო, კი გაიგებდით და მეც ვაღიარებ, რო ერთი ეგაა, მკვდრების და კუბოების მაგრად მეშინია. უკომპრომისო უარი რო გამოვუცხადე დედაჩემს კლასელების ბებიების და ასაკოვანი ნათესავების პანაშვიდებზე სიარულზე, კი მიხვდა, რაც მჭირდა და ფსიქოლოგთან წამიყვანა. იმან ჯერ რალაც ტესტები მავსებინა, მერე ისაო, დღეს მზე რომელზე ამოვიდა შენთვისო, საკუთარ თავს რა ამოცანებს უსახავ დილაობითო. მეთქი, ამ საქმიდან არაფერი გამოვა, დედა, ფულს ტყუილად აკუჭავ იმ ქალს. კაი, მაშინ მე დამელაპარაკე და ზუსტად მომიყევი, რას გრძნობ და რატო არ დადიხარ პანაშვიდებზეო. მეც ავდექი და მოვუყევი: მეორე კლასში ვიყავი, ჩვენი მეზობელი გალინა სერგეევნა

ბიბლიოთეკა

რომ მოკვდა, გასვენების დღეს სახლში მარტო დამტოვეთ ტელევიზორთან და მკაცრად გამაფრთხილეთ, ფანჯარას არ მიეკარო. უეჭველი მივეკარები რახან ეს მითხრეს-მეთქი, და ზუსტად იმ დროს გადმოვიჭყიტე, გალინას თავგადახდილი კუბო სადარბაზოდან რომ გამოჰქონდათ. ხოდა, იმის მერე ყველა მკვდარზე ეგ მეორეკლასელური შიში მიბრუნდება, ბევრი რო არ გავაგრძელო-მეთქი.

მარა ბაბუაჩემს მე მაგას ვერ ავუხსნიდი, რანაირად გინდა ამაყ ბაბუას ის უთხრა, პანაშვიდებზე შიშისგან ვიფსამო, ხოდა, რახან არი რაღაცები, რასაც ვერ იმასიზამ, გადავხარშე, რო მთელი ის დღეები პანაშვიდებზე ჩამნკრივებულ სოფლის კაცებს შორის უნდა გამეტარებინა.

* * *

უყურებდა მსხლის ძირში მოკალათებულ თექვსმეტი წლის დინას ხის მოაჯირზე გადმოყუდებული შიო, უყურებდა და ამჩნევდა, რომ ერთ დღეში დაქალებულიყო მისი შვილი. გუშინ ურნაგირის წასაღებად გადმოსულმა მეზობელმა უთხრა, გასათხოვარია აწი შენი გოგოო და იმის მერე დაქალდა დინა მამის თვალში, ერთბაშად გაიზარდა იმ ნათქვამის მერე. გრძელ თეთრ კისერს გვერდზე გადმოგდებული ოქროსფერი ნაწნავი უფარავდა, ჩამოქნილ თითებში ძაფგაყრილი ნემსი ეჭირა და ვაშლის ნაჭრებს დასაჩირებლად ამზადებდა. მამის მზერა რომ იგრძნო, აივნისკენ აიხედა, ფორთოხლისფერი თვალები ამოანათა და მაშინ მიხვდა შიო, რომ ძალიან ლამაზი იყო მისი ნაბოლარა. მიხვდა ამას და შეეშინდა, ფეხის თითებიდან დაუარა უცნაურმა სიცივემ, რადგან იცოდა, სმენოდა და ბევრისგან გაეგო, ცუდი ბედი აქვთო ლამაზ ქალებს.

ჩვიდმეტი წელი ქმრის ოჯახში შეასრულა დინამ. წესი იყო მაშინ ადრე გათხოვება, მთხოვნელიც ბევრი ჰყავდა, მაგრამ სიყვარულით არავინ უყვარდა. სიყვარული შეჩვევააო – უფროსი, გათხოვილი დებისგან სმენოდა და დიდად არ უდარდია ამაზე. კეთილი კაცი იყო მისი ქმარი, გულუხვი და ხელგაშლილი, ისიც ფიქრობდა, სხვა თუ არაფერი, სიკეთის გამო შეიყვარებდა თანდათანობით. ამ იმედით მანამდე ცხოვრობდა, სანამ ორი წლის გათხოვილზე ქმარი ბრმა ტყვიამ არ იმსხვერპლა ნადირობისას.

ბევრს არავის იცნობდა ქმრის სოფელში დინა, ერთი ფიქრი თავის სოფელში დაბრუნებაც იფიქრა დაქვრივებულმა, მერე მოხუცი მამამთილი შეეცოდა, მარტო ვერ დატოვა და დარჩა.

სიყვარული შეჩვევა იყო თუ სხვა რამე, ქმრის სიკვდილის მერე არ უფიქრია მანამ, სანამ მექი კოპალიანი არ ნახა მეზობლის გასვენებაში. სოფლის ქალებს სუფრის მომსახურებაში ეხმარებოდა, ცხელ კერძებს დაატარებდა და მექის გვერდით გაჩერდა ცხელი წვნიანით სავსე თეფშის ჩასადგმელად. სანამ ცალი ხელით მაგიდაზე ცარიელ ადგილს ათავისუფლებდა, მეორე ხელი ცხელმა თეფშმა დაუწვა და უთუოდ ხელიდან გაუვარდებოდა, მექი რომ არ შეშველებოდა. მექიმ გამოართვა წვნიანი, მაგიდაზე დადგა, დამწვარი ხელი კი სუფრის ხელსახოცით გადაუხვია.

იმ დღეს ბევრი იფიქრა დინამ, არ უნდოდა, ისე იფიქრა ბევრი ამაზე და მიხვდა, რომ ცდებოდნენ უფროსი დები, სიყვარული და შეჩვევა სხვადასხვა იყო და ის, რასაც ის გრძნობდა, წყურვილს ჰგავდა, უცნაურ წყურვილს, წყლის დალევა რომ ვერ კლავს, ისეთს.

მას მერე ხშირად ფიქრობდა დინა მექიზე და სულ იმ უცნაურ წყურვილს გრძნობდა იმ დროს. ხან ვინმეს გასვენებაში შეხვდებოდა, ხან წყაროზე ჩასვლისას გვერდს გაუვლიდა მხარზე ცელგადებული ულვაშდაწკეპილი კაცი, მოწიწებით დაუკრავდა თავს, თვალებით გაუღიმებდა და გზას გააგრძელებდა. იცოდა მექიმ, სიტყვა რომ ეთქვა გრძლად, ან ოდნავ შეჰხებოდა ხელზე, არსაიდან გაჩნდებოდნენ ყურები და თვალები სოფლის ორღობეში და ცუდ დღეში ჩააგდებდნენ ქვრივ ქალს ცოლიან კაცთან მუსაიფისთვის. იცოდა მექიმ ეს ამბავი და მხოლოდ შორიდან უღიმოდა, თვალებით ესალმებოდა და ეფერებოდა კიდეც გოგოს.

* * *

ჩამოეიყვანეთ ეს კაცი, ჩამოვასვენეთ შუალამეს, ატყდა კივილი განწირული, კიოდა მექის ცოლი ნათელა, აი, ეგ იყო ის კივილი, ძილში რო შორიდან ჩამესმა, ოღონდ ახლა უკვე ახლოდან. კიოდა ნათელა და კიოდნენ მეზობელი ქალები, ოთახის შუაში იჯდა მექის მოხუცებული დედა, თავჩახრილი, ჩუმად, იჯდა გაქვავებულივით და იშვიათად ახედავდა ხოლმე მის წინ დასვენებულ შვილს. მე არ გამკვირვებია ეს სურათი, ვიცოდი ბებიაჩემისგან, ამაყი და უცნაური გლოვა იციანო მთის ქალებმა.

აქეთ მე ჩემი მჭირდა, ვისაც შიშისთვის თვალის გასწორება და შეფეთება არ გამოუცდია, ვერ მიხვდება, მე რა დღეში ვიყავი იმ დღეს. აი, მეჭირა ჩემი ცერა თითი და მთელი ძალით ვაჭერდი საჩვენებელი თითის ფრჩხილს სიმწრისგან.

დიდი მლოცველი კაციც არ გახლავართ, არადა, სკოლის პერიოდში, იცოცხლეთ, დავდიოდი ეკლესიაში, მამაჩემმა მიმიყვანა მამა ლევანთან და მითხრა, ეს შენი მოძღვარი

იქნება დღეიდანო. დავდიოდი პატარბიჭობაში, რამდენჯერმე ვიმარხულე კიდეც და კლეტკიან ფურცელზე ჩამონერილი ცოდვებიც მივუტანე მოძღვარს. გარდატეხის ასაკში მე ჩემი პროტესტები მქონდა და იქ აღარ მივსულვარ, მერე გავიგე, მამა ლევანს სმისგან ღვიძლი დაეშალა და გარდაიცვალაო და, მითუმეტეს, აღარ მიმისუნია. ერთი ისიც იყო, აქეთ რო მოვდიოდი აეხლა თბილისიდან, ჯვრის მონასტერთან მექანიკურად პირჯვარი გადავიწერე და ვიფიქრე, ალბათ ისედაც რამდენ პირჯვრისწერის დროს ჩაფიქრებულ სურვილს იტევს ეს გზა, ახლა კიდე მე არ დავამატო-მეთქი. თან კონკრეტული რამე არც გამხსენებია და გამოვიარე.

ხოდა, ლოცვები მე არ ვიცოდი და გულში კი ვბუტბუტებდი იმ ღამეს, თუ რამე არახელშესახები ძალა არსებობს, ამ უსიამო სიტუაციას გადამარჩინოს და მალე მიწაახლოს ჩემს საბანს-მეთქი.

შუაღამემდე იქ ვიყავი ბაბუაჩემთან ერთად, იქ მოყვნენ, როგორ გაიტაცებდა ხოლმე მექის ტყის ქალი წელიწადში რამდენჯერმე, როგორ დარდობდა ამაზე ნათელა, რომ ამათი უშვილობაც ტყის ქალის წყევლა იყო და რომ სოფელი, რომელსაც ის ალქაჯები ამოიჩემებენ, დაწყევლილია. ვუსმენდი ამ კაცებს და ვფიქრობდი, აფსუს, ერთი გილიერმო დელ ტორო ან კარპენტერი მომცა აქ, ან, სულაც, ჰიჩკოკი, ამათ ბაზარს უსმენდეს, რა სცენარს მაზავს-მეთქი, ისიც ვიფიქრე, ხო არ ჩავერიო და შევაპარო, ალქაჯები და თოვლის ბაბუ რომ არ არსებობენ-მეთქი, მაგრამ საქმე ის იყო, რო ბაბუაჩემის ნათქვამი კარგად მქონდა ჩაბეჭდილი, ბაბუა, შენ შეიძლება კი იცოდე ბევრი რამე, რა როგორაა სწორი, მარა ყველასთან ყველაფრის მტკიცება და ლაპარაკი არ უნდაო.

* * *

უსხეულო, გამჭვირვალე ავსულები ეგონათ ტყის ქალები სოფლებში, ათას უბედურებას და ბოროტებას აბრალებდნენ, უფრო ზუსტად კი – ყველაფერ ცუდს, რასაც ვერ ახსნიდნენ. ერთმანეთს შეშას რომ ჰპარავდნენ, ტყის ქალმა წაიღოო, იტყოდნენ, ვინმეს გარდაცვალების მიზეზს რომ ვერ დაადგენდნენ, ტყის ქალმა მოაკითხაო – დაასკვნიდნენ, ძროხა რომ აღარ იწველებოდა – იმ ავსულმა შეაშინაო და ასე. სინამდვილეში ტყის ქალები ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ, ტყეებში ცხოვრობდნენ, პატარ-პატარა ხის თავშესაფრებს იშენებდნენ. ზოგჯერ ჩადიოდნენ მახლობელ სოფლებსა და ქალაქებში ჩვეულებრივ ტანისამოსში გამოწყობილები, ზოგი იქ დარჩენილი ოჯახის წევრების სანახავად, ზოგიც სხვა რამეზე. ფულს ტყის ყვავილების თაიგულების, სამკურნალო ბალახების და ველური თაფლის გაყიდვით შოულობდნენ და ასე ინახავდნენ თავს და ერთმანეთს. პირველი ტყის ქალი ვინ იყო და როდის დაიწყო თეთრებში შემოსვა, იმათაც არ იცოდნენ, თუმცა ის იცოდნენ, რომ სადმე თუ სახლიდან გამოგდებული, შერცხვენილი და გაუბედურებული, ან თუნდაც შეუძლებელი სიყვარულით დატანჯული ქალის ამბავს გაიგებდნენ, აუცილებლად უნდა მიეკითხათ და მათთან წამოეყვანათ. მოუვლიდნენ შეფარებულს, თავიანთ საქმეებს გაუნაწილებდნენ და ქვეყნისკენ მოაბრუნებდნენ.

სინამდვილეში ქალები არც არავის აშინებდნენ, წყევლიდნენ და მითუმეტეს, კლავდნენ, მათი დანაშაული მხოლოდ ერთი იყო, ქურდობდნენ, იპარავდნენ სიყვარულს. იპარავდნენ სიყვარულს, რომელიც მათი კაცების ცოლებს, შეყვარებულებს და სხვა ქალებს ეკუთვნოდათ და რომლებიც მათ მაგივრად უნდა ჰყვარებოდათ. ზოგი თავისი ქმრის სიყვარულს იპარავდა, ართმევდა მის წილ სიყვარულს და სხვას უზიარებდა. ეს იყო მათი ცოდვა, მათი ერთადერთი ნებადართული დანაშაული და მათი უცნაური ცხოვრების წესის გამართლებაც.

შეიმოსებოდა ტყის ქალი თეთრებში შებინდებისას, მკლავზე გადმოიგდებდა ნაწნავს და ფრთხილად და ყურადღებით გაივლიდა წინასწარ შესწავლილ გზას არჩეული კაცის სახლამდე. დაიწყებდა ქვების სროლას სარკმელზე მანამ, სანამ ყურადღებას არ მიიქცევდა. ბოლო-ბოლო, ატყდებოდა ერთი ამბავი შიგნით, ტყის ქალმა მოგვაკითხაო, დაფაცურდებოდა მთელი ოჯახი, დიდიან-პატარიანად წამოხტებოდნენ საწოლებიდან, დედები გულზე მიიკრავდნენ პატარა შვილებს, მამები და ოჯახის თავები იარაღებს და ბასრ საგნებს მოიმარჯვებდნენ, გამოეფინებოდნენ გარეთ და იწყებდნენ ავსულის ძებნას ახლომახლო ადგილებში. მოივლიდნენ მეზობელ სახლებს, მდელოებს, სოფლის დაკეტილ სახლებს, ჩაიხედავდნენ თონეებში, ბეღელში, თვალს მოავლებდნენ მარანს, ტყის ქალი კი ამ დროს მათსავე სახლში შევიდოდა და იქ დაიმალებოდა, სანამ ყველაფერი არ მიწყნარდებოდა. იმათ აზრად არ მოსდიოდათ თავიანთი სახლის შემოწმება, გაწბილებულები და გასავათებულები შინ შემოლაგდებოდნენ და დასაძინებლად რომ გაიწევდნენ, მაშინ გამოვიდოდა თეთრებში შემოსილი ქალი იმ სახლიდან და უკუნეთ სიბნელეში გაუჩინარდებოდა.

* * *

ბაბუაჩემთან ყოფნა განსაკუთრებულად მიყვარდა ბავშვობიდან და ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რო არასდროს ეზარებოდა ჩემს კითხვებზე პასუხის გაცემა, მათ შო-

რის, არც უაზრო კითხვებზე. სალამოობით რომელიმე ძროხას თუ შეაგვიანდებოდა ჭიშკართან ატუზვა, გავუყვებოდით სოფლის საძოვრებისკენ გზას მე და ბაბუა და დავუსვამდი ათას კითხვას უკან მოსვლამდე. სხარტად მიპასუხებდა ყველაფერზე, დაუზარლად, თუ ძალიან გულს გავუწყალებდი „ე, ახლა მეისვენე, ბაბუა!“ – მეტყოდა და ეგ იყო. მახსოვს, ასე გზას მივუყვებოდით ერთხელ მე და ის, თეთრი ძაღლი რომ შევნიშნე, ორღობეს გამოყოლებული. იყო ეს ძაღლი გაჭიმული უწყვეტად და არსად მთავრდებოდა, არც სადმე წყდებოდა. რაა ბაბუა ეს ძაღლი, ვინ გააფინა-მეთქი, ვკითხე. ამას, ბაბუა, ავსული ტყის ქალები გააფენენ ხოლმე მაგათი ამორჩეული კაცის საფლავიდან ტყემდე, სული რო წაყვესო, თუ რაღაც მაგდაგვარს ბოდავენ, არ მჯერა მეო. მას მერე კიდევ ვნახე ის თეთრი ძაღლი სასაფლაოდან ტყის მიმართულებით და რატომ გამახსენდა ეს ამბავი, ქვემოთ ვიტყვი მაგას, მანამდე კი მივყვე უნდა თანმიმდევრულად.

მექის პანაშვიდების მეორე დღე იყო და ვიფიქრე, მივიყვანო ბარემ ეს საქმე და ჩემი შვილიშვილურ-თანასოფლელური ვალი ბოლომდე-მეთქი და მერე ჩემს გემოზე შევირგებ აქაურობას.

დილიდან იქ დავერჭე, ხან ქელეხის საქმეებზე ვეხმარებოდი, ხან ეზოში მდგარ კაცებში გავერეოდი. იშვიათად რო ზემოთ პანაშვიდის ოთახში შევსულიყავი, ჯერ ერთი, ბევრი ხალხი მიმოდიოდა და ჩემი იქ ყოფნის საჭიროება არ იყო, მეორეც, კი ვთქვი წელან, დიდად სასიამოვნო არაა ოცდაათი წლის მუტრუკი შენს მიმებზე ბაზრობდე ხშირად.

ერთ შუადღეს ავედი ზემოთ, ცოტა ხანი იქაც დავდგებიმეთქი, ნაჭრებაფარებულ კარადასთან ჩამოვდექი კუთხეში. ცოტა ხალხი მოძრაობდა იმ საათებში, მიგნითაც ცოტა იყო. წრიულად ჩამწკრივებულ სკამებზე მიცვალებულის დედა, ცოლი და ნათესავი ქალები ისხდნენ. კარში ჯერ ტყის ყვავილებისგან შეკრული უზარმაზარი თაიგული დავინახე, მის უკან კი ორმოცდაათამდე წლის თავშლიანი ქალი. ბორდოსფერი კაბა კოჭებამდე სწვდებოდა, თავზე თმას ცისფერი თავსაფარი უფარავდა, თუმცა მკერდზე დაფენილ ოქროსფერ წნწნავში მაინც უჩანდა მერეული ჭაღარა. როგორც პანაშვიდზე მოქცევის წესია, ისე არ მოქცეულა, წრე არ დაურტყამს სასახლისთვის, არც ჭირისუფლებისთვის უთქვამს სამძიმარი, ყვავილები ქვემოთ მიაყუდა და სასახლეს ხელებით მოეფერა, რაღაც ჩაიჩურჩულა, აწყლიანებული თვალები ოთახს მოავლო და კარისკენ წავიდა. ჭირისუფალმა ქალებმა ერთმანეთს გადახედეს, გამიკვირდა, მეთქი, ან ვერ იცნეს, ან უკვირთ მისი აქ მოსვლა. ამ ქალის გასვლა ერთი იყო და მეც კიბისკენ დავიძარი, ვიწრო ხის საფეხურებზე ჯერ იმ ქალს დავაცადე ჩასვლა და მერე მეც დავეშვი. ჭიშკარს მიღწეული იყო უკვე, ნათელა რომ წამოეწია, მექის ცოლი, ჩქარი ნაბიჯით მიუახლოვდა, თავშალში სწვდა მოულოდნელად და მთელი ძალით ჩამოჰქაჩა.

– ის არის, აიიი, ის არის – იღერებდა მისკენ თითს, ხან ქალს შეხედავდა, ხან მათკენ მოტრიალებულ ხალხს;

– ის არიიის, თმაზე შეხედეთ ძალს! ვიცოდი, რომ მოვიდოდა! ვიძახდი და არავინ მიჯერებდა, ჩემი უბედურების მიზეზი ეს ქალი! – ორღლიანი ტირილისგან ხმა ჩახლეჩოდა ნათელას, უკანასკნელი სალი იოგებით აგრძელებდა კივილს:

– ქმარი წამართვა, ხალხოო! ოჯახი დამიწყევლა! მთელი ცხოვრება უბედური ვიყავი, ხალხო, ამ ქალის გამო, მთელი ცხოვრება! – მზერას არ აშორებდა ქალს და ნიაღვარივით ჩამოსდიოდა ცრემლები.

აემ ნათელას ნათქვამზე მეც დავაკვირდი ქალს თმაზე, ყურს ზემოთ მთელი ერთი თითის დადება ადგილი ჰქონდა ამომწვარი და უთმო, როგორც მერე გაირკვა, ნათელას თქმით, ერთხელაც ქვების რაკარუკისას ბუხრის ცხელი საჩხრეკი უსროლია ფანჯრიდან და დაუნახავს, როგორ მოხვდა თავში ვილაცას, ირწმუნებოდა, იფიცებოდა, ტყიქალეს მოვარტყი ცხელი რკინა, ადამიანია ტყიქალე, კვნესა აღმოხდა ტკივილისგანო და არავინ უჯერებდა სახლში. ქმარსაც ემუდარებოდა, არ ნახვიდე, ვერაფერს გიზამს, ჩვეულებრივი ადამიანიაო. მოკლედ, ერთ ტანჯვაში ყოფილა ეს ქალი და არავინ უჯერებდა. აქაც ყველა გაოცებული უყურებდა, როგორ ჩამოგლიჯა თავშალი სამძიმარზე მოსულ ქალს და აბრალებდა ავსულობას, ბოლოს მოხუცმა მამამთილმა გაუყარა ხელკავი და ოთახში შეიყვანა, ის ქალი კი იდგა ისე რამდენიმე წუთს, ბოლოს ძირს დავარდნილი ცისფერი თავშალი აიღო, თავზე შემოიკრა და ჩქარი ნაბიჯით გაეცალა იქაურობას.

დავკრძალეთ ის კაცი მეორე დღეს, მშვიდად ჩაიარა ყველაფერმა. ქელეხის სუფრაზე მე აღარ დავრჩენილვარ, სასაფლაოდან პირდაპირ სახლში წამოვედი. სალამოსკენ გავედი მხოლოდ, ბაბუაჩემს გავაკითხო-მეთქი და გზაში შევნიშნე, სასაფლაოების მხრიდან ორღობეს თეთრი ძაფი მოუყვებოდა, არსად წყდებოდა, არც მთავრდებოდა. აი, მაშინ კი გამახსენდა ბაბუაჩემის ნათქვამი და არიქა, ფარდა უნდა ავხადო ამ საიდუმლოს-მეთქი, მოვიწადინე, მივედევნე ამ ძაფს, დანიშნულების ადგილსაც გავცდი და ტყეში აღმოვჩნდი. ძაფი შეწყდა, ვერავინ ალქაჯი მე იქ ვერ დავინახე, მოვტრიალდი უკან და იმედგაცრუებული წამოვედი სოფლისკენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემი სახელია ბლუზი

*არსებობს ლეგენდა, რომლის თანახმადაც რობერტ ჯონსონმა საკუთარი სული ეშმაკს მიჰყიდა, რათა ბლუზი შეექმნა.*

*დემეტრე ხუფენია*

1

ზაფხულის ჩვეულებრივი, მდორე დილა იყო. რუფემ თავის ერთოთახიან ნაქირავებში გაიღვიძა და გადაწყვიტა, სამსახურში არ წასულიყო. ჩვეულებრივი გადაწყვეტილება იყო იმის გათვალისწინებით, რომ რუფეს არც თავისი სამსახური მოსწონდა და არც მუშაობა, ზოგადად.

ის ასეთ დილას „ყვითელს" ეძახდა. ამ ერთი შეხედვით პოზიტიურსა და ნათელ ფერში ყოველგვარ დისკომფორტსა და სიმყრალეს მოიაზრებდა, რომელიც თან ახლდა ზაფხულს. ბუზების ბზუილი, ილლიიდან ჩამოსრიალებული ოფლის წვეთები, კოღოების მიერ დაკბენილი ტერფები, გრიბოედოვის ქუჩის ყოველ ნაბიჯზე ძაღლის განავლის ყროლი და სეზონური დერმატიტი, რომელსაც ხელების გადატყავებამდე მიჰყავდა – იყო „ყვითელი დღე". ამ სიტყვებსაც წარმოსახვითი მრავალწერტილით წარმოთქვამდა ხოლმე, თითქოს ყველასთვის გასაგები და, უფრო მეტიც, მისაღები უნდა ყოფილიყო მის მიერ შემოტანილი კომპოზიტი.

მას დიდ ტრაგედიად მიაჩნდა თავისი რუტინა – „იმად ვიქეცი, რასაც ვებრძოდი!" – არტისტული სინანულითა და რიხით შესძახებდა ხოლმე, როგორც კი ალკოჰოლი მოეკიდებოდა. ზემოხსენებული ბრძოლის ობიექტი კი საოფისე სამსახური გახლდათ, საშუალო ხელფასით, სრული განაკვეთითა და მცირე ბონუსებით.

ახლაც ხელების ქავილმა გააღვიძა. გაღვიძებისთანავე საჩვენებელი თითის სისხლიანი ფალანგი გაუაზრებლად ტუჩზე მიიდო და ლოღნა დაუწყო.

„ჩვენ დღეს არსად წამსვლელები არა ვართ..." – ჩაიბურტყუნა და დორბლიანი ხელი ბალიშზე შეიშრო. იფიქრა, უფროსისთვის დაერეკა და რამე სისულელე შეეთხზა, რაც მის არყოფნას საპატიოს გახდიდა, მაგრამ ეს არწასვლის გადაწყვეტილება მხოლოდ დღევანდელ დღეზე არ ვრცელდებოდა. რუფემ ამის შესახებ ჯერ არ იცოდა, მაგრამ გული უგრძნობდა, რომ საქმე მხოლოდ სიცხესა და ნაბახუსევში არ იყო. იმ დილას მასთან ერთად დიდი ხნის მიძინებულმა მეოცნებემ და ჯანყის თავმა გაიღვიძა, მაგრამ არც ეს იცოდა რუფემ. მობილური უბრალოდ გამორთო და მაღაზიაში ჩავიდა ლუდის საყიდლად.

2

ერთი შეხედვით, მის ცხოვრებაში არაფერი იყო ისეთი, რაც მის მარად სევდიან მზერასა და პილიგრიმისებურ სიარულის მანერას გაამართლებდა. ის ადრეული ასაკიდან დიდ დრამას ეძებდა. ისეთ დრამას, რომელიც ადამიანების პიროვნებას განსაზღვრავს ხოლმე და მათ თვალებში ცხოვრებისეული სიბრძნისა და ენიგმატურობის ნაპერწკალს ანთებს, მაგრამ რუფეს გარემო მუდამ მიცვალებულის პულსივით მშვიდი და უძრავი იყო. ის ადამიანთა იმ ნაწილს მიეკუთვნებოდა, რომლებიც ბავშვობიდან საკუთარ თავსა და ოცნებებში იკეტებიან, ჰყავთ წარმოსახვითი მეგობრები და ამხანაგებთან თამაშს ალაპარაკებული სათამაშოები ურჩევნიათ. ერთხელ, საკუთარი ბავშვობის გახსენებისას, იფიქრა – აუტიზმი ან ყურადღების დეფიციტი ხომ არ მჭირსო. დაფიქრდა იმაზე, თუ რაოდენ იშვიათად უშვებს უცხო ადამიანებს საკუთარ ცხოვრებაში, რაოდენ უჭირს მრავალგზის მოსმენილისა თუ ნაკითხულის დამახსოვრება, ან ახალ გარემოსთან შეგუება, მაგრამ რუფე, სხვა ღირსებებთან ერთად, ზარმაციც იყო, ამიტომ თვითდიაგნოსტიკისა და მკურნალობის აზრი მალევე ამოიგდო თავიდან.

ყმაწვილობაში, რჩეულობის იდეით შეპყრობილმა, მთელი თეოგონია გადაიკითხა, რათა სადმე საკუთარი ღვთაებრიობის სიმპტომები ეპოვა. როდესაც დარწმუნდა, რომ არც ღმერთი იყო და არც ღმერთის ნაბიჭვარი, გადაწყვიტა, რომ ყველას შეგვიძლია ზეადამიანებად ვიქცეთ, თუკი ამას მოვინდომებთ. რუფე იდეალისტი იყო, ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით. მისი დამოკიდებული რელიგიებისა თუ წვრილი მოძღვრებებისადმი სრულიად ამორფული, მაგრამ ყმაწვილურად მარტივი იყო. სჯეროდა, რომ ყველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთი და ყველა მოძღვრება ერთდროულად არსებობს, ამიტომ ძალ-ღონეს არ იშურებდა, რათა რომელიმე მათგანისთვის მაინც მოეწონებინა თავი და ყველა ტიპის რიტუალს, შეძლებისდაგვარად, ასრულებდა. ის სულიერ მეგობრებად მიიჩნევდა თეოსოფოსებს. განსაკუთრებით – ტომას ელიოტს სწყალობდა. „ისიც ჩემსავით გრძნობსო" – იტყოდა და სახეზე სიამაყისა და კმაყოფილების უნებური ღიმილი ესახებოდა ხოლმე.

მისი ერთოთახიანი საცხოვრებელი მოიცავდა – გასაშლელ დივანს, რომელზეც ეძინა, ერთ ტახტსა და საწერ მაგიდას, რომელზეც მუდამ ტანსაცმელი და დაცლილი ბოთლები ელაგა. დივანის გვერდზე წიგნები სვეტებად ჰქონდა დაწყობილი. შემსვლელი იფიქრებდა, ალბათ, დღეს და ლამეს კითხვაში ასწორებსო, – რუფემ ეს იცოდა და მოსწონდა კიდევაც, რომ ასეთი შთაბეჭდილება ექმნებოდათ სტუმრებს, თუმცა, სინამდვილეში, წლებია, არცერთ წიგნს არ გაჰკარებია და, ბოლო დროს, ვერც სტუმრების სიჭარბით დაიტრაბახებდა. ტელევიზორი მეგობარს აჩუქა, როგორც კი გაიაზრა, რომ საინფორმაციო გამოშვებებზე დამოკიდებული გახდა. მთელი დღის მანძილზე არხიდან არხზე დახტოდა, რათა ყოველ ერთ საათში ერთი და იგივე ამბავი სხვადასხვა ჟურნალისტის პირიდან სხვადასხვა ინტერპრეტირებით მოესმინა. საინფორმაციო გამოშვებების ყურება მას გარკვეულ სიმშვიდეს ანიჭებდა და თავს უფრო დაზღვეულად აგრძნობინებდა. თავადაც არ იცოდა რისგან, მაგრამ გრძნობა უთუოდ ასეთი ჰქონდა.

ოთახში ერთადერთი ფანჯარა იყო, რომელიც პირდაპირ კონსერვატორიას გაჰყურებდა. ბინის შერჩევისას სწორედ ამან მოხიბლა – დილიდან საღამომდე სტუდენტების სიმღერა ისმოდა. „ყოველი დღე კლასიკასთან, არა?!" კმაყოფილმა უთხრა ბინის მფლობელს, როდესაც გასაღებს ართმევდა. ერთი თვე საკმარისი აღმოჩნდა, რათა ენატრა, რომ ქუჩაზე სარემონტო სამუშაოები დაწყებულიყო და თუნდაც ასფალტის გადამამუშავებელ მანქანებს ჩაეხშოთ კონსერვატორიის სტუდენტების უსასრულო მოთელვა ვოკალში.

დროთა განმავლობაში რუფეს სოციალური ქცევა სრულ წინააღმდეგობაში მოვიდა მის წარმოდგენასთან საკუთარი თავის შესახებ. ხალხში ის ძალიან თავაზიანი, შეიძლება ითქვას, მორცხვიც კი იყო. სამსახურში ხშირად აჰყოლია მისი წარმოდგენით მდაბიო და უგემოვნო ხუმრობებს. არც გალიმებაზე ეტყოდა ვინმეს უარს. სამაგიეროდ, სახლში დაბრუნებული საკუთარ თავს დაძინებამდე ლანძლავდა ამ ყველაფრის გამო და ყოველ ღამე ლოცვასავით იმეორებდა: „მე ვიტყვი არას! მე აღარ გავიცინებ იმაზე, რაზეც არ მეცინება! მე ამ ყველაფერზე მაღლა ვდგავარ!" თუმცა, ეს შეთქმა იმაზე ამაოდ ჩაივლიდა ხოლმე, ვიდრე ლოცვა-ვედრება ლატარიის მოგებაზე.

ერთხელ, ზაფხულში სოფელში ჩასულმა გადაწყვიტა გოგოსთვის თავი მოეწონებინა (იმ დროისთვის ყვითელი მხოლოდ ფერი იყო), მთელი საღამო ეზოთერიკასა და სპირიტუალიზმზე საუბრით გამოულაყა ტვინი. გოგო კი თავის მხრივ ერთი ჭკუამხიარული ადგილობრივი გაბლდათ, რომელსაც რუფე შორიდან მოსწონებოდა. ვიზუალურად მართლაც ვერაფერი დაეწუნებოდა რუფეს. მაღალი, გამხდარი, მაგრამ განიერი მხრებით, მოხდენილი ნაკვთებით, ფითქინა კანითა და მუქი შავი თმით. თუმცა საკმარისი იყო ვინმესთან ხმა ამოეღო და მაშინვე ყველას აფრთხობდა თავისი აბდაუბდა საუბრებითა და იმანენტური ქედმაღლობით. გოგონასთან ხანგრძლივი საუბრის მერე ორივემ იგრძნო, რომ სიტყვებმა თავისი ძალა მოლია და მოქმედების დრო დადგა:

– ხელები მომკიდე – თქვა რუფემ და გოგოს თვალი გაუსწორა. მანაც ჯერ გადაჯვარედინებული, გარუჯული ფეხები დემონსტრაციულად გაასწორა, მოკლე ქვედაბოლო კიდევ უფრო მაღლა აეწია და სახეზე მოლოდინის ღიმილი აუთამაშდა. – არა, ადექი! – რუფეს თვალებში ცეცხლი ენთო.

– კა-არგი – ჩაიკისკისა გოგომ და სახე მაქსიმალურად ახლოს მიუშვირა.

– ახლა თვალები დახუჭე. – თავად უკვე დაეხუჭა თვალები. ქუთუთოებს იდიოტურად აწვებოდა. – მოგენატრა თოვლი?

– რა?

– მე შენ მოგიძღვნი თოვლს! – თქვა და რამდენიმე წამი გაუნძრევლად, ხელიხელჩაკიდებულები იდგნენ. სიცხისა და სიახლოვისგან ხელისგულები ორივეს გაუოფლიანდა. სუნთქვა ქშინვაში გადაუვიდა და უცნაური მოძრაობების კეთება დაიწყო კანკალსა და კრუნჩხვას შორის. გოგოს ხარხარმაც არ დააყოვნა და ხელები გაუშვეს ერთმანეთს.

რუფემ თვალები გაახილა და გარშემო ისე იყურებოდა, თითქოს ორი წამის წინ დავარდნილ ნივთს ეძებდა. თოვლის არმოსვლა სრულიად გულწრფელად გაიკვირვა. გოგო კი სიცილს არ წყვეტდა. მაგრამ ის არ დანებდა, აგვისტოს უთოვლობა გოგონას სულიერ მოუმწიფებლობას დააბრალა და დაუყონებლივ გაეცალა იქაურობას. თუმცა, არც მისი სულიერი სიმწიფე გაგრძელდა დიდხანს. იმედგაცურებების სერია არ სრულდება და რამდენიმე წელიწადში ფანტასტი რუფე – ტიპურ სკეპტიკოსად ჩამოყალიბდა. უსარგებლო ინ-

ფორმაციით ამოტენილი თავითა და ნულოვანი წარმოდგენით პრაგმატული სამყაროს შესახებ.

მრავალი ყვითელი დილის შემდეგ, რუფემ გაიღვიძა და თქვა – „ჩვენ დღეს არსად წამსვლელები არა ვართ..."

3

ათი ქილა „ლოვენბრაუ" დახლზე დააწყო, ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო – ორი ღერი აკლდა.

– და ერთი წითელი „მარლბოროც". – მცირე პაუზის შემდეგ დაურთო – თუ შეიძლება... – კონსულტანტის ამრეზმა მზერამ რუფეს გადატყავებული ხელებიდან მის გაღიმებულ სახეზე გადაინაცვლა. სიცნადისთვის უნდა ითქვას, რომ რუფეს ღიმილი ძლიერ აუშნოებდა. საქმე არც კბილებში და არც ნაკვთებში იყო. უბრალოდ, ისე იღიმოდა, იფიქრებდი, ვიღაცამ იარაღი მიაბჯინა და გაღიმებას აიძულებსო. ამიტომ, საპასუხო ღიმილსაც იშვიათად აწყდებოდა, რამაც მისი თანდაყოლილი, მიზანთროპული განწყობები უფრო გააღრმავა.

ის უკანასკნელია, ვიზეც იტყვი „შენახული კაციაო". მხოლოდ სიგარეტზე ჰქონდა გართულება. რამდენჯერაც მაღაზიაში მოხვდებოდა, იმდენჯერ ყიდულობდა სიგარეტს. „შენახულს" თუ არა, „ჩვევების" ადამიანს მარტივად უწოდებდით. არასდროს არაფერს გეგმავდა, მისი ფიქრები ან ოცნებებს, ან გონების სავარჯიშოდ შექმნილ ანტითეზებს ეკავა. თუმცა მისი ცხოვრება სავსე იყო კანონზომიერი, თითქმის რიტუალური ჩვევებით. – სიგარეტის მარაგის შევსებაც ერთ-ერთი ამ ჩვევათაგანი გახლდათ.

* * *

რუფემ ქილები ტახტის გარშემო შემოიწყო, ლეპტოპში მუსიკა ჩართო, სიგარეტს მოუკიდა და პირველი ლუდი გახსნა. სიმთვრალე ქავილის შეგრძნებას უხშობდა. ის მთელი არსებით გაურბოდა იმაზე ფიქრს, რომ ალკოჰოლიკია და როგორც ალკოჰოლიკების უმრავლესობა, სმის მიზეზად ხან უძილობას ასახელებდა, ხან სტრესს და ხანაც – ხელების ქავილს.

რობერტ ჯონსონის „Crossroad" გაჟღერდა, ფონად კი კონსერვატორიიდან გამოძავალი ბარიტონის გაბმული ხმა ისმოდა. „ასე ჯობია" – ჩაიჩურჩულა და ერთი დიდი ყლუპი მოსვა. დიდი ხანია, ბლუზისთვის არ მოუსმენია. რუფესთვის ბლუზი იმ მაგიურ ოცნებებთან და მიზნებთან ასოცირდებოდა, რამაც მთელი მისი ახალგაზრდობა მოიცვა.

ლუდის სუნმა თავის პირველ კათხაში დააბრუნა. რატომღაც გაახსენდა პირველი თრობის სიამოვნება, ბავშვობის მეგობრები, რომლებიც ყოველ საღამოს იკრიბებოდნენ და ის, თუ როგორ არასდროს ბეზრდებოდათ ერთმანეთი. „როგორც ჩანს, მაინც მოგვბეზრდა" – ფრაზამ მისდაუნებურად გაიელვა თავში. მალევე მიხვდა, რომ მისი მოგონებების არქივი არცთუ ისე ბევრ პოზიტიურ კადრს ინახავს. საერთოდაც, ცოტა რამ ახსენდებოდა მნიშვნელოვანი, გარდა თავისი წარმოდგენების და ოცნებებისა. მან ისე ცხადად იცხოვრა საკუთარ ფანტაზიებში, რომ ვერც შეამჩნია, როგორ გაექცა ყოველდღიურობასა და რუტინაში რეალური ცხოვრება. მისი პათეტიკის ადამიანი იტყოდა „ოჰ, რამდენ რამეს შევცვლიდიო", მაგრამ რუფეს ქედმაღლობა არ აძლევდა იმის საშუალებას, რომ თუნდაც ფიქრებში დაეკნინებინა საკუთარი ცხოვრების მნიშვნელობა. ამიტომ მისთვის მისაღებ გამოსავალს პულობდა – „უბრალოდ, რაღაც ისე ვერ წავიდა, როგორც უნდა მომხდარიყო...".

ის დარწმუნებული იყო, რომ ადამიანის ცხოვრება მხოლოდ ერთ საქმეში დასაოსტატებლად იყო საკმარისი და ახლა, ოცდაათ წელს მიახლოებული რუფესთვის – ყველაფერი გვიანი იყო.

ლუდის ქილა ჰაერში აღმართა, თითქოს დიდი აუდიტორიის წინაშე მდგარიყო და არტისტულად შესძახა ცარიელ ოთახს: „ჩვენ ვიბეგრებით, ყოველდღიურად, დროით, რომელიც ასე ძალიან გვჭირდება. და ძალიან ცოტა დროა საჭირო იმისათვის, რომ მთელმა ჩვენმა დარჩენილმა დრომ მნიშვნელობა დაკარგოს!"

რუფე მთელი ცხოვრება წიგნის დაწერას გეგმავდა. ბევრჯერ დაიწყო კიდეც, მაგრამ რამდენიმე გვერდის შემდეგ იტყოდა „ეს სამყაროს ვერ შეცვლის" – და თავს ანებებდა. ერთი შეხედვით, საინტერესო იდეები ჰქონდა, თუმცა ხელი არ უვარგოდა. ხოლო სტილზე ვარჯიში შრომისუნარიანობას საჭიროებდა, რასაც ის მოკლებული იყო. როდესაც მეცნიერებმა „სივრცე-დროის ველი" აღმოაჩინეს, რუფემ ჩათვალა, უფრო სწორად, წარმოიდგინა, რომ სწორედ ის გახდებოდა პირველი, ვინც ველს დაიმორჩილებდა და მის პრაქტიკულ გამოყენებას შესძლებდა. მაგრამ მისთვის სრულიად უცხო მეცნიერების წინაშე აღმოჩენილმა თქვა: „ცხოვრება მხოლოდ ერთ საქმეში დასაოსტატებლად არის საკმარისი" და დიად წიგნზე ფიქრს დაუბრუნდა.

კიდევ ერთი ქილა გახსნა და ფანჯარასთან დადგა... შუბლით ფანჯრის შუშას აკრობოდა, იფიქრებდით, დაჟინებით უთვალთვალებს ვიღაცასო, მაგრამ მისი ფოკუსი შუშასაც არ გასცდენია.

სიმთვრალეში სიმარტოვე ყველაზე აუტანელია. მითუმეტეს, თუ უკმაყოფილებით, არარეალიზებულობის შეგრძნებითა და თვითგვემით ხარ სავსე. ერთადერთი ნათელი წერტილი ამ ყველაფერში ის არის, რომ შეგიძლია, ფარისევლურად თანამგრძნობი მზერების გარეშე იტირო. რუფეც ტიროდა. იმდენად შეითრავდა ცრემლი, რომ ლამის კრუნჩხვებში ვარდებოდა ტირილისგან. „ცარიელი ვარ" – ამოიბლუყუნებდა ხოლმე, თუკი ყელში გაჩხერილი ბურთი მისცემდა ამის საშუალებას. მას მუდამ სწამდა, რომ მისი ცხოვრება სავსე იქნებოდა გრანდიოზული, კაშკაშა მომენტებით. რომ ამ მომენტების მოზიარედ ეყოლებოდა ქალი, რომელსაც რუფეში ის ეყვარებოდა, რაც თავად რუფეს უყვარდა საკუთარ თავში. ან უფრო მეტიც!

– მარიამი ახლა აქ უნდა იყოს... ჩემთან. – ჩაიღუღლუღა, ცრემლები შეიშრო და კიდევ ერთი ქილა გახსნა.

* * *

მარიამის შესახებ ორ რამეს მოგახსენებთ:

I – მას უყვარდა რუფეში ის, რაც თავად რუფეს საკუთარ თავში და უფრო მეტიც (კერძოდ, ღიმილი).

II – წავიდა (დამატებითი დეტალებისთვის დაუბრუნდით პირველ პუნქტს).

4

მორიგი ქილის ფსკერამდე ჩასულმა რუფემ თქვა – ჯერ არაფერია დაკარგული! – დაცლილი ლუდის ქილა აკურატულად დადო მაგიდაზე და წამოდგა. ოფლი წურწურით მოსდიოდა და მთვრალი სხეული ძლივს ასწია, რათა ისევ ფანჯარასთან მისულიყო. ახლაღა გაიაზრა, რომ მთელი ამ საათების მანძილზე „Crossroad blues"-ს ჩახვეულად უსმენდა. გარეთ უკვე საღამო იდგა. კონსერვატორიიდან ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისმოდა სტუდენტების გეგმები საღამოს შესახებ.

მარტო დარჩენილს უყვარდა თეატრალიზებული მონოლოგების წარმოთქმა. სიამოვნებდა იმაზე ფიქრი, რომ მისგან დიდი მსახიობი დადგებოდა. გრძელ თითებს განსაკუთრებით მოქნილად აამოძრავებდა, ხოლმე მონოლოგების წარმოთქმისას. სახეზე მეტად, სწორედ ხელის მტევნით გამოხატავდა სათქმელს. ხან საპროტესტო აქციის ორატორად, ხანაც კი როკ-ვარსკვლავად წარმოიდგენდა თავს, ხოლო როდესაც რეალობა სახეში სილას გააწნავდა, რუფე იმეორებდა: „უბრალოდ, რაღაც ისე ვერ წავიდა, როგორც უნდა ყოფილიყო."

ცალი ფეხი სკამზე შემოუდგა და მღელვარედ წარმოთქვა:

„ადამიანები უსასრულოდ მიიწევენ მწვერვალებისკენ. ზოგისთვის მწვერვალი ტელევიზიაში მოხვედრაა, ზოგისთვის – უცხოური დელეგაციის დახვედრა, ზოგისთვისაც – ხვრელში ჯოხის შეყოფა. მე მათთვის ცუდი ამბავი მაქვს: არავითარი მწვერვალი არ არსებობს! რამეთუ ადამიანის გონებისა და სულის განვითარებას არ გააჩნია ლიმიტი, არ გააჩნია საზღვრები და მწვერვალები! არსებობს მხოლოდ უსასრულობა, რომელშიც ვცურავთ და მნიშვნელოვანიც სწორედ ის გარემოებაც, თუ რამდენად ღრმად შევცურეთ დროის იმ მონაკვეთში, რომელიც მოგვეცა. არ აქვს მნიშვნელობა, რამდენი ხანი იარსებე... შეიძლება, ცურვისას ახალგაზრდას გული გაგისკდეს. შეიძლება, იმდენ ხანს იცურო, რომ სიბერემ შეგიწიროს. შეიძლება, უსასრულობიდან ურჩხულმა ამოყოს თავი და მან დაასრულოს შენი უმშვენიერესი აქტი! მთავარია, რამდენად ღრმად შეცურე. რამდენად იმუშავე საკუთარი ცურვის მანერის დასახვეწად, რათა უფრო ღრმად შეგეცურა...

მთავარია ცურვა!"

საკუთარი მონოლოგით დამუხტულმა რუფემ უკანასკნელი ქილა გახსნა, ერთიანად ჩაცალა, წვერ-ულვაშზე შერჩენილი წვეთები ჩამოიწურა და მხნედ წარმოთქვა: ვიცი, რაც უნდა გავაკეთოთ!

მას გაახსენდა რობერტ ჯონსონის ლეგენდა, რომლის თანახმადაც დიდმა ბლუზმენმა საკუთარი სული გზაჯვარედინზე ეშმაკს მიჰყიდა, რათა გიტარაზე დაკვრა ესწავლა. თუმცა რუფე დიდი დილემის წინაშე აღმოჩნდა. ეს დილემა ეხებოდა არა ეშმაკის არსებობა-არარსებობას, არამედ იმას, რომ არ იცოდა, თუ რისი მიღება სურდა მას შემდეგ, რაც ჯოჯოხეთს გაინაღდებდა.

ცოტა ხანში ეშმაკისთვის სულის მიყიდვა რადიკალურ გადაწყვეტილებად ეჩვენა და ალტერნატიული გზების ძიებას შეუდგა. დიდი ხანი არ დასჭირვებია, რათა ვუდუიზმის ტექსტები ამოტივტივებულიყო მის მთვრალ გონებაში:

– პაპა ლეგბა! – შესძახა, მღელვარებისგან ათრთოლებული ხელებით საფულე გახსნა და ფულის დათვლას შეუდგა. – ერთ რომს უნდა ეყოს! – ამოიხვნეშა და მეკობრისებურად გადაიხარხარა.

* * *

**(პაპა ლეგბა)**

პაპა ლეგბა – სიცოცხლისა და სიკვდილის გზაჯვარედინის მკვიდრი, ლოას სულთაგან ერთ-ერთი ყველაზე ძლევამოსილი, ყველა ვუდუისტურ რიტუალში პირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველი სადიდებელთაგანი, სულთა სამყაროს კარიბჭის გამგებელი, რომელიც ადამიანებს მუნდშტუკიანი მოხუცის ან ქოფაკის სახით ევლინება. ის, ვისთვისაც ლოცვისა და ვედრების გულწრფელობაზე მნიშვნელოვანი სწორად მირთმეული უხვი ძღვენია:

– თეთრი ქათამი მსხვერპლად, თამბაქო, ქოქოსი, სიმინდი, რომი, მრავალი სახის ტკბილეული, სიგარა, თხილეული და ხელნაკეთი სათამაშოებიც კი!

მას, ვისაც ძალუძს გზაჯვარედინზე გამოგეცხადოთ და ლოას სპირიტის შენევნით თქვენს ნებისმიერ სურვილს ხორცი შეასხას სამომავლოდ გაწეული სამსახურის სანაცვლოდ. სწორედ მას, ვისი სახელიც მთელ ვუდუისტურ სამყაროს ალავსებს მაგიითა და არაადამიანური ძალით – რუფემ გადაწყვიტა, რომ ერთი „შიპუჩკა" რომი აკმაროს.

5

– ეს რა ღირს? – მთვრალმა რუფემ რომის პატარა ბოთლი ისეთი ძალით დაახეთქა დახლზე, კონსულტანტმა შეშინებული თვალებით ახედა. – ეგრე ნუ მიყურებ. ჩემთვის არ მინდა... – თავი ისე გააქნია, თითქოს მწერები დასტრიალებდნენ – ჩემთვის, მაგრამ არა დასალევად. რა ღირს?! – გოგონამ რომის ბოთლი მაქსიმალურად ნელა გაატარა, ისე, რომ რუფესთვის თვალი არ მოუშორებია.

– ექვსი. – სიტყვა კევის ღლაჭუნში ჩაიკარგა.

– რამდენი?! – თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, თითქოს ვილაც მოსდევსო.

– ექვსი!

ფული გადაიხადა და სწრაფი ნაბიჯით გაუყვა მთაწმინდის აღმართს. ჯერ ზუსტად არ იცოდა, საით მიდიოდა. გზაზე მრავალ გზაჯვარედინს შეხვდა, მაგრამ ყველგან გამვლელები მიმოდიოდნენ, რუფეს კი ნამდვილად არ სურდა ვილაცას ენახა, თუ როგორ იფურთხება რომს ოთხივე მიმართულებით და ცდილობს ჰაიტური ვუდუიზმის სულის გამოძახებას.

საბოლოოდ ერთ ვიწრო გზაჯვარედინს მიადგა. ყველა მხარეს ფანჯრები იყო ანთებული და დიდი ალბათობით დაინახავდნენ კიდეც, მაგრამ აღმართზე სიარულით დაღლილმა გადაწყვიტა, რომ ეს იდეალური ადგილი იყო. რომის ბოთლი გახსნა და სანამ სასმელს პირში ჩაიგუბებდა, თვალებში მამა დავითის ეკლესიის ხედი ჩაიგუბა. „შენც გქონდა შანსი" – თქვა და ბოთლს ტუჩებით შეეხო.

პირველი ყლუპი ჩრდილოეთის მიმართულებით გადააფურთხა და ჩუმად წარმოთქვა „პაპა ლეგბა, გამიღე კარიბჭე, რათა იქიდან დაბრუნებულმა შევძლო შენთვის მადლობის გადახდა."

იგივე გაიმეორა ოთხივე მიმართულებით და გზაჯვარედინის ცენტრში დოინჯშემორტყმული დადგა. „ცოტა მეტი უნდა წამეკითხა" – წარმოთქვა სინანულით. რაღაც მომენტში ისიც გაიფიქრა, ხომ არ დავიჩოქოო, მაგრამ აზრი მალევე ამოიგდო თავიდან. გარშემო სრულიად არაფერი ისმოდა, გარდა შორეული ჭრიჭინისა.

ის-ის იყო ბრაზისგან უნდა შეეკურთხა და სიგარეტისთვის გაეკიდებინა, როდესაც უკნიდან ფხაკუნი გაიგო. თითქოს ორმოციოდე ჩლიქი მოიწევდა მისი მიმართულებით. რუფეს სახეზე ოფლი გაუცივდა და იგრძნო, შიშისგან როგორ ეცლებოდა მუხლებში ძალა. თავადაც არ ელოდა, რომ ასე შეეშინდებოდა, მაგრამ ყბების კანკალიც კი აუტყდა და მუდარით სავსე თვალებით ახედა მამა დავითს.

როდესაც წვივზე შეხება იგრძნო, სუნთქვაშეკრულმა თვალები დახუჭა და შეემზადა ყველაზე მძიმე დასასრულისთვის. რამდენიმე წამში თვალები გაახილა, რათა ენახა ის, რის წარმოდგენასაც მისი გონება ვერც კი ბედავდა – მის ფეხებთან წამოგორებული ფინია, რომელსაც მოფერების იმედად ფეხები გადაეშალა და არაპროპორციულად დიდი ყურები მიეშვირა რუფესთვის.

კუდაქიცინებულ ძაღლს გაშეშებული მიშტერებოდა. შემდეგ გონს მოეგო და ისეთი ხარხარი მორთო, ცრემლები წამოუვიდა.

„პაპა ლეგბა", თქვა სიცილით და ძაღლს ყურები მოუზილა.

თავს გადახდენილმა ისტორიამ რუფე გამოაფხიზლა, სიგარეტს გაუკიდა და სახლისკენ გაეშურა. ფინიაც გვერდზე აკრობოდა და მხიარულად მიჰყვებოდა.

სასიამოვნო ნიავმა დაუბერა, მხოლოდ ფოთლების შრიალი და ფინიას ბრჭყალების კაკუნი ისმოდა. სახლს მიახლოებულმა რუფემ შორიდან ნაცნობი სილუეტი დაინახა.

– მარიამ?! – ისე წარმოთქვა, თითქოს, მოჩვენება დაინახა.

მარიამმა, ჩვეული, მზრუნველი თვალები მიაპყრო რუფეს. შემდეგ მისი მზერა პატარა ფინიამ გაიტაცა. – ეს ვინ არის?! – შესძახა ბავშვური ხალისით.

– ე-ეეს... – რუფემ კეფა მოიფხანა და უნებურად უპასუხა. – პაპა ლეგბა!

– შენს გარდა ვინ მოიფიქრებდა ასეთ სახელს? – კისკისით უთხრა რუფეს, რომელსაც სახეზე გულუბრყვილო ღიმილი გამოსახვოდა. ისეთი, როგორც ადრე. ისეთი, როგორც მხოლოდ მასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უდაბნოს ბაყაყები

*ტარიელ დათიაშვილი*

ბუში ხვდება გორბაჩოვს მალტაზე, მე ჯარში ვარ, მეგობრებთან ერთად პლანს ვეწევი. მსოფლიოს ინაწილებენ ბიჭები, მაგრამ, აი, დარდი, შუაგულ უდაბნოში ვარ, სადაც ყველა პირობას მზე კარნახობს. არ ვიყავი კაი სანახავი, მაგრამ ვერავის დავაბრალებ. ზარ-ზეიმით გამომაცილეს სახლიდან, ჩამსვეს მატარებელში და გზა დამილოცეს. წინასწარ ვიცოდი, სად მივდიოდი. დედაჩემმა გვარიანი თანხა გაიღო იმისათვის, რომ მშვიდ და უსაფრთხო გარემოში გამევლო სამხედრო სამსახური. მაგრამ მატარებელში ერთმა რუსის გოგომ თვალები ამიჟუჟუნა და ბაქომდე ჩავყევი. ნავთლუღში ერთი დღის დაგვიანებით გამოვცხადდი პირშიჩალაგამოვლებული. ჩემი ნაკადი ნასული დამხვდა. იქვე შემჩურთეს მომდევნო ჯგუფში და გამიყენეს გზას შუა აზიის უდაბნოსაკენ. რა ძალა მადგა, დამეძინა კუპეში, გავილვიძებდი მოსკოვში, სპორტულ ბატალიონში, ვითამაშებდი ფეხბურთს, წელიწადში ორჯერ კი სამშობლოს მოვინახულებდი. არ დამაყენა გამჩენმა, თუმცა, მგზავრობა იყო ოდისევსის საკადრისი. არ ვიცოდი, სად მივდიოდი, მაგრამ ქართველებთან ერთად მივდიოდი და არ მეშინოდა. უფრო სასიხარულო კი ის იყო, რომ ამ თორმეტ ქუთაისელ და ექვს ბაღდათელ ახალწვეულს შორის ერთი ჩემი უბნელი ჭოჭიაც ერია. ზუსტად ჭოჭიაა ამ ამბის კაპიტანი. ჯერ თვითმფრინავით ვიფრინეთ კაი ხანი, მერე მატარებლით ვიჯაგჯაგეთ მთელი „სუტკა" უდაბნოში, ბოლოს გადაგვსვეს ავტობუსში და აღარ დასრულდა, ვიარეთ და ვიარეთ მტერის ბულში. ხუთი საათი რომ გავიდა და საშველი აღარ დაადგა ავტობუსის გაჩერებას, ჭოჭია წამოიჭრა სკამიდან და კატაპულტივით გაიქნია ხელები:

– არა, მე აქ ვერ გავჩერდები, დედაჩემი მარტო დარჩა სახლში, უჩემოდ მოკვდება!

ჯანსაღი რეაქცია იყო. ერთადერთი საღი აზრი, რაც შეიძლებოდა იმ გარემოში ადამიანს პირველად გასჩენოდა, ზუსტად გაქცევაა. ჭოჭიას, უბრალოდ, ადრე დაეწყო და მძიმედ განუვითარდა, სულ გაქცევა ეკერა პირზე. თავიდან თანავუგრძნობდი, თავს ვიტეხდი, რითი დავეხმარებოდი. მერე კი, თანდათან, დავასკვენი, დედამისი არაფერ შუაშია, წუწუნა ხასიათი აქვს-მეთქი. ყველაფერზე წუწუნებდა და ჯარის განრიგსაც მშვენივრად უწყობდა ფეხს, ჩემგან განსხვავებით. საზენიტო-სარაკეტო ნაწილში გაგვამწესეს. ნახევარი წელიწადი ერთად ვნადირობდით კარტოფილზე და კარაქიან პურზე. მერე კი, არ ვიცი, რა არ მოეწონათ მისი, ორი ასეული კილომეტრის მოშორებით, რომელიღაც ბალისტიკურ წერტილში გადაისროლეს, დაკარგეს კაცი. კი განვიცადე მასთან დაშორება, მაგრამ გავიდა წელიწადი და გადამავიწყდა. და აი, ვზივარ კუბრიკში ლოგინზე პლანით გაბრუებული, სიცხიანი და გიტარაზე ვუკრავ. ბიჭები „ლენინის ოთახში" ბუშის და გორბაჩოვის შეხვედრას ადევნებენ თვალს. მენვის გულ-მუცელი, წამდაუწუმ ტუალეტში დავრბივარ. გიტარა გადავდე და წამოვწექი. მაგრამ როგორც კი თვალი მივლულე, ემზარა დამადგა თავზე, საკუთარ თავს არ ჰგავდა.

– რა იყო, რა მოხდა-მეთქი.

– კაპეერიდან დარეკეს, ჭოჭია გაქცეულაო.

ჩიტი ვერ ბედავდა იქით გაფრენას. განცვიფრებულმა წამო-ვიძახე:

– როგორ?! რითი?! რანაირად?!

ავტოპარკის შესასვლელში უპატრონოდ მდგარი მანქანა უპოვია, მიუხედავს, მოუხედავს ჭოჭიას, შემხტარა კაბინაში და მოუსვამს სახლისკენ. მოკლედ, გაიქცა ჭოჭია. ატყდა განგაში. მოდის ჭოჭია, მოსდევს მთელი საბჭოთა კავშირი. ფეხზეა კრემლი. მობილიზებულია საზღვაო და საჰაერო ძალები. თურმე მანქანაზე ატომური ბომბი აქვს შემოდებული. ჭოჭია რადიოთი ისმენს ამ ამბებს. დაახვია და შემოაჭრა პირდაპირ ჩვენთან, ნაწილში, უდაბნოს მხრიდან, წაქცეულ ღობეს გადმოუარა. ჩვენი სახანძროც იქვე დგას. მზე ჩასულია. მე, კოჭორია, დიმა, ბორია და ემზარა განრისხებულ პაატას ვაწყნარებთ, რომელზეც ემზარა ხუმრობდა: კიდო კაი, გიორგი სააკაძის შვილი რო არ იყო, ე, შობელძაღლი, თუ არა, რა ათრევდა მის თავს ირანიდანო. ეს ბიჭი რუსის ბარაბნის ხმას რომ გაიგონებდა, ნერვული სპაზმები ემართებოდა. საკუთარი სერჟანტი უცემია, ბარაბანს რატომ აბრახუნებო და ახლა თითის მოჭრას უპირებდა.

– თითი რად გინდა? – ეკითხება დიმა

ქართველიშვილი, მხარბეჭიანი ვაჟკაცი, თავისი ლეგენდიანად ფეხის ზომა ჰქონდა ორმოცდათორმეტი. ძაან თმიანი იყო, უკვე მეშვიდე კლასში იმხელა წვერ-ულვაში ჰქონდა, ავტობუსიდან რომ ჩავიპარებოდით ბავშვები, მძღოლი ცოლ-შვილს აგინებდაო, პუსტავოი გვაცინებდა.

– აბა, რა მოვაჭრა? – ცხარობს პაატა.

– ხელი მოაჭერი და დაკიდე, აგერ, სახანძროს კარზე, – ბანს ვიძლევი მე. მინდა აგიხსნათ: ეს ის პერიოდია, როცა ახალი ნაპოვნი მყავს ვაჟა. ასეთი ხუმარაა ჩემი ბედი, ვაჟა პირველად რუსულად გავიცანი. ფეხბურთელთა სპეციალიზებულ კლასში ვსწავლობდი, მხოლოდ ბურთის გორება და შეჯიბრებებში გამარჯვება მევალებოდა. ვინ მთხოვდა წიგნს, მაგრამ მე ჯერ კიდევ მეშვიდე კლასში შემიყვანა პლუტარქემ ანტიკური კულტურის ხიალში. ერთ წელიწადში უკვე მთელი მითოლოგიური სამყარო საკუთარი ბიოგრაფიასავით ვიცოდი. ეგაა, ლიტერატურაში მოვიკოჭლებდი, ისტორია იყო ჩემი სტიქია. ამასთან დაკავშირებით ერთი კურიოზიც კი შემემთხვა. ჩემი გატაცება რომ იცოდნენ, ხშირად ცდილობდნენ ჯარის მეგობრები ჩემთან ინტელექტუალური საუბრების წამოწყებას. ერთხელაც, ერთმა უთავბოლოდ განათლებულმა პლანაქეშმა დოსტოევსკი მიხსენა, კარგი მწერალიაო. მეც კვერი დავუკარი, ჰო, მაგარია, გუშინ გამოდიოდა ტელევიზორში-მეთქი. კაი, ერთი, რას გლახაობო, მხარზე დამარტყა სიცილით ხელი. რას ვგლახაობ, გუშინ ვნახე ჩემი თვალით ტელევიზორში, ლექსებს ჰყვებოდა-მეთქი. გადაირია, რა უნდოდა დოსტოევსკის ტელევიზორშიო. ავტეხეთ ჩხუბი, ბოლოს დავნაძლევდით. გაიქცა, მოიტანა წიგნი ბიბლიოთეკიდან. თურმე დიდი ხნის მკვდარი ყოფილა, რა ვიცოდი. წინა დღით მართლა ვნახე ტელევიზორში ერთი ცნობილი რუსი პოეტი, რაღაც მსგავსი გვარი ჰქონდა, შემეშალა.

– რითი მოვაჭრა ხელი? – ჭკუაში უზის უკვე ჩემი სიტყვები პაატას, ტყუილად კი არ აქვს იმხელა თავი.

– შტიკნოჟით, – პასუხობს ბიძინა, კოჭოიას ვეძახდით. ზემო იმერელი ბიჭი იყო, დედაზე მეტად ტყუილები უყვარდა. ბაბუამისს ცხენი ჰყავდა იმნაირი, თავის ურმიანად ახტებოდა ღობეებს.

– არაა, ცუდი აზრი, რო იცოდე, – თავი მოიქექა პაატამ.

– ოჰ, მოეწონა ბიჭს აზრი, – წამოიძახა ემზარამ, – და სად წაიღებ მერე იმ ხელს, გამახსენე?

– სად წავიღებ, რა მითხარი? – ჩემკენ მოაბრუნა „ტორპედო" სტადიონისხელა თავი პაატამ.

– კარზე დაკიდებ.

– აი, ხო გესმის? ჭკვიანი კაცია, – დამიმოწმა პაატამ.

– მოჭრილ ხელს მიაჭედებ კარზე?

– ხო, აბა.

– რატო უნდა მიაჭედო ხელი კარზე? – გაკვირვებული მიაჩერდა ემზარა პაატას, პაატა მე მომაჩერდა.

– რატომ? – მეკითხება.

– შემეშვი, რა, შენი ჭირიმე, სადაც გინდა, იქ წაიღე, – ხელს ვიქნევ.

– ღორებს გადავუგდებ „სეინარნიკში".

– ღორებს ხორცი გაუფუჭდებათ, რუსებს მოწამლული სისხლი აქვთ, და მერე ისევ ჩვენ გვაჭმევენ.

– ვინ გაჭმევს ღორის ხორცს, თუ კაცი ხარ.

– პირველი მაისი მოდის. კატლეტებს, აბა, რითი აკეთებენ, შენი აზრით?

– მაშინ ლობის იქით დავმარხავ.

– ქარი ქვიშას გადახვეტავს და ამ ხელს ისევ ჩვენთან შემოაგორებს.

პაატამ ველარ მოითმინა, წელიწადნახევარი თოფგადაკიდებულს სათვალთვალო კოშკზე ჰქონდა გატარებული, იყვირა:

– რა გამიხურე საქმე, სად წევიღებ და აგერ, ბორიას მაცივარში შევინახავ. ხოა, ბორია, ძმია, შენ მაცივარში ცოტა ადგილი, აულ ცოტა?

ბორიამ ამაყად ასწია ნიკაპი. დიდი კაცი იყო, ნაწილის პურსაჭრელი ებარა, მაცივარში ნემსის ჩასაგდებს ვერ უპოვიდი. აღთქმის კიდობანივით იყო ეს მაცივარი ჩვენთვის. რუსების სასადილოდან ისეთი სუნი გამოდიოდა, გვერდს ვერ ჩაუვლიდი.

– რა კარგად დეიწყეთ და რა გლახათ დაამთავრეთ. იარეთ, იარეთ და ბოლოს, მაინც, ბორიას მაცივარს მიადექით. ფანტაზიის უნარი არ გაგაჩნიათ, რა, ქართველებს. ვერ გაცდით და ვერც გაცდებით ბორიას მაცივარს, – ჩაილაპარაკა კოჭოიამ.

– რა გინდა, ბიძია, შენ? – წარბი აწია პაატამ. რუსის ბარაბანისგან ბევრით კი არაფრით განსხვავდებოდა კოჭოია მისთვის.

– რა მინდა და, ინატრეთ რამე ნორმალური.

– ახლა მაჟამა ტურსუნოვის ფლოვი, – პირი აანკლაპუნა ემზარამ.

– არ მინდა ფლოვი, სახლში მინდა, – კბილები გააკრაჭუნა პაატამ.

– გემოვნება არა გაქვთ, ბიძიკო, – ხელი აიქნია კოჭოიამ, – დამიდეთ აქ, ახლა, შვიდი მილიარდი და ერთი კვირა წყალს არ დავლევ. ყველაფერს ვიყიდიდი. ყველაფერი ჩემი იქნებოდა და სახლში არ ვიქნებოდი? – ძვალზე გადაკრული ტყავი იყო. რას ქვია, გემოვნება დამიწუნესო, ემზარა შეტევაზე გადავიდა.

– სად დადებდი შვიდ მილიარდს?

– აი, აქ, ამ წერტილში, – ინტიბარი არ გაიტეხა კოჭომ.

– აქ დადებდი შვიდ მილიარდს?

– ჰო, აი, ზუსტად, აქ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ესე იგი, აქ, – ფეხით მონიშნა ადგილი ემზარამ. თავბედი აწყევლინა მეოცნებე ბიძიას. იანგარიშა, გამოთვალა და დაადგინა, რომ ამდენი ფული არათუ სახაზინოში, მეზობელ აბანოში და იქით კიდევ, საქვაბეშიც არ დაეტეოდა ერთად. აისხლი გაუშრო ამ გაძვალტყავებულ ბიჭს, გასაქანი არ მისცა. იმანაც, საშველი რომ აღარ დაადგა, იყვირა:

– მაშინ ბორიას მაცივარში შევინახავდი, ბიძიკო. შენ მაცივარში ყველაფერი ხომ ეტევა, ბორის?

ბორიამ ხელი აიქნია, გასასვლელისკენ გაემართა თავმობეზრებული, ჭოჭია კი შეეჩეხა კარში. ყალყზე დაგვიდგა თმები. გარეთ გაგვიყვანა და ბოქსის კარებთან მდგარი უზარმაზარი მანქანა გვაჩვენა. ორას ტონიანი მაინც იქნებოდა. თავზე უშველებელი ტურბინა ედგა.

– ეს ბალისტიკური რაკეტაა, – მოწონების ნიშნად დააქნია თავი ემზარამ.

– გაჩუქებ, თუ გინდა, – იმედი გაუჩნდა ჭოჭიას.

– რა ჯანდაბად მინდა. რომ მინახონ, ჯვარზე გამაკრავენ.

ჭოჭიამ საცოდავი თვალებით შემოგვხედა.

– მიშველეთ რაღაცა.

– საინტერესოა, ბორიას მაცივარში დარჩა კიდევ ადგილი? – თავი მოიფხანა პაატამ.

– შენ რატომ ხარ გაჩუმებული, თქვი რამე, – მომვარდა ჭოჭია.

– მე შენ ადგილზე, მანქანაში შიგნიდან ჩავიკეტებოდი და საქართველოს დამოუკიდებლობას მოვითხოვდი, – მხარზე დავადე მეგობარს ხელი.

– რა სიგიჟეა! – წამოიძახა კოჭოიამ.

– მათაც ასე უნდა იფიქრონ, – დავუყვავე ჭოჭიას, – თავი უნდა მოიგიჟიანო. სხვა გზა არაა, საქართველოს დამოუკიდებლობას შეიძლება ვერ მიაღწიო, მაგრამ დახვრეტას გადარჩები. საგიჟეში ცოტა ზურგის ტვინს ამოგიღებენ, რა უჭირს მერე.

– და ამგენს შევეჯიბრო სიგიჟეში? – თვალები დაქაჩა ჭოჭიამ. სულაც არ მეჩვენებოდა სიგიჟედ საქართველოს დამოუკიდებლობა. ულლის ტარებისგან სიქაგავარდნილ ერს ამოსუნთქვის შანსი ეძლეოდა. მანქანაში ავედით, უზარმაზარ დაფაზე ჩამწკრივებულ ფერად-ფერად ღილაკებს მოვეფერეთ, ფანჯრები ამოვწიეთ და პლანი გავაბოლეთ. კაბინა კვამლით გაივსო. რაც უფრო მეტს ვფიქრობდი, მით უფრო მომწონდა საკუთარი აზროვნების ნაყოფი. ისიც კი გავიფიქრე, მე ხომ არ მეკისრა ეს დიადი ისტორიული მისია. თუმცა, კოჭოიასთვის საქართველოს დამოუკიდებლობა იყო ყველაზე სასაცილო რამ, რაც კი შეიძლებოდა მშიერ ქართველს მოსვლოდა აზრად შუაგულ უდაბნოში.

– რად გინდა დამოუკიდებლობა? – ცალყბად გადმომიკრა, ცინიკური ღიმილით.

– რად მინდა და ამაყი ვიქნები.

– ვინ მოუვლის მერე იმ ქვეყანას? – ისევ ჩაიცინა.

– ვინ და ხალხი.

– ხალხი არა...

– ვერ მოუვლის, თუ...

– დაფიქრდი: ნახევარი საუკუნეა ამ ხალხს ქეიფის და ჭამა-სმის მეტი არ უკეთებია არაფერი, რისი მომვლელია?

– ვისი ბრალია მერე ეს? – წამოიძახა პაატამ.

– ვისი ბრალია?

– ვისი და რუსების.

– აგიშენეს გზები, ხიდები, გვირაბები, ქარხნები, შეგიქმნეს ინდუსტრია, მოგცეს განათლება და მედიცინა. გაქვს უნივერსიტეტები და უზარმაზარი სპორტული მოედნები. რას ერჩი რუსეთს?

– ჰოდა, ეს უნივერსიტეტები და ხალხი მოუვლის ქვეყანას, – ბუჭედი დავსვი მე.

– ეჰ, თქვენ რო გიყურებთ, ქვეყანა რომ გადატრიალდება, ის ხალხი, ჭამა-სმის მეტი რომ არაფერი უკეთებია, ამას ყველაფერს ნაგავში გადაყრის, – ხელი ჩაიქნია კოჭოიამ.

– ჰე, შეეშვით ახლა პოლიტიკას და მითხარით, სად დავმალოთ მანქანა, – ხელი გადაუსვა ემზარამ ფერადი ნათურებით გაწყობილ დაფას.

– ბოქსში შევიყვანოთ, იურა და მუსტოვი წვანან გალეშილები, დილით ყველაფერს მაგენს დააბრალებენ, – ოფლი მოიწმინდა შუბლზე დიმამ. სიმინდის მარცვლებივით ჰქონდა კბილები, რომ გაიცინებდა, ქათმები კრიახობდნენ.

– მე შენ გეტყვი, უარს იტყვიან? – ამოიხვნეშა პაატამ.

– რას ამბობ, დედაზე მეტად უყვართ ატომური ბომბი, თავს შენირავენ?

– ბოქსში არ შეეტევა, – ბრძენკაცივით დააქნია თავი ემზარამ, – რაკეტა უნდა მოვიცილოთ.

– მართალია, – მუშტი დაჰკრა დაფას პაატამ, – ვისროლოთ, ვითომ არც ყოფილა ამ მანქანაზე.

– და თქვენი აზრით, ამას ვერავინ მიხვდება? – ცინიკურად ჩაიცინა კოჭოიამ, – არ გინდათ, ხანდახან დაფიქრდეთ იმაზე, რას ამბობთ?

– ვინ მიხვდება, – გაიჭიმა პაატა, – ვერ ხედავ, ღამეა, ყველასძინავს. გავიყვანოთ უდაბნოში და ვისროლოთ.

სხვა გზა მაინც არ იყო. ჭოჭიამ მანქანა მიმართა. ნახევარი საათი ვიარეთ უდაბნოს სიღრმეში. ბოლოს, როგორც იქნა, გავჩერდით. შუა აზიური კანაფი ბრძღვნიდა ყველაფერს, რიოს ფესტივალზე ვიყავით მისულები ატომური ბომბით. გავაჩერეთ მანქანა და ირგვლივ მიმოვიხედეთ. ვარსკვლავებითაა მოჭედილი ცა, მაგრამ მთვარე არ ანათებს. დედა რომ მი-

ატოვებს შვილებს, ისე არიან ვარსკვლავები.

– კარგი, აგერა ვართ და ისროლეთ! – დასისხლიანებული თვალებით შემოგვყვირა ჭოჭიამ.

– საით ვისროლოთ? – ბიჭებს გადმოგვხედა ემზარამ. „საით ვისროლოთ" ნიშნავდა – „ვის ვუტიროთ დედა".

– დააჭირე კნოპკას ხელი, რა იცი, საით უნდა ისროლო, – ნამთიჯიჯლინა პაატამ.

– აგერ, რუკას ვერ ხედავ, ბიძიკო? – თითი დაადო დაფაზე დახატულ ატლასს კოჭოიამ. ყველა რუკას დააჩერდა, – აგერ არის ფანქარიც. რა ადგილზეც დასვამთ წერტილს, იქ დაარტყამს რაკეტა.

ყველანი მას მივაჩერდით.

– შენ საიდან იცი?

– საიდან ვიცი და რაკეტებს ვისვრი, თქვენსავით ტრიბუნიდან კი არ ვუყურებ დაბოლილი.

– ხედავ შენ ამას? – ნიკაპი გაუქნია პაატამ ემზარას და, უცბად თითი ჩაკრა დაფაზე გლახათ მოციმციმე თვალს. სალონში ყვითელი შუქი აინთო.

– რას შობი, შე, იდიოტო, – მაშინვე გამორთო შუქი ემზარამ, – ეს შენ ბაბუაშენის ურემი ხო არ გგონია, ხელი არ ახლო არაფერს, – შეუტია კოჭოიას. იმან ხელი აუქნია.

– ნადი, ერთი...

– ე, ბიჯო, რას უყურებთ, – აჯაჯლაბდა ამასობაში ჭოჭია, – ისროლეთ, თუ სროულობთ, ამ უპატრონოს, თავზე არ დაგვადგნენ.

– რა ვისროლოთ, საგუნდაოდ კი არა ვართ, ბიძია, გამოსული, ატომური ბომბი გვიკავია ხელში, – ოფლი მოიწმინდა შუბლზე დიმამ.

– ჰე, თქვით ახლა, ჩქარა, საით ვისროლოთ, არაა ამდენი ფიქრის დრო, – გამოგვხედა ემზარამ.

– რა მნიშვნელობა აქვს, ვისროლოთ პირდაპირ, – შეუტია ჭოჭიამ.

– იქნებადა, პირდაპირ საქართველოა?

– ისროლე, კაცო, საქართველო არა კამბოჯა.

კოჭოიამ რუკას დახედა.

– პირდაპირ ჩინეთია, – თქვა მან. ყველამ ისევ რუკას დავხედეთ.

– ხოდა, რა ჯობია მაგას, – გაუხარდა ჭოჭიას, – ვერც მიხვდებიან, განყვეტამდე არიან.

– ჩინელები არ გაალევიძოთ, ჩემი რჩევაა, – საუბარში ჩავერთე მე.

– რატომ?

– მე ჩემი გითხარით, ანი თქვენ იცით.

– ისროლე, კაცო, მე ვარ პასუხისმგებელი, – ხელი აიქნია პაატამ.

– რატომ არ უნდა გავალევიძოთ? – მხარი [illegible]

– მილიარდნახევარი არიან. წარმოიდგინეთ [illegible] ჩინეთში რომ ეკონომიკური კრიზისი დაიწყოს, რა მოხდება. ქვეყნის მოსახლეობის ოცდაათი პროცენტი ეგრევე დატოვებს ქვეყანას და დაიწყება მიგრაციული პროცესი, რომელსაც ვერავინ გადაურჩება. თან ჩინელები პატივსაცემი ხალხია, დიდი კულტურა შექმნეს, მაგათ მისცეს კაცობრიობას აბრეშუმი, ფაიფური, დენთი.

– კულტურა არ ვიცი, მარა ჩინეთში, ბიჭო, პანდები არ დავწყვიტოთ, ცოდვები არიან, – ოფლი მოიწმინდა შუბლზე დიმამ. საიდან ჰქონდა ამდენი წყალი, უდაბნოსავით ვიყავით გამოშმრალები.

– მაშინ აქეთ მოვწიოთ ცოტა, და მუსულმანებს ვუტიროთ დედა, რა პრობლემაა, – თითით გახაზა ემზარამ რუკა.

– ო, ეს კაი აზრია, – ცერა თითი ასწია დიმამ, – მომწონს ეგ აზრი. რაც მაგათ ნაწამები ვყავართ.

– მუსულმანებში ვის გულისხმობ? – ვიკითხე დინჯად.

– მურვან ყრუს და მისთანებს.

– ანუ, არაბებს?

– აი, ზუსტად არაბებს ვერ ვიტან ყველაზე მეტად.

– ბევრი არაბული ქვეყანაა ამ ქვეყნად, კონკრეტულად, რომელს ვერ იტან?

– ვერც ერთს.

– რას ერჩი არაბებს, ისინი რომ არ ყოფილიყვნენ, ეს ატომური ბომბი ახლა ჩვენ არ გვექნებოდა.

– ჰოდა, ძაან კაი, თუ არ გვექნებოდა, მაგ არაბებს ახლა... – ღილაკებისკენ გაიწია ჭოჭია. ძლივს დავაკავეთ. გავთათხეთ, გავლანძღეთ, დავტუქსეთ.

– არ გრცხვენია, ჭოჭია?

– რისი უნდა მრცხვენოდეს? რად მინდა ეს ატომი, თუ მაქვს, ან რატომ მაქვს მე ატომური ბომბი? ამათ მოტანილ მშვიდობას რანაირად უნდა ენდო? – სასოწარკვეთილი ხმა აღმოხდა ჭოჭიას.

– მოკლედ, არაბები უნდა დაისაჯონ, მაგათი ბრალი ყოფილა, ჩვენ ამ დღეში რომ ვართ, – ხელი დაარტყა დაფას ემზარამ, – ისეთი რამე შეუქმნიათ, მაგ ოჯახქორებს, განადგურების და ტერორის მეტი რომ არაფერი მოაქვს.

– ასე ნუ იტყვი, – დავამშვიდე მეგობარი, – ჩვენ ატომურ ეპოქაში ვცხოვრობთ. მას შეკავების უნარი აქვს. თითქოს ყველაფერი ისე ხდება მსოფლიოში, როგორც ადრე, მაგრამ ხდება იმის წინასწარ ცოდნით, რომ არც ერთ მიზანს შედეგი აღარ გააჩნია. წინასწარ არის ცნობილი, რომ ყველა გლობალური კრიზისული საკითხი, რომელიც დედამიწაზე წამოიჭრება, შეთანხმებით უნდა გადაწყდეს. მოლაპარაკებას, დიალოგს, ალტერნატივა არ გააჩნია. აი, ხომ ხედავთ, რა ხდება დღეს მალტაზე. მსოფლიო მტრები იახტით სეირნობენ და მშვიდობას ამყარებენ. ატომურ ეპოქაში გამარჯვებული არ არსებობს. ასე რომ, ატომი დიდი რამეა, მას გაფრთხილება უნდა, ასე შენ ხუშტურზე კი არ უნდა ატრიალო აქეთ-იქით.

– ხო არ შევინახო და მერე, ქუთაისში ხო არ წევიღო? – მეკითხება ჭოჭია. ატყდა ხარხარი.

– ატომი რატომ არ გვექნებოდა მუსულმანების გარეშე? – დაინტერესდა პაატა.

– დეიწვას ცეცხლში, დამღუპეს კაცი, – ცრემლები დამალა მკლავებში ჭოჭიამ

– იმიტომ, რომ, – განვაგრძე ბიჭების დამოძღვრა, მსიამოვნებდა ლაპარაკი, – არაბებმა მოუტანეს კაცობრიობას წიგნისადმი ფანატიკური რწმენა. არა ფილოსოფიის ან რომელიმე კონკრეტული ცოდნის, არამედ, წიგნისადმი, ყველაფრისადმი, რაც წიგნში იწერება. განათლება რომ ძალაა, ეს ზუსტად არაბებმა გააგებინეს ევროპას. ჩვენი ისტორიკოსის ლეგენდა იმის შესახებ, რომ აღმაშენებელი წიგნის საპალნეებით დადიოდა საომრად, არაბული მრწამსის, სამყაროს რაციონალიზების დასაწყისის აღმნიშვნელია. ამბობენ, რომ აღორძინების ეპოქა მაშინ დაიწყო, როდესაც კასტილიის მეფე ალფონსმა ტოლედო აიღო. ტოლედო არაბული ქალაქი იყო ესპანეთის ტერიტორიაზე. აი, ამ ქალაქში შესულმა ალფონსმა მეჩეთში აღმოაჩინა ასი ათასი წიგნი. ეს იმ ეპოქის ევროპელისთვის წიგნების გაუგონარი რაოდენობა იყო, ყველაზე დიდ კენტენბერის მონასტერში სულ რაღაც ასამდე წიგნი ინახებოდა. ამ სასწაულის სანახავად დაიძრნენ მთელი ევროპის კონტინენტიდან სწავლულები, რაც, პირობითად, რენესანსის დასაწყისად ითვლება. მანამდეც ხომ ევროპის არისტოტელიზაცია ზუსტად არაბების გავლენით დაიწყო? მეტი რა გითხრათ. არაბები და მათი გავლენით მთელი სამუსლიმანო და საქრისტიანო ბრძყალებით ეჭიდებოდა წიგნებს. ამ მრწამსს გამოხატავს იმდროინდელი ისტორიული ცნობა ან თქმულება იმის შესახებ, რომ საქართველოში შემოჭრილმა ჯალალედინმა ქვეყნიდან ასი ათასი წიგნი გაიტანა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ქვეყანას ძალა გამოაცალეს, სული ამოართვეს. ერთი სიტყვით, რომ არა წიგნისადმი რწმენა, არ გვექნებოდა ევროპული რაციონალიზმი და, შესაბამისად, არც ატომური ბომბი.

– ახლა რაღა ჯანდაბა ეტაკათ ამ არაბებს, წიგნის გაგონება რომ აღარ უნდათ? – ინტერესდებოდა პაატა.

– წიგნის გაგონება როგორ არ უნდათ, წიგნების გაგონება არ უნდათ. არ ვიცი, რა დაემართათ. როცა წიგნებით დადიოდნენ, დიდი ცივილიზაცია ჰქონდათ, მთვარეზე ფიქრობდნენ, ვარსკვლავებში იჭვრიტებოდნენ, ადამიანის შიგნეულს იკვლევდნენ, ახლა კი, განათლებაზე ხელი აიღეს და მხოლოდ შურისძიებაზე ფიქრობენ, ზიან და წარსულს მისტირიან. სიღრმიდან შემოუტია აზიამ. მხოლოდ წიგნით შეიძლება წარსული დიდების დაბრუნება და არა ზიზღით და მტრობით. უცნაური ამბავია, არა? ქართველებსაც ეს ავადმყოფობა გვჭირს. მდინარის პირზე ჯდომა და ტირილი. ეს წმინდა აღმოსავლური მოვლენაა. რუსთაველი ამბობს, რომ ზუსტად არაბეთიდან მოვიდა ავთანდილი – გეგმიანი, მიზანმიმართული, განათლებული რაინდი, რომელმაც აამოძრავა და გმირი გახადა ეს მდინარის პირას მტირალი აზიელი კაცი. ძალა კი ჰქონდა, მარა როგორ გამოეყენებინა, არ იცოდა. მეთვრამეტე საუკუნეში რომ დაუბერა საქართველოში ევროპული განათლების სიომ, ისეთ მოვლენაზე აქვს რუსთაველს საუბარი. არაბეთი იმათი ევროპა იყო. ეს კულტურა სპარსეთმა კიდევ უფრო გაამდიდრა და დახვეწა. მოგვიანებით კი, ისევ აზიამ იმძლავრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– დამიჯერე, ძმაო, სულს გაუმწარებენ მაგენი მსოფლიოს.

– ე, ბიჯო, შეეშვით ამ არაბებს, ქვეყნების მეტი რა არის? – ოფლი მოიწმინდა შუბლზე დიმამ.

– მაშინ აგერაა თურქეთი, – წამოიძახა ემზარამ, – ანგელოზი სამიზნეა. სად მიყავდა ჩვენი ბავშვები.

– ეგი, ეს პატარა, ბიჯო, ისრაელია? – რუკას დააჩერდა დიმა.

– ისრაელზე გლახა არ თქვათ, გელა არ გამიბრაზოთ, ყარაულშია, – თითის დაქნევით გაგვაფრთხილა პაატამ.

– გელას ვენაცვალე მე, – თავისი სიმინდის კაკლები გადმოყარა დიმამ, – მარა, ებრაელები რომ სუფთა წყლის დამლევები არ არიან, რათ უნდა მაგას ლაპარაკი. მაგენი მართავენ მსოფლიოს.

– ამას წინ ტელევიზორში ვნახე გადაცემა, ებრაელები დიდ მსოფლიო შეთქმულებას აწყობენო, – ჩაილაპარაკა პაატამ.

– შეთქმულება არაფერ შუაშია, – გამეცინა, – მაგ ხალხი საკუთარი მიწებიდან განდევნეს და მთელ მსოფლიოში ხეტიალობდნენ. შუა საუკუნეებში მიწათმფლობელებს მიყავდათ პარადი, ესენი კი ქალაქებში ცხოვრობდნენ და ხელოსნობას მისდევდნენ, იყვნენ ვაჭრები, გადამყიდველები, მევახშეები. ყველა იმ საქმეს მისდევდნენ, რომელსაც თავად-აზნაურები არ კადრულობდნენ და არც იყო მაშინდელ სამყაროში პრესტიჟული. მერე ფეოდალიზმი რომ დაინგრა და მსოფლიო ბურჟუაზიულ რელსებზე გადავიდა, ეს ბოლოში მოჩანჩალე ხალხი თავში მოექცა, როგორც იესომ იწინასწარმეტყველა – უკანასკნელები გახდნენ პირველები. რას ერჩი, სულ გაჭირვებაში, ტერორში და ცემა-ტყეპაში იყო ეს ხალხი და მათი ბრალიც არაა, სამყარო რომ ასე შემობრუნდა, ეს კანონზომიერი ისტორიული პროცესების ბრალია.

– ბიძიებო, ამდენს რომ ლაყბობთ, მთავარი რომ დაგავიწყდათ, თუ ხვდებით? – ჩაიცინა ემზარამ, – თავლაფდასხმული ხვდება ბუშს მალტაზე. საითაა მაგ მალტა?

– რა უნდათ, რაზე ლაპარაკობენ?

– რა უნდა უნდოდეთ, ქვეყნიერებას ინაწილებენ.

– მიდი, ბიჭო, მიაბრუნე იქეთ რაკეტა.

– დამშვიდდით, ბიჭებო, ის ხალხი კარგ საქმეს აკეთებს, – განვაცხადე მე.

– კომუნისტები აკეთებენ კარგ საქმეს?

– არა, კაპიტალისტები, – ჩაილაპარაკა კოჭოიამ.

– უბრალოდ, დაფიქრდით, თუ მსოფლიოს გაინაწილებენ, ესე იგი, მშვიდობა იქნება, ხოლო თუ მშვიდობა იქნება, კომუნისტები აღარ იქნებიან. მარტივია.

– ხო, აბა, რანაირად იქნება მშვიდობა, კომუნისტები თუ იქნებიან, – დამეთანხმა დიმა, – მარა, – იქვე დაამატა, – კაცმა რომ თქვას, რა ჩინეთი, რა ისრაელი, რუსებზე საშიში და საზიზღარი ხალხი არის ახლა სადმე?

– ა, ბიჯო კაცი, – მხარზე დაჰკრა მოწონების ნიშნად ხელი პაატამ დიმას, – დასანახად ვერ გვიტანენ ეს მობეძღლები ქართველებს.

– აბა, ჰე, რას უდგახართ, მიაბრუნეთ ეს რაკეტა კრემლისკენ.

– არა, ბიჭო, მაგას არ გვაპატიებენ, მთელი კვირით გაობახტში ჩაგვყრიან სუყველას!

– რას ბოდავთ, – წამოიძახა კოჭოიამ, – რა კრემლისკენ უნდა მიაბრუნო, რუსებით გიდგათ სული. მაგენი რომ არ იყონ, ირანი და თურქეთი შუაზე გაგგლიჯავდათ. მიატრიალე მაგ რაკეტა ირანისკენ ჩქარა.

– განიე, ბიჯო, რაკეტა იქით. რამ შეაყვარა ეს რუსეთი ასე, ამ უდღეურს.

– რამ შემაყვარა და, ამხელა სახელმწიფოა, ნახევარი დედამიწა უჭირავს, უზღვავი შესაძლებლობები აქვს. ერთ ბოთლ ჭაჭად შეიძლება მთელი ინდუსტრია ჩეიგდო ხელში. ქართველები მეფეებივით ცხოვრობთ, რუსს რო ვერ დეესიზმრება, ისე, რა გინდათ მეტი?

– რაკეტა ვერ გისროლია კაცს, რა, შენ ჭკუაზე, – ლურჯ ღილაკს დაჰკრა თითი პაატამ.

– იდიოტო, ხელი არ ახლო არაფერს-თქვა, ხო ვთქვი! – იღრიალა ემზარამ.

– ხო, კაი, კაი, რა იყო, შენც რამ გადაგრია, ამ რაკეტის დედაც მოვტყან ერთი.

– ისე, საინტერესოა, ამერიკამდე თუ დაუნევს ეს რაკეტა.

– რაც რუკაზე ხატია, ყველა წერტილამდე მიაღწევს.

– მერე? ესროლოთ და ამოისუნთქავს მსოფლიო.

– კი, ამოისუნთქავს საბოლოოდ.

– ისე, ჭოჭია, შენ ადგილზე მე, პირადად, ღუჟას ხელში ჩავარდნას მესამე მსოფლიო ომის დაწყებას ვარჩევდი.

– გაჩუმდით! – დაიყვირა ამ დროს ჭოჭიამ. ყველა გაისუსა, – თქვენ რო გისმინოთ კაცმა, ისე გამიჭირდება, რომ, – საბოლოოდ, მაინც, საქართველოსკენ მოგვიწევს სრბოლა.

– ვითომ რატომ?

– არსად არ შეიძლებაო, ყველა ანგელოზი გამოვიდა, ჩვენ დავრჩით ერთი ყოვლად გამოუსადეგარები და უვარგისები, არც მიგვეიცია რამე არავისთვის და არც წაგვირთმევია.

– აუ, რა კაი აზრია, – წამოიძახა კოჭოიამ, – მოვაბრუნოთ რაკეტას და გადავიქცეთ საქართველოში.

– ახლა გეტყვით რაღაცას, – ბრძენკაცივით აიშვირა თითი ჩალლა ემზარამ, – ამ რაკეტას ჯერ მივცეთ საქართველოსკენ მიმართულება, ოც მეტრამდე რომ დაეშვება მიწაზე, ჩვენ გადმოვხტებით, და ამ დროს მოვახვევინებთ რაკეტას ოკეანისკენ. რას იტყვით, ხო კაი აზრია?

– ჩვენ როგორ მოვახვევინებთ, რაკეტაზე ვიქნებით, – გაუკვირდა დიმას.

– აქ უნდა დარჩეს ერთი. ყველა ვერ წავალთ.

– დარჩეს ბიძინა. მაგის მეტმა მაინც არავინ იცის რაკეტის მართვა, – თითი აჰკრა ნერვიულად რაღაც წკვარამს პაატამ. მანქანამ ღმუილი ატეხა, მაშინვე ქვემოთ ჩამოვცვივდით, რას ვხედავთ – მან გახსნა უშველებელი რკინის სადგამი, რომელზეც ნელ-ნელა რაკეტამ იწყო გასწორება. ყრუ, შემაშფოთებელი ღმუილით დგებოდა ფეხზე. მუხლი აგვიკანკალდა.

– მიდი ახლა, როგორც გინდა, დააბრუნე თავის ადგილზე, – ქეჩოში წაავლო პაატას ხელი დიმამ.

– არ გაინძრეთ! – იყვირა ემზარამ, – რაკეტა გასასროლადაა გამზადებული!

– რა იყო, არ მიდიხართ საქართველოში? – იკითხა კოჭოიამ.

– რას ქვია არ მივდივართ, – ერთხმად წამოიძახეს ჭოჭიამ და პაატამ, წამში მოახტნენ რაკეტას ზურგზე.

– აბა, შევჯდეთ, ბიჭებო, და მოვუსვათ სახლებში.

– კარგად იყავი, კოჭო, – გულში ჩაიკრა კოჭოია დიმამ, – შევხვდებით. როცა იქნება, ხომ ჩამოხვალ საქართველოში.

– კარგად იყავი, ძმაო.

სათითაოდ ჩამოუარეს კოჭოიას და დაემშვიდობნენ შეხვედრის იმედით. ემზარამ უჩურჩულა.

– ხომ იცი, როგორ უნდა შეცვალო მისამართი?

– კი, კაცო, რა პრობლემაა, – დაამშვიდა ის კოჭოიამ

– არ დაგვღუპო, – გადაკოცნა ემზარამ მეგობარი და რაკეტაზე შეხტა. უცბად, ცეცხლის ალი ავარდა, დანადგარი ალმუვლდა, აცახცახდა, აძაგძაგდა, ჩვენ რაკეტას ჩავეხუტეთ.

– აბა, არ შეშინდეთ ბიჭებო, საქართველოში ჩავალთ და ბრძოლის ცეცხლს დავანთებთ. ქვეყანა უნდა გავათავისუფლოთ! – იბღავლა პაატამ. ყვითელი ცეცხლი აბრიალდა ჩემ თვალწინ. ვხედავ, უდაბნოდან ხალხი გამორბის. ვიღაცა წყალს მოარბენინებს და რაკეტას ცეცხლმოდებულ კუდზე ასხამს. ვიღაცა ნიჩბით ქვიშას აყრის ცეცხლს. კოჭოია ხელს გვიქნევს – „ვაი, თქვენს პატრონსო". პაატამაც, ბოლოსდაბოლოს, დეზი ჰკრა რაკეტას. მე დედაჩემის შეკერილ საბანს ჩავებღაუჭე კბილებით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ილომ ეზრზა

## (ამეოპივაგი)

*კობა ცხაკაია*

საუკუნოვან, მოჩუქურთმებულ აივნებიან სახლს ეზოს მხრიდან სუფთა, ქათქათა და ლაჟვარდისფრად შეღებილი უზარმაზარი კედელი ჰქონდა.

ამ კედლის წინ ნიწვოვანი და ფოთლოვანი ჯუჯა ხეებითა და კამკამა წყაროთი დამშვენებული ბაღი გაეშენებინათ, სადაც სახლის მკვიდრნი და ახლომახლო მცხოვრები მეზობლები ბავშვებს ასეირნებდნენ.

თუკი დიდხანს უცქერებდი ამ ლაჟვარდისფერ კედელს, თვალები აგიციმციმდებოდა, გული სასიამოვნოდ აგიჩქროლდებოდა და ფასადის გლუვი ზედაპირი და სალებავის ზეციური სილურჯე ზღვის თუ ოკეანის უკიდეგანობად გარდაიქმნებოდა. ირგვლივ კი მარილიანი წყლის სუნი დატრიალდებოდა და ბაღი ტალღების ნაზი, ჩურჩულისმაგვარი ღელვის ხმით აივსებოდა.

ჯუჯო, სანამ პატარა იყო, ანუ სანამ „ვინმე" ან „რამე" გახდებოდა, ამ სახლში იზრდებოდა და ცელქობდა.

როცა ჯუჯო „ვინმე" ანუ „რამე" გახდა, სამსახურითა და ოჯახური მზრუნველობით დაღლილს აქ სიამოვნებდა ბავშვობის უმანკო სურნელით გაჟღენთილ გარემოში ხანმოკლე არდადეგების გატარება.

ახლა, მართალია სხვაგან, ბევრად ფეშენებელურ გარემოში ცხოვრობდა, მაგრამ დასასვენებლად და, ასე ვთქვათ, სულიერი სიმშვიდის მოსაპოვებლად ხშირად უბრუნდებოდა მშობლიურ სახლს და ნეტარი, ყმაწვილური სამოჯნური მოგონებებით მდიდარ ბაღს.

დრო გადიოდა, რომელიც არანარტო მკურნალი, არამედ ცინიკოსი გულმავიწყიც ყოფილა. აქ არაფერი იცვლებოდა, ყველაფერი ისევე იყო, როგორც ათი, ოცი, ოცდაათი წლის წინ. ის, რაც ადრე აღფრთოვანებას იწვევდა, ახლა მხოლოდ მორცხვი ღიმილით და ნაღვლიანი ირონიით თუ ფაადებოდა. წარსულის სურათები ჯინსებივით ხუნდებოდა, უფერულდებოდა და ბატონი ჯუჯოსთვის წარსულის სამუზეუმო ექსპონატად ქცეული ეს ადგილი თანდათან კარგავდა თავის მნიშვნელობას, ფასს და უნიკალობას.

აფრიკის სავანა, რიო-დე-ჟანეიროს კარნავალი, ადრიატიკის პლაჟები... პარიზის, იბიცას, ლონდონის, ფლორენციის თუ ბარსელონას ქუჩები... არაფერი ისე არ ასვენებდა და ამშვიდებდა ჯუჯოს, როგორც ამ გასარემონტებელი ერთოთახიანი, კომუნალური ბინის აივანზე ძილი. არ იყო იმაზე მეტი სიამოვნება, როგორც წარსულით დამძიმებულ, დაკლაკნილ ქვაფენილებს შორის ჩაკვეხებულ ბაღში კროსვორდებზე ტვინის ჭყლეტა, შემდეგ კი კედელზე ასახული უკიდეგანო სილაჟვარდის ცქერა. თუკი ვინმე მისი „მაღალი" წრიდან ახსენებდა „სიმშვიდეს", „სიმყუდროვეს", ან „განცხრომას" – საქმიანი და გაელენიანი ადამიანისთვის ასე ნანატრი, ძვირფასი და ძნელად მოსაპოვებელი ეს სამი მდგომარეობა ჯუჯოსთვის ამ რამდენიმე ათეულ კვადრატულ მეტრში ეტეოდა და სანაცვლოდ არც არაფერს ითხოვდა. დიახ, გულის არევამდე სიამოვნებდა აქ ყოფნა.

– მიჯაჭვული ვარ აქაურობაზე, ისე, როგორც ნურბელაა მიჯაჭვული თავის გუბეზე! მრცხვენია, მაგრამ რატომღაც მაინც აქეთკენ მომიწევს გული! მომბეზრდა, თუმცა მაინც აქ მოვდივარ! ყველა გომბეშოს თავისი ჭაობი უყვარსო! მე არა ვარ გომბეშო?! არა ვარ! – თავის თავს ხშირად ეუბნებოდა, – ცხოვრება წინ მიდის და მეც რაღაცა უნდა შევცვალო, რომ შეეიცვალო ეს გარემოც! ეგებ ბოლო-ბოლო გავწყვიტო ეს ჟანგმოდებული ჯაჭვი და გაეფრინდე იაგეთ ადგილას, სადაც სხვებივით მართლა დავისვენებ და ამის თაობაზე საზოგადოებაში საუბარი არ შემრცხვება და არც დამაწცირებს!

ჰოდა, ერთ დღეს, უფრო სწორად, ღამით, ჩაიპარა ეზოში და ყველასათვის ცნობილ კედელზე, დიდი ასოებით წააწერა „ყუყუა". კედლის სილაჟვარდე და თვით ბაღიც ამ სიტყვების ფონზე სხვანაირად გამოჩნდა. „ყუყუამ" რაღაც ახალი, განსხვავებული ნამდვილად შემატა სახლს და ბაღს. ჯუჯოს ეს ძალიან მოეწონა.

მობინადრენი ჩერდებოდნენ წარწერის წინ, ხმამაღლა კითხულობდნენ. ზოგი აღშფოთებული იყო, ზოგი სირცხვილისგან იწვოდა, ზოგი კი ცრემლნარევი სახით იცინოდა. მოკლედ არავინ დარჩენილა გულგრილი და ბაღში ჩიტების ჭიკჭიკის გარდა ხშირად ისმოდა ცისფერ ფონზე მსხვილი, წითელი ასოებით მიწერილი „ყ უ ყ უ ა".

მოკლედ, ატეხილმა აჟიოტაჟმა რაღაც ნამდვილად შეცვალა და ეს ცვლილება ყველაფერს დაეტყო. სახლსაც, მობინადრეებსაც, ბაღსაც. წყაროს წყალიც კი სხვანაირად აჩუხჩუხდა...

– ვინ არის მქმნელი ამ „სიახლისა?" – მთელ უბანში ექოსავით გაისმოდა შეკითხვა, მაგრამ არა მხოლოდ ვერავინ ხედებოდა, არამედ ვერც წარმოიდგენდა და მიხვდებოდა და ჯუჯოსთვის სამწუხაროდ, სათანადოდ ვერც ვერასოდეს დააფასებდა ამ საქციელს. ეს „უცოდინრობა" და მიუხვედრელობა, ამ ე.წ. „პერფორმანსის"ავტორს გულს სწყვეტდა.

– ვინმე დაიბრალებს ამ ჩემს მოგონილს და ესაა გულდასაწყვეტი! – მთელი ღამე შფოთავდა და წუხდა, – როგორ, რანაირად, რა ფორმით გამოვასწორო ეს უსამართლობა, ეს შეცდომა? მე თვითონ ხომ არ გამოვდგები აივნიდან და დავიწყებ იმის მტკიცებას, რომ „ყუყუა" ჩემი

დამსახურებაა! ეს ნამდვილად მეტისმეტი იქნება! რაღაც სხვა მეთოდი უნდა მოვიფიქრო!

შემდეგ ღამეს ჯუჯომ კედელზე დაწერა თავისი სახელი „ჯუჯო", მხოლოდ არა პირველი წარწერის გვერდით ან ქვეშ, როგორც ამას პატივმოყვარე და ამპარტავანი შემოქმედი ან პიროვნება გააფორმებდა, არამედ თავმდაბლურად, მხოლოდ კედლის მეორე ბოლოში.

დილით ხალხმა დანახვისთანავე დააფასა ეს სიახლე, მაგრამ შედეგი ისეთი არ გამოდგა, როგორსაც ავტორი ელოდა. მარცხნიდან მარჯვნივ თუ ჩაუვლიდით კედელს და წაიკითხავდით, გამოდიოდა „ჯუჯო ყუყუა", ხოლო მარჯვნიდან მარცხნივ „ყუყუა ჯუჯო". ხალხი შეჰყურებდა წარწერას და ხმამაღლა იცინოდა. ზოგი კი საფეთქელთან ატრიალებდა საჩვენებელ თითს და „ეჰ-ეჰ!"-ის ხვნეშით თვალს მისი აივნისკენ აპარებდა. ზოგი კი უბრალოდ იფურთხებოდა.

ჯოჯუს ეს არ მოეწონა. ამიტომ მესამე ღამეს „ყუყუას" და „ჯოჯუს" შორის ჩაამატა – „არაა" და გამოუვიდა „ჯუჯო არაა ყუყუა" ან „ყუყუა არაა ჯუჯო."

ამის წასაკითხად უკვე არამარტო ახლომდებარე ქუჩებიდან, არამედ ზემო და ქვემო შორეული ჩიხებიდან და უბნებიდან მოდიოდნენ მნახველები და უკვე ლამის ერთხმად, უსირცხვილოდ და ხმამაღლა კითხულობდნენ ამ წარწერას. ასე გრძელდებოდა შემდეგი, იმის შემდეგი და შემდეგის შემდეგი საღამოც. მერე ყველას მობეზრდა აქ სიარული და ამ სისულელის კითხვა და გაუკაცრიელებული ბაღის სიჩუმეს მხოლოდ წყლის ჩუხჩუხი არღვევდა. ბავშვების ჟრიამული აღარ ისმოდა, ის ყვავების ჩხავილმა ჩაანაცვლა.

ჯუჯო მაინც კმაყოფილი იყო თავისი ნამოქმედარით და მარტოდმარტო, ამაყად დასეირნობდა ბაღის ბილიკზე, მარცხნიდან მარჯვნივ ან მარჯვნიდან მარცხნივ კედლის გასწვრივ და ხმამაღლა კითხულობდა თავის ნაწერს. ზოგჯერ რომელიმე ცნობილი მელოდიის ან საოპერო არიის მოტივზე წაუმღერებდა „ჯუჯო არაა ყუყუა" ან „ყუყუა არაა ჯუჯო" – და ბედნიერი ხითხითებდა და ხითხითებდა.

– პოპულარულიც გავხდი და გარემოც შევცვალე! უკვე აღარაა ეს ადგილი ისეთი, როგორიც ჩემს ბავშვობაში იყო! ასე რომ, თავსაც მშვენივრად ვგრძნობ და მალე ყველაფერი სულ კარგად იქნება! – იმ ღამეს ჯუჯომ იქეიფა. მოხსნა ოცლიტრიან ღვინის მტოფს თავი და კარგა გვარიანად მოილხინა. აღნიშნა თავისიანებში, თუ თავისნაირებში საკუთარი ნამოქმედარი. ამდენი და ასე მაგრად კარგა ხანია არ უქეიფია.

ნაბახუსევზე ჯუჯოს სიურპრიზი ელოდა. ვიღაცამ ოლროჩოლრო ხელით კითხვის ნიშანი მიაწერა მის წინადადებას. თან ერთი არ იკმარა. ორი კითხვის ნიშანი დასვა – „ჯოჯუმდე" და „ყუყუა"-ს მერე. ამ ერთმა შტრიხმა მკვეთრად შეცვალა წინადადების დამაჯერებელი აზრი და იგი, მსჯელობა-კამათის ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ რეჟიმში გადაიყვანა.

„ჯოჯუ არაა ყუყუა?" – „ყუყუა არაა ჯოჯო?"

ჯუჯო წარწერით ძალიან უკმაყოფილო იყო. უფრო მეტიც, ის ბრაზობდა და, შეიძლება ითქვას, ხმამაღლა და დაუფარავად იგინებოდა კიდეც. უწმაწური სიტყვები მთელ უბანში მკაფიოდ ისმოდა. ამან ადგილობრივებში წარწერის ახალი „მტრიბებისადმი" ინტერესი ელვისებურად გააღვივა და ათჯერ თუ ასჯერ მეტი ადამიანი მოაწყდა ერთ ციდა ბაღს. ხალხი ხმამაღლა კითხულობდა კედლებზე გამოხატულ სიტყვებს და ხარხარებდა. კითხულობდა და ხარხარებდა. კითხულობდა და ხარხარებდა. ჯოჯუც კითხულობდა და იგინებოდა. კითხულობდა და იგინებოდა. კითხულობდა და იგინებოდა. საბოლოოდ ეს ყველაფერი რომელიღაც ცნობილი ოპერის სცენას დაემგვანა, სადაც აივანზე გადმომდგარი სოლისტი ფალცეტით თავისას უბერავს, ხოლო ბაღში განლაგებული მრავალრიცხოვანი გუნდი კი თავისას.

მიუხედავად ამ კაკაფონიისა, ჯუჯოს არავინ შეპასუხებია და ამიტომ ის დაეჭვდა, მევე ხომ არ ვარ ამ კითხვის ნიშნის დამწერიო?

სიმთვრალეში იცოდა ხოლმე ამდაგვარი გიჟობები. მეორე დღეს აღარ ან ნაგლეჯ-ნაგლეჯ ახსოვდა ჩადენილი, და მათ ერთ სურათად შეწებებას ვერანაირად ახერხებდა. ჰოდა, ასეთი გამოცდილებიდან და დანახული რეალობიდან გამომდინარე დაასკვნა: მე დავწერდი აბა, ჩემ მეტი ვინ მოიფიქრებდა ამასო?

მკვეთრად შეწყვიტა გინება, შევიდა სახლში, გადაიელო, მიუჯდა მაგიდას, მოუკიდა სიგარეტს და ბევრი იცინა. რატომ იცინოდა, თვითონაც ვერ ხვდებოდა, მაგრამ ეცინებოდა და იმიც იცინოდა. ნიფხვის ამარა იჯდა ოთახში და იცინოდა.

იმ ღამეს მან თითოეულ კითხვის ნიშანს ძახილის ნიშანი დაუმატა.

ასე გაჩნდა კედელზე მისი აზრით სასიხარულო, ოპტიმიზმით გაჟღენთილი წარწერა:

„ჯუჯო არაა ყუყუა?!" – „ყუყუა არაა ჯუჯო?!"

რამდენჯერმე წაიკითხა წარწერა. დაფიქრდა და ისევ წაიკითხა. გაიარ-გამოიარა და კიდევ ერთხელ გადაიკითხა და დაეჭვდა იმაში, რაც გააკეთა. რადგან თუ დარწმუნებული იყო, რომ ჯუჯო არ იყო „ყუყუა", ან „ყუყუა" არ იყო ჯუჯო, რა საჭირო იყო ამის გამომზეურება და, მით უმეტეს, ასეთ ხალხმრავალ ადგილას დაწერა...

საკუთარ თავზე განაწყენებულმა, აიღო ჩაქუჩი და სატეხი და ჩამოტეხ-ამოტეხ-ჩამოფხიკა სიტყვები და სასვენი ნიშნები. მოკლედ, წარწერა უკვე აღარ ამშვენებდა კედელს.

გამთენიისას ჯუჯო დაბრუნდა თავის მრავალოთახიან, კეთილმოწყობილ სახლში და მისი ცხოვრება ჩვეულ რიტმში ჩადგა. საპასუხისმგებლო სამსახური – ფეშენებელური ბინა – საპასუხისმგებლო სამსახური – ფეშენებელური ბინა...

აივნებიანი სახლის ლაჟვარდისფრად შეღებილი კედლიდან წარწერა კი გაქრა, მაგრამ დარჩა სამი უშნო ხვრელი და სულიერი შფოთი, რომელიც თვით ჯუჯოსაც და სახლის სხვა მობინადრეებსაც დღემდე აწუხებს, რადგან სიტყვების წაშლის მიუხედავად აზრი არსად წასულა, ის სამუდამოდ იქ დარჩა.

აზრი ხომ არასოდეს იშლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გენიალური იდეა

*ნათია ჩხაიძე*

„ფეხბურთის ყურება წმიდათაწმინდა საქმეა. თუ ყურადღებას მოადუნებ, მაშინვე ეშმაკები დაგეპატრონებიან" – ბარმენმა მაშინ მითხრა, როცა ლუდით სავსე კათხა წინ დამიდო და თვალი ჩემს მზერას გააყოლა იქვე, ახლოს მდგომი ქალის უკანალისკენ. მეორე ტაიმში უკვე ბარის საპირფარეშოში იგივე ქალს ერთი ნახვით სიყვარულზე ათას სისულელეში ვარწმუნებდი და თან ვცდილობდი, მისი უკანალიდან ხელები არ მომეშორებინა. ღამით ჩემთან წამოსვლაზეც კი დავითანხმე. ასე დავეოჯახდი.

ბარმენის სიტყვები, ალბათ, არასდროს გამახსენდებოდა, რომ არა ის დღე, როცა წლების შემდეგ დივანზე ტრუსის ამარა წამოწოლილი ისევ ფეხბურთს ვუყურებდი, ბანჯგვლიან მუცელს კმაყოფილი ვიფხანდი, ლუდს ბოთლიდან ვწრუპავდი და თან ვცდილობდი, ჩემი ცოლის ლაპარაკისთვის ყურადღება არ მიმექცია. თუმცა მცდელობა ამაო აღმოჩნდა. ჩემი ცოლი ჩამჩით ხელში ტელევიზორს აეფარა. პირველი ნახვისგან განსხვავებით მისი უკანალი უკვე საკმაოდ იყო ზომებში მომატებული და ტელევიზორის მხოლოდ კუთხეებს ვხედავდი. ფეხბურთის სიყვარულის მიუხედავად მარტო კომენტატორების ლაპარაკი ვერასდროს მიკმაყოფილებდა სიამოვნების რეცეპტორებს, ამიტომ დავნებდი და ლაპარაკის მოსასმენად გადავეწყვე.

– აღიარე, რომ გენიალური იდეაა! – გაბრწყინებული თვალებით მიყურებდა ნათელა. ჩამჩას ჩემკენ იშვერდა და პასუხის მოლოდინში ადგილიდან არ იძვროდა. ჩამჩა, როგორც ჩანს, ახალი ამოღებული იყო საჭმლის ქვაბიდან. წკაპანკუპით ეცემოდა ხალიჩაზე წვნიანის წვეთები.

მას შემდეგ, რაც გავიგეთ, რომ მამაჩემს სიმსივნე ჰქონდა ბოლო სტადიაში და გამოჯანმრთელების შანსი ფაქტობრივად ნულს უტოლდებოდა, ნათელას კვირაში ერთხელ მაინც მოსდიოდა თავში გენიალური იდეა, თუ როგორ უნდა გვექცია მამაჩემისთვის სიცოცხლის ბოლო თვეები დაუვიწყარი.

თავიდან ნათელაზე გავბრაზდი. არაფერის გაგონება არ მინდოდა მამაჩემის სიკვდილზე, მაგრამ დრო რომ მალე გადიოდა და ყველაფერს გარდაუვალობის მკვეთრი ელფერი გადაჰკრავდა, ანუ, უფრო ზუსტად რომ ვთქვა, მამაჩემს მეტად ედებოდა თაგვისფერი სახეზე და წონაშიც დაუსრულებლად იკლებდა, შევეგუე. გულის სიღრმეში ვაღიარებდი, რომ ნათელა მართალი იყო. მამაჩემისთვის, რომელმაც მარტომ მოახერხა ჩემი გაზრდა და ფეხზე დაყენება, დარჩენილი ცხოვრება დაუვიწყარი უნდა გამეხადა, თუმცა ჩემი გონება ასეთი იდეებისთვის ზედმეტად მოუმზადებელი აღმოჩნდა. რამდენჯერაც შევეცადე რამე მომეფიქრებინა, ქალაქგარეთ რესტორანში ქეიფის იქით ვერ გავიღვივე ფანტაზია. ისევ ნათელას გენიალური იდეების იმედად დავრჩი, მაგრამ აქამდე არცერთი იდეა არ აღმოჩნდა გენიალური.

– იტყვი? – მესამე დაძაბული მომენტი გავუშვი თვალთახედვის არედან.

– არ მისმენდი? – მოიქუფრა ნათელა.

– თავიდან თქვი, ოღონდ გაიწიე. – თავი ცოტა ზევით ავწიე, ეკრანის ერთი მხარე რომ მაინც გამოჩენილიყო, მაგრამ დიდი ვერფერი შეღავათი – მხოლოდ ანგარიშის ნიშნულს ვხედავდი.

– მიიწიე. მართლა გენიალური იდეაა, – ნათელამ ფეხები მიმაწევინა და ჩამოჯდა, – მისმინე. მამაშენს ხომ ორი ოცნება აქვს: ბინა მიიღოს რადიოქარხნისგან და იტალიაში იმოგზაუროს? ხოდა, ავუსრულოთ.

– რადიოქარხნის მაგივრად მე საიდან მივცე ბინა?

– საიდან და მაინც ხომ ვგეგმავდით გაფართოებას და სხვა ბინაში გადასვლას. თვის ბოლოს შენც გიმატებენ ხელფასს და მეც მაქვს ცოტა დანაზოგი გადანახული. ეს ბინა გავყიდოთ, ბანკიდან სესხი გამოვიტანოთ და სხვა ვიყიდოთ. შენს თანამშრომლებს უთხარი, ვითომ რადიოქარხნიდან არიან, მოვიდნენ, რაღაცები ჩაიწერონ, ვითომ მართლა საჭიროა, მერე ბინის გადაცემის ცერემონიალი მოვაწყოთ, ლენტი მამაშენს გავაჭრევინოთ და ეგაა და ეგ. რას გაიგებს, ჩვენ ვიყიდეთ თუ არა? მამაშენს სიხარული სიხარულად დარჩება, ჩვენ კიდევ ახალი ბინა. მამაშენის ერთადერთი მემკვიდრე მაინც შენ ხარ და არაფერი გვაქვს სანერვიულო. მითხარი, ხომ გენიალური იდეაა? არა, მართლა გენიალურია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— და იტალიაში მოგზაურობას რას ვუშვებით? მაგასაც რადიოქარხანა დააფინანსებს?

— ლილის გოგო მოაგვარებას იტალიაში ნასვლასაც და ჩამოსვლასაც. გადაყოლილი ვარ მაგათზე და უარს არ მეტყვის, ვიცი.

— ნუ სულელობ ერთი. სადმე რესტორანში ვაქეიფებ ქალაქგარეთ და ეგაა, — ჩემი ერთადერთი ვერსია როგორც იქნა ხმამაღლა გავახმოვანე.

— ასე ჯობია, დამიჯერე. ბოლო ანალიზების პასუხებით, ექიმმა ცოტა დრო დარჩაო და უნდა მოვასწროთ.

ნათელა სამზარეულოში შებრუნდა. მე კი, რა თქმა უნდა, ეშმაკებმა დამატყვევეს. მეორე ტაიმს არც ამჯერად მაყურებინეს, ხელში ტელეფონი ამალებინეს, განცხადებების საიტზე პანღურით შემაგდეს და იქ უკვე ჩემ ნებაზე მიმიშვეს. რაც უფრო მეტ განცხადებას ვკითხულობდი, მით უფრო მეტად მხიბლავდა ბინის „მილების" იდეა.

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ, როცა ეზოს დომინოს ჩემპიონატის უთვალავგზის გამარჯვებული მამაჩემი სახლში ამოვიდა მორიგი ჩემპიონატიდან, გვერდით მივუჯექი, მუხლზე ხელი დავადე და ომახიანად განვუცხადე:

— რადიოქარხანას როგორც იქნა ბინების დარიგება დაუწყია. დღეს იყვნენ მოსულები. რაღაცები ჩაიწერეს. აკმაყოფილებთ ბინის მილების კრიტერიუმებსო.

— ვახ! — თვალები გაუნათდა მამაჩემს. მგონი რამდენიმე დღის სიცოცხლე მოემატა კიდეც.

— მეც გავოცდი. თავიდან მეგონა, წინასაარჩევნოდ რომელიმე პარტიიდან იყვნენ. კორპუსები დამათვალიერებინეს, რომელი გინდათ, აირჩიეთო. მერიასთან ახალაშენებულში ავირჩიე, — ნათელამ დაჭყეტილი თვალებით შემომხედა და მივხვდი, ძალიან რომ მევტრაპე ბინის ფასის და ადგილმდებარეობის შერჩევაში. სჯობდა, მისთვის მიმენდო ბოლომდე ყველაფრის მოგვარება, მაგრამ უკვე გვიან იყო, სიტყვებს გასროლილი ტყვიებივით ველარ დავაბრუნებდი უკან.

— მერაბს რა გაუხარდება! ეგ ჩემზე მეტად ელოდებოდა ბინის მილებას. უნდა დავურეკო და მივულოცო, — ტელეფონისკენ დაიხარა.

— არ დარეკო! — ხელიდან გამოვტაცე ტელეფონი, — არ დარეკო მერაბთან.

— რატომ?— დაიბნა მამაჩემი.

ნათელაც პირდაღებული მიყურებდა დაბნეულობისგან.

— მერაბს ბინა არ შეხვდა. — დანანებით ჩავილაპარაკე და თავი ჩავღუნე.

— აუჰ, ეგ რა მითხარი! რატომო? რამე არ თქვეს?

— სიაში ჯერ არ არის, საბუთები არ ჰქონია წესრიგში. რა ვიცი, რას გაიგებ მაგათსას? რას ავსებენ, რის მიხედვით ავსებენ, კაციშვილმა არ იცის.

— რა მერიასთან ბინა?! შენ ხომ არ გაგიჟდი?! მანდ იცი, რა ფასებია?! — როგორც კი დამიმარტოხელა ნათელამ, მაშინვე თვალები დამიბრიალა.

— გავწვდებით. ნუ იღელვებ. ვისესხებ, თუ დაგვაკლდება, — ოღონდ წარმოდგენა არ მქონდა, ვისგან უნდა მესესხა, მართლა თუ დაგვაკლდებოდა.

იმ საღამოს შემდეგ ყველაფერი ერთმანეთზე ისე სწრაფად მიეწყო, ისე თანმიმდევრულად, ლამის მეც კი მჯეროდა, რომ მართლა რადიოქარხანა გვაძლევდა წლების განმავლობაში ნაოცნებარ ბინას. ჩვენი ბინის კლიენტი მალე გამოჩნდა. რამდენიც დავუფასეთ, იმდენი გადაგვიხადა. ბანკისგან სესხიც უპრობლემოდ დაგვიმტკიცეს, ზედმეტი კითხვების გარეშე. მერიასთანაც საკმაოდ კარგი ოთხოთახიანი გარემონტებული ბინა ამოხტა განცხადებების თავში დაბარებულივით. რჩებოდა მხოლოდ მამაჩემის იტალიაში მოგზაურობაში გაშვება, მაგრამ მაშინ, როცა თითქმის ყველაფერი უკვე მზად იყო, მამაჩემმა თავად თქვა უარი წასვლაზე. როგორც აღმოჩნდა, იცოდა საკუთარი დიაგნოზის შესახებ და არსად წასვლა არ უნდოდა. ვიქვითინეთ. ერთმანეთს სიყვარულში კიდევ ერთხელ გამოვუტყდით და შევთანხმდით, რომ ბინის მილების დღეს ქალაქგარეთ რესტორანში მოვილხენდით. დამთანხმდა. დასაპატიჟებელი ნათესავების სიაც შევადგინეთ. მეც ბედნიერი ვიყავი, ჩემი იდეაც რომ მოხვდა გეგმის ნაწილად.

იმის გამო, რომ ჩემს თანამშრომლებს, რომლებიც ხშირად გვსტუმრობდნენ ფეხბურთის საყურებლად, თითქმის ყველას იცნობდა მამაჩემი, არჩევანი ნათელას თანამშრომლებზე შევაჩერეთ. ქეთი და ნანაკა წინასწარ დავარიგეთ, რა უნდა ელაპარაკათ. ნოტარიუსს ჯერ გული ავუჩუყეთ ჩვენი გენიალური იდეით, მერე კი დავითანხმეთ, ისე მოეწერინებინა ხელი მამაჩემისთვის საბუთებზე, რომ ეჭვი არ შეჰპარვოდა არაფერში.

დათქმულ დღეს ქეთიმ და ნანაკამ დიდხანს გვალოდინეს. მანამდე სალონში შეიარეს, ახალი ვარცხნილობა გაიკეთეს, ფრჩხილები მოიწესრიგეს, ქალაქის ბოლოდან ბინამდე ყველა საცობში მოახერხეს მოხვედრა. ის-ის იყო იმედი მეწურებოდა, რომ ლიფტის კარი გაიღო და მაღალქუსლებზე შემდგარი ორი ლამაზმანი გამოვიდა. სათითაოდ ჩამოგვართვეს ხელი.

— გამარჯობა, — ქეთიმ დაიწყო, — ჩვენ სამშენებლო კომპანია „ენ კუბშის" წარმომადგენლები ვართ (როგორც ჩანს, ჩვენი დარიგებული ტექსტი არ მოეწონათ). ჩვენ დაგვევალა, რომ დღეს საზეიმოდ გადმოგცეთ ბინა...

ნათელამ ტაში შემოჰკრა.

— მერაბს რა ეშველება? — მამაჩემმა გააწყვეტინა.

— მერაბს? — ერთხმად იკითხეს ქეთიმ და ნანკამ.

— მერაბსაც ეკუთვნოდა ბინა და იმას რა ეშველება?

— ბატონო სოსო, — ახლა ნანკამ დაიწყო, — ყველას უკლებლივ გადავცემთ ბინებს, მხოლოდ ეტაპობრივად. ჯერჯერობით ისინი მოხვდნენ სიაში, ვისი საბუთებიც რადიოქარხანამ მოგვაწოდა. რთული პროცესია. ხომ გესმით? მოდით ნუღარ დავაყოვნებთ. საბუთებს ხელი მოვაწეროთ და ლენტი გავჭრათ.

— კი, კი, რა თქმა უნდა.

ნოტარიუსი ისევ გულჩუყებული ჩანდა. წარამარა იწმენდდა ცრემლებს. ნანკამ ჩანთიდან ლამაზი მაკრატელი ამოაცურა. ქეთიმ ტელეფონი მოიმარჯვა სურათების გადასაღებად. მამაჩემმა ღრმად ჩაისუნთქა და ლენტი გაჭრა.

ქეთიმ და ნანკამ საქმეები მოიმიზეზეს და მალევე წავიდნენ. თვალცრემლიან ნოტარიუსს კი ბევრი თხოვნა არ დასჭირვებია, სალამო ჩვენთან ერთად გაეტარებინა.

— თქვენ წადით. მე მალე მოვალ, — ქუჩაში გამოსვლისთანავე თქვა მამაჩემმა და ტაქსის ხელი დაუქნია.

— სად მიდიხარ?

— საქმე მაქვს.

— სხვა დროს წადი, ახლა მაგის დროა, კაცო?! მაშინ მეც წამოვალ. ნათელა, შენ დახვდი ყველას რესტორანში და ჩვენც მოვალთ მალე. — ნათელას შევაჩეჩე საბუთებიც და ნოტარიუსიც.

— არა, მარტო უნდა წავიდე, — უკან არც მოუხედავს, ისე ჩაჯდა მანქანაში და სწრაფად დაიძრნენ ადგილიდან.

— გადამრევს ეს კაცი. რა საქმეები აუტყდა ახლა?! — ჩემს თავზე უფრო ვბარზობდი, წაყოლა რომ ვერ მოვასწარი. მაინტერესებდა, რა საქმე გამოუჩნდა ასეთი სასწრაფო. თან რამე არ მოსვლოდა გზაში, მაგაზეც ვღელავდი.

— პატარა ხომ აღარაა, შეეშვი. მოვალო თქვა და მოვა, — მშვიდად მიპასუხა ნათელამ და საბუთები ისევ მე გადმომილოცა.

რესტორანში ნათესავები სრული შემადგენლობით დაგვხვდნენ. არავისთვის არაფერი გვითქვამს, სინამდვილეში რა ხდებოდა. ვინმეს რამე რომ არ წამოცდენოდა, თავი დავიზღვიეთ. მერე ისედაც გაიგებდნენ და ბოლომდე მიყვანილი იდეალური გეგმის გამჟღავნება სასწორზე შემოსადებად არ გვიღირდა.

თერთმეტჯერ დარეკვისა და სამი საათის ლოდინის შემდეგ, მამაჩემი შემოგვიერთდა. დღის ბოლოს პირველად ჩანდა მოღიმარი. რამდენჯერაც ვკითხე, თუ სად წავიდა, იმდენჯერ მიპასუხა, მერე გეტყვიო და მისი ხასიათი რომ ვიცოდი, რაც უფრო დავიჟინებდი პასუხის მიღებას, მით უფრო არ მეტყოდა.

— ახლაც არ მეტყვი? — უკვე რესტორნიდან გამოსულები ვიყავით, გზის პირას ვიდექით, სიგარეტს ვეწეოდით და გამოძახებულ ტაქსის ველოდებოდით, რომ ვკითხე.

— მერაბი მედარდებოდა.

— მერაბთან იყავი?

— არა, სხვაგან.

— ვერაფერი გავიგე. აბა, სად იყავი?

— მისმინე შვილო. მთელი ცხოვრება ველოდი, რომ რადიოქარხანა შრომას დამიფასებდა. მუხლჩაუხრელად ვმუშაობდი, რომ ჩვენი ჭერი გვქონოდა, მაგრამ შენ აჯობე იმათ. შენ და ნათელა ერთმანეთს ანი ალარაფერს გაუჭირვებთ, ორივეს კარგი სამსახურები გაქვთ, თუ მოინდომებთ, მჯერა, კიდევ ერთი ბინის ყიდვას უპრობლემოდ შეძლებთ. მერაბს კი ძალიან უჭირს. მის შვილებსაც ჯანმრთელობის პრობლემები აქვთ. ხან ვინ ეხმარებათ ქირის გადახდაში და ხან ვინ.

— მერაბი რა შუაშია?! სად იყავი?!

— ანდერძი დავწერე.

— რა ქენი?!

— მე ისედაც არ მიწერია დიდხანს სიცოცხლე და ჩემს ქონებას მთლიანად მერაბს დავუტოვებ. ვიცი, რომ შენ და ნათელა გამიგებთ... — ბოლო სიტყვები ყრუდ ჩამესმა. სამყარო თითქოს ატრიალდა და რაც ბოლოს დავინახე, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა იყო.

მერე არ მახსოვს, რამდენი ხანი ვიყავი წყვდიადში. თვალი რომ გავახილე, თეთრ ოთახში ვიწექი. საშინელ თავის ტკივილს ვგრძნობდი. გულის ფეთქვაზე აწრიპინებულ აპარატს აკომპანიმენტს შორიდან მომავალი კომენტატორების ხმა უწევდა. მინდოდა ვინმესთვის მეკითხა, ნათელა სად იყო, მამაჩემს რამე ხომ არ მოუვიდა, ცოცხალი ვიყავი თუ მკვდარი, საერთოდ ყველაფერი მაინტერესებდა, რაც იმ დღის მერე მოხდა, მაგრამ არავინ ჩანდა. იმდენი ხანი გაგრძელდა ჩემი მარტო ყოფნა, რომ მივხვდი, ვიღაც ტელევიზორის წინ იჯდა და ყურადღებას არ აღუნებდა.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# 4 ბიოგრაფია



## ზბიგნევ ჰერბერტი: პოეტი ალყაშემორტყმული ქალაქიდან

*ამბროსი გრიშიკაშვილი*

პოეტური ციკლის „პან კოგიტოს" შემოქმედი, მრავალი ესეისა და დრამატული ნაწარმოების ავტორი, გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ბევრჯერ იყო წარდგენილი ნობელის პრემიაზე, 80-იან წლებში მჭიდროდ თანამშრომლობდა ანტიკომუნისტურ ოპოზიციასთან. მის ლექსებს მრავალი ბარდი მღეროდა. 1986 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე პოეტი პარიზში ცხოვრობდა და ჟურნალ „ლიტერატურულ ფურცლებთან" თანამშრომლობდა.

*„მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში შემდეგი ზნეობრივი კრედოთი ვხელმძღვანელობდი: თუ ორი გზიდან ერთ-ერთს უნდა დაადგე, აირჩიეს ის, რომელიც შენთვის გაცილებით ძნელი გასავლელია" – წერდა ზბიგნევ ჰერბერტი ჟურნალ „პოლიტიკაში" 1972 წელს.*

### მცირე შესავალი

ჰერბერტი – ეს გვარი, როგორც წესი, მოიხსენიება ხოლმე ისეთი ცნობილი მწერლებისა და პოეტების გვერდით, როგორებიც არიან ჩესლავ მილოში, თადეუშ რუჟევიჩი, ვისლავა შიმბორსკა... ანუ გვერდით იმ პოეტების, მწერლების, რომელთაც მთელ მსოფლიოში დიდად აფასებენ, როგორც კრიტიკოსები, ასევე მკითხველებიც.

ზბიგნევ ჰერბერტი პატივისცემისა და სიყვარულის შარავანდედით იყო გარემოსილი სამშობლოშიც და საზღვარგარეთაც, სადაც მისი ლექსები, პოემები თუ პროზაული ნაწარმოებები იყო თარგმნილი. საგულისხმოა, რომ ჰერბერტი მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა პოლონეთის პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. იგი თავის შეხედულებებს საკუთარი ცხოვრების წესითაც უმაგრებდა ზურგს. მაგალითად, მისი ხელწერა ამშვენებს 70-იანი წლების შუა ხანებში პოლონელ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა საპროტესტო წერილს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის შესწორებასთან დაკავშირებით. ამის გამო განრისხებულმა ხელისუფლებამ პოეტის ნაწერების გამოქვეყნება აკრძალა და ჰერბერტი იძულებული გახდა, თავისი ლექსები ემიგრაციულ თუ იატაკქვეშა გაზეთებში დაებეჭდა. სიცოცხლის ბოლო წლებში კი იგი ლუსტრაციისა და დეკომუნიზაციის ძალზე დიდი მხარდამჭერი გახდა. ყოველივე ამის გამო, ჰერბერტი მორალურ ავტორიტეტს წარმოადგენდა მრავალი თაობის პოლონელთათვის.

ქვემოთ მოტანილი ესე ჰერბერტის შესახებ, დაწერილია ცნობილი პოლონელი მწერლისა და ჟურნალისტის, ანჯეი ფრანაშეკის წიგნზე დაყრდნობით, რისთვისაც მას უღიდეს მადლობას ვუცხადებ.

## პოეტის ბავშვობა

„ჩემი ერთადერთი, მშობლიური ქალაქი არის ლვოვი. სხვა დანარჩენი: ფლორენცია, ათენი, რომი, რავენა და ა.შ. შემდეგ შემოვიდნენ ჩემს ცხოვრებაში" – ასე იხსენებს ლვოვს პოეტი. თუმცა მას ასევე უყვარდა პოლონეთის სხვა ქალაქებიც. ის ლონდონიდან თავის გერმანულად მთარგმნელს, ჰენრიხ კუნტსმანს, რომელმაც პოლონეთი მოიარა, ასეთ წერილს მისწერს: „ძალზე მსიამოვნებს, რომ ასე მოგეწონათ ჩემი სამშობლო. ახლა თქვენ უკვე შეგიძლიათ იმის გაგება, თუ მე, დასავლეთის ასეთი მოყვარული, კვლავ და კვლავ ჩემს მშობლიურ ბუდეს რატომ ვუბრუნდები. თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, ჩემი ნამდვილი ბუდე ლვოვია".

1924 წელს, როდესაც ჰერბერტი დაიბადა, ლვოვი უკვე შვიდას წელზე მეტს ითვლიდა. ამ ადგილას მომცრო ქალაქი მეცამეტე საუკუნეში რუსმა თავადმა, დანიელ რომანოვიჩმა ააგო და როგორც ისტორიკოსებს მიაჩნიათ, თავისი ვაჟის, ლევის სახელი დაარქვა. ქალაქი სავაჭრო გზების გასაყარზე მდებარეობდა, რამაც მის სწრაფ ზრდას შეუწყო ხელი. აქ სახლდებოდნენ რუსინები, პოლონელები, ებრაელები, სომხები, თათრები, გერმანელები...

სიცოცხლის ბოლოს ჰერბერტი ასე იხსენებდა თავის მშობლიურ ქალაქს: „ლვოვმა უზარმაზარი გავლენა მოახდინა ჩემზე. მე ამას მხოლოდ ახლა ვაფასებ. ეს, უპირველეს ყოვლისა, არის მრავალეთნიკური ქალაქი. დაბადებიდანვე თითქოს აცრილი ვარ ყოველგვარი სახის ქსენოფობიის მიმართ. ანტისემიტიზმი ჩემთვის რაღაც გაუგებარი რამაა. ბავშვობაში ბევრს ვთამაშობდი ებრაელებთან, ისინი ჩემი საუკეთესო მეგობრები იყვნენ... ქალაქი ხომ მხოლოდ შენობები, ქანდაკებები, მოედნები და ხიდები არაა, ქალაქი, უპირველეს ყოვლისა, მის მკვიდრთა შორის ურთიერთდამოკიდებულებაა. და მე მეჩვენება, რომ ჩემს ქალაქში ეს დამოკიდებულება ძალიან თბილი, უაღრესად ტოლერანტული იყო...".

და კიდევ: „ყოველი კულტურის სიმდიდრე მისი მრავალეროვნულობაა. ჩემთვის პოლონეთი ეროვნული უმცირესობის გარეშე, განსაკუთრებით ხმაურიანი, ინტელიგენტური, ცოცხალი ებრაული უმცირესობის გარეშე, რაღაც საწყალი, ღარიბულია. დღევანდელი, 99%-ით ეთნიკური პოლონეთი უკვე აღარ არის ის ქვეყანა, რომელიც მე მახსოვს, რომელიც მე მიყვარდა და საიდანაც სასიცოცხლო წვენს ვისრუტავდი".

გერმანულ რადიოს კი ჰერბერტმა ასეთი რამ განუცხადა: „მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი გაუთვალისწინებელი შედეგი ეთნიკურად წმინდა სახელმწიფოების წარმოშობა იყო. ახლა პოლიტიკური საზღვრები, ისე, როგორც არასოდეს წარსულში, ემთხვევა ეროვნულ საზღვრებს... პოლიტიკური თვალსაზრისით ეთნიკურად წმინდა სახელმწიფო შეიძლება იყოს იდეალი, მაგრამ ვეჭვობ, არის თუ არა ის კულტურული იდეალი".

ჰერბერტს ცხოვრების მატერიალური მხარისაკენ განსაკუთრებული ყურადღება არასოდეს არ გამოუჩენია. „პოეტს ესაჭიროება ბიბლიოთეკა, მოხერხებული სავარძელი, საძილე ოთახი, საწხაპე ცხელი წყლით და წიგნებით სავსე თაროები სამუშაო ოთახში – არწმუნებდა ის თავის ლონდონელ მეგობარს. – აი, ის ყველაფერი, რომელთა წყალობითაც მწერალს შრომის ორგანიზაცია ძალუძს".

წიგნები, რომლებიც ჰერბერტის სამუშაო ოთახში თაროებზე ჩანს, ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მის ინტერესებზე: ჯოისი, თომას მანი, გოეთე, შექსპირი, ტოლსტოი, დანიელ დეფო, სასამართლო მედიცინის სქელი ტომები, ხელოვნების ისტორია; აქვეა წიგნები ფიზიკაზე, ასტრონომიაზე, ბოტანიკისა და ზოოლოგიის სახელმძღვანელოები. ტყუილად კი არ ურჩევდა ჰერბერტი ახალგაზრდა მწერლებს, დაინტერესებულიყვნენ ცოდნის ყველა სფეროთი, ეკითხათ ფილოსოფოსები, ისტორიკოსები, ყოველდღიური გაზეთები და მხოლოდ რიტმისა და რითმის ძებნით არ დაკავებულიყვნენ. ამავე თაროზე დევს ფსიქიატრიის ლექსიკონი, რომელშიც „ეგზისტენციალურ დეპრესიაზეა" სანიშნე დატოვებული. სულ ზედა თაროზე იოზეფ პილსუდსკის[1] პორტრეტია, ასევე კუნძულ კრეტადან ჩამოტანილი ფიგურა და ბერძნული ვაზის ნამსხვრევი...

რაც შეეხება მუსიკას, ჰერბერტს განსაკუთრებით ბეთჰოვენი უყვარდა: ჩემი პირველი მუსიკალური სიყვარული ბახი და ბეთჰოვენია. ბეთჰოვენი ჩემთან ასევე ძალზე ახლოა, როგორც ადამიანი. აბა, წარმოიდგინე, როგორი ღარიბი იყო. სიცოცხლის ბოლოს დაყრუვდა კიდეც... ბეთჰოვენზე ჰერბერტს ლექსებიც აქვს.

პოეტი მთელი სიცოცხლე მისთვის საძულველ სისტემასა და იმპერიას, სოციალიზმსა და საბჭოთა კავშირს ცხოვრების წესითა და შემოქმედებით ებრძოდა, ოღონდ, თუ მეორე დიდი პოეტი, ნობელიანტი მილოში, სოციალისტური ბანაკიდან გაიქცა და გარედან უტევდა მტერს თავისი პოეზიითა და პუბლიცისტური წერილებით, ჰერბერტი ბოლომდე სოციალისტურ პოლონეთში დარჩა და იმავე საქმეს იქ აკეთებდა. ის არასოდეს შერიგებია სისტემას და მასზე რაიმეთი დამოკიდებული რომ არ გამხდარიყო, ოფიციალურ დონორადაც კი დარეგისტრირდა სისხლის გადასხმის ინსტიტუტში და საკუთარი სისხლის გაღებით მოპოვებული ფულით ირჩენდა ერთხანს თავს.

ნაცნობ-მეგობრები ასე ახასიათებენ ჰერბერტს: „მახსოვს მისი ღიმილი, რომელიც არასოდეს შორდებოდა მის სახეს... ამასთან, ამ ღიმილით ის პატარა ონავარს წააგავდა".

„ჰერბერტების გვარი უელსიდან მოდის" – ვკითხულობთ სამოციანი წლების შუაში გამოსულ ლონდონის გაზეთ „თანამედროვე პოე-

[1] იოზეფ პილსუდსკი (1867-1935) - პოლონელი სამხედრო, სახელმწიფოდაპოლიტიკურიმოღვაწე, პოლონეთის რესპუბლიკისპირველიმეთაური 1918-1922 წწ. პოლონეთისარმიისდამაარსებელი, მარშალი.

ზიის თარგმანებში". ორიოდე წლის შემდეგ თავად ჰერბერტი, მის მიერ მომზადებულ ავტობიოგრაფიაში, რომელიც ლექსების კრებულს უნდა წამძღვარებოდა, წერს: „ჩემი წინაპრები ინგლისიდან იყვნენ, საიდანაც რელიგიური მოტივის გამო გამოიქცნენ. ჩემი გვარის მამაკაცები ქორწინდებოდნენ გერმანელებზე, ავსტრიელებზე, ჩეხებსა და სომხებზე. ამას ხაზგასმით იმიტომ ვამბობ, რომ მე პოლონელი მწერალი ვარ – თუმცა არცთუ ისე მოდური პატრიოტი...".

თავის ბავშვობის წლებს ჰერბერტი ასე გაიხსენებს: „მამაჩემი პოზიტივისტი იყო, ჰქონდა კარგი ორგანიზატორული უნარი, ვერ იტანდა უსუფთაობასა და უწესრიგობას. მერიდებოდა და მეშინოდა მისი. მამა ხვდებოდა, რომ მე არამყარი ხასიათის ბავშვი ვიყავი და უფრო ხელოვანი გავხდებოდი. და ეს, ვფიქრობ, მოსწონდა კიდეც: ის ხომ თავის თავში ხელოვანს, პოეტს მალავდა".

„მეწადა სამხედრო გავმხდარიყავი, ოღონდ თავიდანვე გენერალი, სხვა დანარჩენი მე არ მაინტერესებდა" – იტყვის მოგვიანებით „ალყაშემორტყმული ქალაქის" ავტორი.

ჰერბერტს მოგზაურობისადმი სიყვარული მამისაგან, ბოლესლავისაგან გადმოჰყვა. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ თუ მამის მოგზაურობას უფრო სერიოზული და სოლიდური სახე ჰქონდა და ახალი ადგილების სანახავად მეგობრებთან ერთად მიდიოდა ხოლმე, შვილი ხშირად უფულოდაც კი წასულა მოგზაურობაში, გამვლელი მანქანის იმედად.

თუ, მაგალითად, უკვე მოზრდილი ჩესლავ მილოშისათვის მამა სულაც არა ყოფილა მისაბაძი, ჰერბერტის შემთხვევაში სრულიად სხვაგვარ, ამის საპირისპირო ვითარებას ვხედავთ. მისთვის სიკვდილამდე ბოლესლავი ავტორიტეტად, იმ ფიგურად დარჩა, რომლის შესახებაც ვაჟიშვილი შემდეგ სხვებს მოუყვება, ხშირად სითბოთი და სიყვარულით გაიხსენებს, უფრო მეტიც: საკუთარ თავზე მაღლაც კი დააყენებს, როგორც მამაკაცს.

ჰერბერტის მამა ცნობილი კოლექციონერიც ყოფილა. მას მხატვრული ტილოების კარგი კოლექცია ჰქონდა. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ჰერბერტი ასეთ კარგ ესეებს დაწერს ჰოლანდიელ მხატვრებზე, ტერბორხზე, ვერმეერზე და სხვებზე (მისი ესეების ჩემ მიერ ნათარგმნი წიგნი „ნატურმორტი ლაგამით", „სულაკაურის გამომცემლობამ" 2018 წელს გამოსცა).

ზბიგნევს უყვარდა ფოტოგრაფია; აი, მისი ერთ-ერთი მოგონება ამ თემასთან დაკავშირებით: „მამამ ფოტოაპარატი მიყიდა. ის პირველად კრაკოვში, სკოლიდან ექსკურსიაზე წასვლის დროს გამოვიყენე. VI კლასში ვიყავით. ექსკურსიის ოფიციალური გამართლება იყო მარშალ იოზეფ პილსუდსკის მემორიალის მშენებლობისთვის შემოწირულობის მიღება. სახლში სხვადასხვა სამახსოვრო ნივთები მოვიტანეთ: პლაკატები, ნიშნები, რომლებსაც წარწერები ჰქონდა".

აქვე აღსანიშნავია, რომ პილსუდსკის მემორიალის მშენებლობაში პოლონეთში ემიგრანტმა ქართველებმაც მიიღეს მონაწილეობა. მათ იქ ქართული მიწა მიიტანეს (იხ. ჩემს მიერ გამოცემული წიგნი: „ქართველები პოლონეთში", თბ. 2008 წ.).

## სკოლა

ჰერბერტს ძალიან უყვარდა ცხოველები და სკოლის დასრულების შემდეგ ვეტერინარულზე აპირებდა სწავლის გაგრძელებას. მამას კი სურდა, ვაჟიშვილი ექიმი გამხდარიყო. ამის შესახებ ჰერბერტი სხვა დროსაც იტყვის: „სულაც არ მოემზადებულვარ პოეტის როლისთვის, მე უფრო რაიმე სამოქალაქო პროფესია მიტაცებდა. ძალიან მინდოდა ვეტერინარობა, დღესაც ძალიან მიყვარს ცხოველები". ჰერბერტს შემდეგაც, როდესაც უკვე საქვეყნოდ ცნობილი პოეტი გახდა, არ შენელებია მცენარეებისა და ცხოველებისადმი სიყვარული.

როგორც ჰერბერტის ყოფილი თანაკლასელები გაიხსენებენ, ზბიგნევი წყნარი, გაუბედავი ბავშვი ყოფილა, განსხვავებით სხვა ჩხუბისმოყვარე ონავრებისაგან. ის არ მონაწილეობდა შესვენებებზე გამართულ ბიჭების კინკლაობაში, არ ტრაბახობდა დანებით, არ ცდილობდა ამ მხრივ თავის გამოჩენას. სამაგიეროდ, აქტიური იყო სასკოლო წარმოდგენებში, მხატვრულად ამბობდა ლექსებს, ეხერხებოდა პაროდია, ბაძავდა ადამიანების სასაცილო მანერებს, კარგად ოხუნჯობდა. მსახიობის უნარის გამოვლენა ჰერბერტს შემდეგაც მოუწევს.

ჰერბერტი ძალიან მადლიერი იყო სკოლისა და ამბობდა, რომ მან მომავალ პოეტს ბევრი რამ ასწავლა, თუნდაც ისეთი სფეროებიდან, რომელთა საჭიროებაც მას მომავალ ცხოვრებაში არ გასჩენია. მისი აზრით, ლექსის წერისათვის მხოლოდ ლიტერატურის ცოდნა არ კმარა. პოეტმა უნდა იცოდეს ასევე საბუნებისმეტყველო საგნებიც, განტოლებების ამოხსნაც. პოეზია ხომ აზროვნების დისციპლინაა. ჰერბერტი ერთ-ერთ ინტერვიუში თავის უწინდელ პროფესორებს, როგორც მკაცრ და მომთხოვნ, შეფასებებში დაუნდობელ ადამიანებს, ისე მოიხსენიებს. „თითოეული მათგანი ფრიად საინტერესო ინდივიდი იყო. მე ახლა არა მხოლოდ მათი სახელი და გვარი მახსოვს, არამედ მათი სახე, ჟესტი, ხმის ტემბრი, მათი ხუმრობა და საყვარელი გამოთქმებიც კი". მაგალითად, გიმნაზიის ერთი პროფესორის ასეთი გამონათქვამი: „სისულელე არის ყველაზე გადამდები ავადმყოფობა მსოფლიოში. სისულელე ისეთივე უკიდეგანოა, როგორც სამყარო".

ჰერბერტს ახსოვდა, ერთი პროფესორი, რაფალ ჟებროვსკი, თუ როგორ უჩიჩინებდა, კარგად ესწავლა და ამას ასე ასაბუთებდა: „დაიხსომე, ზარმაცო ბიჭო, რომ სიზარმაცე შენ ფსკერზე დაგძირავს. აი, მაშინ, შეიძლება ერთი დუქნის წინ გამოჩნდეს ვიღაც, ვინც ლათინური სენტენციის წაკითხვის გამო შენ ერთ ჭიქა არაყს გადაგახუხინებს". როდესაც ის საკლასო ოთახში შე-

მოდიოდა, კარს ენერგიული მოძრაობით შემოხსნიდა, დაკვირვებული მზერით დაგვათვალიერებდა და შემდეგ თავის საკრამენტალურ ფრაზას წარმოთქვამდა: „Salvete, pueri!" (გამარჯობა, ბიჭებო!), რაზედაც ჩვენ ხმამაღლა ვპასუხობდით: „Salve, magister noster!" (მოგესალმებით, ჩვენო მასწავლებელო!)".

„არავინ ჩვენ მატერიალურ დაინტერესებას არ გვპირდებოდა ორიგინალში პლატონისა და სენეკას წაკითხვისათვის. ეს უბრალოდ გონების გავარჯიშება, ასევე ხასიათის წრთობა იყო, რადგან მეტად რთულ საქმესთან გვიხდებოდა შეჭიდება... საკლასო ოთახში თითქმის სამხედრო ატმოსფერო სუფევდა... როდესაც უკვე შესამჩნევად ვიღლებოდით, ჩვენი პროფესორი წამოიჭრებოდა სკამიდან და მთელი ხმით ლათინურად დაიყვირებდა: „Ave, Caesar, morituri te salutant!" (სასიკვდილოდ მიმავალნი, მოგესალმებით კეისარო!), ჩვენც ვიწყებდით ყვირილს და ამრიგად ვძლევდით მოქანცულობას. გიმნაზიაში სწავლისას კარგად გავეცანი ანტიკურ მწერლობას, რომის იმპერიის ცხოვრებასა და მის ადმინისტრაციულ მოწყობას."

„პროფესორი ხშირად გვეუბნებოდა, – იხსენებს ჰერბერტი, – რომ ძალას არ დაგვატანდა, გინდა თუ არა გვესწავლა. მას ჩვენი გონიერებისა და პასუხისმგებლობის იმედი ჰქონდა. ბოლოს და ბოლოს, ჩვენი ასაკის რომაელები მამაკაცის ტოგას ისხამდნენ და მსოფლიოს უდიდესი იმპერიის სამართავად და საპატრონოდ ემზადებოდნენ... შემდეგ მან რომის ნოედნის, Forum Romanum დახაზვა დაიწყო. გვითხრა ასევე მასზე მდებარე ნაგებობების სახელები: კურია, ბოსტრა, იულიას ბაზილიკა, ვია საკრა და ა.შ., ხოლო თუ რა – რა იყო, ეს შემდეგ უნდა აეხსნა. ჯერჯერობით პროფესორი მხოლოდ ამით დაკმაყოფილდა: იქნება ოდესმე რომში ჩახვიდეთ და სირცხვილია ამ მარადიული ქალაქის მთავარი ნაგებობების უცოდინრობა. არ მინდა კეისრების ქალაქში ისე იბოდიალოთ, როგორც გაუთლელმა ბარბაროსებმა".

პოეტის დღიურში არის იმ წიგნების ჩამონათვალი, რომლებსაც ლიცეუმში ასწავლიდნენ. რომაელ ავტორთაგან აღსანიშნავია ციცერონის წერილები, სენეკას, ტაციტის, ძმები პლინიუსების და ასევე ტიტუს ლივიუსის ნაწარმოებები.

## საბჭოთა ოკუპაცია

პოეტის ბავშვობის დასრულება საბჭოთა ოკუპაციას დაემთხვა. ოკუპაციამ ადამიანებს შემგუებლური თვისებები განუვითარა. მათი ცხოვრების არცერთ სხვა სფეროში ეს ისე აშკარად არ გამომჟღავნებულა, ისეთი ეფექტი არსად ჰქონია, როგორც ტანისამოსში. ლვოვის ქუჩები მალე დაემსგავსა სხვა საბჭოთა ქალაქების ქუჩებს. იქ დადიოდა რუხი, ცუდად შემოსილი ხალხი. ქუჩაში ადამიანი ცდილობდა, არაფრით ყოფილიყო გამორჩეული ანონიმური ბრბოსაგან.

ზბიშეკის გიმნაზიას 1939 წლის ოქტომბერში ათწლიან საშუალო სკოლად გადააკეთებენ, ხოლო რადგანაც გიმნაზიაში სწავლა საბჭოური სტანდარტების შესაბამისად უნდა წარმართულიყო, ყოფილ გიმნაზიელებს ერთი კლასით უკან დასწევენ.

კრემლი ცდილობდა დაპყრობილ და საბჭოთა კავშირს შემოერთებულ ქვეყნებში რეალობის ყოველ სფეროს შეხებოდა, ამიტომ იქ ყველგან მოსკოვის დრო შემოიღეს.

როდესაც ზბიშეკი სკოლაში შევიდა, მან სკოლის კედლებიდან იგნაცი მოსციცკის[2] და იოზეფ პილსუდსკის ფოტოების ნაცვლად სტალინისა და ბერიას პორტრეტები შემოეგება. სწავლების პროგრამიდან ამოიღეს არა მხოლოდ რელიგია, არამედ ლათინურიც, და მათ ნაცვლად მოსწავლეებს უკრაინული და რუსული ენები უნდა ესწავლათ. დაიწყეს ასევე სამხედრო მომზადების სწავლება. „უნდა დაგვეშალა და აგვეწყო ავტომატი და რუსულ ენაზე მისი ყოველი ნაწილის სახელი გვესწავლა. გვასწავლიდნენ ასევე F-1 ტიპის ყუმბარის ხმარებასაც" – წერდა შემდგომში ჰერბერტი.

1940 წელს გამოჩნდა ახალი სახელმძღვანელოები, რომლებშიც ასახული იყო პოლონური ლიტერატურისა თუ ისტორიის ახალი ვერსია. გერმანულის სახელმძღვანელოშიც კი მრავალი გაკვეთილი ევროპაში კომუნიზმის მშენებლობის პერსპექტივებს ეხებოდა.

ცხადია, პოლონელები, განსაკუთრებით, ახალგაზრდობა, წინააღმდეგი იყო ასეთი მკვეთრი ცვლილებების. მაგალითად, სკოლის მოსწავლეების პროტესტი განსაკუთრებით რელიგიური ხასიათის გაკვეთილების გაუქმებამ გამოიწვია. ამ მიზეზით იყო განპირობებული პოლონელი ახალგაზრდების მანიფესტაცია 1939 წლის 15 ოქტომბერს; როდესაც ებრაელმა და უკრაინელმა ახალგაზრდებმა სტალინისა და კომპარტიის სადიდებელი სიმღერები დაიწყეს, მათი ხმა დაფარა პოლონელი ახალგაზრდების შეძახილებმა: ჩვენ გვწამს ღმერთი, მშობლიურ მიწას არ მივატოვებთ. ამას შორის შეხლა-შემოხლა მოჰყვა; რამდენიმე ებრაელი იცემა კიდეც.

პოეტის დის გახსენებით, ზბიგნევის ინიციატივით, მისმა კლასელებმა მერხები ისე შემოატრიალეს, რომ სტალინისა და სხვა პარტიული ფუნქციონერების ფოტოების მიმართ ზურგით მსხდარიყვნენ. ზბიგნევი თანაკლასელთა სულიერი განწყობილების ასამაღლებლად იუმორისტულ ლექსებსაც თხზავდა.

ორი უზარმაზარი მონსტრი ერთმანეთს ეჯიბრებოდა პოლონეთის მისპობაში. გერმანელებმა გაცილებით ადრე მოამზადეს „ბარბაროსას" გეგმა, დიდხანს აგროვებდნენ თავიანთ სამხედრო ძალას აღმოსავლეთის საზღვართან, ხოლო როდესაც შეტევაზე გადავიდნენ 1941 წლის 22 ივნისს, საბჭოთა მხარე განცვიფრებული დარჩა: სტალინს ხომ ბრმად სჯეროდა ჰიტლერთან დადებული სამშვიდობო

[2] პოლონელი პოლიტიკური მოღვაწე. პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი 1926-1939 წწ. სწავლული ქიმიკოსი, პოლონეთის ქიმიური მრეწველობის დამაარსებელი.

ხელშეკრულების და თავის ძალებს მოსალოდნელი საფრთხის წინააღმდეგ არ ამზადებდა. შედეგად თავდაპირველად ვერმახტის წარმატებები უდიდესი იყო და ისე ჩანდა, რომ გერმანული არმია კიდევ ერთ ბლიცკრიგს განახორციელებდა. შეტევის პირველ დღეებში ლვოვი მრავალჯერ დაბომბა ლუფტვაფემ. ლვოველები და, მათ შორის, ჰერბერტების ოჯახი ასეთი დაბომბვების დროს თავს სარდაფში აფარებდა.

იმ დღეებში ჰერბერტმა თვალი მოჰკრა შეყვარებულებს, რომლებიც, მიუხედავად იმისა, თუ ირგვლივ რა ხდებოდა, ერთმანეთს ჩახვეოდნენ. პოეტი მეხსიერებაში შემორჩენილ ამ სცენას შემდგომში არაერთხელ მიუბრუნდება. მას თავისი ლექსების კრებულის შესავალ წერილშიც გაიხსენებს 70-იანი წლების დასაწყისში. „შევნიშნე, – წერს იგი, – როდესაც მე თავად შიშით ვიყავი აღვსილი, თუ როგორ კოცნიდა ერთმანეთს წყვილი. ეს ნამდვილად უჩვეულო ამბავი იყო ასეთ მძიმე და კრიტიკულ სიტუაციაში... ასეთი ტოტალური საფრთხის დროს ადამიანის მთელი არსება გადარჩენის ინსტინქტითაა შეპყრობილი, ასეთ დროს ის უახლოეს ადამიანებსაც კი ივიწყებს და მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს და იმას ცდილობს, როგორმე გადარჩეს. და ამ დროს ორი ადამიანი ამ საშინელებას სიყვარულის ძალით უპირისპირდება". ამ მომენტს ჰერბერტი თავისი პოეზიის დასაწყისად მიიჩნევდა.

როგორც შემდგომში ჰერბერტის მეუღლე, ეკატერინე იხსენებს, ცოლ-ქმარი თითქმის არასოდეს ლაპარაკობდა რელიგიაზე, მაგრამ ერთხელ ქმარმა მას უთხრა, რომ ომისდროინდელმა მოგონებებმა და განცდებმა და იმან, რაც მან მაშინ ნახა, ჰოლოკოსტმა, მას რწმენა დაუკარგა.

## მშობლიური ქალაქის დატოვება

ვარშავისა და ლვოვის მკვიდრთ, რომლებიც გერმანელების ოკუპაციისას კრაკოვში მოხვდნენ, ეს ქალაქი, ყოველ შემთხვევაში, დასაწყისში, სიმშვიდის ოაზისად წარმოუდგათ. აქაც ჰქონდა ადგილი ეგზეკუციებს, ბანაკში გაგზავნას, მაგრამ მსგავსი ინციდენტები თითქოს იკარგებოდა ქალაქის შედარებით ერთიან, წყნარსა და მშვიდ გარემოში. მაგრამ როდესაც 1944 წლის ზაფხულში ვაველის[3] ქვეშ თავი მოიყარა აღმოსავლეთიდან წამოსულ ლტოლვილთა დიდმა ტალღებმა, ხოლო ორიოდე თვის შემდეგ

[3] გორაკი კრაკოვში, სადაც პოლონეთის მეფეთა და ეროვნულ მოღვაწეთა პანთეონი მდებარეობს.

გადამწვარი დედაქალაქიდან – ვარშაველებმაც, კრაკოვშიც ყველაფერი შეიცვალა.

ამ პერიოდში ისე ჩანდა, თითქოს პოლონელები ორად იყვნენ გაყოფილი: ვისლას მარჯვენა და მარცხენა ნაპირის მცხოვრებლებად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საბჭოთა ოკუპაციაგამოვლილებად და იმათად, ვისაც ეს რეჟიმი არ განეცადა, საკუთარ თავზე არ ენვნია და მასზე წარმოდგენაც კი არა ჰქონდა: მათ ბოლშევიკები ჯერაც არ ენახათ და ქალაქის ქუჩებში მხოლოდ პოლონური საუბარი ესმოდათ.

რაც შეეხება ჰერბერტების ოჯახის მატერიალურ მხარეს, მათთვის ოკუპაციას მაინცდამაინც დიდი გაჭირვება არ მოუტანია. მათ იმდენი დანაზოგი ჰქონდათ, რომ არა მხოლოდ შიმშილს გამკლავებოდნენ, არამედ ელეგანტურადაც ჩაეცვათ, ხოლო ზბიგნევსა და მის დას, ალინას უცხო ენებიც ესწავლათ. ისინი ამ ქალაქში ცუდად არ მოწყობილან. ოჯახი კრაკოვის ცენტრალურ ქუჩაზე, შორეული ნათესავების სახლში დაბინავდნენ და წარმატებულ სავაჭრო საქმიანობას ლვოვში, უსაფრთხო ქალაქში ბიზნესი ამჯობინეს.

სხვათა შორის, კრაკოვში ცხოვრებისას ჰერბერტში ლვოვში ჩასახულმა მეწარმეობრივმა სულმა გაიღვიძა და პოეტმა თავის მეგობართან ერთად სააქციო საზოგადოების შექმნა გადაწყვიტა. ეს უნდა ყოფილიყო ფირმა „ზ და ზ" (ზბიგნევი და ზდისლავი). ფირმას თავიდან ორი განყოფილება უნდა ჰქონოდა, კრაკოვსა და ლვოვში, ხოლო წარმატების შემთხვევაში, ფილიალები, მათ შორის, საზღვარგარეთ. ჯერჯერობით კი მათ ფირმას საქონელი (მაგალითად, აბრეშუმის ქსოვილი, სამოსი, თეთრეული და ა.შ.) უნდა შეეძინა ლვოვში და კრაკოვში გაეყიდა. მართალია, ფირმამ წარმატებას ვერ მიაღწია, მაგრამ ამ ეპიზოდიდან ჩანს, როგორ ცდილობს ახალგაზრდა კაცი დამოუკიდებელი ცხოვრების აწყობას და იმ მძიმე დროში მამისათვის ცოტა შვების მიცემას.

ამ პერიოდში თავისი ცხოვრების შესახებ ჰერბერტი შემდეგს წერს: „ჩემი უზრუნველი ბავშვობა დასრულდა... მამაჩემი იმალებოდა. ამიტომ უკვე თხუთმეტი წლისას მომიწია ოჯახზე მზრუნველობამ. რაღაც შემოსავალი უნდა გამეჩინა, რომ ოჯახი შემენარჩუნებინა. ამას გარდა, შევქმენი ცამეტკაციანი კონსპირაციული ჯგუფი. მცირე ხანს ვმოქმედებდით – ნახევარ წლამდე. ეს მცირე საბოტაჟი იყო: ვამსხვრევდით ძეგლებს, მოვაწყეთ 3 მაისის[4] ზეიმი და ა.შ." ამ თემასთან დაკავშირებით საინტერესოა ისიც, რომ თავისი უნგრელი მთარგმნელისათვის ჰერბერტს მოუყოლია, საბჭოთა ოკუპაციის დროს თუ როგორ გლეჯდნენ კედლიდან სტალინის პორტრეტებს, ხევდნენ აფიშებს და რომ ის მღვდელთან იმალებოდა, ვიდრე ლვოვში გერმანელები არ შევიდნენ... რომ თვრამეტი წლისა მეგობრებთან ერთად ეროვნული არმიის რიგებში იბრძოდა და დაწვა თავისი ლექსები, რადგან ასეთი მსხვერპლი მას სიცოცხლეს შეუნარჩუნებდა.

ლვოველები იმედს არ კარგავენ. მათ განსაკუთრებით გენერალი ანდერსი ეიმედებათ, ფიქრობენ, რომ გენერალი თეთრ ცხენზე ამხედრებული დაბრუნდებოდა და ლვოვს გაათავისუფლებდა. მაშინ ასეთი სიმღერაც იყო გავრცელებული: ერთი ბომბი ატომური და ვბრუნდებით ლვოვში („Jedna bomba atomowa,

[4] პოლონეთის მიერ კონსტიტუციის მიღების თარიღი, 1791 წელს, პირველად ევროპაში.

a wrócimy znów do Lwowa"). ამ დროს ასეთი ანეკდოტი შეიქმნა: კაცი გაზეთების ჯიხურში მიდის და გაზეთ „თავისუფლების" („Wolność") შეძენა სურს. გამყიდველი პასუხობს: „თავისუფლება აღარაა, რუსებმა წაიღეს".

რათა ცხოვრებაში ფეხზე მყარად მდგარიყო, ჰერბერტმა სპეციალობის შესწავლა დაიწყო. ეს ეკონომიკა და სამართალი იყო. თუმცა... სჯობს თავად მას მოვუსმინოთ: „დავიწყე ეკონომიკისა და სამართალის შესწავლა, მაგრამ ორი თუ სამი წლის შემდეგ მივხვდი, რომ იმ ეკონომიკას, რომელსაც ჩვენ გვასწავლიდნენ, ვერაფერში გამოვიყენებდი. იგივეს თქმა შეიძლება რომაული სამართალის მიმართაც. დავინახე, რომ სიკეთისა და სამართლიანობის ხელოვნება უკვე აღარ არსებობდა... მეცნიერებას დავეწაფე. ძალზე საინტერესო აღმოჩნდა ჩემი ეს გაორება ლიტერატურასა და ბუღალტერიას შორის". მისი თანამედროვეების გადმოცემით, ჰერბერტი სწავლობდა პოლიტეკონომიას, საერთაშორისო ვაჭრობას, სტატისტიკას, პოლიტიკურ სამართალს და ბუღალტერიას. როგორც ჩანს, არცთუ სახარბიელო ნიშნებს იღებდა. ჰერბერტი ხვდებოდა, რომ ქვეყანაში უკვე აღარ აინტერესებდათ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა, ხოლო სავაჭრო ატაშეს თანამდებობას მხოლოდ პარტიული მუშაკები იკავებდნენ, ხშირად უშიშროების ორგანოებიდან და არა ბურჟუაზიის შთამომავლები. ალბათ ძირითადად ეს განაპირობებდა, რომ მას სამაგისტროზე სწავლა აღარ გაუგრძელებია. უფრო მეტიც: სწავლის დასრულების შესახებ დიპლომიც კი არ აუღია.

სამაგიეროდ, ის ძალზე აქტიური იყო ლიტერატურულ კლუბში, სადაც თავის ნაწარმოებებს კითხულობდა. იმათი გადმოცემით, ვინც ჰერბერტს კრაკოვში ხშირად ხვდებოდა, პოეტი იყო ამბიციური, ერუდირებული ახალგაზრდა, რომელიც თავის თანამედროვეებზე მთელი თავით მაღლა იდგა და ხალხს მხატვრული ლიტერატურის, ხელოვნების უზადო ცოდნით ხიბლავდა. მან არა მხოლოდ საკუთარი, არამედ მრავალი სხვა პოეტის ლექსიც ზეპირად იცოდა. მათ შორის ელუარის, არაგონის, რემბოს და სხვების. ჰერბერტმა პირველმა გააცნო პოლონელ მკითხველს ესენინი და მისი ლექსები რუსულ ენაზე წაიკითხა. ლექსის ზეპირად წარმოთქმის ხელოვნებით ჰერბერტი ხიბლავდა ყველას, განსაკუთრებით, ქალებს. 1950 წელს ის ერთ-ერთ შეყვარებულს წერს: „ვიატაკ და ვწერ. ახალგაზრდა კათოლიკე მწერლად ვარ აღიარებული, რაც ძალზე საპატიოცაა და ძალზე დამღლელი მძიმე ტვირთიც... ვეძებ ღმერთს, ძალიან შევიცვალე, მიყვარხარ...".

სასიყვარულო ურთიერთობებისა და ლექსების წერის პარალელურად ჰერბერტი დიდ დროს ანდომებდა მხატვრობასაც. ის მონაწილეობდა სოპოტში გამართულ მხატვრობის კურსებზე, რომელიც იქაურმა მხატვართა კავშირმა მოაწყო. ამით აიხსნება ისიც, რომ მისი ერთ-ერთი ძველი ტილო სწორედ ამ ქალაქს წარმოგვიდგენს. „საკანცელარიო რუტინიდან თავისუფალ დროს ვხატავდი და ჩემი ნამუშევარი, პეიზაჟი ერთ პროფესორს ვაჩვენე. მან შენიშვნები მომცა, რომელიც დაუყოვნებლივ შევასწორე" — იხსენებს ჰერბერტი და უმატებს, რომ ზოგჯერ ყოველ დღეს ახალი ლექსი მოჰქონდა, ხოლო თითქმის ყოველ ღამეს ფერადი სიზმრები: „ხილი და ყვავილები მესიზმრებოდა. თქვენ წარმოდგენაც კი არ გაქვთ, როგორ მშურს თქვენი, რომ მხატვარი ხართ, — წერს ჰერბერტი ცნობილ მხატვარს, ჰერონიმ სკურპსკის, — გაქვთ სამხატვრო სახელოსნო, თქვენი სასწაულებრივი ქვეჩარჩოები და ზეთი. თქვენ [illegible]თი მრეწველი ხართ, ანუ პატიოსანი ადამიანი. მე კი ვიწყოფები სიტყვებს შორის, რომლებიც უვარგისი ტილოსავით ხუნდება და სრულიად უსარგებლო ხდება." ეს სიტყვები 1956 წელსაა დაწერილი და როგორც ჩანს, გვახსენებს, რომ კომუნისტური პროპაგანდა სიტყვების დამახინჯებაზე იყო სპეციალიზებული, თუნდაც მაშინ, როდესაც მსოფლიოს დაპყრობისაკენ გააქტიურებული მცდელობა საყოველთაო მშვიდობის დამყარებისაკენ მიმართულ ბრძოლად იყო მონათლული.

მრავალმხრივ დაჯილდოებული ბიჭის პატრონი იყო ჰერბერტი. ზოგი მას დიდ მსახიობობას უწინასწარმეტყველებდა. აი, რას ამბობს პოეტი ერთ-ერთ ინტერვიუში: „როგორც ოსტერვამ მითხრა, არტისტებს შორის პირველ ათეულში ვარ. მას ამის შესახებ ჯერ სახალხოდ არ განუცხადებია, მხოლოდ მე მითხრა. მისი აზრით გამოჩენილი არტისტი გავხდები. ამასთან, არა კომიკური, არამედ დრამატული. დაახლოებით ისეთი, რომელსაც ჰამლეტის თამაში შეეძლება".

იმის შემდეგ, როდესაც ჰერბერტმა ხელოვნების ნაცვლად სერიოზულად მოკიდა ხელი სამართლისა და ეკონომიკის შესწავლას, ძნელი სათქმელია, ეს მისი ნებით მოხდა, თუ მამამისის სურვილი იყო და შვილიც დაჰყვა მის ნებას. მხატვრობით, პოეზიით ხომ ძნელია ცხოვრება, თავის გატანა, ხოლო ბოლესლავი პრაგმატული კაცი იყო, იცოდა ეს ყველაფერი და სურდა, ვაჟი ცხოვრების სწორ გზაზე დაეყენებინა. ალბათ, შვილიც ადვილად დაჰყვა — უმაღლეს სასწავლებლებში წმენდა ჯერ კიდევ არ დაწყებულიყო.

1947 წელს ჰერბერტი მეგობარს სწერს: ვანაელობ შეერთებული შტატების სამოქალაქო სამართალს, ვწერ ეკონომიკურ ნაშრომს, რომელიც მე პოლონელი ფიშერის სახელს დამიმკვიდრებს. მასში საკუთარ მოსაზრებას ვანვითარებ ინფლაციის თემაზე". ჰერბერტის კურსელის განცხადებით, „ზბიგნევი სტუდენტებს შორის გამორჩეული სტუდენტი იყო, ბრწყინავდა სემინარებზე, ხშირად წამოჭრიდა ახალ და საინტერესო იდეებს."

კრაკოვიდან სოპოტში ჰერბერტი 1947 წელს მიდის, როგორც ჩანს, არდადეგებზე. ის რამდენიმე თვის განმავლობაში ამ ქალაქებს შორის დადის, ინტენსიურად ეწაფება ცოდნას. არაა რაიმე ცნობილი იმის თაობაზე, თუ რა-

ტომ გადავიდა ჰერბერტი კრაკოვიდან, სადაც სწავლობდა, სოპოტში, ზღვის სანაპიროზე. შესაძლოა, ამის გაკეთება მშობლებმა, რომლებიც ამ ქალაქში ცხოვრობდნენ, აიძულეს.

საინტერესოა ამ პერიოდში ჰერბერტის მიერ შედგენილი და მეგობრებისათვის გაცნობილი მისი უახლოესი პერიოდის პუნქტებად დაყოფილი გეგმა:

ა) ცხოვრებისეული: უარს ვიტყვი დაქორწინებაზე და შესაძლებლობის ფარგლებში, არავის დავუმეგობრდები (განსაკუთრებით, გარკვეული სახის ქალებს!);

ბ) ფილოსოფიური კუთხით: ვიფილოსოფოსებ; გამოცდილი ხალხი მირჩევს ვწერო – დავიწყო ესთეტიკით და ფილოსოფიის ისტორიით;

გ) ლიტერატურული: შევკრიბო და დავამუშავო ლექსები... დავწერო ციკლი ოკუპაციისდროინდელი ამბების შესახებ, კიდევ ერთხელ დავწერო დრამა სოკრატეს შესახებ, რომელიც, უკვე სამი წელიწადია, მაწვალებს. გავაგრძელო ესეების ციკლი ფილოსოფიის და ლიტერატურის გადამკვეთ თემაზე, სათაურით „კლეოპატრას ცხვირი".

### ჰერბერტი – პოეტი

„ტრადიციულად მეწჩანურ ევროპაში პოეტების ბედი სილატაკე იყო, ან ყოველ შემთხვევაში, მატერიალური უპერსპექტივობა... მაგრამ კომუნისტურ პოლონეთში მწერალთა კავშირის წევრობა პრივილეგიებს მოასწავებდა: უფასო სადილი, შემოქმედებითი მოღვაწეების სახლში უფასოდ ცხოვრება, დამატებითი საცხოვრებელი ფართი და ა.შ. ომისაგან განადგურებულ პოლონეთში კი ეს ძალიან ბევრს ნიშნავდა. მწერლებს ადრინდელი პუბლიკაციების საფუძველზე იღებდნენ კავშირში, ოღონდ – ერთი პირობით: მას პარტიის გენერალური ხაზი უნდა გაეზიარებინა და პროგრესულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაშიც მიეღო აქტიური მონაწილეობა" – წერს ჰერბერტის თანამედროვე ზდისლავ ნაიდერი. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ჰერბერტს არავითარი მსგავსი პრივილეგიით არ უსარგებლია, თუმცა თავდაპირველად კავშირის წევრი ისიც გახდა. ამან პოეტს გარკვეული სარგებლობა მოუტანა, ისიც, ისევე, როგორც კავშირის სხვა წევრები, იღებდა ფინანსურ დახმარებას და მისცეს საცხოვრებელი ფართიც.

პირველი პოეტური კრებული ჰერბერტმა 1949 წელს გამოსცა, 31 წლისამ, ანუ მაშინ, როდესაც დებიუტი დაგვიანებულია. იმ დროისათვის პოლონური ლიტერატურა უკვე სოცრეალიზმის ორბიტაზე ტრიალებდა. ჰერბერტსაც მოუწია გარკვეული ხარკის გადახდა სტალინისათვის და თავისი ქვეყნის კომ[illegible] პირველი მდივნის, ბერუტისათვის თუ არა, მა[illegible]დობისათვის, სამეურნეო აღმშენებლობისათვის და ა.შ. მსგავსი კლიშეებისათვის მაინც. ის არ ეძებს მეტ-ნაკლებად შემოსავლიან სამსახურს, მაგალითად, ადვოკატის ან ნოტარიუსის, რათა თავი ირჩინოს, რომ აღარაფერი ვთქვათ, ოჯახის შექმნაზე. მას სურს, კვლავაც გაიღრმავოს ცოდნა, დამოუკიდებლად იაზროვნოს, თავისუფალი იყოს. ამიტომ 1949 წელს კოპერნიკის სახელობის უნივერსიტეტში ფილოსოფიურ ფაკულტეტზე აგრძელებს სწავლას. როგორც ჩანს, მცირე ცვლილება მომხდარა მის ცხოვრებისადმი შეხედულებებში. ანკეტის იმ რუბრიკაში, სადაც მას „განსაკუთრებული სიყვარულის საგანი" უნდა ჩაეწერა, ადრინდელი ეკონომიკის ნაცვლად ახლა ლიტერატურას ჩაწერს და აქვე მიუთითებს, რომ არის პოლონეთის მწერალთა კავშირის წევრი.

თანამედროვეები მის გალანტურობაზე მიუთითებდნენ: „ყოველთვის, როდესაც ქუჩაში მას ხალხი ხვდებოდა, ის ძალზე ხრიდა თავს, თითქმის ქამრამდე. ამ სახის მისალმება ერთგვარ იუმორს იწვევდა – ტორუნი მაშინ პატარა ქალაქი იყო და იშვიათად როდი ხვდებოდნენ ნაცნობები ერთმანეთს".

ამასთან, როგორც გადმოგვცემენ, ჰერბერტი მეტად დაუნდობელი კრიტიკოსი ყოფილა, როდესაც კამათი მნიშვნელოვან საკითხს ეხებოდა, თუნდაც მისი ოპონენტი ქალი ყოფილიყო. აი, ერთ-ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეეპასუხა ის ერთ მეგობარს, რომელიც მარქსიზმის შეუცდომლობის დასაბუთებას ცდილობდა: „რას ამბობ, ზოსია, ასეთი ინტელექტუალური ქალი ხარ და ასეთ სისულელეს იმეორებ. რომელი შეუცდომელი და მეცნიერული ეგ იდეოლოგიაა?! მარქსიზმი არის ყველაზე ეკლექტიკური, კომპილატორული სისტემა, როგორიც კი ადამიანის გონებამ შეიძლება მოისაზროს. ცოტა ჰეგელი, ცოტა ფოიერბახი, ნაწილობრივ ამონარიდები ზოგიერთი სხვა ფილოსოფიური და ეკონომიკური სისტემიდან – აი, შენი მარქსიზმი. მთლიანობაში ეს არის ძალზე არათანმიმდევრული, კაბინეტში შეთითხნილი თეორია და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია – სრულიად უტოპიური".

ჰერბერტს არც ფილოსოფიის სწავლების საბჭოური მეთოდოლოგია მოსწონს: „ვსწავლობ ფილოსოფიას, უფრო სწორედ, იმას, რაც მისგან დარჩა რაციონალური გულის ამოღების შემდეგ. ამჟამინდელი საუნივერსიტეტო ფილოსოფია ფსიქოლოგიისა და ლოგიკისაგან შედგება, ხოლო მე ეს ჩაკლებ მაინტერესებს" – წერს იგი 1950 წელს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდისათვის ჰერბერტმა უკვე საკმაოდ კარგად იცის რუსული და გერმანული, სუსტად ინგლისური და ფრანგული (თუმცა კითხულობს ამ ენებზე) და ლათინური.

1951 წელს ის მეგობარს სწერს: „ნელ-ნელა ლათინურს ვსწავლობ. ამას მხოლოდ და მხოლოდ ლუკრეციუსის გამო ვაკეთებ. ეს მას შემდეგ დაიწყო, რაც ხელში ავიღე De rerum natura[5] და სამწუხაროდ, უნდა ვაღიარო, რომ ბევრი ვერაფერი გავიგე. თუმცა, რაც გავიგე, ძალიან მომეწონა...".

ჰერბერტი 50-იანი წლების დასაწყისში ჯერ კიდევ ჟოჟმა-

[5] ლუკრეციუსის პოემა „საგანთა ბუნება"

ნობდა და არ იცოდა, ფილოსოფოსი გამოვიდოდა, თუ პოეტი. ერთი პროფესორის შეკითხვაზე, ლექსის წერა ფილოსოფიურად აზროვნებას ხელს ხომ არ უშლისო, ზბიგნევმა უპასუხა, რომ შეეცდება, ლექსის წერას გადაეჩვიოს. თუმცა მალევე იმავე პროფესორმა უთხრა, რომ ფილოსოფია პოეტისათვის საკვების მიმწოდებელია, და რომ მას ლექსის წერა არ უნდა შეეწყვიტა.

ამ პერიოდში ჰერბერტი წერს ასევე თავის პირველ დრამატულ ნაწარმოებს – „ფილოსოფოსთა გამოქვაბული“. უფრო სწორედ, მან ამ პოეტური დრამის წერა გაცილებით ადრე დაიწყო და 1956 წელს დაასრულა. პიესაში მოქმედება ათენში, სოკრატეს დროს მიმდინარეობს და ფილოსოფოსის ბოლო დღეებია აღწერილი, როდესაც ის სასჯელის აღსრულებას ელოდებოდა. პიესის მთავარი თემა ჰერბერტმა პლატონის დიალოგიდან (კერძოდ კი ფედონისა და კრიტონის კამათიდან) აიღო. ამ დიალოგის საშუალებით ჰერბერტი გამოკვეთს სოკრატეს კლასიკურისაგან სრულიად განსხვავებულ პიროვნებას. დრამის მთავარი გმირი ინარჩუნებს ბრძენი ფილოსოფოსის ეთიკურ სახეს, ეთანხმება არასწორ სასამართლო გადაწყვეტილებას, უარყოფს მეგობართა შეთავაზებას გაქცევის შესახებ და ღირსეულად მიიღებს მომაკვდინებელ საწამლავს. საგულისხმოა ერთი ფრაზა დრამიდან: „დღეს სასჯელმისჯილის დაცვა ასე დიდხანს არ გაგრძელდებოდა“. ავტორი გულისხმობს ბოლშევიკების მიერ შემოღებულ „ტროიკებს“, რომელთაც ადამიანისათვის ფრიად ტრაგიკული სასჯელი ხანმოკლე მსჯელობის შემდეგ გამოჰქონდათ. ფრაზას პოლიტიკური ელფერი რომ არ მისცემოდა, მას ასეთი გაგრძელება აქვს: „მაშინ მოსმენის ტექნიკა დაბალ დონეზე იყო“.

ამ დრამაში მოქცეულია პოეტის მთელი მანამდე განვლილი ცხოვრება – ომისშემდგომი ტერორის გამოცდილება, ცნობილი ფილოსოფოსების (მაგალითად, ელზენბერგის) შეგირდობა, ნიმცეთი გატაცება, ქრისტიანული რწმენის დრამატული განცდა და ღმერთთან ბრძოლა.

## ბოლო წლები

1993 წლის ბოლოს ჰერბერტის ჯანმრთელობის მდგომარეობა განსაკუთრებით დამძიმდება. მეგობრისადმი მიწერილი ბარათიდან ვგებულობთ: საავადმყოფოში ვწევარ. არა ვარ მიჩვეული ასეთ დღის წესრიგს. ყველაფერს ვუჯერებ ექიმებსა და ექთნებს“. შემდეგ წელს მისი მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა, მას სიარულიც აღარ შეეძლო და ეტლით გადაადგილდებოდა. ექიმები ველარ მალავდნენ იმ ფაქტს, რომ მომავალი პოეტს კარგს არაფერს არ უქადდა.

1997 წლის შემოდგომაზე ჰერბერტი, ჯანმრთელობის მხრივ, უკიდურეს მდგომარეობაშია. ტრაქეოტომიის მეშვეობით მას სიცოცხლე კი შეუნარჩუნეს, მაგრამ გონება რამდენიმე დღე დაკარგული ჰქონდა. გონზე მოსვლის შემდეგ მან თავის დას ძალის დიდი დაძაბვით ასეთი რამ დაუწერა: ალბათ არ იცი, რა დიდი სიხარული მომგვარა შენმა დანახვამ.

1995 წელს ჰერბერტი დღიურში ჩაწერს: „ჩემი ბოლო ფილოსოფიური დაკვირვება შემდეგია: ტანჯვა სრულიადაც არ აკეთილშობილებს ადამიანს. ადამიანურ ცხოვრებაში რაღაც პროპორცია უნდა იყოს დაცული ტანჯვასა და სიხარულს შორის, რადგან ვგონებ, ოდენ ეს იძლევა სრულყოფილ ადამიანურობას. ადამიანი, ვისაც მხოლოდ ტანჯვა არგუნა უფალმა, თავის თავში იკეტება...“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვფიქრობთ, საინტერესოა ისეთი დიდი პოეტის, როგორიც ჰერბერტი იყო, დამოკიდებულება რელიგიასთან, ქრისტიანობასთან. „დიდი კათოლიკე მე არა ვარ, – ამბობდა ის 1981 წელს ადამ მიხნიკთან საუბარში, – მაგრამ თაყვანს ვცემ რელიგიას, ქრისტიანობას, რომლის წიაღშიც ვიზრდებოდი“.

პოეტმა თავის მეგობართან საუბარში ეს თემა კიდევ უფრო განავრცო: „მე ჩემს თავს რელიგიურად ვთვლი, ოღონდ რელიგიის გარეშე. ეს რას ნიშნავს? ანუ მე მაქვს ძალზე დიდი რელიგიური გრძნობა, ღმერთის არსებობის გრძნობა. სამაგიეროდ... არ მწამს აღდგომის... ხოლო რადგან ეს არ მწამს, არა მჯერა სიკვდილის შემდეგ ავტომატურად ჯილდოს მიღებისა... ის, რისი ნაკლებობაც ქრისტიანულ რელიგიაში იგრძნობა, არის უნდობლობა სხეულის მიმართ. არა სხეულის კულტი, არამედ მისი უმნიშვნელო საგნად აღთქმა. სხეულის ასეთი უგულვებელყოფა ჩემში უკურეაქციას იწვევს. არაა ჩემი გმირი ბოძზე ამძვრალი სიმონ მესვეტე, არც სხეულის ტანჯვა მომწონს... რა არის იმაში მოსაწონი, რომ სული ძლიერი და ამაღლებული მაქვს, ხოლო სხეული მოშვებული და დასუსტებული?! მქონდა ასეთი პერიოდი და ვიცი, რასაც ვამბობ. და კიდევ: რაა იმაში მისაბაძი, რომ სხეული ფანტასტიკური მაქვს, ბოლო სული დონდლო და არაფერი იქიდან არ გამოდის, გარდა ქლიავის ღვეზელის საჭმელად წასვლის სურვილისა?“

ბოლო წიგნი, რომელიც ჰერბერტმა წაიკითხა, უფრო სწორედ, ეკატერინემ წაუკითხა, ტომას მერტონის[6] „ხუთსართულიანი მთა“ იყო.

1998 წლის 27 ივლისს ჰერბერტი ისე შეუძლოდ შეიქნა, რომ ეკატერინემ სასწრაფო დახმარება გამოიძახა. პოეტი საავადმყოფოში წაიყვანეს, სადაც დილით 74 წლის პოეტი უკვე აღარ იყო ცოცხლებს შორის.

„მოკვდა დიდი პოეტი. მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში ყოველ ქვეყანას მხოლოდ რამდენიმე ისეთი პოეტი შეიძლება ჰყავდეს, რომელთა სიტყვები თაობიდან თაობას გადაეცემა. ასე მოხდა ჰერბერტის შემთხვევაში, ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში“ – მილოში თავის მეგობარ პოეტს ამ სიტყვებით სამუდამოდ დაემშვიდობა.

[6] ტომას მერტონი (1915-1968) - ამერიკელი პოეტი, ბერი, ღვთისმეტყველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 5 თარგმანები



## კარლ-ჰაინც სიმონი

*დაიბადა 1952 წელს ჰაგენში. თანამედროვე გერმანელი მწერალი და გამომცემელია, რომელსაც პროფესიული განათლებით არაფერი აკავშირებს ლიტერატურასთან. მან ჯერ სასტამბო საქმე და ხარისხის მენეჯმენტი შეისწავლა, მერე ბევრ არაკვალიფიციურ სამუშაოსაც ასრულებდა (მათ შორის, უვლიდა მოხუცებს). ამის მიუხედავად, ყოველთვის ინტენსიურად წერდა ესეებს ფილოსოფიის (კერძოდ, შემეცნების თეორიის), თეოლოგიის, ფსიქოლოგიის და ფსიქიატრიის პრობლემებზე. ლიტერატურათმცოდნეობაში მისი კვლევის საკვანძო თემაა ნარატოლოგია, ასევე იკვლევს ლოგოსისა და მითოსის ურთიერთმიმართებას. კ. ჰ. სიმონი თავის ტექსტებს ძირითადად თავადვე გამოსცემს. წინამდებარე ესე თარგმნილია 2019 წელს გამოცემული მისი წიგნიდან: Karl-Heinz Symon, „Die Tafelrunde IV".*

# სიორენ აბი კირკეგორი

## (განაზრება)

*ნაცვლად დაუძლეველი ამოცანისა, შეეცნო ადამიანები, მან აირჩია ისეთი, შეზღუდულსა და მოკრძალებულს რომ ვუწოდებთ: საკუთარი თავის შეცნობა.*

I

სიორენ აბი კირკეგორი, თავისი უცნაურობისა და ახირებულობის მიუხედავად, ჩვეულებრივი ადამიანი იყო. როგორიც არის ყველა ახალგაზრდა კაცი: ენერგიული, მიზანმიმართული, ამბიციური, წინააღმდეგობებით აღსავსე. ასევე – თავდაჯერებული, პატივმოყვარე და ცოტა დაბრმავებული. სიორენ აბი, რა თქმა უნდა, თავისი ნიჭით და ტალანტით გამოირჩეოდა.

იმ სიმაღლეების საზღაური, რომელსაც ის აღწევდა, ვარდნის მძიმე დეპრესია იყო. ასეთია სულის ეკონომიკა. რაც უფრო შორს აიზიდება, მით უფრო მეტი სწრაფვით ბრუნდება უკან. დაბლობში ხეტიალისას მისი განწყობა ფრანც კაფკასას ჰგავს (მაგრამ სად იყო საკუთრივ კაფკას აღმაფრენა? თუ სულის ეკონომიკის წესების თანახმად დეპრესია არის ვარდნა, რომელიც ბედნიერების საზღაურია, განა როდის იყო კაფკა ბედნიერი?).

ამ თვალსაზრისით, სიორენ აბი უფრო უშუალო და მიწიერი მეჩვენება. კაფკას არასდროს გაიტაცებდა პამფლეტები, გონებაშიც არ გაივლებდა. ფრანცი სიორენ აბიზე ბევრად უფრო დამჯერე ბიჭი იყო. თუმცა კირკეგორიც კარგი შვილი იყო, მამის სიკვდილის შემდეგ მაინც.



II

ბუნებრივია, რომ სიორენმა გაიზიარა თავისი დროის ხვედრი. მაგალითად, მაღალი სიკვდილიანობა ახალგაზრდა ასაკში. შვიდ და-ძმაში მხოლოდ ორნი გადარჩნენ. სიკვდილი განაგებდა სიორენ აბის ყოველდღიურ ცხოვრებას. იქნებ ტკივილმა და ხშირმა მწუხარებამ უბიძგა გონებას უჩვეულო დასკვნების გაკეთებისკენ?

III

ხომ მართალია, რომ გენიალური და სწრაფი სულები აკვიატებულ აზრებს ემლევიან?

მაგალითად, სიორენის რწმენა, რომ მამამისი ყველა თავისი შვილის სიკვდილს მოესწრებოდა, რადგან ისინი დაწყევლილები იყვნენ და ვერცერთი მათგანი ვერ მიაღწევდა ქრისტეს ასაკს – 33 წელს. მხოლოს სიორენ აბიმ და მისმა ძმამ, ანდრეასმა, გადალახეს ეს მიჯნა და მამის სიკვდილის მომსწრენი გახდნენ.

აკვიატებული აზრი გენიოსის ლუზა ან ბრმა ლაქაა. როცა ყველაფერი ბრუნავს, რაღაც მაინც უნდა იდგეს ადგილზე. როცა ის გონებით მთელ სამყაროს მოიცავს, მისი ბირთვი, ყველაზე შინაგანი, აკვიატებულ აზრში იმალება. აკვიატებული აზრი გამოუთქმელს ენაცვლება, მისი თანამოსაყდრეა. წარმოუდგენლის, მიღმიერის, ყოფიერების პარადოქსის. ის საბურველია, სიკვდილს ჩამოფარებული ფარდაა, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა აიხადოს, რადგან მალავს ყველაზე დაუცველს, სიცოცხლის ნერვს. ის გენიოსის აქილევსის ქუსლია. სადაც გენიოსია, იქ აკვიატებული აზრიც არის.

(მაგრამ აუცილებელი არ არის, გენიოსი იყოს იქ, სადაც აკვიატებული აზრია. თუმცა ყოველ ადამიანში ის რაღაც პირველადს მალავს.)

დიახ, მწარე სიმართლე ასეთია: ნევროზიანები მალავენ სიმართლეს, შეშლილები ამბობენ მას, ჯანმრთელი ადამიანები კი, როგორც წესი, შორს არიან მისგან.

IV

გარდაცვლილი მამები ყველაზე ძლევამოსილი მამები არიან. როგორც კი სიორენის მამა გარდაიცვალა, მისმა თავქარიანმა შვილმა სასწრაფოდ და უკანმოუხედავად მიატოვა სწავლა, რადგან აღარაფერში სჭირდებოდა. ის შეძლებული კაცი გახდა მდიდარი, მაგრამ ძუნწი და ხელმომჭირნე მამის გარდაცვალების შემდეგ – მამისა, რომლის გულშიც ყოველთვის ცოცხლობდა ღარიბი ქარგალი.

იქნებ მამის გამოუთქმელმა აკრძალვებმა იქონია ისეთი ძლიერი ზემოქმედება, რომ სექსუალური ვნება ველური ცხოველივით ეხეთქებოდა კედელს?! სწორედ ველური ცხოველივით, რადგან ისე იყო შევიწროებული, და თავად სიორენიც ისე შთანთქა ამ აკრძალვამ, რომ ვერ ამოიცნო ახალგაზრდა ქალისადმი საკუთარი სიყვარულისა და ქალის მისადმი სიყვარულის ფასი.

ახლაც სპეკულაციურია იმაზე მსჯელობა, მოასწავებდა თუ არა ეს სიყვარული მისი სულის სიკვდილს. იქნებ სიყვარულში, ქალურ და მიწიერ გრძნობითობაში, სიორენ აბის მეტი თავისუფლება მოეპოვებინა, ვიდრე შეუძლებლობებით აღტყინებაში.

შესაძლოა, კირკეგორი ბევრ რამეს ჩასწვდა, მაგრამ სიყვარულის უფრო ღრმა საზრისს – ვერა. თეძოებს შორის მოქცეულ ცხოველთან ეს უშედეგო შებრძოლება, ვნებაზე გამარჯვების ეს მწარე ზეიმი!

იყავით თავისუფალნი და შეწყვიტეთ სუნთქვა. სიორენს რომ რეჯინა ცხოვრებაში და არა ფურცელზე ჰყვარებოდა, ველური ცხოველი – მოთვინიერებული, მაგრამ ძალებით აღსავსე, – მისი გულის სამსახურში ჩადგებოდა.

V

თუ გარდაცვლილი მამა ცოცხალზე ძლევამოსილია, შეიძლება ითქვას, რომ კაფკას გაუმართლა. ის მამამისზე ადრე გარდაიცვალა. შეუძლებელია იმის წარმოდგენა, რა იქნებოდა, სხვაგვარად რომ მომხდარიყო. ან იქნებ შესაძლებელია კიდეც, რაღაც ასეთი წარმოვიდგინოთ.

თუმცა კაფკას მამის ძლევამოსილებას ველარაფერი შეემატებოდა. მას, ცოცხალსაც, გარდაცვლილის ძალა ჰქონდა. კაფკასთვის მისი ცოცხალი მამა უკვე მითოსი იყო. მისი მიწიერი მამა ზეციურ მამას შვილის წინააღმდეგ მოკავშირედ იხმობდა. შვილმა მამის სიცოცხლეშივე მოირგო იობის როლი და ყელამდე ეფლობოდა ჭაობში.

იქნებ მშობელი მამის სიკვდილი უკანასკნელი დარტყმა ყოფილიყო მისთვის, ან ისეთი აუტანელი სიმძიმე, რომელიც ჭაობის სიღრმეში ჩაითრევდა. შესაძლოა, ის ფსიქიკურადაც დაავადებულიყო. ან ისეთი ძალა მისცემოდა, რაც მხოლოდ

სასწაულს შეეძლო, ქაობიდან ამომხტარიყო, ტალახივით და ლამივით ჩამოებერტყა საყვედური – ქაობის ძალა, და მადლობა ეთქვა ბედისწერისა და მამისათვის, ქება აღევლინა, როგორც უკანასკნელად მოსემ აღავლინა სინას მთაზე, მას შემდეგ კი აღარავინ მოქცეულა ასე. კირკეგორი ამ გზას გაჰყვა.

## VI

საგულისხმოა, რომ კირკეგორთან კვლავ აღმოვაჩინე შეხება ადამიანური ცხოვრების სამ შესაძლო მოდელთან: დონ ჟუანთან, ფაუსტთან და მარადიულ ურიასთან.

სურვილი, ეჭვი და სასოწარკვეთა ადამიანის სულის ბერმუდის სამკუთხედია, რომელშიც მუდამ იძირება ჩვენი ცხოვრების ხომალდი. მე მომეცა შესაძლებლობა, გვერდი ამევლო მისი კუთხეებისათვის.

დონ ჟუანის კუთხეს სწრაფად და ხალისით შემოვურბინე სურვილით აღსავსემ, ფაუსტისას – თავბრუდამხვევი სისწრაფით და ნაკლები სიამოვნებით, მარადიული ურიას კუთხეს კი – ისეთი გაშმაგებით და აუტანელი ტანჯვით, რომ შეიძლებოდა გონება წამრთმეოდა. თუ დონ ჟუანის კუთხიდან ჯერ კიდევ მოჩანდა სამოთხე, მარადიული ურიას კუთხე დანტეს ჯოჯოხეთის ყველაზე ღრმა უფსკრულს ჩაჰყურებდა.

სურვილის, ეჭვისა და სასოწარკვეთის ბნელი ფიგურები მშვიდად იხეტიალებდნენ და მშვენივრად ჩაეწერებოდნენ ბოდლერის „Spleen et Idéal"-ისა და „თაბლეაუხ ჴარისიენს"-ის სასიამოვნოდ ნაცნობ გარემოში. დიახ, იქ არის მათი ადგილი. ხეტიალსა და სეირნობაზე უმალ სიორენ აბი კირკეგორისკენ გამირბის ფიქრი.

რას უნდა ნიშნავდეს დონ ჟუანთან, ფაუსტთან და მარადიულ ურიასთან ეს ანალოგია? დიახ, ბნელ ცაში, ბერმუდის სამკუთხედის თავზე, სწორედ ზაფხულის სამკუთხედის პირისპირ, ყოფიერების სამკუთხედია – პასუხისმგებლობის, უტყუარობისა და ტკბობის. საკვირველი მხოლოდ ის არის, რომ მათი ზეციური მოხაზულობა უმალვე არ გეცემათ თვალში.

## VII

სიორენ აბი მწუხარების დიდოსტატი იყო. თავად თვლიდა, რომ ეს მწუხარება მამისგან იყო ნაბოძები – მამისგან, რომლის მიერ დატოვებულმა მემკვიდრეობამაც მის უზრუნველ ცხოვრებას ეკონომიკური საფუძველი შეუქმნა. სიორენის მწუხარებას ცვლიდა დიდი სულიერი აქტივობა და შთაგონება, რომელიც მის ლიტერატურულ შემოქმედებას შთაბერავდა სულს.

კირკეგორი არ იყო სუსტი პიროვნება. დროდადრო მისი ქმნილებებიდან ბრძოლის ჟინი, დიალექტიკური მახვილგონიერება და ანთებული სულის ნაპერწკლები იფრქვეოდა. მაგრამ შემდეგ მისი მწველი ალი კვლავ ნაცრის გროვაში იფერფლებოდა. მას მწუხარება ეუფლებოდა, უფსკრულისკენ უბიძგებდა და ბრძოლით ნეტარების სიმაღლიდან ფსკერისკენ ჩაბრუნებულ მორევში მიათრევდა.

სიორენ აბი კირკეგორის სულს ჩრდილი ადგას. ის ფიქრობს, რომ ეს ჩრდილი მამისგან ეცემა, რომელიც არც ისე უმწიკვლო და უცოდველი აღმოჩნდა, როგორც შვილი ისურვებდა. ან კი ვინ არის უმწიკვლო და სრულყოფილი? და როგორ განისჯება მზის სინათლეზე გამოსული ადამიანური ბინძი? თავად მამამისი საკუთარმა იმ სასოწარკვეთამაც შეაძრწუნა, რომელიც მაშინ იჩენს თავს, როცა კაცს გულმოწყალების არ სჯერა. როგორც ჩანს, სიორენ აბის მამა ძლიერი იყო რწმენაში, მაგრამ სუსტი – ნდობაში. შესაძლოა, მავანს მიეტევებინა მისთვის, ადამიანს ეს შეუძლია. მაგრამ განა ღმერთს არ შეეძლო ის, რაც ადამიანს შეუძლია? ან კი რა აზრი აქვს, რომ ღმერთმა მიუტევოს ადამიანს, თუ ადამიანი თავად ვერ მიუტევებს საკუთარ თავს? ეს ხომ ულმობლობაა, უდრეკი ულმობლობა.

სწორედ ეს ჯიუტი ულმობლობა გაუჯდა სიორენ აბის მთელ არსებაში და აიძულა მოქცეულიყო ისე, როგორც მოიქცა.

## VIII

მაგალითად, როგორ მოექცა იგი რეჯინას? შვილი თავს არიდებს მამის შეცდომის გამეორებას და უშვებს საპირისპირო შეცდომას. თუ მამამ ერთხელ თავს უფლება მისცა, მოჯადოებულიყო ქალის სექსუალობით, შვილი თავიდან იშორებს, ხელს ჰკრავს ამ განცდას და მასთან ერთად – გოგონას, რომელსაც იგი გულწრფელად უყვარს. განაგდებს და უსიყვარულობის შეცდომას უშვებს. რომელი შეცდომაა უფრო დიდი, მამის თუ შვილის? ამაზე მსჯელობა ღირს.

როდის რჩება ადამიანი უსიყვარულოდ? როგორც წესი, მაშინ, როცა მას ეშინია. რა აშინებდა სიორენ აბის? აკრძალვა, რომელიც მამას არ გამოუთქვამს, მაგრამ რომელმაც მისი სიკვდილის შემდეგ განუზომლად მეტი სიმძიმე შეიძინა, რადგან ახლა შვილი თავად უწესებდა აკრძალვას საკუთარ თავს. შიში ღმერთისადმი, რომელსაც იგი თავისთვის უნდა. სიორენი ეძებს: რას ითხოვს ღმერთი მისგან, რა უნდა გააკეთოს მან ღმერთისთვის? ის ეძებს ჭეშმარიტებას, იდეას, რომლისთვისაც სიცოცხლე და სიკვდილი ენდომება.

## IX

რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, იდეები, რომელთათვისაც ადამიანს სიკვდილი სწყურია, როგორც წესი, უფრო ძლიერი და წარმტაცია, ვიდრე – იდეები, რომელთათვისაც ადამიანი სიცოცხლეს ესწრაფვის. ლამაზი სიკვდილი უფრო მომხიბვლელი ჩანს, ვიდრე – ხანგრძლივი, თუნდაც შემდგარი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ჯაფითა და რუდუნებით აღსავსე ცხოვრების გავლა.

იქნებ ყველაზე დიდი ძლევნი, რომლის გაღებაც ადამიანს შეუძლია, იდეისთვის შეწირული სიცოცხლეა? ან იქნებ უფრო დიდი ძღვენი იდეისთვის ან ადამიანისთვის ცხოვრება და სიცოცხლის მთელი სისავსით განვლაა?

ვინ უფრო დიდი მოწამეა: ის, ვინც ცხოვრების დასაწყისში იდეის გამო ცეცხლში ხტება თუ – ის, ვინც იდეის სამსახურში ცხოვრების გრძელ ცეცხლმოკიდებულ გზას გადის და მასში იწრთობა?

ეს კითხვებია კირკეგორისთვის, რომელიც აღმატებული ხარისხის მოტრფიალეა. იქნებ მისი პატივმოყვარეობისთვის ფრთები შეესხა აზრს, რომ დიადია იდეისთვის მონამებრივი სიკვდილი – ძრწოლის მომგვრელი აღსასრული, მაგრამ დიადზე დიადია ხანგრძლივი მოწამებრივი სიცოცხლე – ძრწოლა დასასრულის გარეშე? რომელი უფრო შემზარავია?

ის, რაც ახლაც აღმატებული ხარისხის მაჩვენებელი იქნებოდა. ალბათ, ორივე შემთხვევაში შესაბამისი ნიჭია საჭირო. და მაინც, რას ითხოვს ღვთაება – პირველს თუ მეორეს? იმას, რაც უფრო ძნელია იმისთვის, ვისაც ეს ეხება.

X

კირკეგორი აკრიტიკებს გოეთეს იმის გამო, რომ მას არ აქვს მზაობა, ჩაურღმავდეს საკუთარ შინაგანს. გოეთე უარს ამბობს ამ უკანასკნელი ნაბიჯის გადადგმაზე, საკუთარი ჭეშმარიტების დაწესებაზე. ამით იგი თავის მიწიერ დაცემას აღუდგება წინ. საკითხავია, არის თუ არა სიბრძნე იმაში, რომ არსებობის საზღაურად უკანასკნელ ჭეშმარიტებაზე თქვა უარი. არის თუ არა სიბრძნე იმაში, რომ არ დაიწვა საკუთარ ალზე და შეძლო სიცოცხლე. აბსოლუტური ჭეშმარიტება ხომ დაკარგულია ამ სამყაროსთვის. მაგრამ არის კი ის ბრძენი? სიბრძნე ეძებს გზას, რომელიც სიმართლეში ცხოვრებას შეაძლებინებს. სიბრძნე ცდილობს, შესაძლებელი გახადოს ის, რაც შეუძლებელია: სიმართლეში ცხოვრება. მაგრამ იმისთვის, რომ იარსებო მარად, აუცილებელია შეძლო სიცოცხლე.

XI

„ადრეული ბავშვობიდან გულში მწუხარების ისარი მაქვს ჩარჭობილი. სანამ ის იქ რჩება, მე ირონიული ვარ, ამომიღებენ და მოვკვდები". – წერს სიორენ აბი კირკეგორი.

ადრეული ბავშვობიდან – ირონიული? თავად კირკეგორიც ვერ მოახერხებდა ამას. ირონია ხომ უცხოა ბავშვის არსებისთვის. მაგრამ რას აკეთებს ბავშვი მწუხარების ისრით გულში? ის იტანჯება ჩუმად და უშუალოდ, სანამ ჩამოუყალიბდება ცნობიერება, რომელიც შეაძლებინებს, გამოთქვას და იტანჯოს გაშუალებით.

ეს ცნობიერება არის ირონიის აღმოჩენა. და იმ დროს, როცა ეს ახალი კუნძული სულის ზღვიდან ამოიწვერება, ჩაძირვას იწყებს ძველი – ბავშვობის კუნძული.

ირონიას წინ უძღვის იარა ან იმედგაცრუება. იმედგაცრუება უკიდურესად საშიში სენია. ის მიამიტსა და უწყინარს ცეცხლისმფრქვეველ ურჩხულად აქცევს. ირონიით დაავადებული კბილებს ილესავს, რადგან უკვე გამოსცადა თავისი ნაკბენის უძალობა. რაც უფრო უძალოა ურჩხული, ირონიის მეტ ცეცხლს აფრქვევს იგი.

XII

ირონიული ის ხდება, ვინც მოჩვენებითის მიღმა სინამდვილეს ხედავს. კიდევ ერთი იმედგაცრუება, საგანთა ზედაპირისადმი დაკარგული ნდობა. იქნებ სოკრატესაც ასე დაემართა. როცა სინამდვილე მოჩვენებითი ხდება, თვალი უფრო ღრმად ხედავს. ალბათ იესოც ასე იხედებოდა საგანთა გულში – უფსკრულში, რომელიც ისე ღრმა და ძრწოლვის მომგვრელი იყო, რომ მასში ირონიის ადგილი არ მოიძებნებოდა. ხედვის ამ წერტილში სერიოზული და ნაივური ერთმანეთს ხვდება. სერიოზული კვლავ ნაივური ხდება. აზრი თავის საწყისს უბრუნდება.

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ კირკეგორისთვის სოკრატე და იესო ორი სანიმუშო მაგალითი და იდეალია. კირკეგორისეული სოკრატე და სოკრატესეული კირკეგორი. ეს დიალექტიკურ და ირონიულ გენიოსს ეხება. იესო კი არც დიალექტიკურია და არც – ირონიული. ის სერიოზული და ნაივურია. მისი სერიოზულობა ნაივურია – ისეთი, როგორიც მხოლოდ იმ ბავშვებს აქვთ, გულში რომ მწუხარების ეკალი ჩარჭობიათ. ისარი, რომელიც ზრდასრულ ადამიანებს სასონარკვეთას ჰგვრის და ამ განცდას სულ უფრო აძლიერებს.

XIII

კირკეგორის „ახალგაზრდა კაცმა", მისი „განმეორებიდან", შთამაგონა შემდეგი ისტორია.

*იობს მობეზრდა*

ერთ ახალგაზრდა კაცს პრობლემა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ის ერთადერთი არ არის, ვისაც პრობლემა აქვს, ის მარტოა. „სად ვარ?" – ეკითხება ის საკუთარ თავს. „მაშ, რა არის ეს: სამყარო?" და ისევ კითხულობს: „ვინ ვარ მე? როგორ მოვედი სამყაროში? რატომ აქამდე არავინ მკითხა?"

ახალგაზრდა კაცი უფრო მომთხოვნი ხდება: „ვინ აგებს

პასუხს? ვის უნდა ვუსაყვედურო? თუ ჩემი ყოფნა კამათის საგანია, მოვითხოვ, ჩემი შეხედულებაც განხილულ იქნას. სურს ვინმეს, პასუხი გამცეს? – თუ მართალი ვარ, რატომ არ მაქვს უფლება? რაში უნდა ვიყო დამნაშავე? სად გადაიკარგეთ?"

ახალგაზრდა კაცი უფრო შორს მიდის. ის ირონიული ხდება და ამბობს: „ვიცი, რომ სულელური კითხვებია. როგორ უნდა მკითხონ, თუ მე ჯერ არ ვარსებობ? პასუხსაც ვერ გავცემ და თუ მაშინ მკითხავენ, როცა ვარსებობ, პასუხიც ზედმეტი იქნება. რა საჭიროა დაჩივლება? რა საჭიროა პასუხის ლოდინი? ჩემი პასუხი ყოველთვის უსარგებლოა, რადგან ყოველთვის დაგვიანებულია. თავი დავაღწიოთ რიტორიკულ კითხვებსა და მოჩვენებით პასუხებს. სხვათა შორის, უფლება, რომელიც მე არ მიმიღია, არარსებული უფლებაა. არარსებული უფლება კი ის უფლებაა, რომელიც არ არსებობს და მე ვერ მივიღებ უფლებას, რომელიც არ არსებობს. ასე მარტივად არის ყველაფერი და ძირითადად ყველაფერი წესრიგშია. თუ ყველაფერი წესრიგშია, რაში უნდა დამედოს ბრალი? და რა მნიშვნელობა აქვს, სად მოხდა ეს ყველაფერი?"

ახლა ახალგაზრდა კაცი მშვიდად არის, რადგან გადაჭრა პრობლემა, რომელიც არ გადაუჭრია. პრობლემა შეიძლებოდა მის არსებობამდე გადაჭრილიყო, მისთვის რომ ეკითხათ. ეს არავინ გააკეთა, რადგან მას პასუხის გაცემა არ შეეძლო. როცა უკვე პასუხის გაცემა შეეძლო, პრობლემის დადანყვეტა აღარ შეეძლო. მაგრამ განა არის კი პრობლემა ის, რის გადაჭრაც საერთოდ შეუძლებელია?

ამას კითხულობს ახალგაზრდა კაცი და პასუხის მიღება არ სნადია. ხურავს წიგნს, რომელშიც მისი საჩივარია შეტანილი, და მიდის.

## XIV

კირკეგორის „შიშსა და ძრწოლაში" იოჰანეს დე სილენციო სნავლობს, თუ რა არის შიში და ძრწოლა ყრმა ისააკისთვის.

იქნებ აბრაამი მასზე მეტად ძრწოდა და ეშინოდა, როცა შვილი, როგორც ყველაზე ძვირფასი, რაც გააჩნდა, მორიას მთაზე მსხვერპლად შესაწირად აჰყავდა. გასცა რა ყველაფერი, ყველაფერი მოიპოვა. ასეთია ერთგულებისა და თავგანწირვის პარადოქსი, ასეთია – ერთი შეხედვით.

და ვინ გაიღო მსხვერპლი? აბრაამმა თუ – მისმა შვილმა, ყრმა ისააკმა. ვინ გაინვდინა ყელი უპირობო ნდობით? ნუთუ ისააკს მეტი ნდობა ჰქონდა აბრაამისა, ვიდრე – აბრაამს ღმერთისა? შემაძრწუნებელი კითხვაა.

ძრწის კირკეგორი, როცა ისააკში საკუთარ თავს ამოიცნობს, აბრაამში კი – მამამისს. ღვთისმოშიში იყო მამამისი, მაგრამ ჰქონდა კი მას ნდობა? შვილი ენდობოდა მამას, მაგრამ ენდობოდა კი მამა ღმერთს? მამა შეკრთა და დაეჭვდა. თავადვე ვერ აიტანა, რომ დაეჭვდა, და ბიჭს უბეში ნააველო ხელი, უთხრა: „სულელო ბიჭო, გგონია, რომ მამაშენი ვარ? მე ჩემს კერპს ვეთაყვანები. დაე, ნარგეკვეთის სასო ბრიყვს, რომელსაც გგონია, რომ მამაშენი ვარ. მე შენი მკვლელი ვარ და ეს ჩემი სურვილია."

ყრმა აცახცახდა და შიშით აღმოხდა: „ღმერთო ზეციერო, შემინყალე, არ მყავს მიწიერი მამა, იყავი მამაჩემი". მამამ კი ასე იმართლა თავი: „ზეციერო ღმერთო, მადლობას გწირავ, უმჯობესია მე ვეგონო არამზადა, ვიდრე – შენდამი დაკარგოს რწმენა!"

ასე იქცა ყრმა სიორენი ისააკად, მიხაელ კირკეგორი კი – აბრაამად. ასე კარგავს შვილი მამას, როცა ეს უკანასკნელი მერყეობს და არ აქვს ნდობა.

მაგრამ შვილი თავის დანაკარგს გაიმეორებს გოგონასთან, რომელიც უყვარს. ანუ ეს შესაძლებელია – განმეორება.

## XV

მაშ, ეს ყოფილა ცდუნების საიდუმლო: შიში იმის მნველი სურვილია, რაც გაშინებს. იმისკენ მიილტვი, რაც გაშინებს? ცდუნების საიდუმლოც ის არის, რომ ცდუნებულს ეშინია? სნადია, მაგრამ არ სნადია?

თუმცა მაცდუნებელსაც ეშინია. ამ შიშშია მისი მამოძრავებელი ძალა. საბოლოოდ მაცდუნებელი ცდუნების ტყვეობაში ექცევა. მან დაუსრულებლად უნდა იმეოროს ცდუნების აქტი.

## XVI

დავუშვათ, რომ კირკეგორი დაქორწინდა, ცოლი კი ეუბნება მას: „იყო მწერალი, როცა ქმარი ხარ, დაუფარავი ორგულობაა."

ცოლი ხვდება, რომ მან აღძრა პოეტური სნრაფვა, რომელიც თავად ეროსზე ძლიერია. ეს სწრაფვა მათ სიყვარულს ხსოვნად აქცევს. ეს სნრაფვა რეალურ ქალს პოეტის შინაგან ქალად აქცევს. ღალატის პიკანტური სახეობაა. მას შეუძლია, ქალი ამ სიტყვებით დაამშვიდოს: „ეს ორეული, ასე ვთქვათ, შენი სულია. მისი მეშვეობით მე შენდამი ჩემს სიყვარულს ვაცნობიერებ."

## XVII

კირკეგორისთვის სოკრატე „შემთხვევითი შეხვედრების ვირტუოზი" იყო. კირკეგორიც დადიოდა ქუჩებში და ყველას ყველაფერზე ელაპარაკებოდა, ყველაფერზე – ერთნაირად კარგად. მას არ სურდა, ავტორიტეტი ყოფილიყო. მან იცოდა, რომ ქუჩა-ქუჩა სიარულით ის თავის გარშემო დისტანციას ამცირებდა.

„ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ღმერთისთვის მსახური ქალი ისევე მნიშვნელოვანია, როგორც – ყველაზე გამოჩენილი გე-



ნიოსი. ამიტომ მიყვარს უბრალო ადამიანი: ამიტომ მიმძიმს, მას რომ ჩემი დაცინვა ასწავლეს", – აღნიშნავს სიორენ აბი.

ჟურნალ „Corsar"-ის სატირულმა თავდასხმებმა დანიელი სოკრატე, რომლისთვისაც უბრალო ადამიანების სიყვარული ბევრს ნიშნავდა, მყისიერად აქცია კომიკურ ფიგურად, რომლის დაცინვაც ყველა ბოგანოს საკუთარ მოვალეობად მიაჩნდა.

თანაგრძნობითა და კეთილგანწყობით სავსე ხალხის ხმა ბრბოს ბოროტ ქირქილში გადაიზარდა. ხალხით სავსე ქუჩებში, სადაც ასე უყვარდა ჩაელა, მას ახლა ავი ქილიკით უმასპინძლდებოდნენ.

XVIII

„დღეს იესოს აღარ მოკლავდნენ, მას უბრალოდ დასცინებდნენ" – ასეთი იყო კირკეგორის მწარე გამოცდილება. მან გააცნობიერა, რომ რაციონალიზმის ეპოქაში სწორედ ამას ნიშნავს, იყო წამებული. „ახლა ჯვარზე აღარ აკრავენ, ახლა დასცინიან."

მან პირველად სწორედ ასეთ იზოლაციაში აღმოაჩინა თავისთვის ქრისტიანული.

აღმოაჩინა, რომ განათლება ნიშნავს საკუთარ თავში თავიდან ყველაფრის დაწყება.

განათლება „მე"-ს სამუშაოა. მე ერთდროულად ვარ მოქანდაკეც და – თიხაც. მე ვმუშაობ საკუთარ თავზე, როგორც ქანდაკებაზე. მე ვძერწავ და ვაშენებ საკუთარ თავს წმინდა განუმეორებელი პირველსაწყისიდან. ვერაფერი აშენდება „მე"-ს გარეშე. „რაც ღმერთს უნდა, სწორედ ეს განუმეორებლობაა."

კირკეგორისთვის ობიექტურობის დიქტატი მთავარი უბედურებაა. განუმეორებლის ნაკლებობა – მისი მთავარი მარცხი. კონფორმიზმი იკავებს ავტორიტეტის ადგილს, პატივისცემა შურში გადაიზრდება, ღმერთისადმი შიში კი – ადამიანისადმი შიშში.

XIX

რა არის პოეტი? უბედური ადამიანი ღრმა იარითა და ტანჯვით სავსე გულით? გამოსცემენ მისი ტუჩები მშვენიერ ჰანგებს, როცა ის კვნესის და ღრიალებს? მუდამ ორთის სასოწარკვეთილი მისი სული? ნუთუ მხოლოდ მაშინ შეუძლია შიშსა და სასოწარკვეთასთან გამკლავება, როცა ნერის უფლება ეძლევა? არის კი ღმერთი ის, ვინც მოუწოდებს, რომ წეროს? შეუძლია მის სულიერ კრიზისს, შვას ხელოვნება? პოეტის ძალა მის სუბიექტურობაშია? მიდის თუ არა უკიდურესობამდე თავის სუბიექტურობაში? აქვს პოეტს თანამდებობა? გამოიმუშავებს ის ფულს? დაქორწინებული მაინც თუ არის? სერიოზული ადამიანია პოეტი? დიახ, ის უსერიოზულესია.

XX

მიაწერს თუ არა შვილი ზეციურ მამას თავისი მიწიერი მამის თვისებებს? ან თუ შეუძლია თავი დააღწიოს მას?

ერთი მხრივ, სიორენ კირკეგორი აღმოაჩენს, რომ ყველაფერში მამის მადლიერი უნდა იყოს. მეორეს მხრივ იმასაც ხვდება, რომ მამამისმა ის გააუბედურა – იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო. და მაინც მიიჩნევს მას მოსიყვარულე მამად და ენატრება იგი.

ზეციურ მამაზე კირკეგორი ამბობს: „მე ღმერთთან ერთად ისე ვიცხოვრე, როგორ ცხოვრობენ მამასთან ერთად", შემდეგ კვლავ ამბობს: „მამაჩემი მოკვდა – მაშინ მე მის ნაცვლად მომეცა სხვა მამა: ღმერთი ზეცაში. და მაშინ აღმოვაჩინე, რომ ჩემი პირველი მამა მამინაცვალი ყოფილა."

სამართლიანობა მოითხოვს, ვთქვათ, რომ მიწიერი მამა ვერასდროს მიუახლოვდება ზეციურ მამას. ზედმეტია, მოსთხოვო ადამიანს სრულყოფილება. მაგრამ ინტუიციურად სწორედ ამას ითხოვს ახალგაზრდა კაცი მამისგან. გამოფხიზლება და რეალობის დანახვა კი დიდი იმედგაცრუების ტოლფასია.

მაგრამ თუ ახალგაზდა კაცს სურს ისწავლოს, რა არის სამართლიანობა და ადამიანობა, საკუთარი თავიც იგივე საზომით უნდა შეაფასოს. მაშინ თავადვე დაინახავს, რა სწრაფად დაყრის ფარ-ხმალს. საკუთარი მარცხის გამოცდილება კი შეარიგებს მას სხვის მარცხთან.

შესაძლოა, სწორედ ამიტომ აპატია სიორენ აბი კირკეგორმა მამას. და ეს იყო ჩუმი წინაპირობა იმისა, რომ მან შეძლო მამის ადგილმონაცვლის პატიება.

ნ 17/36

თავს უფლებას ვაძლევ ვივარაუდო, რომ ღვთაება აირეკლავს ადამიანის უნარსა და ნებას. ადამიანი, რომელსაც პატიება შეუძლია, თვინიერ ღმერთს შეეყრება. ღმერთი იმაში ჩანს, რასაც უშუალოდ წარმოადგენს ადამიანი.

ამ უშუალობაში ვბრუნდებით საბოლოოდ. უშუალობაში, რომელიც საკუთარი საპირისპიროს წინაშე დგას. ვინც ჰპოვებს პატიებას ამ უშუალობაში, ახალ ადამიანად იქცევა თითქოს.

ვინც ეს განიცადა, იგივედ ვერ დარჩება. მას ეგოიზმი ჩამოეცლება. ის სულად იქცევა.

ახლა სიორენ კირკეგორი სივა მეუქზე ხედავს თავის სასოწარკვეთას, რომელიც სიკვდისადმი შიშად იქცევა, ურწმუნოებად იქცევა. სიორენს ესმის, რომ სასოწარკვეთა საკუთარი თავისადმი ამპარტავნული სიძულვილია. საბოლოოდ კი სასოწარკვეთა არის დაეჭვება პატიების შესაძლებლობაში.

## XXI

საინტერესოა, როგორ გადააქვს სიორენ კირკეგორს საკუთარი პიროვნების ელემენტები თავის „ანტიგონეზე". ანტიგონე ზუსტად ასახავს იმას, რისგანაც შედგება სიორენ კირკეგორის ცხოვრების მთავარი გარემოება: ბნელით მოცული საიდუმლოს ცოდნა, აკრძალვა, დუმილი. კირკეგორს ერთი და იგივე ფიგურები გამოჰყავს, ისევ და ისევ იმეორებს. რაოდენ პიროვნულიც უნდა იყოს ეს მისთვის, იმდენადვე ზოგადია მეორე მხრივ, რადგან მითები მუდამ ერთსა და იგივეს გვეუბნებიან. ეს არის მომენტი, როცა პირადი ხვდება საერთოს. პოეტის განსაკუთრებულობაც ამაშია: ის კერძოა და იმავდროულად საერთოა. ის ხორცშესხმული ფიგურაა.

## XXII

ეკლესიური ქრისტიანობის სიყალბე იმაშია, რომ ქრისტიანობა წარმატებულთა და კეთილსაიმედოთა რელიგიად იქცა. ის კი ტანჯულთა, დამცირებულთა, ღარიბთა, ავადმყოფთა, კეთროვანთა, შეშლილთა, ცოდვილთა და დამნაშავეთა რელიგიად იყო ჩაფიქრებული. მაგრამ ისინი განდევნეს ქრისტიანული ცხოვრებიდან, რათა ხელი არავისთვის შეეშალათ.

„ქრისტანობაში ქრისტიანები ისე გრძნობენ თავს, როგორც – ავადმყოფი ბავშვი, რომელსაც რაღაც აჩუქეს, მაგრამ ზედ დაურთეს ერთი-ორი უფრო ძლიერი ბავშვიც, რომლებიც მას მბრძანებლობენ." – ასე ფიქრობს კირკეგორი.

ის არ ენდობა შეძლებულთა რელიგიურობას. მდიდრები სიამოვნებით ლაპარაკობენ ღმერთის მფარველობაზე, მის წინამძღვრობასა და წყალობაზე. თუ ადამიანებს ღმერთი თავისი გზით ატარებს, რაღა საჭიროა ჩარევა, რაღა საჭიროა სხვათა ბედზე ზრუნვა. შეგიძლია მშვიდი სინდისით მარტო იჯდე გაშლილ სუფრასთან.

## XXIII

კირკეგორმა 1854 წელს დაიწყო და მოკლე ხანში მთლიანად წაიკითხა შოპენჰაუერის შრომები და – ყველაფერი, რაც შოპენჰაუერზე იყო დაწერილი.

შოპენჰაუერი ასკვნის: „ის, რაც გვწადია, ჩვენი უბედურებაა. ის, რაც გვწყურია, არაფერს განსაზღვრავს."

შეგვიძლია კი ისე გვწადდეს, რომ არ გვწადდეს? თუ როგორც არის. ჩვენ რომ შეგვეძლოს საგნის ჭვრეტა მისი ფლობის სურვილის გარეშე, ჩვენ მას მის წმინდა ობიექტურობაში დავინახავდით და დავმშვიდდებოდით.

## XXIV

რა მოდის პირველი? არის ეს ტკივილი, ცხოვრებისეული სატანჯველი, რომელიც შემდეგ ღმერთთან კავშირს განაპირობებს? თუ ღმერთთან კავშირი განაპირობებს შემდგომ ტანჯვას?

ბუნება, რომელიც უნდა მოკვდინდეს, უარს ამბობს სიკვდილზე. ის აგრესიით ეგებება დაუძლეველს – მოთხოვნას, განიძარცვოს ბუნებისგან.

აქცევს თუ არა ქრისტიანობა ადამიანს ამაზრზენ ეგოისტად იმით, რომ შიშსა და ძრწოლას ჩაუნერგავს, რითაც უბიძგებს, არავინ ანაღვლებდეს და არაფერზე იზრუნოს, გარდა საკუთარი გადარჩენისა?

მეჩვენება, რომ სწორედ შიშსა და ძრწოლაში მყოფი ადამიანი ხვდება, რომ არ ძალუძს თავი გადაირჩინოს, რომ თვითგადარჩენა მხოლოდ სხვათა გადარჩენაზე ზრუნვით მიიღწევა. ვერ გადარჩები, უნდა გადაგარჩინონ. გადარჩენა შენი შესაძლებლობების მიღმაა. ის თავდავიწყებაშია.

## XXV

და თუ მოახერხებ მეცხრე ცაზე მოხვდე, რადგან შეწყვიტე ცდა – იქ აგელწია, და შეგეძლება აირჩიო ღმერთებს შორის: ახალგაზრდობასა და სილამაზეს, მშვენიერ ქალწულსა და ჭაბუკს – ყველა სხვა ღვთაებრიობას შორის, მაშინ უნდა გაიხსენო სიორენ აბი კირკეგორი, რომელმაც, ნამიერი ორჭოფობის შემდეგ, ღმერთებს ასე უთხრა:

„პატივცემულო თანამედროვენო, თავად ვაკეთებ არჩევანს: მინდა სიცილი მუდამ ჩემს მხარეზე იყოს. ღმერთთაგან ერთსაც კი არ დაგცდენიათ სიტყვა, ყველანი იცინოდით. აქედან დავასკვენი, რომ ჩემი თხოვნა შესრულებულია."

***გერმანულიდან თარგმნა მაია გოგოლაძემ***

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# „ახალი საუნჯის“ გამოწერა!

GE59BG0000000210646500

დანიშნულებაში მიუთითეთ: **„ახალი საუნჯე“**,

საკუთარი ტელეფონის ნომერი და მისამართი.

**2020 წლის 6 ნომერი – 12 ლარი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი საუნჯე

ISSN 0134-9848
საუნჯე
9 770134 984002